

N12 2016

# საქართველო

1852



ვრცელდება ვრცელდება//ეკონომიკა//თარგმანი//არტი



2016/12

ყველთვიური ლიტერატურული –  
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბლათერ არაბული**  
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
**თამარ გელიტაშვილი**  
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
**ქეთევან მერკვილაძე**  
**თამარ გელიტაშვილი**

---

გარეკანის პირველ გვერდზე:  
ლირის როლში – **ზურაბ ყიფშიძე**  
(**ლაშა კუპრაშვილის** ფოტო)  
და უკიმო მისიმას წიგნის ყდა;  
მეოთხე გვერდზე – **ევა იერზაბუნა** –  
ცეკვა „ფლამენკო“

---

ჟურნალის გამომცემი  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსური მსახურით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

აკაკი ბაქრაძე სხვადასხვა დროის ჩანაწერები	3	თარგმანი საადი შირაზელი რობაიები <i>თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა</i>	62
ჯრიბია. ესეისტია ნინო დარბაისელი სოსო მეშველიანის „მულმურულას სურნელი“	9	სერგეი ესენინი ლექსები <i>თარგმნა გულიკო პირველმა</i>	66
ნათია ფანჯიკიძე კუნძული	13	ო' ჰენრი დღე, რომელსაც ვზეიმობთ <i>თარგმნა მაია ცერცვაძემ</i>	70
გია ჯოხაძე ფიქრები იოსიფ ბროდსკიზე	16	იუკიმო მისიმა პატრიოტიზმი <i>თარგმნა ლაშა ხეცურიანმა</i>	75
პოეზია გენო კალანდია	35	ოსი მნერალი ქართულ ენაზე მერი ცხოვრებოვა სანამ ცოცხალი ხარ <i>თარგმნა ნაირა ბეპიევმა</i>	91. 94
პროზა ლანა მანველი სიცოცხლე დედის გარეშე	43	არბრაჰიუ მანანა პაიჭაძე „მეფე ლირი“ მიხეილ თუმანიშვილის თეატრში	97
ანდრო ბუაჩიძე ხედი ჩემი ფანჯრიდან	49	ალინა ქადაგიშვილი ფესტივალი „საჩუქარი 2016“-ის დღიურები	105
მამუკა დოლიძე გასეირნება დროთა სივრცეში	53		

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის  
ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

აკაკი ბაქრაძე



## სხვადასხვა დროის ჩანაწერები

ჩვენ არ ვიცით და ვერც ვერასოდეს გავიგებთ, რატომ, რა კანონზომიერებით არსებობს ასე (მაგრამ ვიცით ფაქტი ბუნებაში არსებული სურათისა): სარეველა გაცილებით მეტია კულტურულ მცენარეებზე. ბუნებაში არც არსებობს კულტურული მცენარე, რაც არის, ადამიანის გამოყვანილია. ამავე დროს სარეველა ყოველთვის უფრო ღონიერია კულტურულ მცენარეზე. კულტურული მეურნეობის შესანარჩუნებლად ადამიანს ჭკუა სჭირდება. სხვა საშუალება მათ შესანარჩუნებლად არ არსებობს.

ცხოველთა სამყაროც ასეა. ყველა ცხოველი ველურია. მოშინაურებული ცხოველი ბუნებას არ გაუჩენია; აქ ჭკუა დასჭირდა ადამიანს. ცხოველთა სამყაროშიც გარეული ფიზიკურად უფრო ღონიერია და მოშინაურებული გადაშენდება, ადამიანის ჭკუამ თუ არ უპატრონა. როგორც მცენარეულ სამყაროშია, ცხოველთა სამყაროშია, ასევეა საზოგადოებაშიც. საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა ველურია. მათ ნესრიგში ყოფნისათვის ჭკუაა საჭირო. ეს ჭკუა ყოველთვის უმცირესობას აქვს (ესეც ბუნების კანონია). ამიტომ უმცირესობა იმორჩილებს ჭკუის წყალობით უმრავლესობას. ამ დამორჩილებას რალაც ორგანიზაცია სჭირდება და ეს ორგანიზაციაა სახელმწიფო.

არავითარ კლასობრივ მოთხოვნას (ერთი კლასის მიერ მეორის დამორჩილების აუცილებლობას) არ შეუქმნია სახელმწიფო. სახელმწიფო შექმნა საზოგადოებაში ნესრიგის აუცილებლობამ. ნესრიგის გარეშე ადამიანთა საზოგადოება გადაშენდება. ნესრიგის შესაქმნელად კი კაცობრიობამ სახელმწიფოზე უკეთესი ფორმა ვერ მოიგონა. ამიტომ ზღაპარია სახელმწიფოს კვდომა. თუ სახელმწიფო მოკვდება, მოკვდება საზოგადოებაც. კომუნისტები სულ სახელმწიფოს კვდომაზე ლაპარაკობდნენ და, პირიქით, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სახელმწიფო ყოფილიყო ურყევი. სწორედ თეორიის აბსოლუტურად სანინაალმდეგოდ მოქმედებდნენ.

ასევეა ოჯახიც.

მამასადამე, დღემდე არსებული თეორიები ბუნებაში შექმნილ კანონზომიერების ანალიზს კი არ ახდენდნენ, არამედ თავად ადგენდნენ უტოპიურ თეორიებს, რომელიც არასოდეს არ მართლდება პრაქტიკულად. ერების კვდომის თეორიაც ზღაპარია. აქაც კომუნისტების თეორია ენინაალმდეგება მათსავე პრაქტიკას. რუსეთის შოვინიზმს უფრო მტკიცე დამცველი და განმხორციელებელი არ ჰყოლია, ვიდრე კომუნისტები არიან. ხალხთა ძმობაზე ლაპარაკობენ და მოლდავეთის არათუ გათავისუფლება

არ უნდათ, არამედ კომუნისტური რუმინეთისთვის გადაცემაც, მიუხედავად იმისა, რომ მოლდაველები და რუმინელები ტომობრივად ერთნი არიან. 1939 წელს პოლონეთი გერმანიასთან ერთად გაიყვეს. 1945 წელს დამარცხებული გერმანიის ტერიტორიის ხარჯზე შეიქმნა პოლონეთი, ხოლო რუსეთს არც უფიქრია პოლონეთისაგან მითვისებული მიწები კომუნისტური პოლონეთისათვის დაებრუნებინა. თვითონ სხვის მიწებს ძირეულ რუსულ ტერიტორიად ასაღებს, ხოლო გერმანიის გაერთიანებას ყოველნაირად ეწინააღმდეგება. მაშასადამე, ასეთი შოვინისტური პოლიტიკის გამტარებელი პარტია ერების რა კვდომაზე უნდა ლაპარაკობდეს? მხოლოდ ერთზე – სხვა ერების კვდომაზე რუსეთის სასარგებლოდ, რუსის ასალორძინებლად. ესაა ძირითადი მიზანი.

კომუნისტები იძულებულნი გახდნენ ანბანი შეექმნათ და მშობლიურ ენაზე სწავლა შემოეღოთ იმ ენებზე, რომელნიც არაკულტურულნი იყვნენ. ეს ამ ხალხების სიყვარულით კი არ მოსდით, არამედ სხვა ხალხების დასაქუცმაცებლად, რადგან მერე პანია ლუკმებს უფრო იოლად გადაყლაპავენ. ესეც ცარიზმის პოლიტიკის გაგრძელებაა. ასევე ცდილობდა ცარიზმი აფხაზური და მეგრული ანბანის შექმნას ქართულის სანადალმდეგოდ. აფხაზეთში ეს მოახერხა, სამეგრელოში ვერა, რადგან აქ ეროვნული შეგნება უფრო მტკიცე აღმოჩნდა. რუსის სანამლავემა ვერ იმოქმედა.



როცა დაფიქრდები, ვგრძნობ, რომ ჩემს თაობას ჯერ არაფერი გაუკეთებია. ჩვენი პაპების თაობამ ეშმაკს მიჰყიდა სული და რევოლუცია მოახდინა. მამების თაობა ეშმაკს ერთგულად ემსახურებოდა და მეორე მსოფლიო ომის მოგებით ეშმაკის ძლიერებასა და გაფართოებას შეუწყო ხელი. ჩვენ შინაგანად ეშმაკის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ შიშისაგან

წელში გადრეკილები მაინც მას ვემსახურებით და, თუმცა უხალისოდ, მაგრამ მის წისქვილზე ვასხამთ წყალს. დადგადრო, ჩვენმა თაობამ თავისი ამოცანა მტკიცედ განსაზღვროს, თორემ ჩვენ უაზრო, ულონო, უნიათო მსხვერპლის როლში აღმოვჩნდებით, მსხვერპლის, რომელიც ელემენტარულ პატივისცემასაც არ იმსახურებს.

თანამედროვე ტენდენციებს თუ თვალს გავაყოლებთ, ეროვნული დამოუკიდებლობის გადაწყვეტაა ჩვენი ამოცანა. არჩილ ჯორჯაძე ამბობდა – პოლიტიკური ავტონომია XIX ს-ის მონაპოვარიაო. ჩვენ ვერ ვისარგებლეთ ამ მონაპოვრით. მეოცე საუკუნის მონაპოვარი ეროვნული დამოუკიდებლობაა, თუ ამითაც ვერ ვისარგებლეთ – საქართველო მოკვდება. აქ უკვე ხსნა აღარ იქნება.



ძნელად იპოვით მოღვაწეებს, ვინც ისტორიას ისე გაებითურებინოს და გაემასხარებინოს, როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატები გაამასხარავე – ორივე ფრთის წარმომადგენლები. ირ. ნერეთელი რუსებს უძვრებოდა და რუსეთმა ისე ამოაფურთხა, რომ კარდაკარ წანწალში აღმოხდა სული; სტალინს საფლაგში ჩ... ვეს; უბედურმა ფ. მახარაძემ თავად დაიკნავლა – მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ზღაპარიაო.

ეს გაბითურება დღევანდელი თაობისათვის ჭკუის მასწავლებელი უნდა იყოს. თუ ესეც არ გვასწავლის ჭკუას, მაშინ ქართველობა გადასაშენებელი ყოფილა და რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი.

22.10.1975

სახელმწიფო ჩაგვრის საშუალება კი არ არის, როგორც ამას მარქსისტები თეორიულად ამტკიცებენ (თუმცა პრაქტიკულად სახელმწიფო ფეტიშად აქციეს), არამედ საზოგადოებრივი წესრიგის ფორმა. თავისი ისტორიის მან-

ძილზე საზოგადოებამ წესრიგისათვის უკეთესი ფორმა ვერ მოიგონა და ვერც მოიგონებს. წესრიგი კი საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, როგორც ფორმას, მახინჯადაც იყენებენ, მაგრამ საქმე მისი სწორად გამოყენებაა და ამისათვის უნდა დაიხარჯოს ადამიანის გონება და არა იმისათვის, რომ სახელმწიფოს მოსპობაზე (რაც შეუძლებელია) ვიფიქროთ და ამით ისედაც გზააბნეულ ბრბოებს სრული ქაოსისაკენ ვუბიძგოთ. სახელმწიფოს წინააღმდეგ საუკუნეების მანძილზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ უფრო სრულყოფილ ფორმას საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად ვერ მიაგნეს.

თოხის ფუნქცია მიწის დასამუშავებლად გამოყენებაა, რომ მერე მოსავალი მიიღო. უგუნურს თოხით კაცის მოკვლაც შეუძლია, მაგრამ ამაში ხომ თოხი არ არის დამნაშავე. ასევეა სახელმწიფოც – თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი, საზოგადოების არსებობის აუცილებელი ფორმაა და არა ჩაგვრის იარაღი. თუ მას ჩაგვრის იარაღად იყენებენ, ეს იმის ნიშანია, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არასრულყოფილია და ვერ მოუხერხებია გონივრული წესებით ცხოვრება.

06.12.75

უნივერსალური ჰარმონია ბუნებაში არსებობს. ადამიანი ზოგჯერ ცდილობს ამ ჰარმონიის დანგრევას და თავისთვის დიდი უბედურება მოაქვს. ამოცანა ის არის, ამ ჰარმონიის კანონები ამოვიცნოთ და მის შესაბამისად მოვანყოთ საზოგადოებრივი ცხოვრება. სხვათა შორის, ამას გულისხმობს ბიბლიური ფორმულა ადამიანის სახედ ღვთისად შექმნის შესახებ, თუმცა ეს გაუგებარი დარჩა და მეტი ბრძოლა მის უარყოფას მოვანდომეთ, ვიდრე მისი მნიშვნელობის ამოცნობას.

06.12.1975

ყველა ხელისუფლება ქმნის მითს, იმიტომ რომ ყოველი ხელისუფლების ძლიერების წყაროა მითი. ვერავითარი ტყვია, ვერავითარი კატორღა, ვერავითარი მათრახი ვერ გახდის საზოგადოებას, ადამიანს მორჩილს. მორჩილება ეფუძნება მითს. არც ერთი დიქტატორი არ კითხულობს იმ ოდებს, რომელსაც მას უძღვნიან. ისინი მეოდეებებზე სიცილით იხოცებიან, მაგრამ მაინც აწერინებენ და ჯილდოებსაც იძლევიან, იმიტომ, რომ მეხოტბეები ქმნიან მითს, რომელიც იმორჩილებს ხალხს. ამიტომ, ყველა ბოროტების საფუძველია სიტყვა. აქ არის მწერლობის პასუხისმგებლობის პრობლემა.

13.02.85

ყოველ რევოლუციურ პროცესს მისი მომზადება-განხორციელების გზაზე სჭირდება სხვადასხვა დანიშნულების მსახურნი.

პირველი – ფილოსოფოსები, რომელნიც იდეას შეიმუშავენ. მარქსი, მისი წინამორბედები თუ მისი კომპანიის წევრები ფილოსოფოსები იყვნენ.

მეორე – ფანატიკოსები, რომლებიც ყველას და ყველაფერს შესწირავენ ფილოსოფოსთა მიერ შემუშავებული იდეის განხორციელებას. ლენინი და მისი კომპანია ფანატიკოსები იყვნენ.

მესამე – ჯალათები. რევოლუცია ძველ წესრიგს ანგრევს. სანამ ახალი წესრიგი შეიქმნება, საზოგადოებას, ქვეყანას, ანარქია ეუფლება. ახალი წესრიგი რომ დამყარდეს, აუცილებელია ჯალათური სისასტიკე. ამ ჯალათურმა სისასტიკემ შეიძლება შეინიროს არა მარტო მტრები, ანარქისტები, არამედ ძველი ფანატიკოსებიც, რადგან ისინი შეიძლება წესრიგის დამყარების პრობებში ხელის შემშლელი აღმოჩნდნენ. სტალინი და მისი კომპანია ჯალათები იყვნენ.

მეოთხე – ჩინოვნიკები. როცა ახალი წესრიგი დამყარდება, მას ფუნქციონერთა გარდა, სხვა არავინ სჭირდება. ხრუშჩოვი

– ბრეჟნევი – ჩერნენკო – ანდროპოვი და კომპანია ჩინოვნიკები არიან.

ქვეყნის, ხალხის ბატონ-პატრონები ჩინოვნიკები ხდებიან მანამ, სანამ ახალი ფილოსოფოსები არ მოვლენ და ისევ თავიდან არ დაიწყება ყველაფერი.

პეტერ ალტენბერგი ამბობდა:

„ადამიანის ყოფიერების ერთადერთი ტრაგედია უფიცობაა. სხვა ტრაგედია არ არსებობს“. უფრო მართალი იქნება თუ ვიტყვით: ადამიანის ყოფიერების ერთადერთი ტრაგედია სისულელეა. ერთობ ბევრი სულელი ცხოვრობს დედამიწაზე, მაგრამ რით უნდა უშველო?! მათ ხომ ღმერთი აჩენს!

სულელი ქვეყნის დამქცევი ძალაა დემოკრატიის პირობებში.

დიქტატურას კი ხელს ვერ შეუშლის. დიქტატურა მათ ისე იყენებს, როგორც მუშა-საქონელს – საითაც უნდა, იქით მიერეკება, როგორც უნდა, ისე იყენებს. დემოკრატიის პირობებში კი სულელებს ადამიანებად თვლიან და ანგარიშს უწვენ. სულელი კი მხოლოდ სისულელეს აკეთებს და ქვეყანას აქცევს, მაგრამ დემოკრატია და თავისუფლება აუცილებელია გონიერებისათვის, გონიერების შემოქმედებითი ძალა მხოლოდ თავისუფლების პირობებში იფურჩქნება. აქ არის სწორედ მოუგვარებელი წინააღმდეგობა. რით უნდა უშველოს მას ადამიანმა, როცა იგი ღმერთის შექმნილია?!

17.04.82

ზნეობის საფუძველი რელიგიაა. არსებითად, რელიგიურობა ზნეობრიობას გულისხმობს და პირიქით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ რელიგია ზნეობრივ პრინციპებს აყალიბებს, არამედ უფრო იმიტომ, რომ, თუ ადამიანს არ სჯერა იმისა, რომ არსებობს მარადიული სამართლიანობა, სულის უკვდავება, იმქვეყნიური ცხოვრება და ა. შ. იგი დაემსგავსება მხეცს, რომელიც ყველაფერს უყურებს, როგორც წარმავალს, ამაოს, მოსასწრებს

და ბუნებრივია, არავის და არაფერს დაინდობს.

13.05.82

როგორც კი კრიტიკოსი იტყვის ამა და ამ მხატვრულ თხზულებაში ესა და ეს აზრი ამოვიკითხო, პროფანი მაშინვე სვამს კითხვას – რა იცი, რომ ეს უნდოდა ავტორს ეთქვაო. პროფანს ჰგონია, რომ კრიტიკოსი გულთმისანია და მისი ამოცანაა ამოიციოს ის, რაც ავტორმა ჩაიფიქრა. არ იცის, რომ ყოველი ადამიანი თავისას კითხულობს ნაწარმოებში. ზოგჯერ შეიძლება ეს დაემთხვეს ავტორის აზრს და ზოგჯერ – არა.

ვინ უწყის, რამდენი წელიწადია ცვივა ვაშლები ვაშლის ხიდან, მაგრამ არავინ დაფიქრებულა, რატომ ხდება ეს, ყველა ჭამდა ვაშლს და იყო კმაყოფილი. ერთ დღეს მოვიდა კაცი, რომელმაც თქვა, ვაშლი რომ ხიდან ვარდება, ეს ნიშნავს მიზიდულობის კანონის არსებობასო. ეს ნიუტონმა დაინახა, თორემ, ალბათ, ვაშლმა არ იცის, რომ არსებობს მიზიდულობის კანონი. ასევე, ვინ იცის, რამდენი წელიწადი ბანაობდა ადამიანი, მაგრამ საჭირო იყო არქიმედე, რომ დაენახა ამაში კანონი.

როგორც ვაშლის ხე ისხამს და არ ფიქრობს მიზიდულობის კანონზე, ასევე ქმნის შემოქმედი, რომელიც შეიძლება არ ფიქრობდეს იმ კანონზომიერებაზე, რომელსაც მერე მკითხველი აღმოაჩენს. ზოგჯერ ეს აღმოჩენა შეიძლება იყოს ობიექტური (როგორც მიზიდულობის კანონი) და ყველამ გაიზიაროს, ზოგჯერ შეიძლება იყოს მხოლოდ სუბიექტური, რომელსაც არსებობის სრული უფლება აქვს. ამიტომ, როცა კრიტიკოსი რაიმეს ამბობს, ამას იმისა და მიხედვით კი არ უნდა მიუდგეთ, ზუსტად ამოიციოთ თუ არა ავტორის ჩანაფიქრი, არამედ იმის შესაბამისად, საინტერესოა თუ არა, მნიშვნელოვანია თუ არა ის, რასაც კრიტიკოსი ამბობს.

11.06.82

უნიჭო მკითხველი, მსმენელი ან მაყურებელი უფრო საშიშია, ვიდრე უნიჭო მწერალი და ხელოვანი. უნიჭო მწერალი და ხელოვანი, რასაც შექმნის, ის მის არემარეში რჩება. იგი ვერ გაავრცელებს მას. უნიჭო მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი კი უნიჭობის მოთხოვნილებას ქმნის, ეხმარება უნიჭობას გაავრცელებადამკვიდრებაში და გზას უღობავს ნიჭიერებას. უნიჭო მკითხველი, მაყურებელი თუ მსმენელი აგრესიულია და ცდილობს უნიჭობას გაამარჯვებინოს. თუ უნიჭო მწერალი-ხელოვანი თავისი თავისთვის ზრუნავს (ამიტომ მისი მოქმედება ვრცელ არეს არ მოიცავს), უნიჭო მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი საერთოდ უნიჭობაზე ზრუნავს (ამიტომ მისი მოქმედების არე ტოტალურია). ამის გამოა, რომ კულტურის ბედსა და დონეს მწერალი ან ხელოვანი კი არ განსაზღვრავს, არამედ მომხმარებელი.

27.01.83

შემოქმედი (ნიჭიერია იგი თუ უნიჭო, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა) გამოხატავს მთელი ეპოქის, მთელი საზოგადოების ამაღლებასა და დაცემას, როგორც შემოქმედებით, ისე პირადი ცხოვრებით. გარდასული ეპოქებიდან დაცემულს მომდევნო ეპოქები არ იღებს. იგი დავინწყებას ეძლევა. ამიტომ შემოქმედებასთან უშუალოდ არზიარებულ ადამიანს მხოლოდ ამაღლებულზე აქვს წარმოდგენა, რაკი გარდასულიდან იგი გადმოდის მომავალში. გულუბრყვილო ადამიანებს ამიტომ აღიზიანებთ და აზრახებთ ისინი, ვინც დღევანდელი დაცემულობის სურათია. მათ ჰგონიათ, წარსულში მხოლოდ ამაღლებულის სინონიმი იყო ხელოვანი და დღევანდელი მათი დაცემა სასონარკვეთილებას ჰგვრი. დღევანდელიდანაც ამაღლებული გადაეცემა მომავალს. დაცემული დავინწყებას მიეცემა. ასეთია კანონზომიერება.

● უნდა დაინეროს სტატია – რა გვასწავლა გეორგიევსკის ტრაქტატმა?

ჯერ ჩამოითვლება, რას ჰპირდებოდა ტრაქტატი ერეკლე მეორეს და შემდეგ ითქმის, სინამდვილეში რა მოხდა. მერე გაკეთდება დასკვნა, რაც ტრაქტატის გაკვეთილი იქნება.

1. ყოველმა ერმა თვითონ უნდა მოუაროს თავის თავს და არ უნდა ეძებდეს მზრუნველს, მფარველს, მეურვეს.

2. არ ენდო უცხოს. გეშინოდეს მისი მაშინაც კი, როცა უანგარო ძმობას გპირდება, განსაკუთრებით რუსის, რადგან მას მხოლოდ დამპყრობლის ინსტინქტი აქვს.

ამ დასკვნისათვის გეორგიევსკის ტრაქტატი დიდი გაკვეთილია.

21. 10. 84

რუსეთი რელიგიურ-კულტურულად არის ბიზანტიის მემკვიდრე, სამხედრო-პოლიტიკურად – მონღოლთა იმპერიის. ამ ორი ბნელეთის შეერთებამ მოგვცა ის ურჩხული, რასაც დღევანდელი რუსეთი წარმოადგენს. კავკასიის მითვისებისათვის ბრძოლას რუსეთი უკვე მე-12 ს-ში იწყებს. ამის საბუთია თამარის რუსზე გათხოვება. რუსეთი მაშინ უკვე ემზადებოდა ბიზანტიის მემკვიდრეობისათვის. მონომახის ქუდი. ორთავიანი არწივი (არწივს ორი თავი იმიტომ ჰქონდა, რომ ერთი დასავლეთისაკენ იყურებოდა, მეორე – აღმოსავლეთისაკენ). ორთავიანი არწივის რუსეთის გერბად აღიარება ნიშნავდა პრეტენზიას – როგორც აღმოსავლეთზე, ისე დასავლეთზე. ამ პრეტენზიის მქონეს ქრისტიანული კავკასიაც თავისად მიაჩნდა.

19.11.84

ისტორიას აქვს კანონზომიერების აწყობის შესაძლებლობა, თუ ადამიანი ღრმად დააკვირდება.



რუსეთში ივანე მრისხანეს მოჰყვა ხან-მოკლე მეფობანი თევდორესი, ბორის გოდუნოვის, ცრუ დიმიტრები, მერე რომანოვების გამეფებამ სტაბილიზაცია გამოიწვია და თან მმართველობის შერბილება ივანესთან შედარებით.

პეტრე პირველის მრისხანე მეფობას მოჰყვა აგრეთვე ხანმოკლე მეფობანი მისი მემკვიდრეების ეკატერინე I, ანა იოანეს ასული, ელისაბედ პეტრეს ასული, პეტრე III. მერე ეკატერინე II გამეფდა. სტაბილიზაცია და მმართველობის შერბილება (განათლებული აბსოლუტიზმი).

როგორც ჩანს, ეს კომუნისტური მმართველობის დროსაც მეორდება. ლენინ-სტალინის მხეცობას მოჰყვა ხრუშჩოვი, ბრეჟნევი. შემდეგ ხანმოკლე ანდროპოვ-ჩერნენკო. აქაც შერბილების ტენდენცია. ეტყობა, ჩერნენკოს უნდა მოჰყვეს გარკვეული სტაბილიზაცია შერბილების ტენდენციებით.

საინტერესოა, ეს შინაგანი ტენდენცია რუსული მმართველობისა განმეორდება თუ არა?



გაიხსნა ელგუჯა ამაშუკელის ძეგლი „ვეფხი და მოყმე“. ან ეს კომპოზიცია მას „ვეფხისტყაოსნისათვის“ ჰქონდა ჩაფიქრებული და მერე გადაიტანა ბალადაზე, ან ბალადის აზრი ვერ გაუგია. ბალადაში ვეფხისა და მოყმის ბრძოლა კი არ არის მთავარი (ამგვარი სხვაც ბევრი თქმულა, ვთქვათ „მწირი“ ლერმონტოვისა), არამედ დედის საქციელი – ვეფხის დედასთან რომ მიდის სამძიმრისათვის. აქ არის არსი ბალადისა და მოქანდაკესაც ეს ქალი უნდა გამოესახა. სხვანაირად, ელგუჯა ამაშუკელმა თავისი თავიც გაი-

მეორა. გორში დადგმული ვეფხზე გადამჯდარი ყმანვილი არსით იგივე ვეფხისა და მოყმის ბალადა – ორი თანასწორის ერთიანობა-ბრძოლაა.

10.06.85

ზედმეტობა თავად ბუნების კანონზომიერებაში დევს. ავილოთ რომელიმე მსხმოიარე ხე, ვთქვათ, ვაშლი. რამდენ ყვავილსა და კვირტს გამოიღებს, ყველა ხომ არ მწიფდება? ზოგს ქარი ჩამოჰყრის, ზოგს მზე დააჭკნობს, ზოგი დაღებება და მრავალთაგან სიმწიფემდე (მობმარების დონემდე) ნაწილი აღწევს. ასევეა მწერლობაც. მწერლობის ხეს ბევრი ნაყოფი ასხია, მაგრამ გზადაგზა იქიდან ბევრი ჩამოცვივა და მხოლოდ თითო-ოროლა დარჩება ლიტერატურაში, როგორც თაობათა მოსახმარისი, მაგრამ ეს მტკიცე კანონზომიერება იმას არ ნიშნავს, რომ ლიტერატურის ხე უყურადღებოდ იყოს მიტოვებული. როგორც მსხმოიარე ვაშლის ხეს უვლის გლეხი, ისევე უნდა პატრონობა მწერლობის ხესაც, თორემ გამორიცხული არ არის, იგი გახმეს.

აღბათ, ბუნებამ იცის, რისთვის არის საჭირო ეს ზედმეტი. ჩვენ კი არ გვესმის.

10. 06. 85

პოეზიაში თავისუფალი ლექსის მოჭარბება გამოწვეულია არა აზროვნების ხასიათის შეცვლით, არამედ ემოციური განცდის ხასიათის შეცვლით. მისი ხარვეზი ის არის, რომ ჯერ ვერ მოხერხდა თანამედროვე საგნების მშვენიერების აღმოჩენა. ამ საგნებს კი არ განიცდის [პოეტი], არამედ მასზე მსჯელობს.

11. 10.85

ნინო დარბაისელი



**სოსო გეგველიანის  
„მულმურულას სურნელი“**  
ერთი ლექსის ანალიზი

**მულმურულას სურნელი**

აქამდე როგორ ვერ შევნიშნე,  
ველური კამის ბუჩქები,  
გზატკეცილთან,  
ავტომობილთა ნაკადებს შორის,  
სადაც დგას კაფე „ფორტალეზე“  
და საუბრობენ ტურისტები დამტვრეული ინგლისურით,  
ჩემი სევდა კი უტეხია, როგორც რკინა.  
წვიმამ მომანატრა ნორჩი,  
სპოროფიტი გვიმრის სუნი  
და შხამიან სოკოზე მიმხმარი ლოკოკინა.

აყვავებული აკაციის ტევრი,  
მძიმე, სურნელოვანი სითეთრე,  
უსასრულობისკენ რომ გენევა და  
უკანასკნელ სურვილს კლავს შენში  
მხატვრის, პოეტის თავს მოხვეული სრულყოფილება.  
სად დაფრინდება ნეტავი, ახლა?  
ძლივს ამომძვრალი ჰიბიკუსის ვინრო ყელიდან,  
გამხმარ ფუნაზე?  
თუ წებოვანი თალუსის ხავსზე?  
გაუცხოვდება ღამეები მშობლიურ სოფლის,  
ამ იდუმალი ხმებითა და განცდებით სავსე.

უცხო ძალღი ყეფს, უცხო ხმაზე, ნაცნობ ეზოდან,  
ბავშვობაში რომ სხვა ძალღი ყეფდა.  
ჩემი მოწყენა სულ არ არის უმიზეზო და  
სულში მიმხმარი შხამიანი ბაყაყის ლორწო

უცხო ძალის ყვეს, უცხო ხმაზე,  
ა, ამ ეზოდან,  
შორს, ექვებად რომ ასკდება ქარაფის ორნოსს.

თვალწინ „კომპიდან“ ამობეჭდილი ფურცელი მიდევს:

მომცრო ტექსტი, ავტორის სახელი, სათაური, გვერდის შუაში ჩამომწკრივებული სხვადასხვა ზომის სტრიქონები, სამ არათანაბარ ბლოკად გაყოფილი...

ესე იგი, ლექსია, თანაც თავისუფალი, ამ ბლოკებს კი ლექსმცოდნენი, ტრადიციულად, სტროფოიდებს უწოდებენ. ეს მარტივად, „პირობით სტროფს“ ნიშნავს.

„ტრადიციულ“, კონვენციურ ლექსში სტროფი რიტმულ-ინტონაციური ერთიანობაა, რომელსაც რაიმე სახის თანაზომიერება ახასიათებს. თავისუფალ ლექსს კი ამ მხრივაც თავისუფლება აქვს მოპოვებული, თანაზომიერებას არ დაგიდევთ, თუმცა რატომ? თავის ცალკეულ ქვესახეობებში, იქნებ კიდევ მიმართოს...

დავცქერი ფურცელს: ტექსტში სტრიქონთა ბოლოები აქა-იქ არის გართიმული, მაგალითად ასე: „როგორც რკინა//ლოკოკინა, სავსე// ხავსზე, ნაცნობ ეზოდან// უმიზეზო და, ლორწო// ორნოსს“ და ა.შ.

ამ სარიტმო წყვილების განლაგება თავისუფალია, გართიმვის ამ სახეს კი ძირითადად, სპორადულ რიტმას უწოდებენ.

გვეყო თეორეტიზირება, უმჯობესია, ჩვენს ფურცელს დავუბრუნდეთ. პირველ სტრიქონზე ავტორის ვინაობაა – სოსო მეშველიანი.

გასაგებია. დაახლოებით ჩემი თაობის ან უფრო გვიანდელი ცნობილი პოეტია – სვანი, ესპანეთში ცხოვრების გამოცდილებით. წლების მანძილზე, ასე თუ ისე, თვალს ვადევნებ მის შემოქმედებას, რომელიც ბიოგრაფიით არის ნასაზრდოები, თუმცა, არის კი ქვეყნად

პოეტი, რომლის შემოქმედებაც ბიოგრაფიით არ იყოს ნასაზრდოები? რადენი ტრანსფორმაციაც არ უნდა განიცადოს ავტორისეულმა ბიოგრაფიამ, უკვალოდ გაქრობა გამორიცხულია.

აქ რამ გამახსენა ეს ნეგატიური, ასე ვთქვათ, შავფრთიანი ანალოგი? მაგრამ ვიტყვი: „შეუძლებელია, დამნაშავემ არ დატოვოს რაიმე კვალი, ეს კრიმინალისტიკის აქსიომაა“.

სოსო მეშველიანის ლექსები, თემებისა და მოტივების მხრივ, შეიძლება პირობითად, ორ, ევროპულ და სვანურ წყებად გაიყოს, თუმცა არის მესამეც, მაგრამ ამაზე – ქვემოთ.

დროა, თვალსაჩინო მოვილით და კითხვას შევუდგეთ. ახლა აქ თავისებურად ვეთამაშები ტექსტსაც და მკითხველსაც, თორემ ეს ლექსიც წამიკითხავს და მის კლიტულთა გასაღებების ძიებაც მიცდია.

● რას გვეუბნება პირველი სიგნალი, სათაური „მულმურულას სურნელი“?

ამაოდ შეეცდებით „მულმურულას“ შესახებ რაიმე სხვა ინფორმაციის მოძებნას ამ პატარა ლექსში, ამ სიტყვას ვერც სალიტერატურო ენის რაიმე ლექსიკონში მიაგნებთ.

ისევ ინტუიცია თუ გიკარნახებთ, რომ სვანური სიტყვა უნდა იყოს, და რაკი ამ სინტაგმის მეორე წევრი „სურნელი“, ანუ კეთილი, სასიამოვნო სუნია, ალბურთი ფლორის რაიმე სახეობას, მცენარეს, იქნებ სულაც ყვავილს უნდა ნიშნავდეს.

● ლექსის ნარატიული მონახაზი ამგვარია:

ადამიანი წლების შემდგომ უბრუნდება მშობლიურ ადგილს, რომელიც პირველქმნილი ბუნებით იყო ცნობილი.

მეტისმეტად, ლამის არსობრივად შეცვლილია მშობლიური ადგილი: უცხოელი ტურისტები მომრავლებულან, ავტომობილებს გაუვსია გზა-სავალი, სადაც ძლივსლა მოჩანს ველური კამა, კაფე „ფორტალეზეში“ დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობენ, ანუ, როგორც დიდი პოეტი იტყოდა: „სხვა ხალხის ისმის აქ ყრიამული“.

მეტისმეტად, ლამის არსობრივად შეცვლილია „შინ“ მობრუნებული ადამიანიც – ის უცხო თვალთ, უცხო ენაზე „კითხულობს“ გაუცხოებულ მშობლიურ გარემოს.

მის ცნობიერებასა და, შესაბამისად, ლექსიკაში უბრალო გვიმრას განმარტებად „სპოროფიტი“ ახლავს, მთის ველური მცენარე ჰიბიკუსად (ჰიბისკუსად?) მოიხსენიება, ხოლო ხავსს „ნებოვანი თალუსი“ აქვს.

ისიც კი სათუთა, კიდევ არსებობს თუ არა იქ მისი „შინ“?

გავუსწრებ მსჯელობას და წინასწარ გეტყვი: ამ კითხვაზე რაღაც პასუხს ტექსტის ბოლოში, სტრიქონქვეშ ამოღებული გასაღები გაგვცემს, მანამდე კი საცალფებო ბილიკს შევუყვებ.

„ფორტალეზე“ – ასეთი საკუთარი სახელი ან სიტყვა არ არსებობს.

რაკი წელან ესპანურ გარემოსთან სიახლოვე ვახსენე, აღვნიშნავ: დასამვეებად მიმაჩნია ვარაუდი, რომ ეს ავტორისეული ნეოლოგიზმი იყოს.

რეალურად კიდევ რომ არსებობდეს ამ სახელის კაფე სვანეთში, ჩემს ვარაუდს ეს ხელს ვერ შეუშლის, რადგან ავტორი თავისი ტექსტის ბატონპატრონია და აქვს რეალის პოეტური რე-სემანტიზაციის უფლება.

არსებობს ესპანური სიტყვა „ფორტალესერ“, რაც გამაგრებას, მყარად დგომას, წინსვლას, გაჭიმვას და ა.შ. ნიშნავს.

ასევე, არსებობს ცნობილი ქალაქი (ბრაზილიის ჩრდილოეთში) „ფორტალეზა“. შესაძლოა, მისი პორტუგალიური სახელი ეტიმოლოგიურად „ციხესიმაგრესაც“ ნიშნავდეს (გავიხსენოთ ქართული ანალოგები: ვარციხე, ველისციხე, უფლისციხე...)

სიტყვა „სურნელი“, რომელიც ლექსის სათაურშივეა დაფიქსირებული, მაფიქრებინებს ავტორის ინტენციაზე – წინასწარ განზრახვაზე, განწყობაზე, ლექსში ადამიანის ქვეცნობიერი და ცნობიერი პლასტების კონფლიქტურ მიმართებათა მომენტი მოიხელთოს.

ყნოსვადი აღქმა ადამიანის ქვეცნობიერთან ყველაზე მოკლე მანძილზეა, ლექსში ამას მოსდევს „სპოროფიტი გვიმრისა“ და აყვავებული აკაციის „მძიმე, სურნელოვანი სითეთრე“. ამგვარი, არაერთჯერადი მინიშნება ქვეცნობიერის გააქტიურებაზე, რომელსაც ერთვის განცდათა და შეგრძნებათა უცნაური, სვანურ-ლათინური წინარე-ვერბალიზაციის (ანუ გრძნობის, ფიქრისა და განცდის სიტყვად გადაქცევის) მომენტის მოხელთების ცდა, ბადებს კითხვას, ხომ არა გვაქვს საქმე ქვეცნობიერიდან ცნობიერისკენ მიმავალ ამგვარ გეზთან?

ფორტალეზე – ბრაზილია – ბრაზი.

თუ ამ კითხვაზე დადებითად პასუხს შევეცდებით, ადვილად ასახსნელი გახდება აქ მოტივი, როგორც მშობლიურყოფილი, ასევე, უცხო შეგრძნებებისა და საგნების ნეგატიური გამოსახვისა (არაესთეტიკურის გაესთეტიკურების ცნობილი მხატვრული ხერხი?): „გამხმარი ფუნა“, „შხამიან სოკოზე მიმხმარი ლოკოკინა“, „სულში მიმხმარი შხამიანი ბაყაყის ლორწო“ (ერთი დაუზუსტებელი ინფორმაცია, მოპოვებული ინტერნეტით: შხამიანი ბაყაყის დღემდე ცნობილი ოცი სახეობიდან შვიდი სწორედ ბრაზილიის ბინადარია და ამ გარემოებამ შესაძლოა, თავისებურად შეამაგროს ჩემი ვარაუდი. მინ-

და დავასწრო მკითხველს და თავადვე აღვნიშნო, რომ ამგვარი მსჯელობა მეცნიერული თვალსაზრისით, ნონსენსია, მაგრამ პოეტი-კოლეგები დამეთანხმებიან, რომ პოეტური ეტიმოლოგია ასეთ რაღაცებს იტანს და მეტიც, უყვარს მათით საზრდოობა).

კიბურ ტრიადაში: ბუნება – კულტურა – ცივილიზაცია – შუა საფეხური, რომელზეც დგას ავტორი, რედუცირებულია, მეტიც, ჩატეხილია ბუნებასთან ცივილიზაციის აგრესიული მიმართების გამო.

ამას ემატება ისიც, რომ ორი ენა, ყოფიერების ორი უძველესი სახლი, სვანური და ლათინური, ერთი – დღემდე ცოცხლად მოსული, მეორე კი მკვდარი, თუმცა სხვა ენათა საფუძველსა და ტერმინოლოგიაში შემონახული, პოეტის არსებაში ერთმანეთს კი არ ხსნის ან ერწყმის, პირიქით, ეჯახება და ამ კონფლიქტშია მისი მდგომარეობის, შესაბამისად, ლექსის დრამატიზმი.

ყოფილი „შინ“, რომელიც მოფარლალავეებულია უცხოთათვის, დაბრუნებული შემოქმედის სულს კი არ ესაღბუნება, თრგუნავს თავისი ბუნებრივი სრულყოფილებით, როგორც „აკაციის ტევრის სურნელოვანი სითეთრე“.

მშობლიური სოფლის ღამეები, იდუმალი ხმებითა და განცდებით სავსე, გაუცხოებულია, უცხოა ხმები, უცხო ძაღლები დარაჯობენ ნაცნობ ეზოებში და პოეტს უკვე აღარ მიესვლება...

და დაპირებულ გასაღებსაც მივადექით.

ლექსის ბოლო სიტყვა ორნოხი (ნაპრალი), ქართულ პოეზიაზე აღზრდილი მკითხველის მეხსიერებაში მეყსეულად აცოცხლებს გასული საუკუნის პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.

მისი წყალობით, ლექსის ბოლო წინადადება გაისმის, როგორც მწარე,

თავისებურად ირონიული თუ თვითირონიული შეხმიანება დიდ წინაპართან, რომლისგანაც გვისწავლია:

*და სიყვარულით დამდნარმა სხივად  
სამშობლოვ ჩემო, რაღა ვინატრო,  
მინდა, ეს სიმი გადმექცეს სხივად,  
სადღაც ორნოხი ამოგინათო.*  
(გ.ლეონიძე)

სოსო მეშველიანის ეპოქის მამულში კი აწ

*უცხო ძაღლი ყეფს, უცხო ხმაზე  
ა, ამ ეზოდან,  
შორს ექოებად რომ ასკდება ქარაფის  
ორნოხს.*

და ამ ფინალში ლექსის დრამატიზმი ტრაგიზმამდე ივრცობა.

და თითქოს აღარ რჩება არავითარი იმედი, თუმცა, თუ მივუბრუნდებით ლექსს, აღმოვაჩენთ იმას, რაც თავდაპირველი წაკითხვისას სახეთა და სინტაგმათა მიღმა „გამოგვრჩა“.

ეს არის უსახელოდ დატოვებული ვინმე, ვიღაც, ინსტანცია, იდუმალი არსება, დაჯილდოებული ფრენის უნარით:

*სად დაფრინდება ნეტავი, ახლა?  
ძლივს ამომძვრალი ჰიბიკუსის ვინრო  
ყელიდან,  
გამხმარ ფუნაზე?  
თუ ნებოვანი თალუსის ხავსზე?*

ეს, ალბათ, თავად პოეტი-შემოქმედის სულია ან მისი სიმბოლო მაინც.

ბუნებრივი სივინროვიდან თავდაღწეული, ყოფით რეალობასთან მისაწებებლად განწირული, მაგრამ მაინც ცოცხალი, ცოცხალი, ვიდრე იდუმალი მულმურულას სურნელს შეიგრძნობს.

მარადიული კი არაფერია ამქვეყნად.

## ნათია ფანჯიკიძე

### კუნძული



რაჭაში მუშები ერთი კაცის სახლს ძალიან დიდხანს, წლიდან წლამდე არემონტებდნენ. დღეში ერთ საათს მუშაობდნენ, უმეტეს დროს კი დამქირავებელთან ერთად სადილობდნენ. სახლის მეპატრონემ რამდენიმე წელი ანგელოზური მოთმინების, იუმორის შესანიშნავი გრძნობისა და შესაშური კაცთმოყვარეობის წყალობით გაუძლო ამ ერთობ თავისებურ შრომით დისციპლინას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, თვესა და წელს ნერვებმა მაინც უმტყუნა და მუშებს უსაყვედურა: როდესმე მაღირსებთ დასრულებასო? მუშების უფროსმა გაოცებულმა გადახედა მოუთმენელ კაცს: „სად გეჩქარება, ბოშო? კაცმა საკეთებელი სულ უნდა დაიტოვოს, თორემ გადმოიხედავს ღმერთი და იფიქრებს, რაღა უნდა ამას აქ, უკვე ყველაფერი მოუმთავრებიაო“.

ოპტიმისტურია, როცა არსად გეჩქარება, როცა დრო შენი საკუთრება გგონია და დარწმუნებით იცი, იმიტომ გაგვიანდება, რომ მოასწრო. იმ კაცს ახლაც დაუსრულებელი აქვს რემონტი, სამაგიეროდ ცხოვრების სიბრძნითაა აღჭურვილი, რაც ამაღ ღირდა.

ჰაინრიხ ბიოლის მოთხრობაში, უდარდელად, ზარმაცად წამოწოლილ კაცს აქტიური წყვილი დაუზარებლად აძლევს რჩევებს, როგორ უნდა ააღორ-

ძინოს „ამ სამოთხეში“ ბიზნესი, გახდეს ძალიან მდიდარი, შემდეგ მთელი ცხოვრება უდარდელად რომ წამოწვეს. კაცი ვერ ხვდება, ამგვარი საბოლოო მიზნისთვის ამდენი ბზრიალი რა საჭიროა, როცა ის უკვე მშვენივრადაა წამოწოლილი.

არ გეგონოთ, ამ შესავლით სიზარმაცისა და უმოქმედობისკენ მინდა გიბიძგოთ. მხოლოდ და მხოლოდ შფოთვა მინდა შეგიმციროთ, რომ არაფერი გიგვიანდებათ, შეგიძლიათ მშვიდად წამოწვეთ, წარმოსახვა ჩართოთ და განწყობით ხანგრძლივი, საინტერესო სიცოცხლისთვის.

აღამიანებს, რომელთაც ხვალინდელი დღის შიში აქვთ, უჭირთ დაგეგმონ გრძელვადიანი მომავალი. არათუ გრძელვადიანი, ბევრს, პირდაპირი გაგებით, ხვალინდელი დღეც უფერულად აქვს წარმოსახული ან სულაც ვერ „ხედავს“ მას და ავტომატურად მიჰყვება ყოველი ხვალის მდინარებას.

მომავლის ბუნდოვანება, სიცარიელე, შინაარსისა და რაიმე მოლოდინის გარეშე დღეების გათენება დროთა განმავლობაში იწვევს აპათიას, ცხოვრების უაზრობის განცდას, რაც სრულებით განსხვავდება ადამიანური ფილოსოფიური სევდისგან. ამაოების სევდა თავისთავად უდიდესი ენერჯითაა სავსე,

დარდით, ფიქრით, ღრმად განცდილი ვნებებითა და ტკივილებით შეკუმშული. სიცარიელე კი ნიშნავს სიცარიელეს, უბრალოდ მონყენილობას.

ჩვენი თავის აღქმისას ვამბობთ, ასეთი იყო წარსული და ასეთი ვიყავი გუშინ, ასეთი მოცემულობაა ახლა და ასეთი ვარ დღეს, მაგრამ ცოტა ადამიანი ხედავს თავს ცხადად მომავალში. არადა, სრულად რომ აღვიქვამდეთ საკუთარ პორტრეტს, ჩვენი ცხოვრების შინაარსის მთლიანობას, აუცილებელია, ვათვალიერებდეთ ჩვენს თავს ჯერ არდამდგარ დროშიც, რადგან რეალურად, ჩვენ იქ უკვე ვარსებობთ, როგორც იმ წიგნის პერსონაჟი, ვის შესახებაც ამბის თხრობას ვაპირებთ.

ხვალინდელი დღე, ვინ იცის, დადგება თუ არა. მაშინ სიკვდილის წინ წამოწოლას რა აზრი აქვს? ისე გაატარეთ დღევანდელი დღე, როგორც ნამდვილად უკანასკნელ დღეს გაატარებდით. მიდით, გაბედეთ თქვენი ტკბილი სურვილების ასრულება, „დაემშვიდობეთ საყვარელ ადამიანებს“, ოღონდ გული არ გაუხეთქოთ, არ გაუმხილოთ „უკანასკნელად რომ ხედავთ“, გაახარეთ, გააცინეთ, დატოვეთ მათში მოგონება... ვერ წარმოიდგენთ, რა გადასარევი იქნება ამის შემდეგი ხვალ, რომელიც აუცილებლად გაგიტენდებათ ამავე ადამიანებთან ერთად.

ადამიანები, რომლებიც რეალობის გამაყურებელ თავშესაფრად წარსულის მოგონებებს ირჩევენ, ხშირად მომავლის საუკეთესო ვარიანტადაც არა რაიმე ახალს, არამედ წარსულის დაბრუნებას მიიჩნევენ, რაც, ცხადია, თავადვე განუხორციელებლად ესახებათ და ფიქრის ამგვარი გადატანით ჩიხში შეჰყავთ ცხოვრების ულამაზესი მდინარის კალაპოტი. „იდეალურ წარსულთან“ შედარებით მომავალს ვინ დაეძებს, ანმყოც კი ძნელად ასატანი ეჩვენებათ.

ადამიანებს უკვე განცდილის განმეორებით წარმოდგენა და გახსენე-

ბა ურჩევნიათ ფიქრებში ახალი გარემოებების შეთხზვას. სიახლე აშინებთ, მითუმეტეს, თუ არ სჯერათ, რომ ამ სიახლის შემოქმედი ძალიან დიდწილად თავად შეუძლიათ გახდნენ.

წარმოიდგინეთ ათი, ოცი წლის შემდეგ სად და როგორი იქნებით. დაგეგმეთ, რაც შეიძლება გრძელვადიანი მომავალი. გზაც იქით წავა, საითაც მიმართავთ მზერას. გააჩენთ თუ არა თქვენი მომავლის წარმოსახვას, სულ სხვანაირად მსუბუქი და ასატანი გახდება დღევანდელი დღე, როგორც სამუშაო კვირის ბოლოს სიმოვნებისთვის დაგეგმილი უქმე დღე გიიოლებთ რუტინას.

ცხოვრებისგან დაღლილობისას არ შებრუნდეთ წარსულისკენ, მომავალში გაიქეცით სულის მოსათქმელად.

თხუთმეტ წელიწადში სამოცი წლის ვიქნები. ძალიან მომწონს, მეჩქარება და მიხარია ჩემი სიბერე. რაჭაში უნდა გადავსახლდე და ბედნიერი თხის ყველი ვანარმოო. თხების სახლს საკუთარი ხელით მოვხატავ და გავაფორმებ. ჰენზელისა და გრეტელის ზღაპარში კუდიან დედაბერს პეჩენიებისა და შოკოლადის ფილების სახლი რომ აქვს, იმას ემსგავსება. აი, რომ წარმოიდგინოთ, დაახლოებით, ჰუნდერტვასერის არქიტექტურის მსგავსი. ჩემი თხები სალამოობით მუსიკას მოუხმენენ, მგელი ვერას დააკლებს და მათ დაკვლას ვერავინ გაბედავს, მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილით დაიხოცებიან. არც შემდეგ გაქრებიან უსახელოდ, პატივით დაიკრძალებიან ძმათა და დათა სასაფლაოზე, ჩემსავე მეგობარ დედლებთან ერთად.

დედლებს ჩემი საყვარელი ახლობელი ქალების სახელები ერქმევათ და საუზმისთვის ყოველი კვერცხის დადებას ამაცი კაკანით რომ მამცნობენ, მე საყვირს ჩავბერავ, მთელმა სოფელმა რომ გაიგოს, ვის ჰყავს ოქროს კვერცხის პრიზის მფლობელი დედლები ამ არემარეში.

ვხედავ ისევე ცხადად, როგორც ახლა ჩემს მწვანე ხეებს ოთახში, ორმეტრიან თოვლს, წინდებზე ბოტებს, სათბურისკენ, აივნის წინ რომ ავიშენე, ფეხქვეშ თოვლის ჭრაჭუნით მივდივარ და ზაფხულის მზესავით ყვითელ ლიმონს ვწყვეტ. სურნელს აფრქვევენ ფორთოხლები, მანდარინები. ოქროს დღესასწაულია.

აქ, ჩემს კუნძულზე, ჩემთანაც და გვერდიგვერდ პატარა სახლებშიც ის მეგობრები ცხოვრობენ, რომელთაც ჩემსავით უყვართ სიცილი. სალამობით ჩემთან ვიკრიბებით, თბილ პურს, სალათის ფოთლებს, ციცქნა პამიდვრებსა და თხის ყველს ვაყოლებთ, ჯადოსნურ ღვინოს ვსვამთ და ვყვებით ამბებს.

სახლში ფერად-ფერადი წიგნების ბიბლიოთეკა გვაქვს, ზოგჯერ ჭერამდეც გვიწევს კიბით მიწვდენა. ჩათბილულები სხვადასხვა წიგნს ვკითხულობთ და შემდეგ ერთმანეთს ვუყვებით, ვკამათობთ. მე ზღაპრებს ვწერ, მერე ვუკითხავ. ზოგიერთი ზღაპრის გმირი იქვეა – თავის თავს ცნობს. ხურციძე მეჩხუბება, მაგ ზღაპარში მსუქანი

რატომ ვარო. რა ვქნა? ჩემს პერსონაჟს ასე უფრო უხდება.

აქ ყველაფერი ზღაპრულია, თოვლიცა და წვიმაც, ჭექა-ქუხილიც, ადრე გაზაფხულზე ციდან ჩამოცვენილი ვარსკვლავებივით მინდორზე დაფანტული ყვითელი ყვავილებიც, მერე ცისფრები, მერე თეთრი გვირილები. არ გვჭირდება საათი, არსად გვეჩქარება და არსად გვაგვიანდება. ჩვენ თითქოს უკვე და სხვაგან დავიბადეთ, ჩვენს საკუთარ კუნძულზე.

და რომ არც დადგეს ეს დღეები, ჩვენ ისე ხშირად განვიხილავთ ყველა დეტალსა და სიხარულს, რას გავაკეთებთ, რას დავრგავთ, ვინ მოქსოვს, ვინ დახატავს, ფუტკრებს ვინ მიხედავს... ჩვენ ამ მომავალშიც უკვე სრული განცდით, სრულიად რეალურად ვცხოვრობთ.

შექმენით თქვენი კუნძულები, სადაც ყველაფერი ისეთია, როგორც თქვენ მოანწყვეთ და ღმერთი რომ გადმოიხედავს, აფუსფუსდით, თითქოს კიდევ ძალიან ბევრი რამ დაგრჩათ საკეთებელი.







გია ჯორხაძე

### ფიქრები იოსიფ ბროდსკიზე

ნებისმიერი შემოქმედება მეტია ბიოგრაფიაზე. შემოქმედება ღმერთთან შეხვედრას გულისხმობს, ბიოგრაფია – მხოლოდ საგნებსა და ადამიანებთან, თუკი, ცხადია, შემოქმედი ზღვარს არ გადავიდა და თვითონვე არ მოინდომა საკუთარი ბიოგრაფიის ზღაპრულ სამოსელში გახვევა, რისი უფლებაც მას აქვს: რაც უფრო დიდია შემოქმედი, მით უფრო მითურია მისი ბიოგრაფია: ხშირად ნამდვილ ფაქტებსა და მოვლენებზე მეტ ხანს სწორედ მითი ცოცხლობს, სანამ მას უფრო ცხოველმყოფელი მითი არ ჩაანაცვლებს.

ავტობიოგრაფიაში მთელი სიყვარულიდან მხოლოდ კანონიერი ქორწინება უნდა დატოვო, ბავშვებისგან კი მხოლოდ ისინი, დაბადება რომ მოახერხესო, – წერდა ვისლავა შიმბორსკა. არადა, შემოქმედება სწორედ უკანონო ქორწინება და დაუბადებელი ბავშვებია, რომელთა ქალაღზე რეალიზება უფრო მეტ ვიტალიზმს იძენს!

შორსმჭვრეტელი ანა ახმატოვა ამიტომ თუ შენიშნავდა იოსიფ ბროდსკის დაპატიმრებისას: „წითურს“ (ბროდსკის) ბიოგრაფიას უქმნიანო. ტანჯვის ჩახშობისა და სულიერი სტოიკურობის განსახიერება – პოეტი ქალი თითქოს ჭვრეტდა, როგორ ჩაეჭიდებოდნენ ბროდსკის ბიოგრაფიის „ელვარე“ ელემენტებს

მტერ-მოყვარენი და როგორ ეცდებოდნენ ამით მწერლის შემოქმედებითი არსის ჩანაცვლებას, თუ, რასაკვირველია, ბროდსკი ყველას არ დაასწრებდა და ბიოგრაფიას (როგორც ასეთს) სათანადო ადგილს არ მიუჩენდა!

ამიტომ ებუზღუნებოდა მისი შემოქმედების მკვლევართაც და მოხალისე ბიოგრაფოსებსაც:

„წინააღმდეგი არა ვარ ჩემს მხატვრულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული ფილოლოგიური შტუდიებისა – ჩემი შემოქმედება, როგორც იტყვიან, პუბლიკის მონაპოვარია, მაგრამ ჩემი ცხოვრება, ჩემი ფიზიკური მდგომარეობა, ღვთის წყალობით, მხოლოდ მე მეკუთვნოდა და მევე მეკუთვნის... ამ ნამოწყებაში ყველაზე ბრიყვული ის მგონია, რომ ამგვარი ნაღვანი იმავე მიზანს ემსახურება, რომელსაც – მასში ასახული მოვლენები: მათ ლიტერატურისა და პოლიტიკური რეალობის გატოლება სურთ. ნებსით თუ უნებლიეთ (მეიმედება, რომ უნებლიეთ) თქვენ ამარტივებთ ჩემზე მკითხველის წარმოდგენას. თქვენ, მაპატიეთ ეს მკვეთრი ტონი, მკითხველს (კაცმა რომ თქვას, ავტორსაც) ძარცვავთ. აჰა, – იტყვის რომელიღაც ბორდოელი ფრანგი. – ყველაფერი გასაგებია – დისიდენტი. ამიტომაც მისცეს ნობელი ამ შვედმა

ანტისაბჭოელებმა და ჩემს „ლექსებს“ აღარ იყიდის... ჩემი თავი კი არა, ის მებრალება“.

ბროდსკი მიხვდა და, ცოტა არ იყოს, უმადურობაც კი გამოავლინა, როცა მისი სასამართლოს სტენოგრაფის ჩამწერისა და საზღვარგარეთ გამავრცელებლის, ჟურნალისტ ფრიდა ვიგდოროვას ღვანლზე საბჭოეთიდან განდევნის შემდეგ სიტყვაც კი ვერ დააცდევინეს!

ზოგადად, მან ერთხელ და სამუდამოდ დაუსვა წერტილი საკუთარი ბიოგრაფიის დრამატიზებას.

ბროდსკი თითქოს ეუბნებოდა სამყაროს, რომ ბიოგრაფია მხოლოდ შლეიფი იყო მისი პოეტური პოტენციალისა, შლეიფი კი ყოველთვის დამატებაა და არა საკუთრივ საგანი.

●

რა გამოარჩევდა და გამოარჩევს ბროდსკის ლექსებს სხვათაგან?

ამ კითხვის პასუხი იმგვარადვე ენიგმატურია, რამდენადაც ბანალური. ეს რალაციით ნააგავს მოცლილი აბეზრის კითხვას, რომელიც ხანდახან უმაღლესი სასწავლებლის საგამოცდო მერხთანაც დაუსვამთ გამოცდილ პროფესორებს: რაზეა ესა თუ ის ლექსი?

ლექსი, კონკრეტულად, ხოლო პოეტური მეტყველება, ზოგადად, ცნობიერებას ასწრაფებს, ენას გარდაქმნის და კლიშეებისგან ათავისუფლებს, ანუ აჯანსაღებს;

ლექსი მეხსიერების უძლიერესი ინსტრუმენტიცაა: ლექსში, შესაძლოა, ის წამიც კი გადარჩეს, გაუკვდავდეს ან გამარადდეს, რომელიც ქვეყნად აღარავის ახსოვს, არც სუბიექტს, არც ობიექტს, არც დროს, არც სივრცეს... ლექსი კი იმახსოვრებს მას. მეტიც, ის მის იმწამიერ მნიშვნელობას იმახსოვრებს, არადა, სხვა დროს, სხვა ზღვაში ამ გაელვების განსხვავებული მნიშვნელობა ამოყვინთავს!

ლექსი უნივერსალური შესაძლებლობაა ბინარულ ემოციათა გამოსავლენად:

აქ ჩანს არა მხოლოდ სულიერი სუბიექტის აზრი უსულო ობიექტზე, არამედ პირიქითაც; პერსონაჟის სულიერებასა თუ უსულობას პოეზიაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ელფრიდე ელინეკს, ავსტრიელ ნობელიანტ ქალს, ლექსები რომ ეწერა, მისი სამწერლო დიდება ეგებ ავსტრიასაც ვერ გასცდენოდა: მე აღვწერე ქალური სექსუალური დისკურსი, რადგან ჩემამდე მხოლოდ მამაკაცურს იცნობდა მსოფლიო ლიტერატურაო. ლექსი თანაბრად ითავსებს არა მხოლოდ სექსუალურ, არამედ ყველა სხვა ანტაგონისტურ დისკურსს. მას დიდი ხანია „აღწერენ“ ქალი თუ მამაკაცი პოეტები – საქმე ნიჭი და ოსტატობაა, ქალური და მამაკაცი პოეზია არ არსებობს, მთავარია, პოეზია არსებობდეს!

ლექსი ენის პასიურ მარაგს ააქტიურებს და სიტყვათა ეს სოლოები, დუეტები, ტრიოები, კვინტეტები თუ ანსამბლები ენის მუსიკალურ ტექსტურას ამრავალფეროვნებს. ლექსით იტყვი იმას, რაც სხვაგვარად მხოლოდ ტრივიალობა ან დეკლარაცია იქნებოდა; ლექსი იტყვის იმას, რასაც ხელოვნების სხვა ვერც ერთი დარგი ვერ მოიხელთებს.

ლექსი მოულოდნელობის ეფექტს დაფუძნებული მიკროსამყაროა: იწყებ მას, მაგრამ არ იცი, რით და როგორ დაასრულებ. როგორც ჩანს, ლექსი არც დაწყებისას გეკუთვნოდა შენ, მით უფრო, სრულიად სუვერენულია დასასრულის ჟამს.

ხანდახან მგონია, რომ ლექსი, საერთოდ, პროსოდია, ხელოვნების სხვა დარგებსაც გარდაქმნის: რომელიღაც მეტრული საქცევი, რომელიღაც რითმა თუ რიტმი, რომელიღაც ტროპი თუ მეტაფორა აიძულებს, ვთქვათ, მუსიკას, ახლებურ ინტონაციაზე, ფორმასა თუ აქცენტზე იფიქროს, ანუ ერთი ატომით მაინც გარდაიქმნას და შეიცვალოს!

ეს არის პოეზიის მადლი.

ესაა პოეტთა სატანჯველიც.

●

პირველი, რაც ბროდსკის სხვათაგან გამოარჩევს, მისი პოეტური განსწავლულობაა. მან გაბედა და პუშკინის ეპოქის მიღმა გაიხედა – მე-18 ს. რუს პოეტთაგან (კანტემირი, ლომონოსოვი, ტრედიაკოვსკი, დერჟავინი...) ბროდსკი იმას სწავლობს, რაც სხვებს სამუდამოდ ისტორიის კუთვნილებად მიაჩნდათ – კლასიკური ლექსწყობის კანონებს; ამას ერთვის მე-19 ს. იმ პოეტთა (ბატიუშკოვი, იაზიკოვი, ვიაზემსკი, ბარატინსკი...) შემოქმედების ათვისებაც, რომელთაც პოეტური ფორმის ბრწყინვალე „გაკვეთილი ჩაუტარეს“ ჭაბუკ პოეტს.

1988 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა პატარა ანთოლოგია *An Age Ago* (ასწლეულის წინათ) – მე-19 ს. რუს პოეტთა ლექსები, რომლებიც ალან მაიერსმა (Alan Myers) (1933–2010) თარგმნა. ბროდსკის ეკუთვნის წინასიტყვაობა და მცირე შენიშვნები ანთოლოგიაში შესული 11 პოეტის შესახებ, რომლებიც კარგ ინდიკატორებად გამოდგება ბროდსკის დადებითი დამოკიდებულებისა თუ იდიოსინკრაზიის გამოსავლენად.

ბატიუშკოვის საქებრად სიტყვებს არ იშურებს: „დიდი ელეგიების ოსტატი, რომლებშიც, განვითარების შესაბამისად, იჭრება სხვადასხვა კულტურული, ისტორიული და ფსიქოლოგიური რეალია. მათ ასრულებს საზეიმო, ხშირად ლიტურგიკულად ინტონირებული კოდი“;

ვიაზემსკიზე გული ეთანაღრება: „ბრწყინვალე, თუმცა ბოლომდე დაუფასებელი პოეტი... კრიტიკული რეალიზმის მიმდევარი...“;

პუშკინის შეფასებისას აღიარებს: „არაფერს უმოქმედია რუსულ ლიტერატურასა და ენაზე ისე, როგორც ამ ოცდაჩვიდმეტწლიან სიცოცხლეს“;

მაგრამ არც თავის აკვიატებულ შეხედულებას ჩქმალავს: ბარატინსკი „ხშირად სჯობნის დიდ თანამედროვეს ფილოსოფიური ლექსის ჟანრში“;

ამგვარადვე, იაზიკოვს მიიჩნევს ავტორად „ყველაზე მჟღერი, იმ პერიოდის

დის ყველაზე ენერგიული ლექსებისა, რომლებიც პუშკინისას უთანაბრდება, ხანდახან კი სჯობნის მათ“;

სხარტია ლერმონტოვის შეფასებისას: „კოლოსალური ლირიკული ინტენსივობის პოეტი“;

დანარჩენებს, ცოტა არ იყოს, ცივად მოიხსენიებს:

ჟუკოვსკის დამსახურება მხოლოდ ისაა, რომ რუსულ პოეზიაში ბალადის ჟანრი შემოიტანაო;

ფეტი „გულშიჩამწვდომად ლირიკულია“ და წერდა ლირიკულ მინიატურებს რამდენადმე „იაპონური სტილით“;

ნეკრასოვი ყურადღებიანია, უმნიშვნელოა, როგორც ლირიკული პოეტი, თუმცა მას ძალუძდა, ლირიზმი შეეძინა სამოქალაქო ლექსებისთვისო;

ტიუტჩევი ბარატინსკის ჩამორჩეობდა ფილოსოფიური ლირიკის კონკრეტულობაში, მან დაწერა ბევრი სერვილისტური ლექსი, მისი ბოლოდროინდელი სატრფიალო ლირიკა თავს გამახსოვრებს, რადგან ახერხებს, „ერთმანეთს შეურწყას ფილოსოფიური გამჭრიახობა, ბუნებრივი სულისკვეთება და შემთხვევითობა“. შენიშვნა მთავრდება ირონიული რემინისცენციით, რომ ტიუტჩევის თაყვანისმცემელთა შორის ლენინიც იყო!

ბროდსკის პოეტური არსენალი შეივსო ინგლისელ „პოეტ მეტაფიზიკოსთა“ შემოქმედებით. სემიუელ ჯონსონის (1709–1784) – ინგლისელი კრიტიკოსისა და ლექსიკოგრაფის ეს მოხდენილი სიტყვათშეთანხმება მიემართებოდა ბაროკოს სტილის (ერთი განმარტებით – „უცნაური“, „ახირებული“) შემოქმედებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ სამყარო და მისი ერთიანობა განადგურდა, ადამიანს მისი აღდგენა აღარ ძალუძს, მაგრამ კვლავ გაჩნდება მაძიებელი გონება: ის მიაკვლევს უცილო კავშირს. „მეტაფიზიკოსები“ ამა თუ იმ იდეის საილუსტრაციოდ პარადოქსულად უთანადებდნენ ერთმანეთს სრულიად განსხვავებულ საგნებს,

მაგ: სატრფოს სხეული მსოფლიო რუკას  
ემსგავსებოდა; ერთმანეთს დაცილებული  
გულისსწორნი – ფარგალს და სხვ. მათ-  
გან ბროდსკიმ შეისწავლა და თარგმნა  
ჯონ დონის პოეტური ნიმუშები.

ელიოტის, ოდენის, ფროსტის ზემოქ-  
მედებას საკუთარ პიროვნებასა და პოე-  
ზიაზე ბროდსკი თვითონაც აღიარებდა.  
ერთისგან პოეტურ იმპრესიონალიზმს“  
დაეუფლა – ანტირომანტიზმს, სიტყვის  
სიზუსტეს, არა გრძობების, არამედ –  
მათი მნიშვნელობის შეცნო-  
ბას და სხვ; მეორისგან –  
პოეტურ გულწრფელობასა  
და სოციალური პოზიციის  
სიმყარეს; მესამისგან – ჰუ-  
მანიზმის პოეტურ მანიფეს-  
ტირებასა და ხარისხობრი-  
ვად ახალი მსოფლშეგრძნე-  
ბის ჩამოყალიბებას...

არაფერს ვიტყვით მან-  
დელშტამის, ახმატოვასა და  
ცვეტაევის თაყვანისცემაზე,  
რომელიც გრადაციული,  
მაგრამ შეუვალია.

ბროდსკის პოეზიის ერთ-  
ერთი უცდომელი მარკერი  
ე.ნ. ენჯამბმენთია, რომე-  
ლიც ფრანგულიდან იღებს  
სათავეს, „გადატანას“ ნიშნავს და გა-  
მოითქმის, როგორც „აჟამა“, მახვილით  
– ბოლო „ა“-ზე. ეს ერთგვარი უსრუ-  
ლი სინტაქსია პნკარის ბოლოს, როცა  
მნიშვნელობა შუაზე იყოფა და ერთიდან  
მეორე ხაზზე ინაცვლებს, ხშირად – პუნ-  
ქტუაციის გარეშე.

ასეთი პოეტური ხერხი ბროდსკის  
შეეძლო დაეჭაშნიკებინა რუსებთანაც:

Великолепный день! На мягкой  
мураве


Лежу,– ни облачка в небесной  
синеве! (იაზიკოვი);

Вы играли уж при мер-  
– цаньи утра бледной лампе  
Танцы нежные Химер (ანენსკი).  
Первое письмо тебе с вчерашней,

На которой без тебя изноюсь –  
Родины, теперь уже – с одной из  
Звезд... (ცვეტაევა).  
ინგლისელებთანაც:

April is the cruellest month, breeding  
Lilacs out of the dead land, mixing  
Memory and desire, stirring  
Dull roots with spring rain (eliot).

Its loveliness increases; it will never



Pass into nothingness; but still will keep  
A bower quiet for us... (qiTsi).

ბროდსკიმ საკუთარი „აჟამა“ შექმნა  
და იმდენად შეეთვისა, ხანდახან „ბო-  
როტადაც“ კი იყენებდა მას. ალბათ,  
ამის ახსნაც შეიძლება:

აბსურდის დარად, იმ ეპოქაში (და  
თანაც სსრკ-ში), რომელშიც ბროდსკი  
ცხოვრობდა, ფარისევლობა იქნებოდა  
პოეტური მეტყველების უზადობა, აზო-  
მილ-დანონილობა, ჰარმონიულობა და  
ფილიგრანულობა: ამ ეპოქის სუბსტანცია  
უნდა გამოეხატა დატეხილ-დანანევრე-  
ბულ სიტყვათა კომბინაციას, რომელიც  
ასეთსავე სამყაროს წააგავდა და ასა-  
ხავდა.

იქნებ ეს იყო ახალი პოეზია? მისი ერთბაშად შეყვარება და დამახსოვრება შეუძლებელია და, ეს უმალ მისი ღირსებაა, ვიდრე ნაკლი: ადამიანის გონება მისი ნაკითხვისას უნდა შეყვონდეს (ნამით მაინც!) და კრიტიკულ რეფლექსიას მოჰყვებს!

ბროდსკის ლექსები არადისიდენტური, მაგრამ ანტიტირანულია;

ლექსებს არ ეტყობა, რომ მათი ავტორი სსრკ-ს მოქალაქე იყო: პოეზიაში (და ცხოვრებაშიც, თუმცა დიდი ფიზიკური და სულიერი დისკომფორტის ფასად) მან ის შეძლო, რაზეც ასე ოცნებობდა ელიოტი: ეცხოვრა ცოცხლებში ისე, თითქოს მკვდრები ყოფილიყვნენ ან პირიქით. ბროდსკიმ ისეთ სუვერენიტეტს მიაღწია, მისი დათმობა ცხოვრების დათმობად მიიჩნია და... გადარჩა.



ბროდსკი თარგმნას არ უარყოფდა და მანდელშტამივით როდი გაიძახოდა, თარგმნა მძულს, რადგან პოეტურ ენერგიას მართმევსო. ჭაბუკი ბროდსკი ბევრს თარგმნიდა, და დიდი გატაცებითაც. მას აქაც საკუთარი მეთოდი მოემარჯვებინა: რუსულ პოეზიაში ეძებდა ადეკვატურ სტილურ ორიენტირებს, საჭირო ენობრივ რეგისტრებს. შემდეგ კი იწყებოდა გარდასახვა, თეატრი... ის, როგორც მთარგმნელი, უმალ *commedia dell'arte*-ს მსახიობად გარდაიქმნებოდა, რათა სრული ტექსტის უქონლადაც იმპროვიზაციით გაერთო და დაეპყრო პუბლიკა.

ცხადია, ის უფრო კატეგორიული გახლდათ, ზოგადად, მთარგმნელობისა და მთარგმნელის იდეალზე საუბრისას:

ცივილიზაციას, როგორც სხვადასხვა კულტურათა ჯამურ შედეგს, რომელსაც აცოცხლებს საერთო სულიერი მრიცხველი, მეტაფიზიკურადაც და სიტყვასიტყვითაც ერთი ძირითადი გზამკვლევი ჰყავს – ეს თარგმანია.

სირთულე, რომელიც თან სდევს

მსგავსების შექმნას, ორიგინალის შემქმნელის პატივისცემაა. ორიგინალისათვის ნიშანდობლივი კონსტრუქციის უგულვებელყოფა არა მხოლოდ არქიტექტურის ქვების გროვასთან გათანაბრება, არამედ იმის გაცამტვერებაცაა, რის გამოც ცხოვრობდა და მოკვდა შემოქმედი.

თარგმნა ეკვივალენტის ძიებაა და არა სუროგატისა. ის სტილისტურ, რომ არა ვთქვათ, ფსიქოლოგიურ კონგენიალობას მოითხოვს. მაგალითად, მანდელშტამის მთარგმნელმა, შესაძლოა, მოგვიანო ხანის იეიტისათვის ნიშანდობლივი პოეტური სტილი გამოიყენოს. უბედურება, ცხადია, ისაა, რომ თუ ვინმე ამ სტილისტიკის ათვისებას შეძლებს – თუკი ასეთი ადამიანი არსებობს – ის საკუთარი ლექსების წერას ამჯობინებს და თავს აღარ იმტვრევს სხვისი ლექსების თარგმნაზე (რაც, ამასთან, უმადური საქმეცაა).

მაგრამ იმავე მანდელშტამის მთარგმნელი, ტექნიკურ ოსტატობასა და თვით ფსიქოლოგიურ კონგენიალობასთან ერთად, ცივილიზაციასაც მის დარად უნდა აღიქვამდეს.

წყლის ნაყვა იქნებოდა მთარგმნელისაგან იმიტაციის მოლოდინი, რადგან ხმა, რომლის მეშვეობითაც მუშაობ, ყველასგან უნდა გამოირჩეოდეს, თუმცა გადმოცემა იმ ტონის, ტემბრისა და ტემპისა, რომელსაც ლექსის მეტრი ასახავს, შესაძლებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ ლექსის საზომი თავისთავად სულიერი სიდიდეა და მას ეკვივალენტი არ გააჩნია. მისი შეცვლა მსგავსითაც კი შეუძლებელია, მით უფრო – თავისუფალი ლექსით. ზომის შეუსაბამობა სუნთქვის შეუსაბამობა და გულის კუნთის მოდუნებაა. სარიტმო სისტემის შეუსაბამობა ტვინის ფუნქციის შეუსაბამობას ჰგავს. ყოველივე ამასთან უცერემონიო დამოკიდებულება, უკეთეს შემთხვევაში, მკრეხელობა, უარესში კი დასახიჩრება ან მკვლელი-

ბაა. ასეა თუ ისე, ეს აზრის დანაშაულია, რომლის ჩადენისათვის დამნაშავე (მით უფრო თუ ის არ დაუჭერიათ) გონებრივი დეგრადაციით ზღავს, მკითხველი კი ნაყალბევის ამარა რჩება.

ნუ გავუნყრებით ბროდსკის იმისთვის, რომ არ ინდობს სხვა მთარგმნელებს და ივინყებს, რომ თვითონაც თარგმნიდა.

ჯერ ერთი, სადაც ადამიანია, იქ ობიექტურობას არაფერი ესაქმება;

მეორეც: მაშინ, როცა ზემოთ უკუფენილ შეხედულებებს გვიზიარებდა, ბროდსკის უკვე ყველა დაფნა მოეხვეჭა და ყველა კვარცხლბეკი დაეპყრო, როგორც პოეტსა და ესეიტს... ის თავს მთარგმნელად აღარ გრძნობდა;

და ბოლოს, საინტერესო არა პოეტის ეთიკა, არამედ ესთეტიკაა.



მას შემდეგ, რაც თარგმნა მეორე პროფესიად გავიხადე (თანაც, ხისტად, პოეზიისა), ვირწმუნე – ზუსტად თარგმნა შეუძლებელია.

როცა ყოველივე ეს იცი და მაინც თარგმნი ან შლეგი უნდა იყო, ან უშიში, ვითარცა უხორცო, თუმცა ერთი მეორეს არ გამოირიცხავს.

რილკეს აქვს ლექსი „მჭვრეტელი“, რომელსაც ბორის პასტერნაკის თარგმანით გავეცანი (Созерцание) და თავიც ამგვარად დამამახსოვრა. ლექსი ასე მთავრდებოდა:

Кого тот ангел победил, тот правым,  
не гордясь собою,

выходит из такого боя в сознаныи и  
в расцвете сил.

Не станет он искать побед.

Он ждет, чтоб высшее начало его  
все чаще побеждало,

чтобы расти ему в ответ.

შემდეგ ვახუმტი კოტეტიშვილის თარგმანიც ნავიკითხე:

*ეს ანგელოსი ვისაც დასძლევს*

*ძალისძალობით,  
თუმც მას არ უყვარს შებრძოლება  
და ერიდება,  
იგი აღდგება, ვით უბინო და მას  
დიდება  
მიენიჭება იმ მძლეთამძლე ხელის  
წყალობით,  
რომელიც ჰქონდა ყალიბივით  
შემოჭდეული.  
გამარჯვებები იმას უკვე არ  
ენატრება,  
და მას ეს გაზრდის: შინაგანად  
იყო ძლეული  
იმ ძალის მიერ, მას რომ მარად  
აღემატება.*

შემდეგ ორიგინალს ჩაუფუჯეი:

Wen dieser Engel überwand,  
welcher so oft auf Kampf verzichtet,  
der geht gerecht und aufgerichtet  
und groß aus jener harten Hand,  
die sich, wie formend, an ihn schmiegte.  
Die Siege laden ihn nicht ein.  
Sein Wachstum ist: der Tiefbesiegte  
von immer Größerem zu sein.

აღმოჩნდა, რომ, ძირითადად, არც ერთი მთარგმნელი არ ტყუოდა, მაგრამ სიტყვასიტყვით ამ ტექსტის თარგმნა ასე და მხოლოდ ასეა შესაძლებელი:

*ის, ვისაც ეს ანგელოსი სჯობნიდა,  
ის, ვინც ასე ხშირად ბრძოლას  
უარობს,  
მოდის მართალი, შემართული,  
და დიადი, იმ მკაცრი ხელის  
წყალობით,  
რომელიც მას ეკვროდა, თითქოს,  
ფორმას ანიჭებდო.  
გამარჯვებანი მას არ უხმობენ.  
ყოფიერების (არსის) ზრდა იყო ეს:  
დამარცხდე (დაეცე)  
ყოველთვის (შენზე) უფრო დიდის  
მიერ.*

ჰა, შევიტყვე ის, რასაც გამოხატავს რილკეს ლექსში გამოყენებული სიტყვები, მაგრამ რომ დამამახსოვრებოდა, მხოლოდ პასტერნაკის თარგმანი უნდა წამეკითხა:

Он ждет, чтоб высшее начало  
его все чаще побеждало,  
чтобы расти ему в ответ.

ამ თარგმანის არსი კი ის არის, რომ უზენაეს ძალასთან დამარცხების გამოცდილება სულიერი ზრდის საწინდარია.

ხანდახან მგონია, რომ მთარგმნელი წააგავს ამ სამი ენის მიერ მოუხელთებელ „ვილაცას“ (wen, tot, ის), რომელმაც იცის, უთუოდ დამარცხდება, მაგრამ გადარჩენასაც სწორედ ეს მარცხი თუ შეაძლებინებს.

იოსიფ ბროდსკი: პოეტური იდეოლოგიის ფორმირება და ერთი ალუზიის ისტორია დავიწყოთ ქრესტომათიული შენიშვნით:

ბროდსკი პოეტი-ერუდიტია და ეს განსაკუთრებით მის ესეისტიკაში იგრძნობა. ის აქტიურად ითვისებდა და ითავისებდა რუსული და უცხოური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს; მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა მუდმივი სულიერი ზრდის უცილობლობის პრინციპი და ინდივიდუალური, სხვათაგან გამორჩეული პოეტური შედეგის ძერწვის რეცეპტი: კონდენსირებულობა, სიძლიერე, სიახლე, ინტერტექსტუალობა, ეზოპური იგავმეტყველება, აფორისტულობა, ოსტატობა, ჰარმონია და, როგორც თვითონ უყვარდა, ფრაზის დასრულება, etc, etc, etc...

ცოდნამ და ბრწყინვალე მესხიერებამ, პოლემიზებისა და დაკანონების ნყურვილმა ხელი შეუწყო მტკიცე, ხანდახან პარადოქსული პოზიციის გამომუშავებას ამა თუ იმ პრობლემაზე, საკუთრივ ლიტერატურასა თუ მის მიღმა. მას ხიბლავდა ლიტერატურულ ალუზიათა ისე ტრანსფორმირება და განვითარება, რომელთა ამოცნობა ხშირად შეუძლებელიც კი იყო. ალბათ, ყველა-

სათვის ცნობილია მისი გამონათქვამები ენაზე, როგორც ასეთზე. განსაკუთრებით ესენი დამამახსოვრდა:

„ჩნდება შეგრძნება, რომ ენას ძალუძს ისეთი კონსტრუქციების შექმნა, რომლებმაც საუკეთესო შემთხვევაში ადამიანი ჩამწერად აქციეს. სინამდვილეში ენა იყენებს ადამიანს და არა პირიქით. ენა ზეადამიანურ ქეშმარიტებათა და დამოკიდებულებათა საუფლოდან მოედინება. საბოლოოდ ის უსულო მატერიის ხმაა და პოეზია მხოლოდ დროდადრო თუ აღნუსხავს მისგან გადმოფრქვეულ ტალღებს.

(Иосиф Бродский, С любовью к неодошвенному, Четыре стихотворения Томаса Гарди, журнал Звезда 2000, 5).

მწერალი ლექსს იმიტომ წერს, რომ უბრალოდ ენა უკარნახებს შემდეგ სტროფს. ლექსის დაწყებისას პოეტმა, წესისამებრ, არ იცის, რით დამთავრდება იგი და ხანდახან ძალიან გაკვირვებულია იმით, რაც გამოუვიდა, რადგან ხშირად იმაზე უკეთესი გამოსდის, ვიდრე ჰგონია; ფიქრი იმაზე შორს მიდის, ვიდრე ვარაუდობდა. სწორედ ესაა ის მომენტი, როდესაც ენის მყოობადი ერევა მის ანმყოში.

(Иосиф Бродский. Нобелевская лекция, <http://lib.ru/BRODSKI/lect.txt>).

ენა უფრო ძველი და გარდაუვალი რამაა, ვიდრე სახელმწიფო.

(Письмо Бродского Л.И. Брежневу, [http://www.krugosvet.ru/enc/kultura\\_i\\_obrazovanie/literatura/BRODSKI\\_IOSIF\\_ALEKSANDROVICH.html?page=0,2](http://www.krugosvet.ru/enc/kultura_i_obrazovanie/literatura/BRODSKI_IOSIF_ALEKSANDROVICH.html?page=0,2)).

პოეტმა ყოველთვის იცის, რომ ის, რასაც ხალხში მუზას ეძახიან, სინამდვილეში ენის დიქტატია; ენა კი არ არის პოეტის ინსტრუმენტი, არამედ თვითონაა საკუთარი არსებობის გარძელების ენობრივი საშუალება.

(Иосиф Бродский. Нобелевская лекция, <http://lib.ru/BRODSKI/lect.txt>).

...ოდენმა მართლაც თქვა, რომ დრო (ზოგადი და არა კონკრეტული დრო) აღ-

მერთებს ენას და ის აზრი, რომელსაც ამ მტკიცებამ უბიძგა, ჩემში დღევანდლამდე მოედინება, რადგან „გალმერთება“ უმდაბლესის დამოკიდებულებაა უალრესისადმი. თუ დრო აღმერთებს ენას, ეს იმას ნიშნავს, რომ ენა უფრო დიდი და მეტია, ვიდრე დრო, რომელიც, თავის მხრივ, უფრო დიდია სივრცეზე. ასე მასწავლიდნენ და თვითონაც ასე ვგრძნობდი. ამგვარად, თუ დრო, რომელიც ღვთის სინონიმურია, მეტიც, რომელიც ითავსებს ღვთიურობას, ენას აღმერთებს, მაშ საიდან იღებს სათავეს ენა? ძღვენი ხომ ყოველთვის მცირეა მომძღვენელზე? ხომ არ არის ენა დროის საცავი? და ამიტომაც ხომ არ აღმერთებს დრო ენას? ხომ არ არის სიმღერა ან ლექსი, და თვით მეტყველებაც (თავისი ცეზურებით, პაუზებით, სპონდეებითა და ა.შ.) ენის თამაში დროის რესტრუქტურირებისათვის? ერთი და იგივე არსებანი ხომ არ უდგამენ სულს ენასაც და დროსაც? და თუ დრო „ჰპატიობს“ მათ, ამის მიზეზი დიდსულოვნებაა თუ უცილობლობა?“

(Joseph Brodsky. *Less Than One. Selected Essays*. Farrar Straus Giroux, New York. 1986.).

ამ ექსცერპტების შემხედვარეს, შესაძლოა, წამოგცდეს, რომ აშკარაა ოდენის გავლენა, რომელიც წერს იეიტსის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში: [დრო] (Time).

Worships language and forgives

Everyone by whom it lives;

Pardons cowardice, conceit,

Lays its honours at their feet

(In Memory of W. B. Yeats, W. H. Auden, 1907 – 1973, [https://www.poets.org/poets-org/poem/memory\\_w\\_b\\_yeats](https://www.poets.org/poets-org/poem/memory_w_b_yeats)).

თვით ბროდსკიმ ეს სტროფი ასე თარგმნა:

Чтит язык и всех, кем он  
сущ, продлен, запечатлен,  
их грехи прощая им  
как преемникам своим

(Оден В.Х., ПАМЯТИ В.Б.ЙЕЙТСА, <http://neolirik.livejournal.com/62649.html>).

ეს კი ჩემი თარგმანია:

ენას ეთაყვანება,

ვინც აცოცხლებს მათია,

ლაჩარსა და თავნებას

ცოდვები აპატია.

ზოგ მკვლევარს უფრო „დაუნდობლად“ უძებნია ბროდსკის მიერ ენის გაღმერთების თაობაზე გამოთქმულ დებულებათა თავწყარო და მიუჩნევია, რომ ის იცნობდა სეპირ-უორფის დისკუსიას ლინგვისტური თანაფარდობის შესახებ, რომელიც 1960-70-იან წლებში მიმდინარეობდა.

(Ахапкин Д. Иосиф Бродский – поэзия грамматики // Иосиф Бродский и мир: Метафизика, античность, современность. СПб.: Изд-во журнала „Звезда“, 2000. С. 272).

სხვები ვარაუდობენ, რომ ბროდსკის სცოდნია თვით უორფამდელი კონცეფციები ადამიანზე ენის ბატონობის შესახებ – უწინარესად, ჰუმბოლდტის იდეები. განა ჰუმბოლდტი არ ამბობდა, რომ ადამიანები კი არ ეუფლებიან ენას, არამედ ენა ეუფლება ადამიანებს?!

(ШАМИЛЬ ХАЙРОВ, «Если Бог для меня и существует, то это именно язык»: языковая рефлексия и лингвистическое мифотворчество Иосифа Бродского, эссеистика, беседы, интервью, НОВОЕ ЛИТЕРАТУРНОЕ ОБОЗРЕНИЕ, 2004, 67).

სკანდალურად ცნობილ ედუარდ ლიმონოვს არაერთხელ წამოუყვედრებია ბროდსკისთვის – შენი მტკიცება, მწერლის სამშობლო მისივე ენააო, რობ-გრიესთვის აგინაპნავს – აქსიომად ასაღებდი, არადა, პირწავარდნილი პლაგიატიაო:

„როცა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ბუდაპეშტის მწერალთა კონფერენციაზე სამი დღით რობ-გრიეს კომპანიაში აღმოვჩნდი და მისი რამდენიმე



გამოთქმა მოვისმინე, მივხვდი, საიდან იღებს სათავეს ბროდსკის ლოზუნგი, არსებითად, მთელ მის ლიტერატურულ იდეოლოგიას რომ შეადგენს“.

(Эдуард Лимонов, Книга мёртвых, Ветхий Бродский – великий американский поэт, 2000).

„აღენ რობ-გრიისთან რამდენიმე მცირეხნიან საუბარში უეცრად მივხვდი, – განაგრძობს ლიმონოვი. – რომ ჩვენი ბროდსკი მთლიანად რობ-გრიისგანაა ამოზრდილი. სწორედ რობ-გრიიემ ჩამოაყალიბა პირველად იდიომა, რომ მწერლის სამშობლო მისი ენაა. ბროდსკის მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავი მოჰქონდა ამ იდიომით“.

(Эдуард Лимонов, КНИГА МЁРТВЫХ-3., КЛАДБИЩА, <http://www.litmir.co/br/?b=273248&p=1>).

ერთ რამეში არავის არასოდეს დავუდანაშაულებივარ – სიზარმაცეში. ამის დასტურად, არ დამზარებია, ეს გამოთქმა მომეძებნა ბროდსკის ესეებში და ინტერვიუებში, მაგრამ ვერ ვიპოვე: სწორედ ასეთი ინტერპრეტაცია არ აღმოჩნდა, რამდენად სანყენიც უნდა იყოს. იქნებ ლიმონოვისეული ვერსია უბრალოდ ჰაიდეგერის გამოთქმის – „ენა ყოფიერების სახლია“ ინვერსირებული გამოძახილია? სწორედ ჰაიდეგერი ამბობდა, რომ ენა თვითონ ზემოქმედებს ადამიანის ყოფიერებაზე...

მგონია, რომ ბროდსკი ნელ-ნელა, ეტაპობრივად აყალიბებდა თავის ლიტერატურულ და ადამიანურ კრედოს და სხვადასხვა ვარიაციით გამოთქვამდა მას.

მაგალითად, ის ხშირად ახსენებდა, რომ მისთვის, ვისი მშობლიური ენაც რუსულია, პოლიტიკურ ბოროტებაზე საუბარი საკვების გადამუშავებასავით ბუნებრივია.

მანვე გაათამაშა რეიგანის ფრაზა Evil empire (ბოროტების იმპერია), პოლიტიკურ კლიშედ რომ იქცა და სოლჟენიცინისა და მისი „არქიპელაგი გულაგისადმი“ მიძღვნილი დითირამბი ასე დაასათაურა

– „ბოროტების გეოგრაფია“.

(Иосиф Бродский, ГЕОГРАФИЯ ЗЛА, Лит.обозрение. 1999. № 1. С. 4–8; Brodsky J. The Geography of Evil. Review of From Under the Ruble by A. Solzhenitsyn et al; The Gulag Archipelago III, IV by A. Solzhenitsyn; On Socialist Democracy by R. Medvedev // Partisan Review. Vol. 44. № 4. Winter 1977. P. 637–645).

მოგვიანებით კი, 1984 წელს, უილიამს-კოლეჯის კურსდამთავრებულთა წინაშე გამოსვლისას, ილაპარაკა ბოროტებასთან შეხვედრასა და მასთან ბრძოლის ნაირსახეობაზე. ბოროტების სიძლიერე მონოლითურობაა. ის იფურჩქნება ბრბოსა და დარაზმულობის, იდეისათვის ბრძოლის, ყაზარმული დისციპლინისა და შეუვალი დასკვნების ატმოსფეროში. ამგვარი პირობებისადმი მიდრეკილება იოლად აიხსნება მისი შინაგანი სისუსტით, მაგრამ ამის შეგნება ძალას ვერ შეგმატებს, თუ ბოროტებამ გაიმარჯვა, ის კი იმარჯვებს სამყაროს ბევრ ნაწილში და, საკუთრივ, ჩვენშიც.

ბროდსკი უამბობს ჭაბუკ ამერიკელებს ბოროტებასთან შეწინააღმდეგების საშუალებაზე, რომელიც დაეხმარებათ, ამ შერკინებას თუ დიდი შედეგით არა, უმნიშვნელო დანაკლისით მაინც დააღწიონ თავი და იხსენებს ახალი აღთქმისეულ ცნობილ შეგონებას:

„ხოლო მე გეტყვი თქვენ: „რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოიცა“ (მათე, 5, 39).

ორთოდოქსული გამოსავალი პასიური წინააღმდეგობის კონცეფციაა, რომლის მთავარი პრინციპიც ბოროტების წილ სიკეთის ქმნა ანუ სამაგიეროს გადახდაზე უარის თქმაა, მაგრამ მას, ვინც მეორე ყვრიმალს უშვერს, იმის მიღწევა თუ ძალუძს, მოწინააღმდეგის წარმატება გააქარწყლოს. „შეხე, – თითქოს ამბობს მეორე ყვრიმალი. – შენ მხოლოდ ხორცს აწამებ. ჩემამდე მოსვლას ვერ მოახერხებ, სულს ვერას

დააკლებ“. ამან კი მტერი, შესაძლოა, კიდევ უფრო გააგულისოს.

შემდეგ ბროდსკი იხსენებს, 20 წლის წინათ რუსეთის ჩრდილოეთში არსებულ მრავალათასიან ციხეთაგან ერთ-ერთში დილის 7 საათზე საკნის კარი როგორ გაიღო და ზედამხედველმა ზღურბლიდან როგორ მიმართა პატიმრებს: „მოქალაქენო! გასამხედროებულ ბადრაგთა კოლექტივი გინვეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაც გულისხმობს ჩვენს ეზოში დახვავებული შეშის დაჩეხას“. – „და, თუ არ მინდა შეჯიბრება?“ – იკითხა ერთმა პატიმარმა. – „ულუფის გარეშე დარჩები!“ – უპასუხა ზედამხედველმა. ტყვეები და მცველები გულმოდგინედ გაისარჯნენ და შუადღისთვის ყველას, უწინარესად კი დამშეულ პატიმრებს, ქანცი გაუნყდათ. შესვენება გამოცხადდა. იმ პატიმრის გარდა, დილით რომ იკითხა, რა მომივა, თუკი შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მივიღებო, ყველამ წასახემსებლად ჩაიმუხლა. ის ჩეხას განაგრძობდა. დასცინოდნენ, ენას იქავებდნენ. ამბობდნენ, სულ ტყუილი ყოფილა, რომ ამბობენ, ებრაელები ეშმაკები არიან, ერთი ამას უყურეთო... მალე საქმე განახლდა, მაგრამ უფრო ნაკლები ჟინით. ოთხ საათზე ბადრაგი გამოცვალეს. მოგვიანებით პატიმრებიც გაჩერდნენ. მხოლოდ ერთი ცული გაიღვებდა ხოლმე ჰაერში. რამდენჯერმე უთხრეს, გეყოფაო, ხან პატიმრებმა, ხანაც – ბადრაგმა, მაგრამ ის ყურადღებას არავის აქცევდა: თითქოს ჩაეთრია ჩეხას, რიტმის დაკარგვა არ უნდოდა ან იქნებ აღარც შეეძლო. უცხო თვალს რობოტი ეგონებოდა. გავიდა ერთი საათი, ორი... – ის კვლავ ცულს იქნედა. ბადრაგი და პატიმრები გაფაციცებული შესცქეროდნენ, მაგრამ დამცინავი მზერა გოცებამ შეუცვალათ, შემდეგ კი – ძრწოლამ. რვის ნახევარზე მან ცული გადაადგო, ბანცალ-ბანცალით მიაღწია საკნამდე და ჩაიძინა. იმ დარჩენილი

დროის განმავლობაში, მან რომ ციხეში გაატარა, ბადრაგსა და პატიმრებს შორის სოციალისტური შეჯიბრება აღარ გამართულა.

ბროდსკის აზრით, ამ პატიმარს ახსოვდა ბიბლიური ლექსის გაგრძელება:

„და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა“ (მათე, 5, 40-41).

ამ სიტყვების არსი პასიურობა კი არა, ბოროტების აბსურდამდე მიყვანაა. ეს შეგვაგონებს – ბოროტების დამცრობა შესაძლებელია, თუ მის ძალისხმევას საკუთარ დათმობის უნარს დაუპირისპირებთ: ის აუფასურებს მოყენებულ ზარალს.

(Иосиф Бродский. Напутствие, [http://lib.ru/BRODSKIJ/br\\_naput.txt](http://lib.ru/BRODSKIJ/br_naput.txt)).

ცნობილი ამერიკელი პოეტი და მთარგმნელი, ლინ კოფინი დავიხმარე, რომელიც იმხანად მიჩიგანის უნივერსიტეტის კოლეჯ ენ-ერბორში მუშაობდა და გავარკვიე, რომ ბროდსკის ეს ამბავი მოუყოლია 1972 წელს, სლავისტიკის ფაკულტეტზე, საკუთარ კაბინეტში, როცა ქალბატონ კოფინს უთხოვია „მოქალაქე ჯოზეფისათვის“, როგორადაც წარდგომა უყვარდა მაშინ, თავის გადასახლებაზე ეამბა. ლინ კოფინს მისი ნაამბობი გაუღექსავს კიდევ (Two Memoirs of Joseph Brodsky):

The first prison was built around a large courtyard and they used that yard to stack Siberian timber: the whole area was, to employ the Americanism, underdeveloped, and lumber was its only resource, da a.S.

ქალბატონი კოფინი, სხვა რუსი მკვლევარების დარად, ფიქრობს, რომ ეს ამბავი თვით ბროდსკის გადახდენია თავს, თუმცა ცნობილია, რომ ბროდსკი ბანაკში არასოდეს მჯდარა. ისე ჩანს, ეს უცნობი წარმოშობის სიუჟეტი, რომელმაც შვა სახარებისეული პასაჟის არაორდინარული ახსნა.

ახლა ყურადღება გავამახვილოთ ზემოთ მოხმობილი ტექსტის იმ ადგილზე, სადაც პოეტი ბოროტების აბსურდამდე მიყვანაზე ლაპარაკობს. ლევ ლოსევი ადასტურებს, რომ ბროდსკის ახალი დროის ლიტერატურის ნამდვილ აღმოჩენად აბსურდი მიაჩნდა. ბროდსკის ბოროტება-აბსურდი ბოროტება ქაოსია, რომელიც ადამიანს რომანტიკოსთა ყოფიერების ღრეჩოდან შემოსცქერის. ნებისმიერი გასართობი, ნებისმიერი ლიტერატურული ფერუმარილს უსვამს, გარდასახავს, ნიღბავს ქაოსს. განა შესაძლებელია იმით გართობა, რისი ბუნებაც ერთფეროვანი, განმეორებადი და მონოტონურია? ლიტერატურა კი ბოროტებას აშინაურებს!

მგონია, რომ ამ მიდგომის ჩამოსაყალიბებლად პოეტს შეეძლო ალბერ კამიუს ბრწყინვალე ესეის „სიზიფოსის მითის“ გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ მაინტერესებს. ბროდსკის მიაჩნდა, რომ სოლჟენიცინმა „კიბოიანთა კორპუსის“ ამბავი აბსურდამდე ვერ მიიყვანა, „არქიპელაგი გულაგი“ კი, მართლაც, ბოროტების ადეკვატური წიგნია, რადგან ბოროტების ნებისმიერი ამბავი გრძელია და მონოტონური.

(Лев Лосев, Солженицын и Бродский как соседи, [http://imwerden.de/pdf/losev\\_brodsky\\_i\\_solzhenizyn\\_sosedi\\_2000.pdf](http://imwerden.de/pdf/losev_brodsky_i_solzhenizyn_sosedi_2000.pdf)).

პასტერნაკის იმ წერილებზე მუშაობისას, რომელიც პოეტს ქართველი მწერლებისთვის გამოუგზავნია, ნაევანყდი ერთ ტექსტს: ეს გახლავთ უახლოესი მეგობრისადმი, პოეტ სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი, 1951 წლის 29 აპრილით დათარიღებული ბარათი. სიმონ ჩიქოვანი 1944-51 წწ-ში საქართველოს მწერალთა კავშირს თავკაცობდა, 1951 წელს კი თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ. მას ბუნდოვანება და ფორმალისში დასწამეს.

ცნობილია, რომ 1936 წლის შუა ხანებში ხელისუფლების პასტერნაკი-

სადმი დამოკიდებულება შეიცვალა – მას ბრალად სდებდნენ არა მხოლოდ „ცხოვრებისაგან მოწყვეტას“, არამედ „ეპოქისათვის შეუთავსებელ მსოფლმხედველობას“ და უპირობოდ სთხოვდნენ თემატურ და იდეურ გარდაქმნას. ეს ოფიციალური ლიტერატურისაგან პასტერნაკის დიდხნიანი გაუცხოების დასაწყისი გახლდათ.

პასტერნაკს უკვე თვითონაც უწვნივია, რომ უნიჭო და უღირსი არარაობანი, რომლებიც თავიანთ ბუნებრივ ნაკლს გაუბოროტებია, მზად არიან, სამაგიერო გადაუხადონ ყველას, ვისთვისაც ეს ნაკლი უცხოა. ამიტომაც სწერს მეგობარს:

„გახსოვდეთ, სიმონ, იმდენად უფრო უდრტვიწველად დაეთანხმეთ გაგონილს, რამდენადაც აბსურდული იქნება ის. სახარებისეული მეორე ყვრიმალის მიშვერა წმინდა სასწაული ან თანამოსაგრეობის მწვერვალი როდია – ის ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალია იმ მდგომარეობიდან, როდესაც მოჩვენებითობა განსჯის სინამდვილეს“.

(Борис Пастернак, Из писем разных лет, Москва, Издательство Правда, 1990, с.43).



ისტორიკოსის უხილავი მანტია მაცდუნებს, შევუერთდე აბეზარ კრიტიკოსთა რიგებს და იმის დამტკიცება ვცადო, რომ ბოროტების მიტევების პოსტულატის ბაზისი სწორედ პასტერნაკის ამ წერილში განიჭვრიტება, მაგრამ ეს აჩემება ორმხრივად ბერნი და უაზრო მგონია.

პოეტური იდეოლოგია ისევე ფორმირდება, როგორც პოეტური მემკვიდრეობა: ასოციაციათა, მინიშნებათა, ენობრივ და მეტაფორულ პარალელთა მეშვეობით... პოეტი იყენებს აზროვნებას საკუთარი მიზნის მისაღწევად – ის ნთქავს იდეებს, თემებსა და სხვ. და თუ ამის შედეგად მკითხველი იცვლება,

ანუ, როგორც თანამედროვე ქართველი პოეტი ამბობს, ერთი ცრემლით მეტია სხვებზე, მიზანი მიღწეულია.

თვით ბროდსკის კი ასე თქმაც შეეძლო:

*ო, ღამლამობით რამხელა შუქს გა-  
მოასხივებს  
შავი მელანი, ბნელ წყვედიად რომ  
შენივთებია  
(იოსიფ ბროდსკი, „რომაული ელემ-  
ენტები“)*

### **„თავს როგორა ბრძნობ მანდ, მაგ ქართულ პალესტინაში?..“**

ერთ არცთუ ისე ცნობილ ქართველ პოეტს, მაგრამ ბროდსკის ძალიან კარგ მეგობარს, დალი ცაავას (მგონი, მას მიუძღვნა პოეტმა ლექსი: „თავს როგორა გრძნობ მანდ, მაგ ქართულ პალესტინაში?..“) თუ დაუფუჯერებთ, ბროდსკიმ სთხოვა გალაკტიონის ერთი ლექსის ბნკარედის მომზადება. ეს გახლდათ პატარა შედეგრი – „ცამეტი წლის ხარ“:

*ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა  
ჭალარა გულის ზმანება ავი...  
ჩაანყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,  
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!*

ქალბატონი დალი გვიამბობს, რომ ბროდსკიმ მაშინვე თარგმნა პირველი სტრიქონი, ანუ სათანადო რიტმული ფორმა მოუძებნა მას:

„Тебе тринадцать лет, и у тебя в плену...“

რუსულის მცოდნენი დამეთანხმებიან, რომ რუსი პოეტი სწორ გზაზეა!

შემდეგ ბროდსკის რამდენჯერმე უთხოვია მეგობრისთვის, კიდევ და კიდევ წაეკითხა ქართულად ლექსი. აზუსტებდა ყოველ დეტალს... ყოველი სიტყვის შინაარსს...

„ამის შემდეგ წავედი, – იხსენებს დალი ცაავა, – ვიცოდი, რომ პოეტი აღგზნებული და შთაგონებულია, და ამ დროს მარტო უნდა დატოვო, რადგან მხოლოდ გალაკტიონთან საუბარი სურს. მეორე დღეს გაუპარსავი ბროდსკი საშინლად დაღლილად გამოიყურებოდა: „მთელი ღამე არ მიძინია, მაგრამ ერთი სტრიქონიც კი ვერ მივუმატე. მართალი ბრძანდებით, ეს არცთუ ისე იოლი საქმეა!“

ასეც ხდება.

ბროდსკი კი საქართველოში 1966 წლის ნოემბერში დაინტერესდა: თამაზ ჭილაძე გვარნმუნებს, რომ პოეტი თბილისში ერთი დღით ჩამოფრინდა ოთარ ჭილაძის ლექსების სათარგმნელად.

რუსი ლიტერატორი და მთარგმნელი ტატიანა ნიკოლსკაია, როგორც ჩანს, ამ დროს ბროდსკის თავს გადამხდარ ამბავს იხსენებს, როცა ის სასტუმრო „ივერიის“ სარდაფში არსებულ სახინკლეს სწვევია – მარტოდმარტო, ქართველ თანმხლებთა გარეშე...

ასე მგონია, უნდოდა, ცოტა ხნით მაინც ის დაუდევარი ბუნებრიობა მოეპოვებინა, რომლითაც ქართველები ამასსოვრებდნენ თავს: მაგალითად, მანეთიანი გადაეწოდებინა სარკმლიდან თავგამოყოფილი მზარეულისთვის და ხინკლით სავსე თეფშით სხვებივით მაღალ მაგიდასთან დამდგარიყო...

ეს გალაკტიონის თარგმნასავით ძნელი საქმე აღმოჩნდა:

სარკმელი იღებოდა, ხინკლის მადისალმძვრელი ოხშივარი ჰაერს ერეოდა, მანეთიანჩაბლუჯული ხელები სარკმლისკენ მიიწვედნენ და წუთშივე უკან ბრუნდებოდნენ, ოღონდ უკვე თეფშჩაბლუჯულნი... მზარეული მხოლოდ ბროდსკის ხელს ვერ ამჩნევდა!

ასე გამეორებულა რამდენჯერმე... როგორც იქნა, ბროდსკიც აღმოჩნდა მზარეულის თვალსაწიერში (როგორც ჩანს, პოეტი გამოელაპარაკა კიდევც), მაღე სამი ულუფა ხინკალიც მიიღო – უფასოდ, რასაკვირველია!

## ბროდსკისეული ოთარ ჭილაძე

ბროდსკის სიტყვა არ გაუტეხავს:  
თქვა, ჭილაძეს ვთარგმნიო და თარ-  
გმნა, ეგ კია, მისი თარგმანები ცენზუ-  
რამ რუსული წიგნიდან ამოიღო.

თუმცა...

ხელნაწერები არ იწვის!

1989 წელს ჟურნალ „ლიტერატურ-  
ნაია გრუზიას“ პირველ ნომერში და-  
იბეჭდა ბროდსკისეული თარგმანები  
ოთარ ჭილაძის ოთხი ლექსისა: „ოთა-  
ხი“, „გამოთხოვება“, „ჩრდილი“ და „მო-  
ლოდინი“.

ეს საკითხი ცალკე დაგემოვნებას  
მოითხოვს. ამიტომ ახლა მხოლოდ რამ-  
დენიმე ციტატით დავკმაყოფილდეთ,  
სულ თითო-თითო სტროფით...

*ქალი ტიროდა. გარეთ კი თოვდა  
და გროვდებოდა თოვლი რაფაზე  
და ქალთან რაღაც საერთო ჰქონდა  
ზამთრის სიმკაცრეს და სიკაპასეს  
(„ოთახი“).*

Рыдала женщина. Снаружи  
снежок клубился. И сиротство  
той женщины и краткость стужи  
какое-то имели сходство («Комната»).

*რა მოხდა, თუკი ველარ  
შევხვდებით.  
ამქვეყნად რაც კი ხდება  
შემთხვევით, –  
მარადიული ის არის მხოლოდ  
და ასეთია ყოველთვის ბოლო  
ნამდვილი გრძნობის, განცდის და  
ვნების...  
(„გამოთხოვება“)*

Что с того, если здесь мы не  
свидимся больше? Прощай!

Все на свете случайно. Но это – не  
выход в беспечность,

Коль разлука навечно случайнее

встреч невзначай.

Лишь она мне дает ощутить  
натуральную вечность („Прощание“).

*გაუჩინარდა სარკმელში ტოტი,  
საკვამურებიც და მავთულებიც...  
ალარაფერი არ ჩანს სრულებით  
და როგორც შავი ყინულის ლოდი,  
დუმს ტელეფონი...  
(„მოლოდინი“).*

Скрывая труб огрызки и кусты,  
полночный мрак за окнами витает.  
И телефон – осколок темноты –  
безмолвно громоздится и не тает,  
как черный айсберг („Ожидание“).

*და იქნებ მართლა შემომხვდეს  
სადღაც  
ვნება, რომელიც იქცევა შუქად...  
არც მე ვეყოფი ამ მიწას ლუკმად,  
არც ჩემი ცრემლი აუვსებს კათხას.  
(„ჩრდილი“).*

А если я низвергнусь,  
то все равно земля, где буду я  
сокрыт,  
– хоть тень мою почти до полюса  
растянет –  
свой голод по телам моим не  
утолит.  
А слез моих, увы, на кубок не  
достанет („Тень“).

ტატიანა ნიკოლსკაია აღნიშნავს და  
მეც ვეთანხმები მას: ოთარ ჭილაძის  
ბნკარედთაგან ბროდსკის სათარგმნე-  
ლად ის ლექსები აურჩევია, რომლებიც  
მეტ-ნაკლებ სიახლოვეს ამჟღავნებდნენ  
მის შემოქმედებით მანერასთან.

ბროდსკის საქართველოში მეორედ  
(და ეგებ დიდი ხნითაც) ჩამოსვლა გა-  
ნუზრახავს 1970 წლის ზამთარში.

მანამდე ზემოთ ნახსენებ დალი ცა-  
ავას – იმხანად ლენინგრადის უნივერ-  
სიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტე-

ტის სტუდენტს – სოხუმიდან წერილი გაუგზავნია ბროდსკისთვის და თავისი ლექსების რუსულად თარგმნა შეუთავაზებია. ბროდსკის უპასუხია, რომ, სამწუხაროდ, ქალთა პოეზიას არ თარგმნიდა, თუმცა დაინტერესებულა, შესაძლებელი ხომ არ იყო სოხუმში დასასვენებლად ჩასვლა.

1970 წლის იანვარში ბროდსკის იალტაში მდებარე ლიტფონდის შემოქმედებითი სახლიდან წერილი მიუწერია ლენინგრადში მყოფი დალი ცაავასთვის:

„საყვარელო დალი, მე თითქმის მზად ვარ თქვენს მხარეში გამოსამგზავრებლად, ოღონდ მომწერეთ წერილი, მაცნობეთ ყველა დეტალი, რადგან, შესაძლოა, ამასობაში სოხუმსა თუ სვანეთში რაღაც შეიცვალა. ღვთის გულისათვის, მაპატიეთ ეს კადნიერება, მაგრამ მირჩევნია, მხოლოდ თქვენ ჩაგაგდოთ უხერხულ მდგომარეობაში, ვიდრე – ადამიანთა მთელი ჯგუფი. როგორ არიან თქვენი მშობლები? ან თავად როგორ ხართ? თქვენი იოსიფი“. შემდეგ ფრჩხილებში ეწერა: „თეორიულად აქ დარჩენა 30 იანვრამდე შემიძლია“.

ბროდსკის გეგმები შეცვლილა და საქართველოში ვეღარ გამომგზავრებულა, თუმც დალის მაინც დამეგობრებია: ეს ურთიერთობა ბროდსკის სსრკ-დან წასვლამდე გაგრძელებულა.

ცნობილია დალი ცაავას ლექსი „ტყავის სავარძელში ნანახი სიზმრები“, რომელიც ქართველ პოეტს ბროდსკის სახლისადმი მიუძღვნია: ლექსის მარკერები – ფერიცვალების ტაძარი, პესტელის ქუჩა, საგაზეთო ჯიხური, ოცდაორსაფეხურიანი კიბე, მეორე სართული, ნახევრად ღია კარი, ვინრო დერეფანი, სარკიანი კარადა, რომელიც ოთახნახევრიან ბინას ტიხრავდა და პოეტის ოთახს „ქმნიდა“, ტყავის სავარძელი – ნთქავდა ლექსის პოეტურ ღირსებას და მას მთლიან ტოპოსად აქცევდა! სხვათა შორის, „ტყავის სავარძელში ნანახი სიზმრები“ ჰქვია დალი

ცაავას პირველ პოეტურ კრებულსაც. ქართველ პოეტს ლექსი მიუძღვნია ბროდსკის მამისთვის, რომელსაც სხვა მეგობრებთან ერთად უვლიდა ბროდსკის დედის გარდაცვალების შემდეგ.

## კულტურა მასწავლებლის როლს ასრულებს

ბროდსკის ქართველ ნაცნობთა შორის გახლდათ ზვიად გამსახურდია, რომელიც, როგორც ანგლო-ამერიკული პოეზიის მთარგმნელი, მეგობრობდა ანდრეი სერგეევთან (1933-1998) – რუს პოეტსა და მთარგმნელთან.

აღსანიშნავია, რომ ანდრეი სერგეევი შედიოდა ცენზურას გამორიდებულ შემოქმედთა ე.წ. „ჩერტკოვის დაჯგუფებაში“, რომელსაც პოეზიის ესთეტიკური მხარე აინტერესებდა და არად დაგიდევდათ იმდროინდელ საბჭოურ კლიშეებს. დაჯგუფება 1957 წელს დაიშალა, როცა ლეონიდ ჩერტკოვი (1933-2000) – პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატორი – დააპატიმრეს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის.

ანდრეი სერგეევი მეგობრობდა ანა ახმატოვასთან, ნიკოლაი ზაბოლოცკისთან, იოსიფ ბროდსკისთან, რომელსაც ლექსიც მიუძღვნია მისთვის.

სწორედ ანდრეი სერგეევისგან გაუცნია ზვიად გამსახურდიას ბროდსკი, რომელიც სსრკ-დან წასვლამდე მცირე ხნით ადრე ლენინგრადში მოუწახულებია კიდეც.



იდეა 1991 წელი. ნოემბრის „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა „საერთაშორისო ფენ“-ის (შეიქმნა ჯერ კიდევ 1921 წელს, დიდ ბრიტანეთში, გ.ჯ.) რუსული ცენტრის მიმართვა ვენაში მიმდინარე მწერალთა ორმოცდამეთექვსმეტე კონგრესისადმი. რუსი თანამოკალმენი ქართველი კოლეგების განვერიანებას შუ-

ამდგომლობდნენ. სტატიაში ქართველი მწერლების მიმართვის ტექსტი არ იყო, მაგრამ კონტექსტი იმის საშუალებას იძლეოდა, მასზე (ტექსტზე, გ.ჯ.) მკაფიო წარმოდგენა შეგქმნოდა: საქართველოს მწერალთა კავშირის ოცდასამი წევრი უკმაყოფილო იყო ხელისუფლების პოლიტიკით. რეზოლუცია იტყობინებოდა:

„საერთაშორისო ფენ“-ის 56-ე კონგრესმა განიხილა ქართველ მწერალთა მიმართვა და გამოხატავს რა საქართველოში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეზობელი დემოკრატიული ძალების სრულ მხარდაჭერას, მიიჩნევს, რომ დემოკრატია მხოლოდ თითოეული ადამიანის უფლების დაცვით მიიღწევა, მიუხედავად მისი შეხედულებისა და პოზიციისა, სიტყვის, გამოცემისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის თავისუფლების ჩათვლით;

დარწმუნებულია, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა დაუშვებელია, რა მოსაზრებითაც უნდა აიხსნებოდეს ეს;

შეშფოთებულია იმ უდავო ფაქტით, რომ ქართული კულტურის უმსხვილესი მოღვაწენი, რომელთა პატრიოტიზმი, დემოკრატიის პრინციპთა, ჰუმანიზმისა და თავისუფლების ერთგულება საყოველთაოდ ცნობილია, „ქართველი ხალხის მტრებად“ ცხადდებიან ხელისუფლებისა და მისდამი დაქვემდებარებული პრესის მიერ;

მიესალმება ქართველ კოლეგებს და სრულ სოლიდარობას უცხადებს მათ რეპრესიის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში;

მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაიცვას ყველა პირობა, რომელთაც გულისხმობს ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ქარტია.

საერთაშორისო ფენი.

სხვათა შორის, ერთმა პოეტმა, რომლის გვარ-სახელიც მითითებული იყო მიმართვის ხელმომწერთა შორის, მაშინვე გამოაქვეყნა ამგვარი შენიშვნა: ეს ხე-

ლისუფლება გულზე არც მე მეხატება, მაგრამ მასზე ჩივილი რუს თანამოძმეებთან აზრადაც არ მომივიდოდაო.

ზემოთ მოყვანილი ტექსტი მიმაჩნია, რბილად რომ ვთქვათ, „გაბრიყვებისა“ თუ „თვალში ნაცრის შეყრის“ ტიპურ მაგალითად, მთელი თავისი ყბადაღებული „ქართული კულტურის უმსხვილესი მოღვაწეებით“, მათი „პატრიოტიზმითა და დემოკრატიის პრინციპების ერთგულებით“, მაგრამ ფორმალურად დღემდე მარცხს საერთაშორისო „ფენის“ დუმილი სამართალდარღვევებზე საკუთრივ რუსეთში!

კონგრესის ფარგლებში ხომ საგანგებო კომიტეტი მუშაობდა, რომელიც იკვლევდა დაპატიმრებულ მწერალთა საქმეებს! აი, სწორედ ამ კომიტეტს აღუნიშნავს, რომ რუსეთში, ბელორუსიასა და უკრაინაში უკვე ვეღარ ნახავ თვითნებობის მსხვერპლთ, შუა აზიისა და ამიერკავკასიის ზოგ რესპუბლიკაში კი არასახარბიელო მდგომარეობააო.

მტანჯველი დილემა იჩენს თავს: ან ეს არ არის საერთაშორისო ორგანო, ან საერთოდაც არ არის „ფენი“ (PEN – poet, essayist, novelist)!

რეპორტაჟის ავტორი გვარწმუნებს, რომ ნობელის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა იოსიფ ბროდსკიმ სთხოვა, მისი კერძო წერილი გადაეცათ თბილისელი თანამოკალმეებისათვის, რომლებიც ავტორიტარული ხელისუფლების რეჟიმს შებმოდნენ. წერილის ტექსტი გამოაქვეყნა „ლიტერატურნაია გაზეტამ“:

„ძვირფასო მეგობრებო!

როგორც ქართული კულტურისგან ბევრი რამით დავალებული ადამიანი, თქვენ გვერდით მიგულეთ. ნუ შეგაცბუნებთ უმცირესობაში ყოფნა. ადამიანური გამოცდილება, ზოგადად და განსაკუთრებით ამ ასწლეულისა, გვიჩვენებს, რომ უმრავლესობის ხმას, განსაკუთრებით მათსას, ვინც უმრავლესობის სახელით ლაპარაკობს, უკიდუ-

რესად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. საზოგადოების ცხოვრებაში კულტურა მასწავლებლის როლს ასრულებს. მასწავლებელი კი ყოველთვის უმცირესობაშია, თუმცა დრო მის მხარესაა. თუ ქართველ ხალხს მომავალში რისამე უნდა შერცხვეს, ეს თქვენ არ იქნებით. იოსიფ ბროდსკი“.

როგორც ვნახეთ, ბროდსკის მხარი დაუჭერია არა ყოფილი მწერლისა და დისიდენტისათვის, რომელიც მაშინ სახელმწიფოს განასახიერებდა, არამედ – ჰუმანიზმის სახელით მოლაპარაკეთათვის! ხომ გახსოვთ, სიტყვა „პოლიტიკაში“ ბროდსკი მხოლოდ პირველ მარცვალს ამჩნევდა, რადგან მისით იწყებოდა სიტყვა „პოეზია!“

ამ მომცრო წერილმა, მართალია გითხრათ, წუთით დამავინცა პირველი სტატიის, მეორე მიმართვის, პირველი რეზოლუციისა თუ სხვა უზღვავი „საქმიანი ქალაქის“ მათი შემთხვევების ფარული თუ მკაფიო მიზნები, გულწრფელი თუ ყალბი პათოსი, პოლიტიკისაგან გაქცევის წყურვილი თუ მის ჩრდილს შეფარების აპრობირებული პოზა, ღირსების შენარჩუნება თუ უღირსობის გამართლების ცდა და მომეჩვენა, რომ „იოსიფ ბროდსკიდ“ წოდებული კაცი ერთგვარად განწირულად ღალადებდა სამყაროსათვის სათქმელ სიტყვებს: მისი ხმა ზოგადად, ადამიანურ სულს აფხიზლებდა, ექომაგებოდა, შეაგონებდა... ვფიქრობდი, რომ მისი აფორისტიკა სრულიად არ შეეფერებოდა ნაჩქარევად შეთხზული წერილის სტილს. მომეჩვენა, რომ მას ადრეც ეფიქრა ამაზე და ეგებ სადმე დაეწერა კიდევ; საბჭოეთში ცხოვრების გამოცდილებას მასში უნდობლობა, სიფრთხილე და სკეფსისი ჩაეთესა ყოველივე იმისადმი, რასაც კი ადამიანის დამცირება შეეძლო და ყოფილ საბჭოეთა რესპუბლიკაში „ტირანიის რეციდივებსაც“ ბუნებრივ მოცემულობად აღიქვამდა. თანაც, მუზის მსახურთა

სიტყვებს იმგვარადვე უტყუარად მიიჩნევდა, როგორც მასწავლებლის ქადაგებას. იგრძნობოდა კულტურტრეგერის თავგანწირულობა და ამავე დროს სიბრძნე, რომელიც მათ ახასიათებთ, ვინც შორიდან უჭვრეტს მოვლენებს, განიხილავს, გონების მატრიცაში სვამს და ადამიანზე დამიზნებულ ამა თუ იმ საფრთხეზე მყარი (სამუდამო!) პოზიცია ცუცხლობდება. ჩანდა, რომ პოეტთა („განდობილთა“, „შეპყრობილთა“) კასტა ელიტურ უმცირესობად მიაჩნდა და ეს შემოქმედს პრივილეგიად უფრო უნდა აღექვა, ვიდრე ბედის დაცინვად...

ამაოდ როდი იხსენებდა ნობელის პრემიის ლაურეატი, ირლანდიელი პოეტი შეიმას ჰინი – ყოველთვის, როცა ბროდსკი წარმოთქვამდა სიტყვა „ტირანს“, მიხაროდა, რომ ეს მე არ ვიყავიო.

ვერავინ ახსნის, როგორ ახერხებს გონება ერთი მომცრო ოპუსის ასეთ მეყსეულ და სკრუპულოზურ განსჯას, მაგრამ ახერხებს კი...

როცა ტყვიას ელი ან იძირები, მთელი ცხოვრების გადახედვასაც კი ასწრებ – ამას ამტკიცებს რჩეული მსოფლიო ლიტერატურა, რომლის უნდობლობა სიკვდილის უცილობლობის რევიზიას დაემსგავსებოდა.

## როგორ ვიცხოვროთ?

იოსიფ ბროდსკის პიროვნებით პირველად მაშინ დავინტერესდი, როდესაც ჩემ ირგვლივ მცხოვრებმა უამრავმა ადამიანმა ირწმუნა „საბჭოეთად“ წოდებული ქვეყნის თვითკასტრირების ფაქტი. როცა რუსული პოეზიის საკულტო სახელებს (და მათ შემოქმედებს) ვეცნობოდით ხან პირადად, უფრო ხშირად კი – წიგნებით, იმხანად ბროდსკიზე არავინ ლაპარაკობდა.

ამ გარემოებას თამაზ ქილაძე ასე ხსნის:

ბროდსკი სახელს იქმნიდა არა პო-



ლიტიკური გზით, არამედ პოეზიით. შესაძლოა, ამიტომაც არ მიეკუთვნებოდა იმ პოპულარულ პოეტთა რიცხვს, რომელთა ლექსებს მედროვენი პროკლამაციებად იყენებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს იგი, ყოველდღიურ ყოფით მოვლენებს მხარაქცეული, სპილოს ძვლის კომპი ცხოვრობდა; სამყაროში, რომელშიც ადამიანური გამოცდილება შეგროვილია და წიგნებშია მეტაფორიზებული, მაგრამ განა რითიმე კნინდება მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ღირსება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი კინოთეატრებივით სავსე არ არის?

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ბროდსკისადმი ქართველ წიგნისმოყვარულთა ნეიტრალურ დამოკიდებულებას ტატიანა ნიკოლსკაია ე.წ. „მდაბალი ლექსიკის“ გამოყენებას აბრალებს:

ტრადიციული ქართული პოეზია, რუსულთან შედარებით, უფრო პათეტიკური და ამალღებულია. ამიტომაც სწამთ, რომ საგნებისა და მოვლენების აღმწერი „მდაბალი ლექსიკა“ ლექსის მიღმა უნდა დარჩეს. ამას გარდა, იმხანად საქართველოში ეჭვით უცქერდნენ ვერლიბრის ღირსებებს – იოსიფის ბევრი შედევი კი სწორედ თეთრი ლექსით იწერებოდა: ესეც ავიწროებდა მის თაყვანისმცემელთა რიგებსო.

მაგრამ, ალბათ, მაშინაც იყვნენ მისი ქართველი ადვოკატები. უბრალოდ, მისი ხსენებით ან უდაბნოს ეფექტს წააწყდებოდნენ, ან საკუთარი ცხოვრების გაუდაბურების პერსპექტივას. ერთიც უსიამოვნო იქნებოდა და მეორეც, განსაკუთრებით მის გამო, ვინც კარგა ხნის განმავლობაში, „ამერიკულ ოცნებაში“ ლივლივებდა და საბჭოთა პოეტურ ისტებლიშმენტსაც, რბილად რომ ვთქვათ, უშურველად აკრიტიკებდა.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ბროდსკის ქართულ თარგმანებს (ბ. დანელია, ვ. კოტეტიშვილი, ი. სურგულაძე...) მისი მეცნიერულად

შესწავლილი შემოქმედებაც დაემატა. 1998 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგმა და პოეტმა ინა კულიშოვამ დისერტაცია დაიცვა, თემაზე: „სიტყვა იოსიფ ბროდსკის პოეზიაში“ და რამდენიმე სტატიაც გამოაქვეყნა. 1997 წლის 10 მარტს გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსულ დრამატულ თეატრში მან გამართა ბროდსკის პოეზიის საღამო – „სიცოცხლე დროს უნდა ჰგავდეს“.

ცნობილია, რომ 1993 წელს ისრაელში სტუმრად მყოფმა ინა კულიშოვამ თავისი ლექსები გაუგზავნა ბროდსკის და ისიც ჰკითხა (!), როგორ ეცხოვრა მომავალში (как ей жить дальше).

ბროდსკი კულიშოვას გამოხმაურებია, რასაც 1997 წლის პუბლიკაციაც ადასტურებს. აი, ფრაგმენტი ბროდსკის საპასუხო გზავნილიდან:

„დიდი მადლობა წერილისთვის... უფრო მეტად კი ლექსებისთვის. ისინი იმაზე უფრო კარგია, ვიდრე თქვენ გგონიათ, თუმცა იმაზე ცუდიც. ამ განსხვავებაშია – მათ ვექტორსა და შესრულების ხარისხში – მათი მთავარი ღირსება ახლა... უფრო ზუსტად: ყველაფერი რიგზეა აზრისა და ინტონაციის თვალსაზრისით, მაგრამ არასახარბიელოა ჟღერადობა. კიდევ უფრო ზუსტად: თქვენი რითმები, ღმერთმა უწყის, რაგვარია; მათ აკლიათ ფეთქებადობა ან, უკეთ რომ ვთქვათ სიველურე. რჩევა აქ უმაქნისია: ადამიანი რითმამდე მთელი ცხოვრების განმავლობაში იზრდება. თქვენ კი მხოლოდ ოცდაოთხის ხარტ. სცადეთ ვლადიმირ უფლიანდის წიგნის შოვნა და წაიკითხეთ მისი ლექსები...“

როგორ უნდა იცხოვროთ, რა მოუხერხოთ თავს – აზრზე არა ვარ. არჩევანის იდეა მე იდუმალად მეჩვენება. ცხოვრება წვრილ-წვრილ ქმედებათა ჯამია, ადამიანი კი პროდუქტია არა

იმდენად თავისი ზრახვების, რწმენისა და გადაწყვეტილებებისა, რამდენადაც საკუთარი (უფრო კინი, ვიდრე დიდი) ქცევისა, მაგრამ მე ორმოცდაცამეტი წლისა ვარ და ამის თქმა ჩემგან ბუნებრივია; ამას გეუბნებით, ასე ვთქვათ, ცხოვრების მეორე მხრიდან და, შესაძლოა, ეს არც არაფერში გამოგადგეთ. გირჩევთ, ლექსების წერა განაგრძოთ...

ცხოვრება და ლექსები ორი კურდღელი სულაც არ არის: ერთი და იგივე კურდღელია, რომელიც გარბის: ხან თავქუდმოგლეჯილი, ხან ნება-ნება, ხან ერთ, ხანაც მეორე მხარეს, მაგრამ გარბის. სწორედ ეს აქეთ-იქით სირბილი ქმნის მის ვექტორს“. ბროდსკი, ფაქტობრივად, პოეტური დისკურსის არსს უხსნის ადრესატს: ლათინური სიტყვა *discurro* „თხრობასა და ჩამოყალიბებასთან“ ერთად „აქეთ-იქით სირბილსაც“ ნიშნავს.

## ფინეთში – საქართველოზე

მართალია, საქართველო ბროდსკისთვის ლიტვასავით ახლობელ ქვეყნად არასოდეს ქცეულა, მაგრამ ბროდსკიმ, როგორც ჩანს, იცოდა, რაც ხდებოდა 90-იანი წლების საქართველოში. მის პიესაში „დემოკრატია“ ბევრი ალუზიაა, რომლებიც 70-80-იანი წლების საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე მიანიშნებს.

1995 წელს ფინეთის ტელევიზიით გამოსვლისას ბროდსკის უსაყვედურია ფინელებისთვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევთ ყოფილ სსრკ-ში ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებსო.

ფინელ უფლებათა დამცველ აილა ნიინიმაა-კეპოს (შემდგომ საზოგადოება „ფინეთი – საქართველოს“ პრეზიდენტს, გ.ჯ.) ბარათი გაუგზავნია ბროდსკისთვის, რომელშიც სთხოვდა, დაერეკა მისთვის. ბროდსკის დაურეკავს: ფინელ უფლებადამცველს უცნობ-

ებია, როგორ იღვწის „საერთაშორისო ამნისტიის“ ფინური განყოფილება ქართველ პოლიტიკატიმართა გათავისუფლებისათვის და სათანადო მასალის ნახვაც შეუთავაზებია. ბროდსკის უპასუხია, რომ ამის შესახებ ისედაც ყველაფერი იცის.

## ღმერთთან ღამარცხების გამოცდილება

ბროდსკის ლექსების გაცნობისას გეუფლება განცდა, რომ აბსოლუტურად ტყუილად შეისწავლე კლასიკური რუსული პოეზია, ტყუილად დამშვრალხარ... აქ ვერ იხილავ მის გაგრძელებას. აქ არაფერი განმეორდება და გარდასული პოეტური გამოცდილების ცოდნა მაშველ რგოლად არ გამოგადგება.

პირიქით, შესაძლოა, იფიქრო, რომ ბროდსკი საერთოდაც არ არის რუსი პოეტი. ბოლოს და ბოლოს, თვით ეგენი ევტუშენკოსაც ხომ ასე უპასუხია საბჭოთა უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იური ანდროპოვისთვის?!

დასცქერი რუსულ ანბანს, რომლის ტრილიონი კომბინაცია ტრილიონჯერ გარწმუნებს იმაში, რომ, რასაც ხედავ, აქამდე არასოდეს გინახავს. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველა სიტყვის არსი გესმის, მაგრამ გონებას არ უჯერებ: ნუთუ ამას ამბობს პოეტი? ნუთუ ასეთი რამის თქმა საერთოდ შესაძლებელი იყო? ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვა თავის დაფარულ მნიშვნელობას გიმხელს. მერე გიჩნდება აზრი, რომ ყოველივე ამის მხოლოდ პოეზიად აღქმა შეუძლებელია ან სწორედ ეს არის პოეზია და სხვა დანარჩენი, რაც აქამდე პოეტური ეკვილიბრისტიკის შედეგებად მიგაჩნდა, ბალღის ტიტინი და პროფანაცია... ბროდსკიმ პოეტად ჩამოყალიბების ტრენინგებისთვის მათ მიმართა, ვინც კარგა ხნის წინათ დაევიწყებინა

კლასიკურ რუსულ პოეზიას – გაიხედა პუშკინის მიღმა. და თუ ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ძველი იმთავითვე იქცევა ახლად. მისი ათვისება და გაცოცხლება შეძლო ბროდსკიმ.

ბროდსკის პოეტური სინტაქსი ენინააღმდეგება ყველანაირ კანონსა და ტრადიციას, რომელთა დარღვევისთვის მავანს დასჯა ან საზოგადოებრივი ზიზი – დაშნის (იგულისხმე: კალმის) გადატება – არ ასცდებოდა. მისებურად მეტყველებენ ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ მათ დროში კლასიკური რიტორიკული რულადების ფრქვევა ფარისევლობა იქნებოდა. სიყალბემ შეჩვევა იცის. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ გაემიჯნა მას: დატება სტრიქონი ისე, რომ კეთილხმოვანება დაეკარგა, ერთმნიშვნელოვანი აზრის გამოტანა შეუძლებელი ყოფილიყო. ბროდსკიმ ლექსის ერთი ნახვით სიყვარულის შესაძლებლობა გააქარწყლა. სიყვარული მოითხოვს წვდომას და ხელახალ დასაწყისს, როცა მას გაქრობის საფრთხე ემუქრება ისევე, როგორც ბროდსკის პოეზია. მისი პოეტური მეტყველება წააგავს საუბარს, მაგრამ არა – მასობრივ კომუნიკაციას. მის ლექსებში კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული... რომლებითაც ბნკარი მთავრდება და ხშირად რითმადაც გამოიყენება, იქცევა უნიად, მთელად, განცდის მწვერვალად... ბროდსკი წერდა ძალზე გრძელ ლექსებს, რათა მიეღწია აბსურდისთვის. მისი თითქმის ყველა ნახევარპოემა მთავრდება მაღლიერების სიტყვებით გამჩენისადმი, როგორც ზოგადად, ყველა აბსურდი, და მათ შორის – ცხოვრებაც.

ბროდსკის არასოდეს დაუნერია ან-

ტისაბჭოთა ლექსები, სამაგიეროდ, ყველა მათგანი ანტიტირანულია. ეგებ ეს მისი ზნეობრივი პოზიციის გამოხატულებაც იყო. ანტიკურ პოეზიასა და მითოლოგიაში გაქცევა, ბიბლიური ქვაბულებისთვის თავის შეფარება, წარსულის ტერიტორიაზე გადანაცვლება მალე ჩვევად გადაექცა, და არა იმიტომ, რომ საერთოდ გაურბოდა სინამდვილეს, უბრალოდ, შეეჩვია იმ პოეტურ ლანდშაფტს, რომელშიც კომფორტულად გრძნობდა თავს: მას არაერთხელ დაუდასტურებია, რომ გაცილებით უკეთ ესმოდა საუკუნეთამიღმელების, ვიდრე თანამედროვეების.

ბროდსკიმ ამერიკა საკუთარ აუდიტორიად აქცია. შეიზიზლა (საბჭოეთში ძალზე მოდური) სტადიონებზე ამონთხეული პოეზია და სიმძიმის ცენტრი ლექტორიუმებში გადაიტანა, იქ, სადაც უფრო მეტი შესაძლებლობა იყო ლექსთან tet-a-tet ურთიერთობისა. ის ამერიკელებს რუსულად უკითხავდა ლექსებს და აიძულებდა, მათ იმაზე მეტი გაეგოთ, ვიდრე ამას რუსულ-ინგლისური ლექსიკონით თუ ლექსიკონად გარდასახული მთარგმნელებისაგან შეიტყობდნენ. მან დაამკვიდრა თავისი დროის ამერიკაში (ელიოტისა და სხვა რამდენიმე ინტელექტუალის შემდეგ) ცოდნისა და განათლების პრიმატი, რომელთა გარეშეც თანამედროვე პოეზიას აპოკალიფსი უწინასწარმეტყველა. ბროდსკი წარმოუდგენელია სიტყვათქმნადობის გარეშე – ეს პროცესი ალალებს მას და ღმერთთან მსგავსების მკრეხელურ, მაგრამ ტკბილ განცდას უჩენს... ამით ის ღმერთსაც კი ეპაექრება, რადგან იცის, რომ ღმერთთან დამარცხების გამოცდილებას ვერაფერი შეედრება.

გენო კალანდია



ახალი წიგნიდან  
„საბალობლები უფლისთვის“

●  
უფალო, კარი დავტოვე ღია,  
ნოემბერია, კვირაა, უქმე,  
თავი მოვიკლა – არ არის გვიან  
და არც ადრეა, უფალო, უკვე.

იმდენი ყალბი ნათება ვნახე,  
იმდენი ცა და ცოცხალი გვამი,  
ჯერ მეფის ნავი და მერე მახე,  
ჯერ აშრიალი და მერე კავი.

ვერც განთიადის ვარსკვლავი გავხდი,  
ვერც აკაკივით ამოვთქვი ქება,  
მამულისა და მაცხოვრის ხათრით,  
ვიცავდი ყველა წესსა და მცნებას,

ლექსში – ჯეჯილში ვეძებდი შველას,  
ვით დიდვაჭარი ოქროში, ვერცხლში,  
მთელ ჩემს ქონებას მერჩივნა ხშირად  
შაშვის ჩანგი და ჭიკჭიკი მერცხლის.

ელვით ჩაჭრილი საყელოს დარად,  
მარტის იეზი მეკავა ხელში,  
ათოვდა მთებს და აწვიმდა ქალაქს  
და წვიმა ჰგავდა პატარა შეშლილს.

ჩიტის კალთაში მძინარე სოფელს  
ვეგრძნობდი თორმეტი ფერით და კვამლით  
და, როგორც წყალში ჩავარდნილ ფრინველს,  
მე მხოლოდ შენკენ მეჭირა თვალი.

უფალო, კარი დავტოვე ღია,  
ნოემბერია, კვირაა, უქმე.



უფალო, ბარდა გაექცა ღობეს,  
ჩამოეშალა მუხლამდე თმები,  
მამა მარანში გარეცხავს კოპეს  
და გამოჰყვება ნაბიჯით მხედრის.

ფეიხოს და ფორთოხლის ტევრში  
ჭისკენ ჩიტივით გაფრენილ  
ბილიკს...

დგას დედაჩემი – საბრალო გვრიტი –  
და დღემდე მალავს ფრთებსა და ღიმბილს.



უფალო, ღვინო მოგვართვეს თაფლით,  
თაფლი და ღვინო – ძვირფასი თასით,  
მასპინძლად გვყავდა მეუფე ქართლის  
მგალობლებით და მეკვლეთა დასით.

მეუფეს შავი შვენოდა ფლასი,  
ხატი და ჯვარი, დიდების ღირსი...  
და მომყვებოდა იმ ღამეს სახლში  
ცას შერჩენილი თვალები მისი.



უფალო, ცხელი ზაფხული დადგა,  
ხობზის ფრთასავით აჭრელდა ჰავა...  
ვიგონებ ლოლა ამპარის გაგრას,  
იქ ხელისგულზე მოხარშულ ყავას.

პოეტი იყო – წმინდანი, ჩემთვის,  
მე წმინდანების მივსდევდი ლაშქარს  
და პოეზია, ვით ოქროს ვერძი,  
ჰგავდა ორმოცი მონამის შანდალს.

მესიზმრებოდა მკათათვის ღამით  
ორქიდების ქათქათა ღობე,  
მარჯნის ყურეში მელოდა ნავი,  
თვალ-მარგალიტის ერთადერთ მფლობელს.

ამოვარდნილი მკერდიდან გული  
ზღვის ანგელოზებს ეჭირათ ხელით,  
ვით დარაია და ირმის ცური –  
ბზინავდა მთვარე და ფიჭვის წვერი.

მთები, დაჭრილი ჩერქეზის ისრით,  
ბორცვებზე იდგა ნითელი ფლასით  
და ყარყატივით მღეროდა ნისლი,  
ვით ლოლას თმაში ნყლის ლურჯი ვალსი.



უფალო, შენი მაღალი ნებით,  
სულ ქართლის მზე და სოფელი მახსოვს,  
შებერებულან ერთმანეთს მთები  
ტყუბი ძმებივით და გზა და ახო

ფარდაგებივით ჰკიდია ქედებს,  
მზე ჩადის... დღეა წყნარი და მშვიდი,  
ვწუხვარ... და ვფიქრობ მამული ბედზე  
და სააკაძის გავდივარ ხიდით.

იქ, სადაც ვეფხვი ლამობდა გაჭრას,  
იქ, სადაც დიდი ბრძოლები იყო...  
ფერი უყრია ქერსა და ჭერამს  
და ოქროს ნალი ანათებს მინდორს.



უფალო, ფრთები დავტოვე სადღაც,  
თვალახვეული მოვედი შენთან,  
გამოვვლე ცრემლით ცხრა ქედი, ცხრა მთა,  
რომ შენი მზე და მირონი შევსვა.

მშობელი მამის ღიმილით შემხვდა  
ბერი, მაცხოვრის კეთილი სული,  
მახსოვს შაბათის ალი და სევდა  
და შორეული ბეთლემის ბური.



უფალო, გენოს მიეცი შვება,  
მიეცი ხსნა, რომ ლექსები წეროს,  
ხანდახან კაკლის გახედოს ლებანს,  
მერე – იმ კაკლის ბინდისფერ წვეროს.

გამთენიისას გავარდეს ტყეში  
და ბულბულივით უყეფოს მთვარეს,  
დობილად ჰყავდეს მაისის ნუში,  
მასპინძლად – მთელი მშობელი მხარე.



უფალო, აღარც ვახსოვარ სოფელს,  
სოფელს, რომელიც მიყვარდა ძლიერ,

სოფელს – თორმეტი რაინდის მშობელს,  
ჩონგურის უღალი სიმივით ხნიერს.

სადაც არ უნდა ჩავყარო ძვლები,  
სადაც არ უნდა ჩამოვხდე, შევდგე...  
სოფელი – მზის და ასკილის თმებით  
მემახსოვრება სიკვდილის დღემდე.



უფალო, კოჯრის იები იყო,  
მე რომ მოგართვი მორჩილის ხელით,  
ანგელოზების ცრემლებით იყო  
ის ღვთაებრივი იები სველი.

ბერ-მონაზვნების გალობა იყო,  
ვით ვარდის რთველი მაისის თვეში,  
ქსნის და არაგვის მირონი იყო,  
მე რომ მოგართვი იმ დილას პეშვით.



უფალო, ზღვა რომ დაინყებს ლივლივს,  
მზე რომ ჩაჰკიდებს ფიჭვებში ნათელს,  
აბჯარასხმული ჯვაროსანივით  
შქერთან კალია გახტება განზე.

მეთევზეები ანევენ ბადეს,  
ვით განძით სავსე ზარდახმას მეფის,  
და მესალმება, ვით პიერ კარდენს,  
ზღვა – იებივით ცისფერი პეშვით.



უფალო, ცივა, ქარია გარეთ,  
მინდორ და მინდორ დაფრინავს ძერა,  
საყდართან ვდგავარ... და თეთრი ქარვა  
და საფირონი ანათებს სენაკს.

მინჩხის, შავთელის მიჭირავს წიგნი,  
ვით წინაპართა ჯვარი და საგა,  
დილაა – ცივი, ხმელი და ხისტი,  
როგორც ეკლის და ალოეს ქარგა.



უფალო, აღარ მეთმობა სახლი,  
სადაც გალობით გავითბე გული,  
სიტყვა, ვით ჰანგი, ჰანგი, ვით თაფლი,  
ვით აბრეშუმი და ვარდის წნული.

ნათელი, როგორც ღვთისმშობლის სევდა,  
დიადი, როგორც წყალობა შენი,  
ო, ღმერთო, ღმერთო, მაქციე მტრედად,  
ამავსე შენი იობის თმენით.



უფალო, მწვანე ფიჭვების იქით  
ერთი პატარა საყდარი ვიცი,  
წვიმს და... იქა ვარ მთელი დღე ფიქრით,  
თოვს და... იქა ვარ მარადი ფიციით.

საყდარს, ვარდივით გაფურჩქნილს თოვლით,  
ვაზის თმებით და წმინდანის ცრემლით,  
ვიგონებ, როგორც სამზეოს ობლის,  
როგორც სამოთხეს ღვთისა და თემის.



უფალო, თოვლის გუნდაა, ალბათ,  
ის თეთრი გედი შუაგულ ტბაში,  
ანგელოზების ვარდია, ალბათ,  
იასპისა და შროშანის ნაყშით.

მთვარის მთავარი სიმია, ალბათ,  
გადაჭიმული სიმიდან სიმზე,  
ბერ-მონაზვნების გვრინია, ალბათ,  
სულზე – შენი ძის ღვთაებრივ სულზე.

მზის აღმაცერი სხივია, ალბათ,  
მეუფის ნაკურთხ პურზე და წყალზე,  
გვემულთა ხმა და ურვაა, ალბათ,  
მტკვართან, მეტეხთან ნამებულ ყმაზე.



უფალო, თოვლის დედოფალს ჰგავდა  
გოგო, რომელიც მღეროდა თოვლში,  
გოგოს – სეზანის იისფერ იგავს –  
შვენოდა სველი ლოტოსის ქოში.

და გულს, ქორივით უბეში დაბმულს,  
შველოდა მისი შუქი და ალი...  
ათოვდა ზღვას და ათოვდა ბათუმს,  
ელავდა ბუნდად ქოროხის წყალი.



უფალო, თაფლის კვერივით ფეთქავს  
ვაზის ნინველი კვირტი და ცრემლი,



ცრის და... ობობა – მწირი და მსხემი –  
ფეიქარივით ქსოვს ვერცხლის თექას.  
დგას ბალისკართან ქცეული ლანდად  
კაცი, ნისლივით სოველი თვალით,  
როს ტანის რწევით ჩაუვლის ვარდებს  
ლაზარიების ლამაზი ქალი.



უფალო, ყვავის ბუდეა ჩემთვის  
მდინარის გაღმა ის ძველი სახლი,  
მიდის და მოდის იქ უცხო ხალხის,  
იქ უცხო ტომის ქალი და ბაღლი.

იქ ჰაჯის ნებით ჰხურავენ კარებს  
და მსახურება იწყება მკაცრი...  
მიდის და მოდის იქ უცხო გვარის,  
იქ უცხო სისხლის ქალი და კაცი.



უფალო, ნათლის სვეტივით ბრწყინავს  
მაისის ფერში მწვერვალი ერთი,  
თითქო საყდარში გვერდიგვერდ დგანან  
იესო ქრისტე და მამა ღმერთი.

ცა, შეთრთვილული ალოეს ცრემლით,  
თითქო წმინდანებს უჭირავთ მხრებით,  
რა კარგი დღეა... რა გზა და ველი,  
რა იდუმალი შუქი და ხედი?!



უფალო, ცხენით მივდივართ ურთას,  
მე და აკია – ბაიას მამა,  
ცხენს ყვავილივით უხდება ფუთა  
და აშრიალებს ქერსა და ფაფარს.

მზე აჰყოლია ოდიშის ქედებს,  
ვით მაგლობელი ტყესა და მაღლობს,  
აქ, მგონი, ფეხი დაუცდათ მტრედებს,  
საკალანდიოს და ჯუმის ახლო.

ვუახლოვდები მშობლიურ სოფელს,  
მოჩითულს თხმელის და ცაცხვის ჩრდილით  
და ვხედავ, გლეხი ამაგრებს ღობეს  
აკაცეების შავ-თეთრი კბილით.

რძალ-დედამთილი ქიშკართან დგანან  
პირიმზისა და პირვარდის სახით,  
აბალახებენ თხასა და თიკანს  
მამა და შვილი კაკლების ბალით.

შროშნები ჰგვანან დედოფლის სურებს  
ლილიფარებით და ღრუბელ-ნიშით,  
ყივანახველა სჭირთ ინდაურებს  
და ქორწილები აყრყოლებთ ძილში.

ღმერთო, მომეცი ძალა და ნიჭი,  
ვიფიქრო შენზე და სოფლის ბედზე,  
რომ გზისპირ ვიდგე, ვით მწვანე ფიჭვი  
და ვიშრიალო სიკვდილის დღემდე.



უფალო, ოდეს განათდა ფიქრით,  
ოდეს გაეხსნა მესამე სუნთქვა,  
დაჯდა, დანერა ლოცვების წიგნი  
ღვთის ცრემლებივით მჭვირი და სუფთა.

ბევრჯერ იწვინა შური და ღვარძლი,  
არ დაჰკლებია წვიმა და თქეში...  
და მოკვდა, როგორც მდიდარი კაცი –  
სჯულის კანონით და ხატით ხელში.



უფალო, ჩემი ანდერძის ქალაღდს,  
ამშვენებს შენი დასტური დღემდე!  
რომ შენთან, ცაში, რომ შენთან ახლოს,  
ვიქნები ჩემი სიკვდილის შემდეგ.

ზეცა – ვით მიწა, მიწა – ვით ზეცა,  
იქნება ჩემი აკლდამის კარი  
და იშრიალებს ვაზი და ძენწა –  
ჩემი ცრემლების წვიმებით მთვრალი.



უფალო, ქართლის მზესავით ფეთქავს  
ალადასტური და ვარდის გული,  
მე მოსალოცად მივდივარ მცხეთას  
ჯრუჭის ოთხთავით და ვაზის წნულით.

კარებთან მხვდება მანათობელი,  
როგორც ოდესღაც მშობელი მამა,

ლოცულობს მრევლი და მღვდელთამღვდელი  
ჰყვება ორმოცი მოწამის ამბავს.



უფალო, სანთელ-საკმევლით ვივლი  
შენი ძის მიერ დანინდულ გზაზე,  
დედას პურივით მჭვრი და თბილი,  
სოფლის ჭასავით სიცოცხლით სავსე.

ანათებს... ბრწყინავს სახელი მისი –  
ოთხი ფრთით, ოთხი მთავარი კიდით,  
მშობლის გულივით სუფთა და თბილი,  
მშობლის ხმასავით სანდო და მშვიდი.



უფალო, მრევლის სახელით გეტყვი,  
მამა ხარ, ძე ხარ, წერა ხარ ჩვენი,  
აქა დგას შენი ტახტი და ეტლი,  
მცხეთასთან ბალახს ძოვს შენი ცხენი.

საკურთხეველზე, ხატების გვერდით,  
დევს შენი სიბრძნის დიადი წიგნი,  
შემკული ლურჯი ბისონის ლენტით,  
შეკრული მრევლის ცრემლით და ფიცით.



უფალო, ისე ლურჯია მთები,  
ისე მშვიდია შროშნების ველი  
და ჭანისწყალზე, ვით ტყუპი დები,  
ალვები – ღვთისკენ განვდილი ხელით.

მზე ამოაგდებს აგვისტოს კალმასს,  
როგორც ლაჟვარდის მენამულ ნაჭერს,  
ღმერთო, შეუნდე ამის დამნახველს,  
ამის შემოქმედს და ამის დამწერს.

ლანა მანველი



### სიცოცხლე დედის გარეშე

შექსპირის მიერ ხოტბაშესხმულ ქალაქს, კარგა ხანი იყო, ღრმა ძილით ეძინა. ფაიფურის უამრავ, პატარა ქანდაკებებით სავსე საძინებელშიც მშვიდად ფშვინავდა ოთხმოც წელს გადაცილებული რაფაელა მორმილე – ქალიშვილობაში ჟანა ლორანი, რომელიც თავის ნამდვილ სახელსა და გვარს მაშინ გამოემშვიდობა, როდესაც მამას არ დაუჯერა, მშობლიური კერა დატოვა და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ვერონელ რობერტო მორმილეს. ეს ამბავი გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მოხდა. მას შემდეგ ჟანას აღარასოდეს ჩაუსუნთქავს ლა როშელის ნოტიო ჰაერი. ნაწყენმა რობერტომ, მას შემდეგ რაც შეიტყო, მათი ქორწინებით გაბრაზებული მშობლები ჟანას არამცთუ რამეს არგუნებდნენ მემკვიდრეობით, არამედ საერთოდაც უარყოფდნენ მის არსებობას, სასწრაფოდ შეუცვალა სახელი და გვარი ცოლს. ჟანას იმედი ჰქონდა, ოდესმე მაინც შეურიგდებოდნენ მშობლები. განსაკუთრებით პირველი ორსულობის დროს გრძნობდა საშინელ ნოსტალგიას, ფიქრებში ელაპარაკებოდა დედას, ხანდახან მამასაც. ერთხელ პატარა ვაჟიშვილების – რობერტოსა და ფედერიკოს ძალიან საყვარელი ფოტოც გააგზავნა ლა როშელში. მიუხედავად იმი-

სა, რომ თვალეები დააწყდა ფოსტალიონის მოლოდინში, არა და არ გამოჩნდა საპასუხო წერილი.

ბევრი სიმწარე და თავზე გადავლა ნახა ჟანამ უხეში და თავისნათქვამა ქმრის ხელში. ხშირად უფიქრია ნამტირალევს და გულდათუთქულს შინ დაბრუნება, მაგრამ, რომ წარმოიდგენდა უარესად გამკაცრებულ მამასა და მასზე არანაკლებ ავტორიტატულ დედასთან შეხვედრის სიმძიმეს, ატკიებულ გულში შვილებს იხუტებდა და მწარე ცრემლს იშრობდა. სატანჯველი ცოლქმრული მოვალეობის შესრულება და ქრის უამრავი ნათესავის გამასპინძლება-მომსახურებაში შემოადნა წლები. შვილებზე ზრუნვა ტვირთად არ აწვა, ის კი ძალიან სწყინდა, ბიჭები მის ფრანგულ ლაპარაკს იტალიურით რომ პასუხობდნენ. ერთადერთი ფრანგული სიტყვა, რომელიც მათი პირიდან მოისმოდა „MAMAN“ იყო. როდესაც შვილები დედას ფრანგულად ეძახდნენ, ჟანას უსაზღვრო სითბოთი ევსებოდა გული და ცდილობდა, ამ ბედნიერი შეგრძნებით გაეთბო აუტანელი ყოფა.

ნინომ კომპიუტერთან მოხრილი ხერხემალი ორივე ხელის წელზე შემოჭერით გაასწორა და უკვე მერამდე-

ნედ მისცა თავს პირობა, ფეისბუქში მხოლოდ განსაზღვრულ დროს იბოდილებდა და ძილს აღარ მოაკლებდა ისედაც გადაღლილ ორგანიზმს. სწრაფად ჩააბნელა მონიტორი და სიჩუმეში ერთხანს გაირინდა. არწივებიანი კედლის საათი სამის-ნახევარს უჩვენებდა.

წამოდგა, უხმაუროდ შევიდა სააბაზანოში, სარკეში თავის გამოსახულებას მორიდებით შეავლო თვალი; დანითლებული გუგების შერცხვა. კიდევ უფრო უხერხულად იგრძნო თავი, როცა გაიხსენა, რას აკეთებდა ამდენ ხანს ინტერნეტში. ჩუმ-ჩუმად რომ მოიარა მთელი სანათესაო, თუმცა რა ჩუმად, მაინც ვერ გაიგებდნენ მის შესვლას საკუთარ პროფილებზე, მაგრამ ნინომ ხომ იცოდა, ქურდულად იპარებოდა და ათვალერებდა წლების წინ დაკარგული ძმისა და მისი ოჯახის წევრების ფოტოებს, ბიძაშვილის ახლად ატვირთული სურათებიც ნახა და კიდევ წლების მერე გამოჩენილი, ავზნიანი ნახევარი დისშვილების კედლებიც ხომ მოინახულა?! სარკეს თვალი აარიდა და მანქანაში ჭუჭყიანი სარეცხი შეყარა. გაამზადა, თორემ ახლა ნამდვილად არ აპირებდა მის ამუშავებას და რაფაელას გამოლვიძებას მისი გრუხუნის გამო. პირველ ხანებში რობერტოს ან ფედერიკოს ყოველ გამოჩენაზე, მანქანის გარემონტებაზე ან სულაც ახლის ყიდვაზე იწყებდა ლაპარაკს. მერე მიხვდა, რომ შვილები მოხუც დედას იმაზე მეტ კაპიკს არ დაახარჯებდნენ, რასაც ყოველი თვის ოთხ რიცხვში პედანტური სიზუსტით უთვლიდნენ ნინოს ხელში და თავი მიანება.



ჟანამ რობერტო მამამისის საკონდიტროს გვერდით მდებარე პიცერიაში მუშაობის დროს ნახა. მისი წესიერად გაცნობა აზრდაც არ მოსვლია, ისე სწრაფად ააბრიალა გულში სიყვარულის კოცონი. თითქოსდა ბავშვურ ოცნებებს შეასხა ფრთები და რობერტოც იძულებით წამოსვა თეთრ რაშზე. დღე

და ღამე მასზე ფიქრობდა, ოცნებების ცისფერ კომპებს აგებდა და მერე თვითონვე იჯერებდა. შავგვრემანი იტალიელი კი ამბიციური მისწრაფებებით ეტრფოდა მეზობელი საკონდიტროს მეპატრონის ქალიშვილს. პედანტი ფრანგი სულაც არ ფიქრობდა, ქალიშვილი მოუნესრიგებელი და ხმაურიანი იტალიელისთვის მიეთხოვებინა. ერთ საღამოს სახლში საშინელი ჩხუბიც გამართა მის გამო, რაც ცოლის გულის წასვლითა და ჟანას თავის მოკვლის გეგმით დასრულდა. მთელი ღამე ფანჯარასთან გაატარა, ბოლოს თვითმკვლელობა გათხოვების გეგმით შეცვალა და გამთენიისას კმაყოფილს ჩაეძინა.

მეორე დღეს გაბედულად შეაღო პიცერიის კარი და რობერტოს შეყვარებული თვალები შეანათა. მისი გეგმის მიხედვით, რაც შეიძლება მალე უნდა გამხდარიყვნენ ცოლ-ქმარი. ახალგაზრდა კაცი ჯერ დააბნია ამ შემოთავაზებამ, მაგრამ, რომ წარმოიდგინა საკუთარი პერსონა გვერდით მდებარე საკონდიტროს ახალგაზრდა მეპატრონის ამპლუაში, მასაც ჭკუაში დაუფჯდა ჟანას დაჟინებული და ცოტა არ იყოს უცნაური წინადადება. ამ დღიდან ერთი კვირის შემდეგ, ღამით, ქალიშვილი ფანჯრიდან გადაძვრა და რობერტოს ცოლად გაჰყვა. შესარიგებლად რომ მიადგნენ ლორანების სახლს, კარი მჭიდროდ ჩარაზული დახვდათ, შიგნიდან კი მრისხანე ყვირილი მოესმათ: ახლავე თუ არ მოსცილდებით აქაურობას, პოლიციას გამოვიძახებთო!.. ასე გაქრა რობერტოს ოცნება პიცერიის მეპატრონეობაზე, ხოლო ჟანას სამუდამოდ გაუნყდა წარსულთან დამაკავშირებელი ძაფი... სულ მალე იძულებული გახდნენ, საფრანგეთი დაეტოვებინათ და იტალიაში გამგზავრებულიყვნენ.



ნინო გამოციებულ ლოგინში ჩაწვა და გაიტრუნა. კარგი იქნებოდა დაეძინა, მაგრამ ისევ ფიქრებში ჩაიძირა.

დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, სკოლაში რომ სწავლობდა, ერთხელ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ წაიკითხა, ვერონაში ჯულიეტას კლუბისა თუ რალაც ამგვარის არსებობის შესახებ. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გზავნიდნენ თურმე ჯულიეტას სახელზე წერილებს და პირობითი ჯულიეტაც შესაბამის პასუხებს უბრუნებდა ადრესატებს. მაშინ წინოც შეყვარებული იყო, თუმცა რა იყო ის გრძობა – სიყვარული თუ უღიმღამო ცხოვრებიდან გაქცევა, დღესაც ვერ გაეგო. მშობლებისგან ყოველთვის განიცდიდა სიყვარულისა და სითბოს ნაკლებობას, რაც კიდევ უფრო გამოიკვეთა მათი გაცილების შემდეგ. საკმარისი იყო, ვინმესგან ოდნავი სითბო და ყურადღება ეგრძნო, მაშინვე მასთან გარბოდა მისი გული. წამში ააგებდა ულამაზეს კოშკებს და იმაზე არ ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა, თავზე დამხობოდა ეს ყველაფერი. რაც უფრო მალლა აფრინდებოდა ოცნებებში, ყოველთვის უფრო მწარე იყო ძირს დანარცხება. მისი ნაადრევი გათხოვებაც უფრო სახლიდან წასვლის სურვილი იყო, ვიდრე გააზრებული სერიოზული ნაბიჯი.

რა ბედნიერება იყო, ღმერთო! ვილაცას ძალიან შეუყვარდა, თურმე რა ლამაზი ყოფილა ცხოვრება. თითქოს არასდროს ეტირა ღამეულ სიმარტოვეში გულშეკუმშულს, თითქოსდა სიყვარული მხოლოდ მისთვის აფრქვევდა ათასფრად აციმციმებული სიხარულის სხივებს... დაცემაც ზუსტად ისეთი ძლიერი და დამანგრეველი აღმოჩნდა, როგორიც აფრენა – დაქვრივებული წინო, ჩვილით ხელში, გაბოროტებული ადამიანების გარემოცვაში, კიდევ უფრო ცუდ დღეში აღმოჩნდა. ხშირად უფიქრია მაშინაც და მერეც – რატომ ექცეოდა საკუთარი დედა ასე მკაცრად და უგულოდ? რატომ ჰკრავდა ხელს თავისი ცუდი მოპყრობით ისედაც დაჩაგრულ შვილს? რაც თავი ახსოვ-

და, სულ გაქცევის გეგმებს აწყობდა. სურდა, მალე გასცლოდა მშობლიურ კერას. დედამისის მწარე სიტყვებითა და ძმის უხეში მოპყრობით დახანჯლული, უსუსურობის სევდაში კვდებოდა. ახლაც, ამხელა ქალს პატარა ბავშვივით ატირებდა დედის საქციელი. როგორ უნდოდა, გაუსაძლისი ცხოვრების ერთ-ერთ ძლიერ დასაყრდენად დედა ჰყოლოდა. ის კი ძმასაც მის წინააღმდეგ განაწყობდა და მოუშუშებელი სულიერი დარტყმების მიზეზი ხდებოდა.



ვერონაში ახალ ცხოვრებასთან შეგუებას ცდილობდა ჟანა. სიყვარულით დაბრმავებული ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევდა რობერტოს დაუფიქრებელ გამოხტომებს, რომლებიც ძირთადად ბოდიშის მოხდითა და მათი შერიგებით სრულდებოდა. რამდენჯერმე ჯულიეტას სახლსაც ესტუმრნენ. მისი რომეო არცთუ ისე ძალიან ჩამოჰგავდა ნამდვილს, მაგრამ შეყვარებული ჯულიეტა იმედიანად უყურებდა მომავალს...

როგორც ერთბაშად აალებულმა ცეცხლმა იცის უცბად ჩანავლება, ასე ჩაუქრა ჟანას სიყვარულის კოცონი. ჩაუქრეს, თორემ თავად მთელი არსებით ცდილობდა ხელებში არ გასხლტომოდა ქალიშვილობაში ნაოცნებარი ლამაზი ოჯახის ლანდი. რაც უფრო მეტ ტანჯვასა და ტკივილს აყენებდნენ, მით უფრო ენატრებოდა დედა. ფიქრებში შესჩიოდა და რჩევას სთხოვდა. ზოგჯერ უბრაზდებოდა, მერე ტიროდა. წვალობდა, საკუთარ თავს იგვემავდა. ასაკში რომ შევიდა, მაშინაც არ გადაუარა დედის მიმართ წყენამ. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეკრა მშობელს ხელი შვილისთვის. მამას ისე არ უბრაზდებოდა, დედისგან სტკიოდა ძალიან. ცალკე მშობლებისგან უარყოფის სიმძიმე, ცალკე რობერტოსგან მიყენებული ტკივილების წნეხი უსპობდა ნორმალური ცხოვრების ხალისს. ერთადერთი, რაც აძლებინებდა, შვილების მოვლა-პატრო-

ნობა იყო. სიმკაცრეს არასდროს იჩენდა მათ მიმართ, ზედმეტად ღმობიერადაც კი ზრდიდა. გაუთავებელი ოჯახური აურზაურის გამო, თავს დამნაშავედ თვლიდა. ოჯახში ყველა უფროსობდა: რობერტო თავისთავად, მერე დედამისი, ძმები. ქმრის ბიძაშვილებიც რომ ესტუმრებოდნენ ხოლმე თავიანთი მონაგარით და ატყდებოდა ერთი აურზაური, მაშინ ყველაზე მეტად უნდოდა სახლიდან გაქცევა. აივანზე გაგარდებოდა და გასიებულ გულს ლა როშედან (თვითონ ასე წარმოიდგენდა ხოლმე) მონაბერ ქარზე იგრილებდა.



იტალიაში ნამოსვლა რომ გადაწყვიტა, ამით წარსულთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტაც ჰქონდა განზრახული. ერთადერთი შვილი გაუთხოვდა. დედამისის განუწყვეტელი ჩარევების გამო წლების განმავლობაში მასთანაც ვერ დაამყარა უშუალო დედაშვილური ურთიერთობა. სიძეც რომ ჩაუსახლდა, მიხვდა, ასე ვერ გაძლებდა, რალაც უნდა ელონა. ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მუშაობდა ბიბლიოთეკრად, ხელფასი არასოდეს ჰყოფნიდა, მაგრამ ოჯახის წევრთა მომატების შემდეგ მით უფრო ბევრი საფიქრალი გაუჩნდა. მისი ოროთახიანი ბინის ყოველი კუთხე-კუნჭული დაკავებული აღმოჩნდა და ნინოსაც წასვლის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. დახმარებით დაქალი დაეხმარა, ფული ასესხა და გზაც დაულოცა. თავდაპირველად რამდენიმე ქალთან ერთად ცხოვრობდა პატარა ბინაში და იტალიურ ენას სწავლობდა. მერე სამოცდაათი წლის ჯოვანისთან გაამწესეს და ნინომაც იქ დაიდო ბინა. თან უვლიდა, თან იტალიურის შესწავლას განაგრძობდა. მთელი ბინა გადაუკრიალა, ათასი ზედმეტობა გადააღაგა და სარდაფში ჩაიტანა. საკუთარივით უვლიდა ყველაფერს, აქ ასეთი დაუნერევი კანონი მოქმედებდა – ყველა სახლი, სადაც კი მოგინევდა მუშაობა, შენიც იყო, ერთპიროვნული დიასახლისი ხდებოდი და

თითქოს შენიანს უვლიდი. ასე უფრო ადვილი ხდებოდა გაძლება, ამიტომაც ეძნელებოდათ ქალებს ადგილების შეცვლა. კი, მართალია, უკვე ნაშოვნი სამუშაოს დაკარგვაც ძნელი იყო ფინანსური შემოსავლის გამო, მაგრამ ოჯახებსა და საკუთარ ბუდეებს მონყვეტილი დიასახლისებისთვის, ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა სხვებისაზე მიჩვევა და იქ ტრიალი. ჯოვანი ჩანოლილი არ იყო, მესხიერება ეკარგებოდა ხანდახან. როცა საღ გონებაზე იყო, ნინოს ჯულიეტას ეძახდა. კეთილი და პატიოსანი კაცი იყო. ზოგჯერ აივანზე საათობით ჯდებოდა და შორეთს გაჰყურებდა. ვინ იცის, იქნებ თავის ნამდვილ ჯულიეტაზე ფიქრობდა, რომლის ფოტოც საწოლზე ჰქონდა დასვენებული და მასთან ერთად იძინებდა ყოველ ღამით. ცოლის ფოტოსთან ჩახუტებული გაემგზავრა ერთხელაც სამუდამოდ. კუბოშიც ხელში ეჭირა და არც არავინ ცდილა ჩარჩოს გამოთავისუფლებას გაყინული თითებიდან...

რაფაელასთან ჯოვანის გარდაცვალებიდან ერთი კვირის თავზე მოხვდა. მაშინ ის ჯერ კიდევ დადიოდა და მარილებს მთლიანად არ მიეჯახვა ლოგინზე. ნინო რომ ბინას ალაგებდა, სულ ბოდიშებს უხდიდა: დავბერდი, თორემ მე გამოვგვიდი, ასე არ დაგახვედრებდიო! კარადებში სულ ჩანიკნიკებული ჰქონდა ნიგნები და ჭურჭელი. ყველაფერი ნესრიგში ჰქონდა, ეგ იყო, რომ დამტვერილიყო მხოლოდ. სამზარეულო და ტუალეტ-სააბაზანო პირველივე დღეს გაუსუფთავა. დალილიმა ჩაი მოამზადა და მასპინძელი ვერანდაზე მიიწვია. რაფაელამ დიდხანს უყურა ღიმილით და მერე დაჟინებით ჩაეძია: დედა თუ გყავსო?!

დედა თუ გყავსო? – ამაზე ძალიან გულს რა ატკენდა ნინოს! დედა თუ გყავსო?!

მწარედ გაიღიმა, ადგა, მოხუცთან მივიდა, ჩაიმუხლა, დამჭკნარი ხელები დაუჭირა და: შენ იქნები ჩემი დედაო? – ჰკითხა.

რაფაელას ცრემლი ჩამოუგორდა და-  
ნაოჭებულ, თუმცა ისევ კოსტა ლანჯზე  
და აკანკალებული ხელით თავზე მოე-  
ფერა.



წლებმა ისე სწრაფად გადაუქრო-  
ლეს, ჟანამ თვალის მიდევნებაც ვერ  
მოასწრო. ბიჭები გაიზარდნენ, დაო-  
ჯახდნენ და თავ-თავიანთი ბუდეე-  
ბი მოაშენეს. რობერტო კიდეც უფრო  
ჯუჯულუნა და უხასიათო გახდა. ხან  
ცოლს ემდურებოდა, ხან შვილებს. რა-  
ღაც ნივთს მოიკითხავდა და მის ძებნა-  
ში მთელ სახლს ურევდა, მერე გაასხენ-  
დებოდა, რომ ან პიცერიაში ჰქონდა ნა-  
ღებული ან სულაც, სხვისთვის ერუქე-  
ბინა. ჟანას სახე და გული ერთნაირად  
ელრიჯებოდა მის ქცევებზე.

– განა რა დავაშავე ასეთი, ამ კაცს  
რომ შევალე მთელი ჩემი სიცოცხ-  
ლეო! – ნუხდა და გულის კუნჭულში,  
აღბათ, უკვე, კარგა ხნის წინ გარდა-  
ცვლილ დედას უბრაზდებოდა ისევ.  
რობერტომ სიკვდილამდე ცოტა ხნით  
ადრე ყურთასმენა დაკარგა. აი, მაშინ  
კი მოიოხა გული ჟანამ. რაც კი საყ-  
ვედური ჰქონდა გულში დაგროვილი,  
სულ ერთიანად გადმოულაგა ქმარს,  
თან რომეოს ეძახდა და დასცინოდა.  
კაცი გაბრაზებული აშტერდებოდა და  
ხელებს უქნევდა. ქალი ვითომ სერიო-  
ზულდებოდა, მერე ზურგს უკან ენას  
უყოფდა და ყველაზე ცუდ იტალიელ  
მეპიცეს ეძახდა. გარდაცვალების დღეს  
სახლიდან არ გასულა, მთელი დღე სა-  
ვარძელში იჯდა და გაზეთებს კითხუ-  
ლობდა. ჟანამ ფინჯნით უშაქრო ყავა  
მიუტანა და სამზარეულოში გაბრუნდა.  
ცოტა ხანში ხმაური შემოესმა. დაელო-  
და, იცოდა, ამას რობერტოს ხმამალა-  
ლი დაძახება მოჰყვებოდა – „რაფაელა!  
რაფაელა! სად დაიკარგე, შე... წყეუ-  
ლო ფრანგო!..“ ხმაურს სიჩუმე მოჰყვა.  
ჟანა ერთხანს გაყუჩდა, მერე წყნარად  
შევიდა ოთახში და ძირს დაცემული

რობერტო დაინახა... სასწრაფო დახმა-  
რების მოსვლამდე იატაკზევე გადაან-  
ვინა გულალმა და თვალები დაუხუჭა.

მისი რაფაელობა დამთავრდა. ახლა  
უკვე ჟანა იქნებოდა. ერთადერთი სურ-  
ვილი რაც ჰქონდა, ის იყო, რომ სიმშ-  
ვიდეში გაელია დარჩენილი დრო. გული  
ჰქონდა ძალიან დაღლილი. განა ადვი-  
ლი იყო ამხელა ტკივილის ტარება მთე-  
ლი ცხოვრების მანძილზე?! მშობლებმა  
უარყვეს მისი არსებობა. მაინც ყველა-  
ზე მეტად დედა სტკიოდა. დაბერდა  
ქალი და ისევ დედისგან ვერმიღებული  
სითბო ენატრებოდა. მარტო რომ დარ-  
ჩა, უფრო მოტყდა, თითქოს აქამდე  
რობერტოს ჯიბრზე იყო მხნედ. ფეხები  
ანუხებდა და სიარული უჭირდა. შვი-  
ლებმა უცხოელი მომვლელი რომ მი-  
უყვანეს, თავი საშინლად იგრძნო. არ  
უნდოდა, მის ნივთებს სხვა ქალი შეხე-  
ბოდა. უთხრეს, რომ ნინო წესიერი და  
კარგი ხასიათის იყო. მართლაც, ასეთი  
აღმოჩნდა მომვლელი. სახლი ისე და-  
ულაგა, არც ერთი ნივთი არ გადაუა-  
დგილა, ძველი წესრიგი შეინარჩუნა,  
მხოლოდ გაასუფთავა. რაღაცით მას  
ჰგავდა. ზოგჯერ ფიქრობდა ხოლმე,  
ნეტა გოგო რომ მყოლოდა, როგორი  
იქნებოდაო? – ნინოსნაირ შვილს ინატ-  
რებდა. გაყინული გული გაუთბო ამ  
უცხოელმა.



ნინო ვერაფრით ვერ იძინებდა. ხან  
ფანჯარა გამოაღო, ხან საბანი წაიფა-  
რა თავზე. ერთხანს აივანზეც გავიდა  
და ვერონას გახედა. რაღაც უცნაური  
გრძნობით ევსებოდა გული. ოთახში  
შებრუნებულმა თავის საწოლს გვერ-  
დი აუქცია და რაფაელა-ჟანას ოთახ-  
ში ფრთხილად შევიდა. ღამის ნათუ-  
რა ოდნავ ანათებდა მოხუცის სახეს.  
მიუახლოვდა და საწოლთან ჩაჯდა.  
ქალს საბნიდან ხელი გამოეყო. ნინომ  
ფრთხილად მიუახლოვა თითები და  
მოეფერა. ეფერებოდა და თან ძალიან



ჩუმად, ისე რომ არ გამოეღვიძებინა, ეჩურჩულებოდა: „დედაჩემი იყავი რა, ჟანა... დედას დაგიძახებ... გთხოვ, ჩემი დედა იყავი, რა...“ ცრემლები ლაპალუ-

პით ჩამოსდიოდა... უეცრად ხელი გატოკდა და თავზე შეეხო, ნინომ თავი ასწია და გამოეღვიძებულ ჟანას შეეფეთა. ქალი ტკივილიანად უღიმოდა...



ანდრო ბუაჩიძე



### ხელი ჩემი ფანჯრიდან

ეს არის ჩემი ხედვის ნერტილი. საღამოვდება და მე შემიძლია ჩემი მაღალსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულიდან გავხედო სივრცეს, გავხედო თრიალეთის ქედს, ქვემო და ზემო ბაგებს, წყნეთს, შორს, ქედის ხერხემალზე გამწკრივებულ მუქყვითლად მოციმციმე ელნათურებს. იქით ბეთანიაა, კიკეთია, მანგლისია, მარადისობაა, სხვა მხარეა, უკვე განვლილი ცხოვრებაა, ენით უთქმელი ნაღველია. ნუცუბიძის ფერდობიდან გავცქერი სივრცეს, რომელსაც მწუხრის ხავერდი ნელ-ნელა ეფინება. ჩიტები უკვე ხმადაბლა ჟივჯივებენ, თავშესაფარს ეძებენ და სწრაფად სერავენ ცას, რომ საბუდარი მონახონ და მაღალსართულიანი სახლების ნასვრეტებს შეეხიზნონ. ზედ თრიალეთის ქედზე მუდმივი წითლად მოციმციმე ანძა ენთება. იქ რაღაც ელსადგურია თუ სამხედრო ნერტილი – წითლად ციმციმებს შუალამისასაც, წითლად აკვესებს თავის წვეთოვან შუქს წყვდიადის რელიეფზე.

უკვე ბლანტი მწუხრი წვება კვიპაროსებს შორის. ქვემოთ, ვაკის სასაფლაოზე, ღამით უცხო ფრინველი მოფრინდა. ღამის ჩიტია – ალბათ, ბუციოტი – ჯერ დუმს, მაგრამ მალე დაიწყებს თავის მონოტონურ გმინვას.

ბავშვობაში და სიჭაბუკეში თუ

გამოკვეთილ მელოდიად აღიქვამდი ცხოვრებას, ახლა უკვე, როცა შენს უკან წარსული დგას, უფრო ზუსტი იქნება, რომ ვთქვა, ახლა, როცა შენში წარსული შრიალებს, შენ კიდევბშელენილი ნიჟარა ხარ, ოღონდ სხვისი ყურთასმენისთვის დახშული ნიჟარა. შენივე ხმა მხოლოდ შენ გესმის. ერთი პოეტისა არ იყოს, სხვისთვის განდობილი ყოველი აზრი სიყალბეა, უაზრობაა, ქარის დევნაა და ამიტომაც ბოლომდე ეძლევი შენს თავს, შენს შინაგან ხმას, რომელთან ერთადაც იძინებ და სიზმრებში გადადიხარ, მანამდე კი, ვიდრე დაიძინებ, შენს წარმოდგენაში, შენს თვალსაწიერში მოქცეულ საფლავეებს შორის დადიხარ და წყვდიადს აკვირდები. აქ სხვა თვალი არ არის, მარტო შენ ხარ, ეს თვალისთვის მუდმივად უხილავი სივრცეა და ამიტომაც სხვისთვის მიუწვდომელი. ეს ვაკის სასაფლაოა, რომელიც ჩემი ფანჯრიდან მოჩანს და საიდანაც ასხლტება მაღალი ელნათურის მოყვითალო სხივი და საფლავის ქვას დაეცემა. აქ, ფაქტობრივად, მეტი არაფერი არ ხდება, მხოლოდ გამჭოლი სინათლის თამაშია. დღისით, რა თქმა უნდა, აქაც აღწევს დამქანცველი ყოველდღიურობის რიტმი და იშლება გაქვავებული მუდმივობის კვალი, მაგრამ ღამით კვლავ იღვიძებს ეს მუდმი-

ვობა თუ მარადისობა და ყველაფერს თავის ჩამუქებულ ჩრდილს აფენს. გაუხშობელი ურბანიზმისა და მეგაპოლისების ეპოქაში, რომელმაც თბილისის „სისხლის მიმოქცევა“ შეცვალა, მხოლოდ აქ არის შემორჩენილი სიმყუდროვე.

საფლავებს შორის დარჩენილ ვინრო გზაზე ურიკა აგდია, გზისპირას გადაჭრილი ჟანგიანი მილიდან კი წყალი მოწვეთავს. მხოლოდ ყოველივე ამის შემხედვარეს შეიძლება გაახსენდეს, რომ აქაც არის სიცოცხლის ნიშანწყალი, რომ აქაც ელიზიუმია ან პანთეონი, ხსოვნაა და მხსოვნელი, რომელიც ამ მაღალი კვიპაროსების ძირში ეძებს თავის ადგილს.

აქ არის ჩემი ხედვის წერტილი. როდესაც ზაფხულის ბინდში ჩემი მაღალი კორპუსის ფანჯრიდან გავყურებ თრიალეთის გაშლილ ქედს, ვგრძნობ მის ფორმას. ამ ქედის კონტური მოძრავია და ტალღოვანი, მისი ყველაზე მაღალი მონაკვეთი კი თითქოს სხვა პერსპექტივაში ძევს და სალამოობით სხვაგვარი შუქით იფინება. თრიალეთის ქედი მარადისობის ნაღვლით არის შემოსილი.

ქედის ქვედა ნაწილში ღამლამობით ელნათურებით განათებული წყნეთის ტრასაა. ეს ტრასა ჩარეცხა ამას წინათ თრიალეთის ქედის ღარიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა და ახალდაბა გადასერა, მერე კი მდინარე ვერეს შეუერთდა და ქალაქში წარღვნად მოვარდა.

შევცქერი ჩემი ხედვის წერტილიდან თრიალეთის ქედზე, ელნათურებით განათებულ ტრასას, სადაც მანქანები ერთმანეთის საპირისპიროდ სინათლის წვეთებივით მიისწრაფვიან. ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ეს ტრასა მუდმივობა და მარადისობაა. ვგრძნობ, რომ მიიწურა ჩემი ცხოვრების ერთი მონაკვეთი და ამ განათებულ ტრასაზე ისევ მოძრაობენ პანია სინათლეები...



ასეა ყოველდღე... სალამოობით ზემოდან დავყურებ ჩემთვის კარგად ნაცნობ ლანდშაფტს, რომელიც თრიალეთის ქედის ქვეშ არის გაშლილი. იქ, სადაც კვიპაროსებისა და ნაძვების ხშირი ტევრია, ორი – საბურთალოსა და ვაკის – სასაფლაო ემიჯნება ერთმანეთს, შუაში ვერე მიედინება. ვაკის სასაფლაოს ცოტა ქვემოთ ბენზინგასამართი სადგურია, სადაც ღამით არაერთხელ გამივლია, როცა ერთი ხანობა ბაგებში ვცხოვრობდი.

ჩემი მოხეტიალე ცხოვრების მანძილზე ეს კუთხე იშვიათობას წარმოადგენდა, ქალაქის ამ ნაწილში ნაკლებად მიწევდა ყოფნა, მაგრამ მაინც მიწევდა. ეს იყო ვაკის სასაფლაო, სადაც ბებიანჩემს ბავშვობიდანვე დავყავდი.

ახლა წარმოვიდგენ ხოლმე ნაშუადღევს ვაკის სასაფლაოზე.

ზაფხულია, კვიპაროსი შრიალებს, ოდნავ ირხევა და ზღვის მოქცევის ხმას გამოსცემს. საფლავებს შორის გზა ცარიელია და იშვიათად თუ გაივლის ადამიანი, რადგან ჩვეულებრივი დღეა, არც აღდგომის კვირაძალია და არც რაიმე რელიგიური დღესასწაული.

სალამოვდება და კვიპაროსები ჩრდილებს აფენენ ქვებსა და ქვაფენილებზე. მზე კიდევ უფრო გადაინვერა და ჩამუქებული ნაძვების ტევრში ბრჭყვიანებს. შეუმჩნეველად იცლება ვაკის სასაფლაო, მათხოვრები და ჭირისუფლები თანდათან გაიკრიფნენ. მე და ბებია ჯერ კიდევ საფლავთან ვსხედვართ. ბებია საფლავის შიგნით ტრიალებს, ჩამოყრილ წინვებსა და ნაფოტებს აგროვებს, თავს უყრის და ფერდობზე, ქვემოთ, ნაგავსაყრელისკენ მიეზიდება. მე მოპირდაპირე საფლავის ქვაზე ვზივარ; მაკვირვებს აქაურობა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მალე მოვათავებთ საქმეს და შინისაკენ გავეშურებით.

ეს საფლავი ძველია და ირგვლივ ძველი საფლავები აკრავს. აქ ბებია-

ჩემის დედა – კატო და მისი შვილები არიან დაკრძალული. საფლავის შუაში დაბალი ქვის სვეტი დგას, რომელზედაც ამოტვიფრულია სიტყვები: „ვერა-გულად მოკლული შალიკო“. ეს ქვა იმ ტრაგედიაზე მეტყველებს, რომელიც ჩემს დაბადებამდე მოხდა – შალიკო მოკლეს...



სასაფლაო ქვის ქალაქია, ქვის სამტეხლოა, ადამიანის განსასვენებელი. აქ ჩიხებია და გზანვრილები, ზოგჯერ საფლავი საფლავს არის მიბჯენილი. ვაკის სასაფლაო ქალაქის განუყოფელი ნაწილია, მისი სუნთქვაა, სიჩუმის არ-შიაშემოვლებული ოაზისია. აქ მოდიან, დროებით ჩერდებიან და მერე მიდიან ადამიანები. ეს წრებრუნვა რიტუალურია. თვითონ სასაფლაო მარადისობის სივრცეშია განფენილი. მარადისობა – ენით უთქმელი მუდმივობა – აქ სითხესავით ყველაფერზეა გადაღვრილი: ქვებზე, წარწერებზე, კვიპაროსებზე, რკინის ღობეებზე. დღისით იგრძნობა ეს გადმოღვრილი მუდმივობის ნათელი და იგრძნობა ღამითაც.

ჩემი მტანჯველი ასეთივე მუდმივი ყოფითობა ხან სად მიმიჩენდა საცხოვრებელ ადგილს და ხან სად. აკი ვთქვი კიდეც, დაოჯახების შემდეგ ერთხანს ბაგებში ვცხოვრობდი და ვაკის სასაფლაოს ხშირად ვუქცევდი ხოლმე გვერდს.

მაგონდება:

ბენზინგასამართ სადგურს გავცდი და სასაფლაოს რომ გავუსწორდი, დაუფიქრებლად გადავლახე ზღურბლი, ჭიშკარი შევალე და ბლანტ წყვდიადში შევაბიჯე. განათებული ტრასიდან შუქი აღწევდა და მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ იქ სააქაო იყო, აქ კი დახშული სივრცე, თუმცა ისიც ვიგრძენი, რომ ეს სივრცე არ იყო უცხო და შეუღწეველი. საფლავების მონიკელებული წარწერებიდან არეკლილი სინათლე ნაღველს

მგვრიდა და გზას განვაგრძობდი. ღამით ამ გზაზე სიარული განსაკუთრებით მიზიდავდა, რადგან ძილის წინ წარმოსახვით სულ ამ სივრცეში ვეხეტებოდი.

მივდიოდი და მახსენდებოდა – დღისით რა ელფერს სძენდა აქაურობას ქალაქის გარემოსგან გარიყულობა. ეს იყო ადგილი, სადაც არაფერი არ იძვროდა, არ ტოკავდა, არ აპირებდა ადგილმონაცვლეობას და ამ უძრაობის სიღრმეში ტალღისებურად მოძრაობდნენ კვიპაროსები. მწუხრი კვიპაროსის შიგნით იყო ჩაღვრილი და ძალიან მაღალი ტორსის მოძრაობა შუქ-ჩრდილების მოძრაობასაც ინვევდა. და კიდეც... აქ იყო ჩიტი, რომელიც მკაფიოდ და მელოდიურად ჟღერტულეობდა. ეს ჟღერტული ყველაზე მაღალი კვიპაროსის კენწეროდან ეფინებოდა სივრცეს. სასაფლაოზე შეუმჩნევლად ღამდებოდა.

*სადღაც ფერი გადიარს,  
სადღაც ღამე დაობდა,  
ჩემი თეთრი გადია  
რა უდროოდ დაობლდა.  
ჩემი თეთრი გადია  
მოდის სასაფლაოდან...*

სიბნელეში მოკლედ გადავჭერი გზა. აქ აღარ იყო უკვე ბავშვობა, წყვდიადში გამოყოფილ სინათლის ანასხლეტებში სრული სიუცხოვე იგრძნობოდა; იმნამს ჩემთვის ეს ადგილი სრულიად უცხო სივრცედ იქცა. ყოველივე წამიერად მოხდა – ნაცნობი წყვდიადიდან უცნობ წყვდიადში გადავაბიჯე და ამ სიუცხოვეში თანდათან უფრო ღრმად შევიჭერი. მერე, ხელისცეცებით, ტრასიდან შემოღწეული სინათლის ხარჯზე მივაგენი კიბისკენ მიმავალ გზას, სასაფლაოდან ტრასაზე გავედი და უკვე ჩვეული რიტმით დავადექი გზატკეცილს...

შიში გამომყვა....

ბაგებში ღამის რესტორანია და მე

ვარ ამ ღამის რესტორნის ყველაზე გვიანი სტუმარი. თითქმის სახლამდე მოვალწიე, მაგრამ არ მინდა სახლში შესვლა და დაბალ მაგიდასთან ჩამომჯდარი სასმელს ვუკვეთავ. ოფიციანტს მცირე ხემსიც მოაქვს. ზაფხულის ღამეა და ფანჯრიდან შორს განათებული ქალაქი მოჩანს. იმ დროზე ვფიქრობ, რომელიც სადღაც შორს დარჩა და მე ქალაქის განაპირა მხარეს დამტოვა; ვფიქრობ იმ დროზე, აღდგომა დღეს ბებიაჩემს ვაკის სასაფლაოზე რომ დავყავდი. ვფიქრობ იმაზეც, ნაშუალამევს თუ შევარღვევდი ამ წყვილიად ჩემსავე წარსულში დასაბრუნებლად. ჩვენ ყოველთვის ვბრუნდებით იქ, საიდანაც წამოვედით, მაგრამ ის ადგილებიც გვეუცხოება. ახლა კი რასაც ვგრძნობდი, ეს უცხოობა აღარ იყო, ეს იყო გარიყულობა. დრომ შეიძლება ადამიანი გარიყოს და იმავე ადგილებში დაბრუნება, სადაც დიდი ხნის წინ უცხოვრია, წარსულში დაბრუნებას აღარ ნიშნავს.

შიში გამოიყვანა...

ახლა ვზივარ რესტორანში და განვაგრძობ დროში მოგზაურობას. როცა კვიპაროსებს შორის რიჟრაჟი ჩაიღვრება, დრო თავის სახეს დაკარგავს. არის დღე-ღამის მონაკვეთები, როცა დრო ქრება, უფრო სწორად, დრო შეუმჩნეველად იპარება, საგნებში გადაიღვრება და მუდმივობის ელფერს იძენს. გათენებისას ყველაფერზე ყლადლი

სინათლე ირეკლება: სახლების კედლებზე, ანძებზე, ქუჩის კუთხეებზე, კვიპაროსებზე, თრიალეთის ფერდობებზე, სულ უმნიშვნელო საგნებზეც კი. ჯერ კი ადრეა გარიჟრაჟამდე, შუალამეა, ღრმა სიზმრების დროა. სიზმრების სიცხადე ღამის რეალობაშია შეჭრილი. მე ვზივარ ღამის რესტორანში, სადაც ცარიელ მაგიდებთან არავინ არ ზის და ვფიქრობ იმაზე, რომ, ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნილმა, დრო მოვიპარე, არ წავედი ჩვეულებრივად შინ, არ ავუქციე გვერდი სასაფლაოს და წარსულში დაბრუნება ვცადე. საიდან გაჩნდა ეს სიუცხოვე თუ გარიყულობა? იქნებ დიდი დრო გავიდა და გავირიყე იმისგან, რაც ჩემს წარმოსახვაში არსებობდა?! და ასეთ დროს დაბრუნება რეალურ გარემოში, ალბათ, მხოლოდ სიუცხოვის განცდას ბადებს. ვსვამ სასმელს და თანდათან ვიბრუნებ ჩემს წარმოსახვას, ვიბრუნებ იმას, რაც ჩემშია და რისი დაბრუნების ძალაც მხოლოდ მე გამაჩნია. ვტოვებ რესტორანს და მივდივარ სახლში, ეს წარმოსახვა ძილის წინ უფრო ძლიერდება და ზოგჯერ სიზმარშიც გადადის. ყოველივე ეს იყო ადრე, ახლა კი ზემოდან გადავყურებ ქალაქს. საღამოვდება და მე შემიძლია ჩემი მაღალსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულიდან გავხედო სივრცეს, რომელსაც მწუხრის ხავერდი ნელ-ნელა ეფინება.

მამუკა დოლიძე



## ბასეირნება ღროთა სივრცეში

*ეუძღვნი ჩემი მშობლების,  
გივი დოლიძისა და  
მერი დავითაშვილის ხსოვნას*

ეგერ, ე... ბორჯომის ჩარხის წყლის გზაზე გადმომდგარა ძველი, ფიცრული სახლი ჩაჟანგებული სარკმლით. მას-პინძელივით მიმიძღვის სახლის სიღრმეში ამოუცნობი სურვილი, სამუდამოდ დავსახლდე აქ, ვიყო და ვიყო, დავუბრუნდე ჩემს ბავშვობას. უცნაურია! არაფერი მაკავშირებს მასთან, არც არაფერი მაგონდება და მაინც საოცრად მიზიდავს ეს მანსარდიანი შენობა; როცა გვერდით ჩაუვული, ვგრძნობ, რომ ჩაუარე და გავცდი რაღაც ძალიან ძვირფასსა და სანატრელს, თითქოს ეს არის ჩემი სხვადაყოფნის სახლი, სახლი, რომელშიც შეიძლებოდა მეცხოვრა და ვერ ვიცხოვრე.

შეუძლებელია ამის ახსნა! სიტყვებს ვერ ვპოულობ და ვცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად გავშორდე ამ ძველ მანსარდას – ჩემი სინანულის იდუმალ წყაროს.

ბორჯომ-ბაკურიანის ხეობას დასდევს ეს იდუმალეობა, სიზმარ-ცხადის ეს გაუფანტავი ნისლი. როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, ისიც

ტრიალებს ნგრევისა და შენების ქაოსში, რაც შეადგენს ქვეყნის ცხოვრებას; მეორე მხრივ კი, ხეობა თითქოს გაურბის ღროს და შრიალებს თავისთვის, ქარში გახვეული ფოთლების ჩურჩულით ჰყვება ამბავს, რომელიც ჩამესმის, როგორც ზღაპარი ჩემი ბავშვობის შესახებ. ერთი კაცის მოგონებადაც რომ იქცეს ეს ტყე, უკვე გამართლებული იქნება მისი რეალობიდან გაქცევა, მისთვის ყოფნა. არა, ბორჯომის ხეობა არ წარმოადგენს უფრო დიდი ქვეყნის ნაწილს! ეს თვითონ ცალკე ქვეყანაა, ცალკე სამყაროა, მას არსებობის საკუთარი წესი აქვს; ეს არ არის ყოფნა მხოლოდ ბუნების ძალით. ის სულის პიროვნულად არსებობის სახით ცხადდება – სიცოცხლის განუმეორებელ ნაკადად მიედინება შორეული წარსულიდან მარადიული არსებობისკენ.

რა დალევს ქვეყნად ლამაზ ხეობებს, მაგრამ ეს ხეობა, ეს ტყე ჩემია! მეც ერთადერთი ვარ მისთვის. ამ გამორჩეულობას მაშინ შევიგრძნობ, როცა ნაძვები გამორბიან ჩემკენ, ლამის შემოძვრნენ

ავტომობილის სარკმელში, რომ გამიტაცონ გარეთ, საცეკვაოდ გამინვიონ ბუნების დღესასწაულზე. საახალწლო ნაძვნარი ჩემ გარშემო ტრიალებს, ცეკვავს; არა იმიტომ, რომ მე ვარ აქაურობის ცენტრი, უბრალოდ, ამ ტყეს არ შეუძლია სხვაგვარად ყოფნა. ის მუდამ არსებობს, როგორც საკუთარი „მეობის“ განცდა, მას ფესვები წარსულში აქვს გადგმული; უღრუბლო დღეებშიც მოგონების ბინდი აქვს გადაკრული; სხვაგვარად ის ვერ ცოცხლობს, ვერ აჩვენებს თავის თავს. როგორც უნდა გაკაფონ და დაამახინჯონ მშენებლობებმა, მაინც არ იცვლება მისი ბინდისფერი სახე, ასე ძვირფასი ჩემთვის. თითქოს მრავალფრთიან სარკეში ვიყურები, მაგრამ ვხედავ არა ზუსტ ორეულს, არამედ ცვალებადს: ახლო სარკეში ვარ მე, უფრო შორეულ სარკეებში კი წლები მაკლდება, სიხარულით ფერს იცვლის ჩემი სახე, ვიდრე არ აღწევს პატარა ბიჭის გამოსახულებას, უდარდელად რომ თამაშობს ტყეში.

უხილავი სარკეებით სავსე, ფიქრებში ჩაძირული ხეობა, სიმწვანის უთვალავ ფერთა მიმოქცევით ირეკლავს თავის თავს. ასე ენაცვლება და ეთამაშება ერთმანეთს ბორჯომის პარკი, პლატოს აღმართი, კომპოზიტორთა სახლი, სადგერის მიწვევები, სოფელი ტბა, ცემი, პატარა ცემი და ბოლოს ხეობის გვირგვინი – ბაკურიანი.

სიცოცხლის სათავისკენ აღმავალი, ნაძვებით დახუნძლული გზა ისახება და ისევ ქრება. ასევე მესახებიან და ხელიდან მისხლტებიან ბავშვობის მოგონებები. ისინი ავსებენ ჩემს გულს, იღვრებიან მარადმწვანე სივრცეში, აჩერებენ და უკან ატრიალებენ დროს. ბევრჯერ მოვსულვარ აქ, ბევრჯერ შევხვედრივარ წარსულის ლანდებს ნაძვების თავბრუდამხვევ ტრიალში; მიგრძენია, რომ არა ვარ წუთიერი არსება, რომელიც მხოლოდ დღევანდელიობით ცხოვრობს. ისევ აღმიდგენია დროთა კავშირი, თუმცა ისეთი ცხოვრება

მოდის, წარსული აღარავის ადარდებს. არყოფნის ნისლში იძირება ბავშვობის ხეობა; ჩემთვის ძვირფასი სახეები საპნის ბუშტებივით სკდებათ. მომავლიდან კი მოდის არაფერი – სავსე პროგრესით, ტექნოლოგიური მიღწევებით, თეთრად მოციმციმე ეკრანით, რომელმაც შეცვალა წიგნიც, მეგობარიც, მტერიც, მოყვარეც. სიცოცხლე განთავსდა ვირტუალურ სივრცეში. მისი კარი ინტერნეტიდან იხსნება და მოდის და მოდის ინფორმაცია, რა გინდა სულო და გულში! ოღონდ სახელი აკრიფე, ოღონდ საკვანძო სიტყვები ჩაწერე და ყველაფერს გეტყვის, ყველა საიდუმლოს გაგიხსნის; აღარაფერი დარჩება სამყაროში შეუცნობელი და იდუმალი, ჟრუანტელისმომგვრელი და სანატრელი. ყოველივე იოლად გეძლევა, არ ითხოვს ფიქრის დაძაბვას, გულის გახსნას, სულის აღზევებას. ოღონდ თითები აათამაშე კლავიშებზე, ოღონდ საჭირო საიტი აკრიფე! მოგონება დაპროგრამირებულია, გათვლილია; ჩემი მონატრებაც ბავშვობის მიმართ კოდირებულია. თუკი რაიმე არსებობს ვირტუალური სივრცის გარეთ, უმტკივნეულოდ შეიძლება განადგურდეს, რაკი ინფორმაცია მის შესახებ უკვე შენახულია პროცესორში – მზადაა გადათამაშდეს იეროგლიფებად, სქემებად, საჭადრაკო დაფებად, ფიგურებად, ციფრულ სახეებად, განსახიერებულ ციფრებად... მაგრამ სულის მდუმარე ყვირილს ვერ წაშლის?! – ვერც ერთი პროგრამა! ყვირილი მოდის გულის სიღრმიდან. ცეცხლივით მედება ტკივილი, როცა ვხედავ, როგორ იშლება ყველაფერი, რაც ასე მიყვარდა.

ველარ მოვითმინე და ურჩხულივით მცოცავ ბულდოზერს გადავუდექი, ძირფესვიანად რომ შეარყია უზარმაზარი ნაძვი.

– მოიცა, ბიჭო, გაჩერდი! შენ ნიკოს შვილიშვილი არა ხარ?

– რაო? – ვილაცამ დამიღრიალა ბულდოზერის სიღრმიდან.

– არ გახსოვს, ბიჭო, ბაბუაშენი ნი-

კო, ძია გრიშას ძმაკაცი?! შენ მაშინ პატარა იყავი, მაგიდის ქვეშ თამაშობდი, თანაც სიყვარულს იმახსოვრებდი, სიტყვებად და სიმღერებად რომ იღვრებოდა სუფრაზე.

– გადადი, ბაბუ, გვერდზე, რა დროს სიყვარულია. ბაბუაჩემის სახელი კი არა, საკუთარი თავი აღარ მახსოვს!

– ჩამოდი წამით, ბიჭო, დავილაპარაკოთ, ძველი ბორჯომი გავიხსენოთ.

– გადადი-მეთქი, გვერდზე!

– მოასწრებ მაგ ხეების დაჭრას, ცოტა სული მოითქვი, დაისვენე. იქნებ, მოხვიდე აზრზე, რას აკეთებ!

– ფულს ვაკეთებ, ბაბუ, ფულს. რასაც უყურებ, ყველაფერი გაყიდულია!

– რას ერჩი ამ ნაძვებს?

– სასტუმროს ვაშენებთ!

– ძველი სასტუმრო რატომ დაანგრიეთ?!

– რომელი სასტუმრო?

– პარკის გზაზე რომ იდგა, ჯორჯაძის ქუჩის ასახვევთან, ჩვენი სახლის წინ.

ეჰ, ვილას ახსოვს ის ნაცრისფერი სასტუმრო... როცა დედა სადილის გაკეთებას ვერ ასწრებდა, მივდიოდით იქ, რესტორანში და დღემდე მახსოვს იქაური წვნიანის გემო! რბილი, ხავერდოვანი კომბოსტო ჩახარშული იყო ვარდისფერ წვენში. შემწვარი კარტოფილიდან ღრუბელივით გადმოდიოდა „კიევიური“ კატლეტი. დესერტად კი ნამცხვარი მელოდა. არსად არ აკეთებდნენ ისეთ გემრიელ ნამცხვარს, როგორც იმ სასტუმროს კაფეში. ვაშლის ფაფუკ ორცხობილას ზემოდან შაქრის ფხვნილი ჰქონდა წაყრილი, თეთრ, ტკბილ ულვაშებად რომ მეფინებოდა სახეზე. როგორ მიყვარდა იქ ყოფნა! სასტუმროს ვესტიბიული და კიბე სტალინისდროინდელი, ზოლიანი, მუქნითელი ხალიჩით იყო მოფენილი. ჰოლში შავ-თეთრ ტელევიზორს აკვარიუმივით ჰქონდა აკრული გამადიდებელი შუშა. მაშინ ტელევიზორი ახლად შემოსული გახლდათ და რუსი ტურისტები დიდის

ამბით უყურებდნენ პროგრამას. მერე სასტუმროს კულტურის მუშაკი მათ სხვადასხვა თამაშით ართობდა. „He to сказал, не за то схватился“ – ასე ერქვა ერთ თამაშს.

„ცხვირი!“ – დაიყვირებდა კულტურის მუშაკი და ხელს მოიკიდებდა ყურზე. შენ კი არ უნდა შეგშლოდა, არადა, თამაშიდან ვარდებოდი და ა. შ.

– ეს ყველაფერი სასაცილოა, ბაბუ, მაგრამ მაცდენ, სალამომდე ხუთი ნაძვი მაქვს მოსათხრელი, გაჩუმი!

– არა, ვერ გავჩუმიდები! უნდა მოეყვე და მოეყვე, რომ იქნებ გადავარჩინო ეს ნაძვის ხეები. ამიტომ უნდა მომისმინო, როგორ მივდიოდით მე და ნასყიდა (ასე ერქვა ჩემს ძმაკაცს) ტყე-პარკის სიღრმეში, ულამაზეს გზაზე, ჯერ კიდევ რომ ჰქონდა შერჩენილი ნიკოლოზისდროინდელი ეტლის ქვაფენილი. გადავიდოდით უღელტეხილს და გოგირდის ცისფერ აუზში ამოვყოფდით თავს. გვენანებოდა იქიდან წამოსვლა, მთელ დღეს იქ ვატარებდით.

სალამოს კი ბორჯომის პარკში კლასიკური მუსიკის კონცერტები იმართებოდა. მახსოვს დირიჟორები: შავგვრემანი, ლამაზი გარეგნობის ჯემალ გოკიელი და ჩვენი ძვირფასი ზაქარია (ბუჭუ) ხუროძე, ჩემი მშობლების ახლო მეგობარი.

ნამდვილი დღესასწაული იყო კონცერტზე წასვლა! მუჟავე წყლის პავილიონიდან პირდაპირ ზაფხულის საკონცერტო დარბაზში გადავდიოდით.

კლასიკური მუსიკა საოცრად უხდებოდა პარკს. სალამოს ბალის გამძაფრებული სურნელება აძლიერებდა და მთელი სიღრმით გამოკვეთდა მუსიკის ჰანგებს. სმენად იყო ქცეული იასამნისფერ ბინდში გახვეული ხეობა. ბგერები ღია ცის ქვეშ ოდნავ ყრუდ ჟღერდა. ეს საამო ჟღერადობა ტკბილი სიზმარით ეალერსებოდა მიძინებულ ტყეს და არ არღვევდა ბალის სიჩუმეს. ქარივით მონაბერი ვიოლინოს ხმა ოცნებისკენ



მიაქროლებდა ჩემს ფიქრებს, თუმცა არაფერს ვფიქრობდი. უბრალოდ, ამ სილამაზეს ვუსმენდი და ფიქრისფრად იღებებოდა მკრთალი ლამპიონებით გაჩირალდებული ხეივანი. ფორთოხლისფერი სინათლეების ციმციმში მიდი-მოდიოდნენ ათასფერი ლანდები, ხან მისდევდნენ მუსიკის რიტმს, ხან ჩამორჩებოდნენ, ხანაც წინ უსწრებდნენ.

ბგერათა ფერწერით ათამაშებულ ფანტაზიას ველარ იტევდა საკონცერტო დარბაზი და წარმოსახვით დარბაზის კედლებს გადავდიოდი, ელნათურების სიზმრისეულ შუქ-ჩრდილში. თითქოს მუსიკას საქართველოს სიმფონიური ორკესტრი კი არ უკრავდა, თვითონ ბორჯომის პარკი გამოსცემდა. მთვარის სხივთა სანოტო ფურცელზე გადასული თემები ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, აღწევდნენ კულმინაციას და გადმოსცემდნენ რალაც სევდიან ამბავს; ბალის ჩუმად მოშრიალე ხეები აგრძელებდნენ ამ მონაყოლს, ზღაპრული იდუმალებით ავსებდნენ მას და ეს დაუსრულებელი ზღაპარი, როგორც მარად მფეთქავი სიცოცხლე, მიბრუნდებოდა უკან, ავსებდა ჩემს გულს და სისხლივით ტრიალებდა ძარღვებში.

არ ვიცი, როგორ მოვყვე ან რა უნდა გავიხსენო! ფურცლები, ალბათ, ვერ დაიტევს იმას, რაც მინდა, რომ ვთქვა, რაც მინდა, მოვუთხრო უპირველესად საკუთარ თავს, რომ გავიხსენო – ვინ ვიყავი, როგორი იყო ჩემი დედუღეთი, ჩემი ქვეყანა, როგორ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ახლა ვხედავ. აუცილებელი არც არის, ვინმემ თვალი გაადევნოს ამ სტრიქონებს, რადგან ვწერ ჩემთვის, რათა ვიგრძნო, რომ მე ისევ მე ვარ, რომ ისევ გრძელდება ბედნიერების განცდა, რომ ვინარჩუნებ დროთა კავშირს, ცხოვრების გზიდან რომ მომაბრუნებს უკან, სიცოცხლის სათავისაკენ, როცა სამყარო უფრო ახალგაზრდა იყო, უფრო ფერსავსე, უფრო უშუალო და უფრო ნამდვილი!

სალამოს, შვიდი საათისთვის გავდიოდი ბორჯომის სადგურზე, რათა დავხვედროდით თბილისიდან ჩამოსულ მატარებელს. იქნებ, მამა ჩამოსულიყო? ან სულაც არავის ველოდით, უბრალოდ, სადგურზე გასვლა სააგარაკო ცხოვრების საზეიმო რიტუალს წარმოადგენდა, თავს რომ უყრიდა პატარა ქალაქის დამსვენებელთა საზოგადოებას.

სადგურის ბაქანი თეთრი ფილაქნით იყო მოფენილი. ვიდექი და გულის ფანცქალით ვისმენდი მოახლოებული ბორბლების ცემას. ველოდი, ჩარხის წყლის გვირაბიდან სავსე მთვარესავით როგორ გამოანათებდა ელმავლის უზარმაზარი თვალი, როგორ ჩამოდგებოდა ვაგონების შემადგენლობა „თბილისი-ბორჯომი“ და მოგვიანებით მატარებელი – „თბილისი-ვალე“.

ექსპრესის მოგუგუნე ხმა ყურს კი არ ჭრიდა, სალამოს ბინდისფერი სივრცის დამამშვიდებელ ვიბრაციას ინვევდა. ჩამოსულებითა და დამხვდურებით ივსებოდა ფერადი ნათურებით მოციმციმე ბაქანი. რა დიდი იყო მოლოდინი და რა სიხარული იყო ახლობლების ჩამოსვლა! მერე ბალის გავლით ღამის სურნელოვან სიგრილეში ავდიოდი მაღლა და მაღლა, ჩვენი სახლისკენ. ჯორჯაძის ქუჩიდან ქვედა სართულზე, პირდაპირ სამზარეულოში შევდიოდი, სადაც შუშის თლილ ჭიქებში უკვე დასხმული იყო ჩაი; დედას უკვე გამზადებული ჰქონდა ჩემთვის კარაქიანი პური და გუდის ყველი, რომლის გემო არასოდეს დამავინწყდება.

სახლის დიასახლისი, მარი კირილოვნა, ანუ დეიდა მარო დედას ბიცოლა გახლდათ. მისი მეუღლე ძია გრიშა დიდდას ძმა იყო. გრიშა ნამდვილად არ ეკუთვნოდა სიფხიზლის დამცველთა საზოგადოებას. მახსოვს, ერთხელ რემონტის დროს მოხსნილი აბაზანა სასადილო ოთახში დადგეს. საახალწლოდ გრიშამ და მისმა ძმაცაცებმა აბაზანა ღვინით გაავსეს და დილაშდე იქეიფეს!

მთელი სანახაობა იყო მათი დროსტარება! ბაფთიანი გიტარა გულისამაჩუყებლად ჟღერდა, თეთრწვერა ნიკონაძვის ხის ირგვლივ ცეკვავდა. ლხინით სავსე, მხიარული უდარდებლობა სუფევდა სუფრაზე. ზოგჯერ კი სევდაც გამოერეოდა მოქეიფეთა ლამაზ სიტყვებში...

გრიშა საოცრად მოსიყვარულე კაცი იყო. ერთადერთი შვილი, მერაბი, ადრე დაეღუპა და მშობლის მთელი ზრუნვა და სიტბო ძმისა და დისშვილებზე – მერიზე, თამაზზე, ირაზე, იურასა და ეკაზე გადაიტანა. ასეთი ვაჟკაცური ბუნების, ერთგული და დაუზარელი კაცი იშვიათად შემხვედრია. სამუშაოსთვის ქვეყნის კიდეზე წავიდოდა. საქმეშიც მთლიანად იხარჯებოდა, ისევე, როგორც ქეიფში.

მისი მეუღლე, დეიდა მარო, სათავგადასავლო რომანების თუ „ბესტსე-

ერთხელ, მახსოვს, დედამ თეატრში დაპატიჟა. დეიდა მარო პიესის ავტორის გვერდით აღმოჩნდა და მთელი სპექტაკლის განმავლობაში უყვებოდა მას, თუ რა მოხდებოდა შემდგომ სცენაზე. მორიდებული და რატომღაც დარცხვენილი დრამატურგი დამუნჯებული იჯდა, მოთმინებით ისმენდა მისივე შეთხზული ამბის გადმოცემას.

ერთხელაც, მახსოვს, კინოში ვიყავით. გადიოდა ფილმი „პოლიციელები და ქურდები“. ბოლოს, როცა მთავარი გმირი საპყრობილეში ჩასვეს, დეიდა მარო ატირდა, მაგრამ, რომ გამოვედით, თავი დაიწყნარა: ბევრს ვერაფერს დაუმტკიცებენ და, ალბათ, ერთ თვეში გამოუშვებენო.

რამდენი ასეთი ამბავი მახსენდება, მაგრამ არ მინდა, კომიკურ პერსონაჟებად დავსახო ჩემი უსაყვარლესი ხალხი. არ მინდა, მასხრად ავიგდო მათი წრფე-



ლერების“ მთარულ ბიბლიოთეკას წარმოადგენდა. რაც კი ბორჯომ-პარკის სამკითხველოში წიგნები იყო, ყველა გადაბუღბუღებული და ადგილ-ადგილ დაზეპირებულიც ჰქონდა. ცოტ-ცოტა ჭორაობაც უყვარდა და ცხოვრებისეულ ამბებს წიგნიდან ამოკითხული ისტორიებით ამდიდრებდა.

ლი, ადამიანური გრძნობები, რის ნაკლებობასაც დღეს ასე მწვავედ განვიცდი.

კვირაობით მთელი დღით პარკში, მდინარეზე მივდიოდით. დიდება სარეცხს რეცხავდა, დედა საჭმელს ამზადებდა, პაპა მწვადებს წვავდა. ჩემი ბიძები – თამაზი და იურა, ფეხბურთს თამაშობდნენ. მე და ეკა დაგუბებულ

მდინარეში ვცურავდით. გადავხტებოდი თუ არა ყინულივით წყალში, ერთ-ორს ხელს მოვუსვამდი და უკვე ფსკერს ვეჯახებოდი. მერე ისევ უკან ვბრუნდებოდი, პატარა აუზის სიღრმეში. ნელ-ნელა, ჭრიჭინობელას ჭრიჭინით მიიზღაზნებოდა დრო. სვენებ-სვენებით გადიოდა ზაფხულის გრძელი, საამური დღე. მთვლემარე ტყის სიმწვანეში მუსიკასავით ჟღერდა სიჩუმე. მერე და მერე, როცა დედას საკონცერტო ფანტაზიას ვისმენდი, ხშირად სწორედ ზაფხულის ეს გრძელი, თითქოს მარადისობად ქცეული დღე მახსენდებოდა. ჩემს წარმოსახვაში ცოცხლდებოდა „ბორჯომულას“ ანკარა წყალი და მზით გაბრწყინებული ტყე.

განა არსებობს სამყაროში რამე, მოგონებაზე უფრო ძვირფასი!? მოგონება მარტო მეხსიერების უნარი კი არ არის, მოგონება ამქვეყნად განსაკუთრებულად ყოფნის სილამაზაა, როცა დრო გაურბის თავის წარმავლობას და ერწყმის რაღაც მარადიულს და ნამდვილს. მოგონება განმარტოებასაც მოითხოვს და დაუფინყარ შეხვედრებსაც. იმ ადგილების მონახულებას, ჯერ კიდევ რომ ინარჩუნებენ გარდასულ დროთა მშვენებას.



დედას პაპა, ივანე დავითაშვილი, ბორჯომ-ბაკურიანის მეტყევე გახლდათ. ტყის უზარმაზარ მასივში ყოველი ხე დანომრილი ჰქონდა. ვინ გაუბედავდა ცოცხალი ხის მოჭრას! ბუნების სიყვარული, ის, რაც დედას, როგორც შემოქმედს, ასაზრდოებდა, სწორედ ამ დიდი წინაპრიდან მოდიოდა. მერისა და ჩემს პაპას, შალვა დავითაშვილს, მთელი საქართველო ფეხით ჰქონდათ შემოვლილი. ყოველი მთის სახელწოდება იცოდნენ. ის იღუმალი ნიჭი, სივრცის ფერებსა და ფორმებს მუსიკალურ ბგერებად რომ გარდაქმნიდა, ალბათ, თავის წინაპრობად ბუნებასთან სიახლო-

ვეს გულისხმობს. მეც ვმონანილებოდი ამ საიდუმლო გარდასახვაში. მუსიკის წერა ვერ შევძელი, მაგრამ სწრაფვა – მუსიკად მექცია ყველაფერი, რასაც ვხედავდი და ვისმენდი, მთელი ცხოვრება თან მსდევდა. იქნებ, შეუძლებელს ვცდილობდი? არა იმიტომ, რომ სიტყვა ვერასდროს იქცევა მუსიკად, უფრო იმიტომ, რომ სიტყვა ვერასდროს დაიტევს იმ მოგონებას, რაც თვითონ მე ვარ, რაც ჩემი ჭეშმარიტი არსებობის საზრისს შეადგენს. არც მინდა უკან მოხედვა, რადგან ვიცი, ისევ სინანული შემიპყრობს. ვიცი, რომ ვერ შევძელი იმის თქმა, რაც მინდოდა მეთქვა, რაც მუდმივად გაურბის სიტყვას და ფეთქავს გულივით... ასე მეთამამება, ასე ერწყმის ჩემს მაჯის ცემას სულ ახლოს მოსული, ლამის გულში ჩახუტებული ტყე, რომ ვერ გაიგებ, ბორჯომის ხეობას ეკუთვნის თუ ჩემი სულის საუფლოს, თუ ერთიც არის და მეორეც.

ბაკურიანიდან როცა მანქანით ჩამოვდიოდით, მახსოვს, ვჩერდებოდით ცემის გადასახვევთან. იქიდან მოჩანდა პლატოზე შეფენილი სოფელი და ძველი სადგური. არც მე, არც დედამ არ ვიცოდით, როდის გამოჩნდებოდა პატარა მატარებელი. ის ცელქი ბავშვივით არ ემორჩილებოდა დღის განრიგს. წინასწარ ვერავინ გათვლიდა მასთან შეხვედრას. ეს შეხვედრა უნდა მომხდარიყო მოულოდნელად, როგორც ოცნების ახდენა, როგორც ბედნიერების უეცრად შეჩერებული წამი! არ ვიცოდით, როდის შედგებოდა ჩვენი პაემანი, მაგრამ ეს არცოდნა სავსე იყო მოლოდინის გამძაფრებული განცდით. ეს სიმძაფრე ქმნიდა იმ სწრაფვას, იმ შემოქმედებით აურას, რაც მზით სავსე ნისლში პატარა მატარებელს გააჩენდა.

სალამოს ფერთა უნაზესი მიმოქცევა ავსებდა ცას. სახლები, ხეები და მინდვრები უეცრად კარგავდნენ თავიანთ მკვეთრ გამოსახულებას და იფანტებოდნენ მზის ჩასვლის ბურუსში, რომ-

ლის ოქროსფერ სამოსელში, თუ გაგვიმართლებდა, პატარა მატარებელი იქ ნებოდა საჩუქარივით გახვეული!

ვუყურებდით და ვერ ვძლებოდით ცქერით, როგორ ნელ-ნელა, ბაჯბაჯით, სვენებ-სვენებით, ორთქლითა და კივილით ადიოდა მატარებელი ბაკურიანისკენ. თითქოს ცოცხალი არსება მოძრაობდა, რომელსაც სათამაშოებით სავსე ხეობაში ბავშვები აჰყავდა ზემოთ, საყვარელი მელოდიებით სავსე ფერდობებისკენ. ვუყურებდი და მეშინოდა განძრევა, თვალის დახამხამებაც კი, რადგან სიზმრისეულ ფერთა ჯადოქრობას ვესწრებოდი, შუქ-ჩრდილთა თამაშით რომ იყო შემდგარი და ერთი უცაბედი მოძრაობა ან სხვაგვარად გაელვებულ ფიქრი, სამუდამოდ ნაშლიდა მას.

– ვაიმე, გეყოფა, ბაბუ, აღარ შემოძლია, ვერაფერს ვეღარ მოვასწრებ! – ლამის შემომტირა ხის მჭრელმა.

ვიცი, რომ მეყოფა, მაგრამ, რომ ვეღარ ვჩერდები! უსასრულოა მენსიერების ბილიკი, გითრევს და გითრევს; გადადის ჩემი სიცოცხლის საზღვარს და უხსოვარ წარსულს უკავშირდება.



ქალაქ ბორჯომს ორი საუკუნის ისტორია აქვს, თუმცა დასახლება აქ ძველთაგან ყოფილა. აქაურობის მეპატრონე ყოფილა თავადი ავალიშვილი. ხეობის განაშენიანება დაიწყო კავკასიის მეფისნაცვალმა 1842 წელს. 1862 წელს ნიკოლოზ მეორის ძმა, მიხეილი ესტუმრა ბორჯომს. თან ახლდა ავადმყოფი ძმა, რომელსაც საოცრად მოუხდა აქაური ჰაერი და მჟავე წყალი. მიხეილმა მეპატრონისგან შეისყიდა ადგილ-მამული, მოიწვია ევროპიდან საუკეთესო არქიტექტორები და ძველ დასახლებას ახალი ელფერი მისცა. გრაფი მიხეილი ბრწყინვალე პიროვნება აღმოჩნდა. უყვარდა ნადირობა. ქართულ ბუნებას ისე შეეთვისა, სამუ-

დამოდ აქ დასახლდა. მთელი გული და სული ჩააქსოვა ბორჯომში.

დღეს ძველ დასახლებას ვეღარც იცნობ. ბევრი რამ დაანგრის, მეფის ნაცვლის სასახლე დაინვა, მაგრამ აქაიქ მაინც გაკრთება მე-19 საუკუნის ევროპული ქალაქის ფრაგმენტი. ჩვენი ჩინურქუდიანი სახლიც იმ არქიტექტურულ სტილში იყო გადაწყვეტილი. პარკის ახლოს კი სანატორიუმი „ფირუზა“ ნამდვილი შედევერი გახლდათ. იმ ქუჩაზე უცხო-მშვენიერი სახლები მოწყვნილი და ჩაფიქრებული იდგნენ. პლატოს ფერდობიდან დაცემული ჩრდილი და პარკის ჩამუქებული სივრცე აძლიერებდა და ალამაზებდა ამ გემოვნებით შეხამებული შენობების სევდიან განწყობილებას.

ქუჩა ამოზნექილი ხიდით გადადიოდა მეორე მხარეს, იშლებოდა, როგორც მოედანი და გარს უვლიდა სადგურის ბაღს. ეს მყუდრო ქუჩა – სასადილო-კაფე, ძველი აფთიაქი და ზამთრის საკონცერტო დარბაზი თავისი სევდის-მომგვრელი სილამაზით საოცრად ეხმიანებოდა ჩემს მარტოობას.

დასავლეთევროპული სტილი სულაც არ იყო თავსმობვეული ქართული ქალაქისთვის. ბორჯომ-ბაკურიანის ხეობა, როგორც ტყე-პარკის ბუნებრივი შერწყმა, იძლეოდა განწყობილებას ასეთი სტილის დასახლებისთვის. გრაფმა მიხეილმა იგრძნო ხეობის ფარული პოტენცია. მან დაინახა ბუნების ის განსაკუთრებული ფაქტურა, რომელიც ადვილად გარდაიქმნებოდა ქართული ეგზოტიკისთვის უცხო, მაგრამ სწორედ ამ გაუცხოებით მის დამამშვენებელ, საუცხოო სილამაზედ. მეფის ძმამ ფანჯარასავით გაჭრა ბორჯომი დასავლეთ ევროპისკენ ისე, რომ არ დაუკარგავს აქაურობის თანდაყოლილი ხიბლი.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემთვის უხსოვარი წარსულია, რაც მხოლოდ გადმოცემით შეიძლება ვიცოდეთ. ქალაქის დაარსების ისტორია გადადის

ჩემი დაბადების საზღვარს, მაგრამ ვინ იცის, საიდან იწყება ადამიანის სიცოცხლე ან სად თავდება? იქნებ, რალაცნაირად მაშინაც ვარსებობდი, როცა არ ვარსებობდი, რადგან მთელი ბავშვობა ვტკბებოდი შთაბეჭდილებებით, უეცრად, არსაიდან რომ ჩნდებოდნენ ჩემს გონებაში. ისინი სათავეს ჩემი ცხოვრების მიღმა, ბორჯომის დაარსებიდან იღებდნენ, მაგრამ მეცხადებოდნენ საკუთარი განცდებისა და სურვილების სახით. ამიტომაც ასე მიზიდავდა ეს პატარა ქალაქი, მსიამოვნებდა მის ქუჩებში ხეტიალი; სადგურის ბაღიდან ახვევა ზემოთ, ყოფილ რუსთაველის ქუჩაზე. ეს ქუჩაც მოგონებებით ცხოვრობდა – ჩემი ძვირფასი თამაზისა და ნანას ქუჩა! თამაზის მამას, ალექსანდრე-საშას გამორჩევით უყვარდა თავისი დისშვილი გივი და მამასაც ერთი სული ჰქონდა, თავისი ძმაცაცებით აქ ჩამოსულიყო. ბიძაჩემის სახლი და ვაზის ტალავერით დაჩრდილული ეზო დღესაც სუნთქავდა მათი დაუვიწყარი შეხვედრებით; ძველი სიმღერებითა და სიყვარულით სავსე სიტყვებით.

მერე მიყვებოდი გზას მალლა და მალლა, დიდი მინდვრისკენ. ავივლიდი სამხედრო სანატორიუმს, გავცდებოდი „ტურბაზას“ (საღამოობით ბიჭები იქ ცეკვებზე დავდიოდით) და დიდხანს ვჩერდებოდი ჩვენი ახლობლების, ყიფშიძეების აგარაკთან. მეჩვენებოდა, რომ აივანზე ჯერაც მიმოფანტული იყო ჩვენი ბავშვობის სათამაშოები – პლასტმასის ჯარისკაცები, პატარა მანქანები და ფერადი, ასანყობი სახლები.

ვერა და ვერ ვძლებოდი ქალაქში ხეტიალით! ბოლოს ავდიოდი პლატოზე და კომპოზიტორთა სახლიდან გადავდიოდი ბაკურიანის ხეობაში. როცა ჩარხის ნყლის გზაზე, ძველ, მანსარდიან სახლს დავინახავდი, ჟრუანტელი დამირბენდა ძარღვებში და მონუსხულივით ვჩერდებოდი! ვგრძნობდი, რომ ეს შთაბეჭდილება არ მეკუთვნო-

და მხოლოდ მე; მისი შორეული ტალღა მახსოვრობით მიუწვდომელ წარსულში ფეთქავდა, თუმცა ამავე დროს ეს მანსარდა იყო ჩემი, ძალიან ჩემი და ის უხსოვარი დროც ჩემი აქყოფნის ძალით იძენდა თავის მარადიულ არსებობას.

წინაპრებიდან დიდი და ძვირფასი მემკვიდრეობა მერგო წილად და მეხსიერების ამ საგანძურში ვპოულობდი ცხოვრების აზრს.

სალამოს ისევ სადგურის ქუჩაზე ვბრუნდებოდი. ძველმოდური ლამპიონები ანათებდნენ აფთიაქის ვიტრინას, უცებ სარკესავით რომ იწყებდა ლაპლაპს და თავისი ძილისპირული ციმციმით წარსულის ლანდებში მითრევდა. ზეზეულ სიზმრებში იმ კაცსაც ვხედავდი, ვინც პირველმა ამოიცნო ქართული ბუნების სხვადაცოფნის შესაძლებლობა; ვინც იგრძნო, რომ აქაურობას კლასიკური მუსიკა უფრო დაამშვენებდა, ვიდრე ჩონგურზე დამღერება.

ამიტომ იყო ბორჯომში ჩამოსვლა ჩემთვის უცხო ქვეყანაში მოგზაურობის ტოლფასი, იმ საოცნებო ქვეყანაში, საყვარელ ხეობას შერწყმული, სულიერ სამშობლოდ რომ მესახებოდა! უცხოეთის განცდა გაუცხოებას სულაც არ ნიშნავს. პირიქით, ამ განცდაში შეიძლება აღმოაჩინო ის სანატრელი და ძვირფასი, რაც დღეს დაკარგული გაქვს საქართველოში.

ბორჯომი, ჩემი ბავშვობის მარგალიტი, მარტო წარსულით კი არ სუნთქავდა, მომავალი ცხოვრებისკენაც იყო ფანჯარასავით გახსნილი; ჯერ განუცდელი და გაუაზრებელი სიცოცხლის მოლოდინი სიხარულით ანათებდა გარდასულ დროთა სივრცეს; არსებობისა და გარდასახვის ათასფერი შესაძლებლობები ირეკლებოდა ქალაქის ვიტრინებსა და ფანჯრებში!

ასე ვპოულობდი ბორჯომ-პარკის სევდანარევ სიმყუდროვეს ნიუ-იორკის ქუჩებში, ცენტრალურ პარკთან, ხოლო სტამბულის შუაგულში, სულთან-აჰმე-

დის ბალის გაჩირაღდებული ხეივანი ჩემი ბავშვობის სახლისკენ მიმიძლოდა. ასე დავლანდე სანატორიუმი „ფირუზა“ და მასთან გემოვნებით შეხამებული სახლები ოქსფორდის მთავარ ქუჩაზე, „ჰაი-სტრიტის“ სასახლეების უკან. იყო თუ არა ეს ყველაფერი? ინგლისის ოქსფორდს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მეფისდროინდელ ბორჯომს ემსგავსებოდა და პრინციპში, არც ბორჯომს ადარებდა დიდი ბრიტანეთი. ამ შედარებას, ამ ასოციაციებს მე ვატარებდი გულით, როგორც აქაურობის მემკვიდრე. სამყაროში ჩემ გარშემო ყველაფერი ტრიალებდა, მეორდებოდა, მაგრამ არსებობდა ამ წრებრუნვაში რაღაც განუმეორებელი, გამორჩეული და ნამდვილზე უფრო ნამდვილი. ეს იყო ბავშვობის დაუვინყარი განცდა, შეჩერებული დროის ტალღებში და ვგრძნობდი, რომ მთელი მსოფლიოც რომ შემომეგლო, ბორჯომის ხეობას მაინც ვერ გავცდებოდი!

●  
– ფრთხილად, ბაბუ, თავში არ დაგეცეს!

გამაყრუებელი ქრიალი მომესმა. ავიხედე. ძლივს მოვასწარი გვერდზე გადახტომა, რომ ბულდოზერით ამოგლეჯილი ნაძვი თავზე გამომემხო!

ხელ-ფეხის დაშავებას აღარ ვჩიოდი, ბენზე გადავრჩი! უეცრად ამოვარდნილმა ქარმა ფურცლები გამომგლიჯა ხელიდან. ყველაფერი აირ-და-ირია: ხეობაც, ოქსფორდიც, ევროპაც, არაევროპაც. თვალსაწიერი ჩამუქდა, ბნელს შეერია. ხელის გაგლეჯილი კუნთი გაიშალა ძარღვებად. ეს ძარღვები იქცნენ სისხლის შხეფებად. სისხლმა დაფარა სიმწვანე. ტყეს ცეცხლივით მოედო ადამიანის კვილი და ელექტროხერხის ხმა. ბულდოზერის ბიჭები მუქარით მოინევენ ჩემზე!

– თავს რატომ ილუპავ, ბაბუ? ნადი, გაისეირნე, ჰაერი გადაყლაპე, მოისვენე, ჩვენც მოგვასვენე. არ გვანტე-

რესებს შენი ამბავი. ის, რაც შენთვის ძვირფასია, ჩვენთვის არაფერია; რაც შენთვის უჩვეულოა, ჩვენთვის ჩვეულებრივია. ნადი, თავი დაგვანებე!

არა! ვერ ნავიდოდი! საყვარელი ხეობა შევლას ითხოვდა ჩემგან! ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მე და ეს დაჩეხილი ტყე ერთნი ვიყავით! ნაძვის ტოტებთან ერთად მეც მამტრევენენ ხელ-ფეხს, ელექტროხერხი ჩემს სხეულზეც გადმოდიოდა! მეც ვწყდებოდი ფესვებს, მეც ვიგლიჯებოდი ათას ნაწილად სისხლის ყვავილებად აელვარებულ მიწაზე!

არ ვიცი, რა ძალამ წამომავლო ფეხზე, რა იდუმალი გარდასახვა მოხდა ჩემს არსებაში. რაღაც მოირღვა, გათავისუფლდა გულში; ისეთი ძალით დავიყვირე, თითქოს მთელმა ხეობამ დაიღრიალაო ჩემთან ერთად. თავზარდაცემული ხისმჭრელები წამით შეჩერდნენ, მაგრამ ისევ მომძლავრდა მათი გაუმაძღარი ტალღა, ისევ მომრავლდნენ ირგვლივ ინვესტორთა გაცოფებული სახეები.

უეცრად იქუხა. გულს ზვავივით მოწყვეტილი სიბრაზე სტიქიად იქცა. მეხმა გაგლიჯა ღრუბელი და წამოვიდა ციდან სინანულის ცრემლების წვიმა. ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, ისეთი ღვარცოფი მოასკდა, ტყის გამანადგურებელი ტექნიკა სულ ერთიანად წაღეკა. ასე განრისხებული ბორჯომის ხეობა ჯერ არასოდეს მინახავს.

გონს რომ მოვედი, ირგვლივ აღარავინ იყო. ისეთი სილამაზე და სიმშვიდე სუფევდა, თითქოს წუთის წინ წარღვნას არ მიჰქონდა აქაურობა! ჩამავალი მზე ოქროსფრად ახვერდებდა ხსოვნის შუქ-ჩრდილში გახვეულ მინდვრებს. სხივთა სიმებიან საკრავზე სიმღერასავით ჟღერდა ამბავი გარდასულ დღეთა. კოდალას კაკუნი (თითქოს საბეჭდი მანქანის ხმა) არ არღვევდა, პირიქით, უფრო აძლიერებდა ბნელს შერეული ტყის ძილისპირულ სიჩუმეს.



საადი შირაზელი

## რობაიები

- მას, ვისაც უყვარს, გული მხოლოდ ტრფივლით უცემს, თუმც არვის ესმის, გულს სიღრმეში რა დარდი უძევს; ვისაც ლეილი უნახავს თუ წარმოუსახავს, მხოლოდ მან იცის, მაჯნუნი რა ტკივილებს უძლებს.
- თუ სიყვარულმა გულში მოსვლა ერთხელ იწება, მისი წამალი გაძლებაა და მოთმინება; რადგან შენ ვარდთან განშორება არ შეგიძლია, მაშ, ეკლის ჩხვლეტაც შეიშენე და ნუ გენყინება.
- „ლამით მოვალო“, რომ მითხარი, სიტყვას ვენდე და ვიფიქრე, დარდი გულიდან რომ გადაშენდება; გავიდა უკვე, ო, რამდენი დღეა და ღამე, შენ კი ის შენი დაპირება არ გახსენდება?
- სატრფოს დაგშორდი, ახლა საით, რა გზა-შარა მაქვს? გული იქ დამრჩა, აქ უგულოს მე რა ჩარა მაქვს? განშორებისას ასე მითხრა – სიზმრად მნახავო!.. ალბათ, არ იცის, რომ უმისოდ ძილი არა მაქვს.
- ღამე ღამეს სდევს... თვალს ვერ ვხუჭავ, მხოლოდ ვრწმუნდები, რომ სხვა სიზმრების, მე კი ფიქრის დათვლას ვუნდები;

იქნებ, ჩემივე ხელით მოგცე ჩემი სული და ვეჭვობ, რომ მაშინ მე, უსულოს, დამიბრუნდები?!



სევდის შეგრძნება მე უგონოდ ყოფნას მიქადის, უშენოდ ყოფნით ეს სიცოცხლე მივა იქამდის, რომ უარს ვეტყვი არსებობას ჩემსას აქ, რადგან, სადაც შენა ხარ, არსებობა მხოლოდ იქ არის.



ლამით, როცა ვპოვე სატრფოს სიტურფე და სინაზე, ბედნიერად ვიგრძენ თავი მტრისა თუ მოყვრის ჯინაზე; დაე, სანთლის სხივი ჩაკვდეს, მთვარეც გაქრეს ზეციდან – ჩემთან რომ ხარ, მაშინ ღამე ნათელია დილაზე.



ლამით შენ ჩემთან მზის სინათლეც მოგაქვს სამყოფი, ნოვრუზიც დგება მაშინ ჩემთვის, წლების გამყოფი; „გუშინ“ გაქრა და „ხვალ“, ვინ იცის, მოვა თუ არა, მხოლოდ „დღესა“ აქვს ამ ცხოვრებას რალაც ნაყოფი.



მითხრეს – კარგია, ფეხქვეშ ვარდებს რომ ვიშლი წინ მე, დროს რომ ვატარებ დაღბინებით გარეთ თუ შინ მე, რომ სამოსელის ტანთ მორგებით მგავს არავინ მე... ბრყვებო, კარგი მაშინ არის, თუ მიყვარს ვინმე!



თმენის ძაფებით გული ღამის სიკვდილს მიება... სატრფოს წინ მოვკვდე, სხვა სიკეთის არ მსურს ძიება; ვეტყვი მტერსაც და მოყვარესაც – ჩემი სიკვდილი წყალობა იყო და, რომ მკვლელს ეს ეპატიება.



რასაც ჩაიცვამ, ისე გამკობს, ისე გიხდება, რომ ყველაფერი შენთან დიბა-ატლასი ხდება; ესეც იცოდე – ვინც შენ თუნდაც ერთხელ გიხილავს, ის იცოცხლებს თუ დარდს გაუძლებს, ველარ მიხვდება.



იქნებ, შენ ქარო, გამაქროლო შენი ნიავეთ, რომ ვუთხრა სატრფოს, მონატრებამ ახლა მძლია ვით, რომ ვკითხო – ერთხელ რატომ აღარ გავახსენდი და ჩვენი სიკეთე რამ შეცვალა ახლა სიავეთ?





მითხრეს: რა ნახე შენს სატრფოში, რომ გსურს გიყვარდეს და სიყვარულით ამ ზომამდე თავი მიგყავდეს?!  
დე, ჩემი სატრფო ნუ იქნება ძლიერ ლამაზი, რათა, ჩემ გარდა, მოტრფიალე არავინ ჰყავდეს.



თუ უნუგეშო უშენობა დღესაც იქნება, სხივი გაუკრთეს სათითაო მზესაც, იქნება; თუ სადმე ვარდი აყვავდება, იქ უცილობლად შეყვარებული ბუღბუღების კვნესაც იქნება.



ჩემკენ რომ ჰპოვა ჩემმა სატრფომ გზაა თუ კვალი, უმაღ უგულოდ დამიტოვა ხორცი და ძვალი; გული სუსტია, განა ქვაა, რკინა ან რვალი, თუ არ გსურს ვინმემ გამოგტაცოს, დახუჭე თვალი.



მე ის არ მტკივა, რის წამალიც ექიმმა იცის, ჩემი ტკივილი იმას ესმის, ვინც ტრფობით იწვის; ჩემს დარდს არასდროს ვეტყვი ისეთ ნაცნობს თუ უცნობს, ვინც ანგარების გამო თავის სამშობლოს იცვლის.



ზურგს უკან ჩემზედ აუგს თხზავენ მდაბლად მხედები, სიმართლის წერით ბრიყვებს, ალბათ, ფეხქვეშ ვედები; თუ მტერს არ უნდა, ტკბილი სიტყვით მოყვრად მიგიღოს, იცი, რას გეტყვი? – თქვას, რაც უნდა... ნუ აღელდები.



ძალღად ვიქცე... ვდარაჯობდე შენს სახლს ღამე, იქნება! შენი ვარდის ეკლად ვიქცე... რა სიამე იქნება!  
შენ ღირსი ხარ მხოლოდ ლომის მსგავსი რაინდების და მე, როგორც ლეკვს, რომ მეფერო, განა რამე იქნება?!



უშენოდ ჩვენთვის ეს სამყარო დიდი როდია, ჩვენი სიცოცხლე უშენობით შესაცოდია; მშვიდობა გვსურს და გვხვდება ომის ქართვენილები... მკერდში რომ გვიძევს, გულს აღარ ჰგავს – ქვა და ლოდია.



სატრფო, ვისგანაც განათდა და გაბრწყინდა თვალი, ახლა შორსაა და წყვილია და დაბინდა თვალი;

თვალი მისთვის მაქვს, ჩემი სატრფო რომ ვიხილო და  
თუ იგი ვერსად დავინახე, რად მინდა თვალი?!



შენი სახის ვარდს ვუმზერ და ვფიქრობ – რა ლამაზი ხარ!..  
ნარგიზით თვალს ვერ ვხუჭავ – ზედ ნამნამზე  
მაზიხარ!..

სუმბულთა და არღვანთა შუა მარტო ვდგავარ და  
იასავით თავდახრილი ვამბობ – ო, რა ნაზი ხარ!..



მთვარეც ვნახე მინაზე და აი, კიდეც მე რა ვნახე:  
ალეპოში ეკლესიის წმინდა წიგნის წერა ვნახე,  
განთიადის მაგალობელთა გალიებში მღერა ვნახე,  
თუმც მახეში შენი გაბმა მე ამქვეყნად ვერა ვნახე.



რა იქნებოდა, შენი სახე რომ არ მენახა?!  
რისთვის მინდოდა სიყვარულის გულში შენახვა?!  
რადგან ისურვა თვალმა გულის ცოდვით შელახვა,  
ახლა მიზეზი მისი კვნესის მხოლოდ შენა ხარ!



ვთქვით და დავძლიე შეცოდების ყველა ცდუნება  
და ავიცილე ფეხის ავად გადაბრუნება,  
ხორციელ სურვილს რაღა ვუყო და სად გავექცე,  
თუკი ამ ნაკლით იშვა ჩემი ზნე და ბუნება?!



გეტყვი, ბულბულო, კაცთა მოდგმის ზნეს და ზნეობას  
და გალიაში უხმე შენი სულის მხნეობას:  
ვშიშობ, შენს სატრფოს ველარ ნახავ, რადგან, რაც უფრო  
კარგად იკვნესებ, გარგუნებენ მით მეტ ტყვეობას.

*თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა*



## სერგეი ესენინი

●  
არც ვნანობ რამეს, არც გიხმობ და არც ვიცრემლები,  
ნავა ყოველი, ვით ვაშლის ხის თეთრი ფიფქები,  
შემეპარება გარდუვალი ჭკნობა ფარული,  
მე ახალგაზრდა აღარ ვიქნები.  
შენ, ჩემო გულო, ძველ სურვილებს ველარ აყვები,  
რადგან დამზრალა ჩვენი დროის წილი ყვაველი  
და ამ მინაზე, გადაპენტილ თეთრი არყებით,  
მე ფეხშიშველა ველარ გავივლი.  
მშფოთვარე სულო, რაც დრო გადის, ბორგავ ნაკლებად,  
ველარ აღვიძებ ჩამქრალ ვნებებს ჩვეულ ანცობით,  
ჩანავლდა მზერა ჟინიანი, გრძნობა ნამლევი,  
მივტირი დღეებს ყმანვილკაცობის.  
მე სურვილებშიც, ვატყობ, გავხდი უკვე მომჭირნე,  
ცხადი იყო თუ ჩამითრია სიზმრის მორევმა,  
თითქოს ერთ დილას ვარდისფერი ცხენის ქენებით  
გადავიქროლე მთელი ცხოვრება.  
ჩვენ, ამ ქვეყნიდან წარმავალებს, ვერვინ დაგვიცავს,  
ინყება ფოთლის, ნეკერჩხლიდან ცვენა ფარული,  
კურთხეულ იყოს საუკუნოდ დედამინაზე  
აყვაველებაც და აღსასრულიც!

●  
მოუნყენიათ ამ უღრანებსაც,  
ველარ ლაღობენ სიცოცხლის ფერით,  
წეროები კი დაუნანებლად  
მიფრენენ, სადაც არავინ ელით.  
ან რად ინანონ, როს ყველა მგზავრი  
მიდის და უკან ბრუნდება ბოლოს,  
წეროები კი მთვარიან ღამით

მოაგონდებათ ველ-მინდვრებს მხოლოდ.  
ვდგავარ ბაღში და არავინ მახლავს,  
წეროები კი სერავენ ღამეს,  
წარსულზე ფიქრით სავსე ვარ ახლა  
და არც მე ვნანობ ამჟამად რამეს.  
ჩავლილ დღეებზე დარდი არ ვიცი,  
ყვავილთა სურნელს იოლად დავთმობ,  
ცირცელი ბაღში უცეცხლოდ იწვის,  
იწვის ცირცელი, თუმცა არ მათბობს.  
ბოლომდე მაინც არ დაინვება  
და ვერც სიყვითლე გააქრობს ბალახს,  
რა სევდაცა სდევს ფოთოლთა ცვენას,  
ამ ჩემს ლექსებსაც ის სევდა ახლავს...  
და თუ წამლეკი დროის მორევი  
ჩაითრევს ყველას დაუნანებლად,  
იტყვიან მაშინ სევდამორევით,  
ჩაიყვავილეს ამ უღრანებმაც.

## ძროხა

წლების სიმრავლე ატყვია რქებზე  
კბილებდაცვეთილს და უკვე ბეხრეკს,  
ახლაც კი ესმის შოლტის ტლაშუნი,  
გამეტებით რომ უქნევდა მეხრე.

აკრთობს ყოველი ფაჩუნი, ჩქამი,  
თავის წრიპინიც, მგონი, აშინებს  
და დასტრიალებს ფიქრებით ღამით  
თავის თეთრფეხა, ღამაზ ნაშიერს...

დიდი ხნით როდი დაუთმეს შვილი,  
ბედნიერება არგუნეს წამით  
და აქანავდა სარზე, ვით ჩრდილი  
მისი ნაშობის გამხმარი ტყავი.

სულ მალე ძროხის დადგება ჯერი,  
თოკს შეაბამენ იქვე, კალოზე  
და უდღეური შვილივით მერე  
წინ გაიგდებენ სასაკლაოზე.

ჩაეჭიდება ბებერი რქებით  
მიწას, განწირულ უტყვის გოდებით,  
ჯერ კი სიზმრებში ისევ ფეთქავენ  
აყვავებული მთა და კორდები.

## სიმღერა ძალზე

ჭვავის საბძელში დილაადრიან,  
ოქროში ნავლებ ჭილოფებს უკან,  
შვიდი წითური ლეკვი დაყარა,  
შვიდი წითური დაყარა ძუენამ.

სულ სათითაოდ გალოკა ყველა  
აღსავსემ მათზე ზრუნვით და ფიქრით,  
მინანქარებდა მუცლის ქვეშ ნელა  
მისი სითბოთი გამლღვალი ფიფქი.

გვიან კი, როცა ბინდი ბატონობს,  
თითქოს დუმილი დგას საუკუნო,  
ტომრით პირქუში მოდის პატრონი  
და მცვიან ლეკვებს შიგ ყრის უგულოდ.

უკან მოჰყვება ძალღი საწყალი,  
გაყურსულია მიდამო თეთრად  
და მერე ცოდვას მღელვარე წყალი  
გაინანილებს პატრონთან ერთად.

ბრუნდება მარტო ძალღი ნალველით,  
ძლივს მოლასლასებს, თითქოს დამძიმდა  
და მხოლოდ მთვარე ყოვლისმნახველი  
ღამეულ ციდან ეტყვის სამძიმარს.

ახედავს ზეცას მაღლა წკმუტუნით,  
შეუყფს მნათობს, ლეკვს რომ აგონებს,  
დედის წუხილით გულდათუთქული  
მიეფერება მთვარე მთა-გორებს.

ძალღი კვლავ თავის გაჩენას წყევლის,  
განზილებული ჩუმად წკავენკავენს,  
მერე კი ორი ობოლი ცრემლი  
ვარსკვლავებივით სწყდება წამნამებს.

## წერილი დედას!

ხომ კარგად ხარ, ძვირფასო დედა!  
მე შენზე ფიქრი სხვაგვარად მათბობს,  
ვიცი, დღედაღამ თანა გდექს სევდა  
და მუდამ ჩემთან შეხვედრას ნატრობ.

მწერენ, მიხსენებ ისევ წუხილით,  
შენ ჩემზე დარდი განწევს ლოდივით  
და ძველმანებში გამოწყობილი  
გაჰყურებ შარას კვლავ მოლოდინით.

საშინელ სიზმარს ხედავ ბურანში  
ერთ და იმავეს, ყოველლამ თანაც,  
უაზრო ჩხუბში, სადღაც დუქანში  
შენს უბედურ შვილს უყრიან დანას.

ნუ შეგანუხებს შენ ჩემი ბედი,  
ეს არ მომხდარა, არც უნდა მოხდეს!  
მე არც ისეთი ლოთი ვარ, დედი,  
შენს უნახავად შემეძლოს მოვკვდე!

იქნებ შიშობ, რომ გამოვიცვალე,  
მიყვარხარ ძლიერ, კვლავ ძველებურად...  
შენ იცი მხოლოდ, როგორ ვინვალე  
და ჩემს სულს ისევ რა ნისლიც ბურავს.

მე მოვალ მაშინ, როცა აღუბლებს  
დაასკდებიან კვირტები თეთრად,  
როს მიწა კარებს ფართოდ გაუღებს  
სითბოს და გულიც სხვაგვარად ფეთქავს!

ნუ შეეხები, დედი, იცოდე,  
მოუშუშებელ ჯერაც იარებს,  
ნუ გამახსენებ, როგორ იწვოდა  
სული და რა გზაც გამოვიარე.

ცუდ მოგონებებს სულ დავივინყებ,  
მძიმე ფიქრისთვის არც მიმეტებდი,  
ახლა სიცოცხლეს თავიდან ვინყებ,  
შენა ხარ ჩემი ხსნაც და იმედიც.

ნუ მომიგონებ, დედი, წუხილით,  
ნუ განწევს დარდი ჩემზე ლოდივით  
და ძველმანებში გამოწყობილი  
შარას ნუ გასცქერ კვლავ მოლოდინით.

*თარგმნა გულიკო პირველმა*



ო' ჰენრი

## ღლე, როგელსაც ვზეიმოზთ

– ტროპიკებში წელიწადის დრონი, თვეები, უქმე-სადაგი ღლეები თუ შაბათ-კვირები ისე ირევა ერთმანეთში, რომ კაცს დროის სათვალავი ეკარგება, – მიხსნიდა ჩიტების დიდი ავანჩავანი, გიჟმაჟი ბიბი. – ახალდამდგარი წლის შუაგულს ისე მიატანთ, ძველი წელი გასტუმრებული არც კი გგონიათ.

გიჟმაჟ ბიბის ჩიტების მალაზია მეოთხე ავენიუს დასაწყისში ჰქონდა გახსნილი. ის ყოფილი მეზღვაური და სანაპიროთა მენვერილმანე გახლდათ, ახლაც ხშირად სტუმრობდა სამხრეთის პორტებს და იქიდან მოლაპარაკე თუთიყუშები შემოჰყავდა გასაყიდად. ამ მუხლმაგარ კაცს ნერვებიც რკინისა ჰქონდა. ბიბის მაშინ გადავანყედი, როცა დეიდაჩემ ჯონასთვის საშობაო საჩუქარს დავეძებდი.

– აი, თუნდაც ეს გულწითელა, ლურჯი და თეთრი ზოლებით, – სიტყვა ბანზე ავუგდე. – რა ჯიშისაა? ეს ჩიტი უმალ სამშობლოსა და დარღვეულ ფერთა გამის სიყვარულს მიღვიძებს.

– ესა? ეს კაკადუა ეკვადორიდან, – მიპასუხა ბიბიმ. – ერთადერთი, რაც ისწავლა, ესაა: „შობას გილოცავთ!“. სეზონის ჩიტია, რა! სულ რაღაც შვიდი დოლარი ღირს. თავს დავდე, თუ ამ მისალმების გამო სხვები ოქროს ფასს არ დაადებენ.

უეცრად ბიბიმ ხმამაღლა გაიცინა.

– ეს ჩიტი ძველ მოგონებებს აღმიძრავს, – განმიმარტა მან. – თარიღები აერ-დაერია და ნაცვლად იმისა, იძახოს *'E pluribus unum'*, მის შეფერილობას უფრო რომ მოუხდებოდა, ნამდვილ სანტა-კლავსად იქცა. იმ დროს მახსენებს, ამინდმა და სხვა ტროპიკულმა მოვლენებმა თავგზა რომ აგვიბნია მე და ლივერპულს კოსტა რიკას სანაპიროზე.

ესპანური მატერიკის იმ მხარეში თავი ისე ამოყვავით, გროში არ გაგვარინდა, არც ვინმე მეგობარი გვეგულეობდა, რომ დახმარება გვეთხოვა. ჩვენ იქ მოვხვდით ხილით დატვირთული გე-

1. „*E pluribus unum*“ – ე პლურიბუს უნუმ (ლათ. *pluribus unum* – მრავალთაგან ერთიანი) – აშშ-ის ნაციონალური დევიზი. თავდაპირველად მიუთითებდა ცამეტი დამოუკიდებელი კოლონიის ერთ გაერთიანებულ სახელმწიფოდ ინტეგრაციაზე. დევიზი პირველად 1776 წელს დიდი ბეჭდის კომიტეტმა შეარჩია ამერიკის რევოლუციის დასაწყისში. ამ ვარიანტის დევიზად შემოთავაზება პიერ იუჯინ დუსიმოტიერს მიენერება. იგი წარწერილია აშშ-ის დიდი ბეჭდის წინა მხარეზე (გერბზე) გამოსახულ ლენტზე, რომელიც არწივს უჭირავს ნისკარტით.

მიდან, რომელიც ახალი ორლენიდან მიდიოდა და რომელზეც მე ცეცხლფარეზად, ლივერპული კი მზარეულის თანაშემწედ მუშაობდა. გვინდოდა, ბედს ვნეოდით, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა – შესაფერისი სამუშაო ვერ ვიშოვეთ და ორივენი იქაურ ნითელ რომსა და იმ ხილს მივეძალეთ, რომლის მოყვანაში წილი არ გვედო.

ქალაქი სოლედადი ალევიური ადგილი გახლავთ, უნავსადგურო, უმომავლო და მიუსაფარი. გემისა და გემის ჩამოდგომას შორის ქალაქი რომს ეტანებოდა და იძინებდა. ის მხოლოდ მაშინ ფხიზლდებოდა, როცა მორიგი გემი ბანანით უნდა დაეღვივრათ. ქალაქი იმ კაცს დამსგავსებოდა, სადილობის მერე ჩაროზის მოტანამდე რომ ჩათვლემს ხოლმე.

საქმე სულ უფრო და უფრო ცუდად წაგვივიდა, თავქვე ვეშვებოდით და ბოლოს, როცა სალაპარაკოდ ამერიკის კონსულმაც კი აღარ გვიკადრა, მივხვდით, რომ სავალალო დღეში ჩავვარდნილიყავით.

ბინად ერთ ყვითელკანიან ქალთან, ჩიკასთან ვიდექით. იგი რომით სავაჭროსა და რესტორნის მეპატრონე გახლდათ. რესტორანი „ქალბატონებისა და ბატონებისათვის“ ჩვენს დიასახლისს იმ ადგილას გაეხსნა, რომელსაც the calle de los Forty-seven Inconsolable Saints<sup>1</sup> ეძახდნენ. მისი ნდობის კრედიტი მალე ამოგვეწურა და ლივერპულმა, ვისი მადაც მის Noblesse oblige-ს<sup>2</sup> ბევრად აჭარბებდა, ჩიკა ცოლად შეირთო. ამის წყალობით ერთი თვე ბრინჯი და შემწვარი ბანანი არ მოგვკლებია. მერე კი, ერთ მშვენიერ დილასაც, როცა ჩიკამ თხუთმეტი წუთი საშინელი გამე-

ტებით ურტყა ლივერპულს ადამისყამინდელი ქვაბი, მივხვდით, რომ მასთან აღარ დაგვედგომებოდა.

სამუშაო იმავე საღამოს ვიშოვეთ. ქალაქიდან ცხრა მილის მოშორებით, ხილის კონსერვების საწარმოში მოვეწყვეთ. იგი ერთ ადგილობრივ მეტისს, ბანანის დიდ ავანჩავანს დონ ჯეიმ მაკსპინოზას ეკუთვნოდა. კაცმა რომ თქვას, არჩევანი არც გვქონია – ან მისი შემოთავაზება უნდა მიგველო, ან ზღვის წყალს, საჭმლის ნარჩენებსა და თვლემას დავჯერებოდით.

ახლა, როცა ლივერპულ სემზე მოგიტხრობთ, ისევე ვლანძღავ და ვაგინებ მას, როგორც მაშინ, ერთად ყოფნისას. რა ვქნა, თუკი ასე მგონია, რომ, როცა ინგლისელი კაცი სხვა რომელსამე ქვეყანაში ასე კნინდება, მან მალევე უნდა აიკრას გუდა-ნაბადი, თუ არ უნდა იქაურმა ნაძირლებმა საჰაერო ბუშტიებიდან თავზე ბალასტი დააყარონ. იმ შემთხვევაში კი, თუ ის იმავდროულად ლივერპულელიცაა, ამის კეთება კიდევ უფრო უნდა დააჩქაროს. ეს ჩემი, ძირძველი ამერიკელის პირადი აზრია, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ მე და ლივერპული მაშინ ერთმანეთისგან დიდად არ გავირჩეოდით. არც ერთს არ გაგვარჩნდა ხეირიანი ტანსაცმელი თუ არსებობის სახსარი. სიღარიბე, ხომ ამბობენ, მარტო არ დაიარებაო.

ბებერი მაკსპინოზას პლანტაციამში ჩვენ გვევალებოდა ბანანის ღეროების ჭრა და ხილის კონებით ცხენების დაღვივრთვა. მერე ერთ იქაურ მკვიდრს, რომელიც ალიგატორის ტყავის ქამრით, მაჩეტით და მზის დამცავი პიჟამათი შემოსილიყო, ისინი ზღვისკენ

1the calle de los Forty-seven Inconsolable Saints – ორმოცდაშვიდი ურჩი წმინდანის სახელობის ქუჩა.

2 Noblesse oblige – ფრანგული ფრაზეოლოგიზმი, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „კეთილშობილი წარმომავლობა გვაიძულებს“. გადატანითი მნიშვნელობით – „ღირსება გვაიძულებს“ ან „მდგომარეობა გვაიძულებს“.



მიჰქონდა და სანაპიროზე აგროვებდა.

ყოფილხართ ოდესმე ბანანის პლანტაციებში? ეს ისეთივე მოსაწყენი ადგილია, როგორც ლუდხანა ალიონზე. თითქოს რაღაც მუსიკალური შოუს სცენის მიღმა გაიხლართეთ. თავზევით ცა არ მოსჩანს – მზის სხივი ხშირფოტოლა ხეებში ვერ ატანს, ძირს მოფენილი დამპალი ფოთლები მუხლამდე გწვდებათ. ისეთი სიწყნარეა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებთ.

ღამეს მე და ლივერპული დონ ჯემის ფერადკანიან და ზანგ მუშებთან ერთად ლაგუნას ბოლოს, ბალახის ქობმახებში ვათევდით. გავწვებოდით ხოლმე იქ, დილადად მოსკიტებს ვიგერიებდით და მაიმუნების კივილსა და ლაგუნაში ალიგატორთა ტყაპატყუპს ვუგდებდით ყურს. შიგადაშიგ ვთვლემდით.

მაღე ველარ გავარკვიეთ, წელიწადის რა დრო იდგა. იქ ხომ ლამის ოთხმოცი გრადუსი სიცხეა გამუდმებით, სულ ერთია, რა თვეა, რა სეზონი, დილაა თუ შუალამე, არჩევნები თუ ჩვეულებრივი სადაგი დღე. ზოგჯერ წვიმა იმატებს – ეგ არის და ეგ შესამჩნევი სხვაობა. კაცს იქ, შეიძლება ითქვას, დროის გარეშე უწევს ცხოვრება და მაშინ, სწორედ მაშინ, როცა ის-ისაა, ამ დავიდარაბისაგან თავის დაღწევასა და უძრავ ქონებაში მცირე დაბანდებაზე იწყებს ფიქრს, მიქელ-გაბრიელიც მიაკითხავს.

ვერ გეტყვით, რამდენ ხანს ვიმუშავებთ დონ ჯემთან. ის კი მახსოვს, სულ ორ თუ სამ წვიმიან დღეს შევესწარით. ამასობაში რვაჯერ თუ ცხრაჯერ მოგვინია წამოზრდილი თმის შეჭრა და მეზღვაურის სამი წყვილი შარვალი შემოგვაცვდა. მთელ ფულს, რასაც ვშოულობდით, რომსა და თამბაქოში ვხარჯავდით, თუმცა მშვირებიც არ გვეთქმოდა. ეს კი ცოტა არ იყო.

ერთ დღესაც უეცრად მე და ლივერპულმა ვიგრძენით, რომ ბანანის ღეროებზე ქირურგიული ოპერაციები ყელში ამოგვივიდა. ჩვენც იმ ავადმყოფობით

დავსწეულდით, თეთრკანიანებს რომ შეეყრებათ ხოლმე ლათინური ამერიკის ქვეყნებში. საშინლად მოგვინდა, ვინმეს მშობლიურ ენაზე კვლავ დავლაპარაკებოდით, გემის კვამლისთვის ერთხელაც მოგვეკრა თვალი და უძრავი ქონების სააგენტოთა და მამაკაცთა ტანსაცმლის მაღაზიების რეკლამები ამოგვეკითხა რომელსამე ძველ გაზეთში და რადგანაც სოლედადი ცივილიზაციის ცენტრად მიგვაჩნდა, იმ საღამოსვე ფეხებზე დავიკიდეთ დონ ჯემის ხილის სანარმო და იქაური ბალახმოდებული ბორკილები დავამსხვრიეთ.

სოლედადამდე თორმეტიოდე მილი გვაშორებდა, მაგრამ იქამდე მისვლას ორი დღე-ღამე მოვანდომეთ. გზას ბანანის ტყეებში მივიკვლევდით. დროდადრო ვიხლართებოდით. ეს ისეთივე საძნელო საქმე იყო, როგორც ნიუ-იორკის რომელიმე სასტუმროს პალმიან ჰოლში ვინმე სმიტის მოძებნა.

როცა ხეებს შორის სოლედადის სახლები დავლანდეთ, კვლავ ვიგრძენი ლივერპულისადმი ძლიერი სიძულვილი. ადრე, როცა ჩვენ ფერადკანიანთა შორის ორად ორი თეთრკანიანი ვიყავით, მას როგორღაც ვიტანდი, მაგრამ ახლა, როცა შანსი გამიჩნდა, ვინმე ამერიკელ მოქალაქესთან ორი სიტყვა, თუნდაც სალანძღავი, კვლავ გამეცვალა, მე მას კუთვნილი ადგილი მივუჩინე. კარგი სანახავი კი იყო რომისგან ცხვირანით-ლებული თავისი ჟღალი წვერითა და სპილოს ფეხებით, რომლებზეც ტყავის სანდლები წამოეცვა. ალბათ, მეც ასევე გამოვიყურებოდი.

– ასე მგონია, – ვუთხარი მას. – შენისთანა ლოთებს, მდაბიო და საზიზღარ ტიპებს დიდი ბრიტანეთი სადმე კი არ უნდა გზავნიდეს, რომ სხვისი მინები წაბილწონ, შინ უნდა იტოვებდეს. ოდესღაც ხომ კინნისკვრით გაგყარეთ ამერიკიდან, ჰოდა, მგონი, ახლაც ის დროა, რეზინის ჩექმები ამოვიცვათ და ერთხელაც გაგაპანდუროთ.

– ოჰ, ეშმაკმა წაგიღოს, – მომაძახა ლივერპულმა. ეს მისი ლამის ერთადერთი ფრთიანი გამოთქმა გახლდათ.

ღონ ჯეიმის პლანტაციის შემდეგ სოლედადი სამოთხედ მეჩვენა. მე და ლივერპულმა იქ, ჩვეულებრივ, მხარდამხარ შევაბიჯეთ, ცალაბოსა და Hotel Grande გავიარეთ და მოედნიდან ჩიკას ქობისკენ დავეშვიტით იმ იმედით, რომ ლივერპული ყოფილი ცოლის გულს კვლავაც მოიგებდა და კუჭს ამოვივსებდით.

ჩავუარეთ პატარა ორსართულიან ფიცრულ ნაგებობას, რომელიც ამერიკულ კლუბს ეკავა. მისი აივანი სულერთიანად ყვავილწუნულებით მოერთოთ, სახურავზე აღმართულ ძელაკზე კი დროშა ფრიალებდა. კონსული სტენზი და ოქროს საბადოს მეპატრონე არკრაიტი აივანზე გადმომდგარიყვნენ და თამბაქოს ეწეოდნენ. ჩვენ ჩვენი ჭუჭყიანი ხელები დავეუქნიეთ და გულითადად გაუუღიმეთ, მაგრამ მათ ზურგი შეგვაქციეს და საუბარი განაგრძეს. სხვათა შორის, ოდესღაც მათთან ზედიზედ ოთხი ხელი ვისტიც კი გვექონდა ნათამაშევი იქამდე, სანამ ცამეტივე კოზირი ლივერპულის ხელში არ აღმოჩნდა. ამკარად რაღაც დღესასწაული იყო, მაგრამ რა, ვერ ვხვდებოდით. ჩვენ ხომ დროის სათვალავი აგვრეოდა – არც ის ვიცოდით, რომელი წელი იდგა და არც ის, რა დღე იყო.

ცოტა მოშორებით თვალი მოვკარიტ მღვდელ პენდერგასტს, რომელიც სოლედადში ეკლესიის ასაშენებლად იყო ჩამოსული. ის ქოქოსის პალმის ქვეშ იდგა, ტანთ პატარა ალპაკას პალ-

ტო ეცვა და ხელში მწვანე ქოლგა ეკავა.

– შვილნო ჩემნო, ეს რა დაგმართინათ, ნუთუ ასე გალატაკდით? – გვეკითხა მან და თავისი ლურჯი სათვალის ზემოდან გამოგვხედა.

– გავლატაკდით და ეგრე, – მივუგე მე.

– დიდად ვწუხვარ, თანამემამულეთ ასეთ ყოფაში რომ ვხედავ, – თქვა პენდერგასტმა.

– მორჩით წუნუნს, ბერიკაცო, – ეუბნება ლივერპული. ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ თქვენ წინაშე ბრიტანელი დიდგვაროვანია?

– მოკეტე! – დავტუქსე ლივერპული. – შენ ახლა უცხო მიწაზე გიდგას ფეხი, ანუ მის იმ ნაწილზე, შენ რომ არ გეკუთვნის.

– მერე და რა დღეს! – განაგრძო პენდერგასტმა, – ამ უდიდებულეს დღეს, როცა ყველა ერთად ვზეიმობთ ქრისტიანული ცივილიზაციის გარიჟრაჟსა და ბოროტების დამარცხებას.

– ბაფთებითა და თაიგულებით მორთული ქალაქი კი შევნიშნე, მეუფეო, მაგრამ რას აღნიშნავდა ეს ყველაფერი, იმას კი ვერ მივხვდი. იმდენი ხანია, კალენდარი თვალთ არ გვინახავს, აღარც კი ვიცით, ზაფხულია, შაბათის შუადღე თუ რა დრო.

– აი თქვენ ორი დოლარი, – პენდერგასტმა ვერცხლის ორი მონეტა ამოი-



ლო და გამოგვიწოდა. – ნადით, შვილ-  
ნო ჩემო, და დღის ბოლომდე კარგად  
მოილხინეთ.

ჩვენ მას თავაზიანი მადლობა გადა-  
ვუხადეთ და გავშორდით.

– ხომ არ წავიხემსოთ? – ვკითხვე  
ლივერპულს.

– ოჰ, შე წყეულო, მაშ, ფული რა  
ჯანდაბად გვინდა? – მიპასუხა მან.

– რახან არ იშლი, მაშ, კარგი, მერე  
კი დავლიოთ, – დავეთანხმე მე.

რომით სავაჭროში შევედით და ერ-  
თი კვარტიანი გამოვცალეთ, მერე ქო-  
ქოსის პალმებქვეშ სანაპიროს დავუყე-  
ვით და გავხალისდით.

ბოლო ორი დღე ფორთოხლის მეტი  
პირში არაფერი ჩავგსლოდა. ამიტომაც  
რომმა უმაღლეს იმოქმედა. ბრიტანელი  
ხალხისადმი კვლავ ძლიერი სიძულვი-  
ლი დამეუფლა.

– ადექი, შე დესპოტური შეზღუდუ-  
ლი მონარქიის ნარჩენო და ბანკერ ჰი-  
ლის ეს ერთი დოზაც იგემე<sup>1</sup>, – ვუთ-  
ხარი ლივერპულს. – განა იმ კეთილმა  
კაცმა, მისტერ პენდერგასტმა, ასე არ  
დაგვიბარა, დღე შესაფერისად გაატა-  
რეთო. ჰოდა, სულაც არ ვაპირებ, მისი  
ფული ასე უაზროდ გავაქრო.

– ეშმაკმა წაგიღოს! – მომიგო ლი-  
ვერპულმა. მე მას მარჯვენა ანითლე-  
ბულ თვალში მარცხენა ხელი ვთხლიშე.

ლივერპული ოდესღაც კი იყო მოკრი-  
ვე, მაგრამ მერე საკუთარმა თავქარი-  
ანობამ და ცუდმა გარემოცვამ ნერვები

გაუფუჭა. ათ წუთში, ვხედავ, ქვიშაში  
გორაობს და თეთრ ალამს მიქნევს.

– ადექი, გამომყევი! – ვეუწები მას  
და ფერდში ვურტყამ.

ლივერპული ადგა და ჩვეულებრივ,  
უკან მომყვა, თან სახიდან და ცხვირი-  
დან სისხლს იწმენდა. მე მას პენდერ-  
გასტის ქოხისკენ გავუძეხი და მღვდე-  
ლი გამოვიხმე.

– არა, ერთი ამას შეხედეთ, სერ! –  
ვეუბნები მას. – შეხედეთ ერთი ამ არა-  
რაობას, ოდესღაც ამაყ ბრიტანელს.  
თქვენ ხომ ორი დოლარი გვიბოძეთ და  
ასე გვითხარით, გვეზეიმა. ვარსკვლა-  
ვიანი ალამი ჯერაც ფრიალებს. ვაშა  
ვარსკვლავებს! ვაშა არწივებს!<sup>2</sup>

– ღმერთო ჩემო! – თქვა პენდერ-  
გასტმა და ხელები გაასავსავა. – ვის  
გაუგონია ცემა-ტყეპა და ჩხუბი ამ დი-  
დებულ დღეს, შობა დღეს, როცა მშვი-  
დობა...

– შობა დღეს?! ეშმაკმა დალახვროს!  
– შევყვირე. – მე კი ოთხი ივლისი<sup>3</sup> მე-  
გონა!

– შობას გილოცავთ! – წამოიძახა  
გულწითელა, ლურჯი და თეთრი ზო-  
ლებით დამშვენებულმა კაკადუმ.

– ექვს დოლარად მოგცემთ, მას თა-  
რილები და ფერები აერია, – მითხრა  
ბიბიმ.

*ინგლისურიდან თარგმნა  
მაია ცერცვაძემ*

1 **ბანკერ ჰილი** – იგულისხმება ბანკერ ჰილის (ინგლ. *Battle of Bunker Hill*) ბრძოლა, დიდი ბრძოლა ამერიკულ და ინგლისურ ჯარის ნაწილებს შორის ბოსტონის შემოგარენში, ბანკერ ჰილისა და ბრიდს-ჰილის გორაკებზე 1775 წლის 17 ივნისს აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ომში.

2 იგულისხმება აშშ-ის დიდი ბეჭდის (ინგლ. *Great Seal of the United States*), რომელსაც აშშ-ის გერბსაც უწოდებენ, წინა მხარეზე გამოსახული თეთრთავა არწივი, რომლის თავზე პირველი ცამეტი შტატის აღმნიშვნელი ცამეტი ვარსკვლავია.

3 **ოთხი ივლისი** – აშშ-ის დამოუკიდებლობის დღე (ინგლ. *Independence Day*), 1776 წელს აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერის დღე. ამერიკელთა უმრავლესობა მას, უბრალოდ, ოთხი ივლისით მოიხსენიებს.

იუკიმო მისიმა



## პატრიოტიზმი

1

ყველასათვის ცნობილი მოვლენებიდან სამი დღის თავზე, 1936 წლის რვა თებერვალს, გვარდიის სატრანსპორტო ბატალიონის პორუჩიკმა – სინძი ტაკაიამამ კუთვნილი სახლის ერთ-ერთ ოთახში (ეცუის რაიონი; აობას ქუჩა 6) საკუთარი ხმლით ჰარაკირი გაიკეთა. პორუჩიკი დაზაფრული გახლდათ იმ ცნობით, რომ მისი უახლოესი მეგობრები შეთქმულთა შორის აღმოჩნდნენ და ამის გამო, ვერაფრით მიიღებდა მონანილეობას აჯანყების ჩახშობის ოპერაციაში. მეუღლის მსგავსად, მშვენიერმა რეიკომაც მოისწრაფა სიცოცხლე. პორუჩიკის გამოსათხოვარ წერილში ერთადერთი ფრაზა აღბეჭდილიყო: „გაუმარჯოს იმპერატორის არმიას!“ რეიკომაც დატოვა წერილი, სადაც შენდობას ითხოვდა მშობლებისაგან, რომ მათზე ადრე ეთხოვებოდა სიცოცხლეს... ბარათი ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „დადგა ჟამი, რომლისათვისაც მზად უნდა იყოს ოფიცრის ცოლი“. ქვის გულსაც კი მოალობდა, იმგვარი გახლდათ ამ თავდადებული წყვილის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. პორუჩიკს ოცდათერთმეტი წელი შესრულებოდა, რეიკოს – ოცდასამი. მათი ცოლქმრობა კი ექვსიოდე თვეს ითვლიდა მხოლოდ.

2

მათი საქორწილო სუფრის სტუმრებიცა და ამ დღის აღსანიშნავი ფოტოების დამთვალეირებელნიც ალფროთოვანებულნი იყვნენ ახალგაზრდა წყვილის სილამაზით. საზეიმო მუნდირში გამოკვართული პორუჩიკი წელში გამართული იდგა პატარძლის გვერდით... ერთი ხელი ხმლის ვადაზე დაედო, ხოლო მეორე ხელში ქუდი ეჭირა. გამოქანდაკებულს მიუგავდა სახე და მის თვალებში ახალგაზრდული სიმამაცე ხანძრად დანთებულიყო. თეთრ, საქორწილო კიმონოში გამოწყობილი პატარძალი ენით გამოუთქმელ მშვენიერებას ასხივებდა... ნარბთა რბილი, მოქნილი მრუდი, დიდი, მეტყველი თვალები, თხელი ცხვირი, სავსე ტუჩები განუმეორებლად შერწყმოდა ერთმანეთს – გრძნობითა და კეთილშობილებით გაჯერებული. კიმონოს სახელოდან მაცდურად კრთებოდა მისი ხელის უზადო მტევანი გრძელი, ბროლივით თლილი თითებით, რომელნიც მარაოს ანარნარებდა.

მეუღლეთა თვითმკვლელობის შემდეგ მათი საქორწილო ფოტოს შემხედვარენი გულდათუთქული ოხრავდნენ და ამბობდნენ, რომ ამგვარი, ერთი შეხედვით, იდეალური ქორწინება ყოველთვის უბედურებით დასრულებულა.

მნახველებს ეჩვენებოდათ, რომ ოქროსფერი ლაქით დაფარულ შირმასთან მდგარი ახალგაზრდები სიყვარულით გამთბარი თვალებით უდროო აღსასრულს შესცქეროდნენ.

ახალდაქორწინებულები აობის ქუჩაზე, მშვენიერ კერძო სახლში დასახლდნენ, რომელიც ერთ-ერთმა მეჯვარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ოძეკიმ შეურჩიათ. სახლი პატარა იყო და მომცრო ბალი ერტყა გარს. პირველი სართულის ორ ოთახს მზე საერთოდ არ სტუმრობდა, ამიტომ წყვილმა გადაწყვიტა, საძინებელი (რომელიც მისაღების ფუნქციასაც შეასრულებდა) ოთახი მეორე სართულზე მოეწყოთ. მოსამსახურე არ აუყვანიათ, რადგან რეიკო მშვენივრად ართმევდა დიასახლისობას.

მამულისთვის მძიმე დრო დამდგარიყო. ამიტომ ახალგაზრდებმა საქორწინო მოგზაურობაზე უარი თქვეს. პირველი ღამე საკუთარ ჭერქვეშ გაატარეს. სანამ დაწვებოდნენ, პორუჩიკმა გაშიშვლებული ხმალი მუხლებზე დაიდო და რეიკოს წინაშე მოკლე სიტყვა წარმოთქვა.

– ოფიცრის მეუღლე, – თქვა მან. – მუდამ მზად უნდა იყოს იმის მისაღებად, რომ მისი ქმარი დაილუპება... ხვალ, ზეგ თუ მაზეგ, მნიშვნელობა არ აქვს. ხომ არ შედრკები, როდესაც ჟამი დადგება? – იკითხა მან.

რეიკო ფეხზე წამოდგა, კარადის უჯრა გამოაღო და საკუთარი მზითევიდან ყველაზე ძვირფასი ნივთი – დედის ნაჩუქარი ხანჯალი აიღო. როგორც მეუღლემ, სწორედ ისევე, უხმოდ დაიდო მუხლებზე ქარქაშიდან ამოღებული ხანჯალი. ასე, უსიტყვოდ შედგა მათ შორის შეთანხმება და აღარასოდეს გამოუცდია პორუჩიკს თავისი ახალგაზრდა მეუღლე.

იმ რამდენიმე თვეში, რომლებმაც ქორწილის შემდეგ გაირბინეს, რეიკო ისე დამშვენდა და გაიფურჩქნა, როგორც ნაწვიმარზე, მონმენდილი ცის კამარაზე გამონათებულ მთვარეს სჩვევია.

ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, აღსავსენი ძალებითა და ვნებით. არათუ ღამით, დღისითაც ხშირად ეძლეოდნენ ტრფიალს. ისეც მომხდარა, რომ სამსახურიდან დაბრუნებული პორუჩიკი მტვირიან მუნდირს კარებიდანვე იხდიდა, რათა მეუღლე ვნებიანად ჩაეკრა მკერდში. არანაკლებ ვნებიანად პასუხობდა ამ დროს რეიკოც, რადგან ქორწინების პირველივე დღეებში დააგემოვნა და შეიგრძნო ნეტარება. ქმარი გრძნობდა რეიკოს ყვავილობას და ამით ბედნიერი აღერსს არ აკლებდა მეუღლეს.

რეიკოს თეთრი, მშვენიერი სხეული, მისი მკვრივი მკერდი – ვნებიანი და იმავდროულად უკარება, თითქოს მიენდო სიყვარულს და გრძნობათა ხანძარში გახვეულიყო. წყვილი ერთმანეთს შემამინებელი სერიოზულობით ეალერსებოდა და ამგვარი დამოკიდებულება მათ ნეტარების მწვერვალზეც არ ტოვებდა.

ქანცგამცლელი წვრთნების დროს, ხანმოკლე შესვენებებისას, პორუჩიკი მეუღლეზე ფიქრობდა; შინ მარტო დარჩენილ რეიკოს კი ძვირფასი მეუღლის ლანდი მოუშორებლივ ედგა თვალწინ. საკმარისი გახლდათ, საქორწინო სურათისთვის მოეკრა თვალი, ბედნიერება იფეთქებდა მასში, რადგან ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა მის თავს. რეიკოს სულაც არ მიაჩნდა უცნაურად ის გარემოება, რომ მამაკაცი, რომელიც რამდენიმე თვის წინ სრულიად უცხო იყო, მცხუნვარე მზედ გადაქცეულიყო და მთელ მის არსებას აკაშკაშებდა.

მეუღლეთა ურთიერთობა მტკიცე მორალურ საფუძველზე დამდგარიყო – ასეთი გახლდათ იმპერატორის ბრძანება: „ცოლ-ქმარს სრულ ჰარმონიაში ეგების ცხოვრება!“ რეიკო არასოდეს და არაფერში ეწინააღმდეგებოდა ქმარს; არასოდეს მიუცია მისთვის განაწყენების საფუძველი. პირველი სართულის სასტუმრო ოთახში, საკურთხეველზე საიმ-

პერატორო ოჯახის ფოტო დაედოთ. ყოველ დილით, სინძის სამსახურში წასვლამდე, ორივენი მდაბლად უხრიდნენ თავს პორტრეტს. წმინდა ხეს – საკაკის, რომელიც საკურთხევლის წინ, ქოთანში იზრდებოდა, რეიკო ყოველდღიურად უსხამდა წყალს და მიწას უფხვიერებდა; პასუხად, მცენარეც მუდამ ახასხასებულ-ამწვანებული იდგა ამაყად.

### 3

პორუჩიკის სახლის ახლოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ამჟამად კი მინისტრის – ბეჭდის მცველის – საიტოს (მაკოტო საიტო. 1858–1936) სახლი იდგა. საიტო აჯანყების პირველივე დღეს მოკლეს ამბოხებულებმა. მეუღლეებს სროლის ხმა არ გაუგონიათ 26 თებერვლის ალიონზე. ეს ტრაგიკული დაპირისპირება სულ რაღაც ათი წუთი გაგრძელდა; პორუჩიკი სროლამ კი არა, საყვირის ხმამ გააღვიძა, ხმამ, რომელმაც ალიონის დათოვლილი ჩრდილები თითქოს ააფეთქა და ქვეყნიერება განგაშით გააღვიძა. ოფიცერი თვალის დახამხამებაში წამოხტა საწოლიდან, უხმოდ გადაიცვა მუნდირი, ხელში ცოლის მიერ განვდილი ხმალი ჩაბლუჯა და თოვლით დაფარულ, ჩაბნელებულ ქუჩაზე გამოვარდა. 28 თებერვლის საღამომდე რეიკოს ქმარი აღარ უნახავს.

მომხდარის შესახებ რადიომ ამცნო. სრული ორი დღე მარტომ ჩუმიად გაატარა მკვიდრად ჩარაზულ სახლში.

სიბნელესა და სიცივეში გასასვლელად მომართული ქმრის სახეზე რეიკომ სიკვდილისათვის სრული მზადყოფნა ამოიკითხა. იმ შემთხვევაში, თუკი იგი ცოცხალი არ დაბრუნდებოდა, ქალი თავს არ იცოცხლებდა. მან აუჩქარებლად დაიწყო თავისი ნივთების დალაგება. გამოსასვლელი კიმონოები ცალცალკე გაახვია ქალაღებში და სკოლის მეგობრების სახელები და მისამართები დააწერა, რათა მათთვის გადაეცათ. ქმარი ხშირად ეუბნებოდა, რომ არ

ელელვა ხვალინდელი დღის გამო და დღევანდლობით ეცხოვრა. შედეგად რეიკო დღიურს არ აწარმოებდა, რის გამოც ამ წუთში იგი მოკლებული გახლდათ ბედნიერებას, ნელ-ნელა გაეცოცხლებინა უკანასკნელი თვეების ბედნიერი მოგონებები და მერე დღიურის ფურცლები ნელი-ნელ ცეცხლში შეეკეთებინა. რადიომიმღების გვერდით მისი პატარა კოლექცია თავმომწონებოდა – ფაიფურის ნაკეთობები: ძაღლი, კურდღელი, დათვი, მელა, მაჩვი... კიდევ, თასი და დოქი. ყმანვილმა ქალმა გაიფიქრა, რომ ეს ნივთები სახსოვრად არ გამოდგებოდა. ისიც კი ეუხერხულა, ეთხოვნა, რომ მისთვის ჩაეტანებინათ კუბოში. რატომღაც მოეჩვენა, რომ ფაიფურის მხეცუნებებს საცოდავად და უშნოდ დამანჭვოდათ სახეები.

მან ხელში მაჩვის ფიგურა აიღო, მაგრამ, როგორ დაშორებოდა ძველ, ბავშვურ გატაცებებს?! მისი თვალეები ხედავდნენ მხოლოდ ყოფიერების სიდიადის სრულ ბრწყინვალეებას, რომელიც მის მეუღლეში განსხვებულებულიყო. ბედნიერებით სავსე, მზად იყო, დაუნანებლად გადადგომოდა წინ სიკვდილის მსახვრალ ეტლს, თუმცა, ჯერ კიდევ დარჩენილიყო რამდენიმე საათი, რათა წვრილმანებით შეექცია თავი. სიმართლე ითქვას, ეს წვრილმანები მის გულს შორეულ წარსულში ართობდნენ; დღეს მას მხოლოდ მათთან დაკავშირებული მოგონებები უყვარდა. ახლა მის გულში ნამდვილი, მხურვალე ვნება აგიზგიზებულებოდა, ბედნიერების მოუთმენელი განცდა... სხეულის მიერ ნაჩუქარ ბედნიერებას არასოდეს აღიქვამდა, როგორც ჩვეულებრივ სიამოვნებას. თებერვლის სიცივე ფაიფურის შეხებასთან ერთად უყინავდა თლილ თითებს, მაგრამ, როგორც კი მის ტანზე შემოხვეულ, მეუღლის ძლიერ ხელებს წარმოიდგენდა, სადღაც ქვემოდან, მოგვირისტე-

ბული კომონოს ნაკეცებიდან, ნესტიანი ალმური ედებოდა, რომელსაც მთელი სამყაროს თოვლის გადნობა შეეძლო.

სიკვდილი, ასე ახლოს მყოფი, სულაც არ აშინებდა რეიკოს; სატრფოს მოლოდინში მტკიცედ სწამდა: ყოველივე ის, რაზეც მამაკაცი ფიქრობდა, რასაც გრძნობდა – მისი ტანჯვა, მღელვარება, ისევე, როგორც მისი სხეული – ასე უშურველად რომ ანიჭებდა ბედნიერებას ქალს – საოცარ ნეტარებას მოუტანდა, სახელად „სიკვდილს“. ამ ფიქრებში, ამ

ჩაძირული ქალაქი გაყურსული ელოდა საომარი მოქმედებების დაწყებას.

28 თებერვალს, სალამოხანს, რეიკო შეაკრთო სახლის კარებზე ძლიერმა კაკუნმა. იგი შემოსასვლელისკენ გაიქცა და აკანკალებული ხელებით გაალო ურდული. ადამიანი, რომლის გაშეშებული სილუეტი ლანდად მოჩანდა კარების მრუმე ფანჯარაში, ხმას არ იღებდა, თუმცა რეიკომ ქმარი იმავ წამს იცნო. აქამდე არასოდეს ყოფილა ასე ძნელი ურდულის გაღება, დიდხანს



ფიქრის ყველაზე უმცირეს ნაწილაკებში მთელი მისი არსება შთაინთქმებოდა.

რადიო იუნყებოდა, რომ ამბოხებულთა შორის მეუღლის უახლოესი მეგობრები აღმოჩნდნენ. ამ ცნობამ ყოველგვარი ეჭვები გააქარწყლა. მოუთმენლად ელოდა რეიკო იმპერატორის რესკრიპტს, რადგან ხედავდა, აჯანყებას, რომელიც თავდაპირველად „ეროვნული აღორძინების მოძრაობად“ სახელდებოდა, უცებ მიეკერა „პუტჩის“ სამარცხვინო დამლა. სამხედრო ნაწილიდან, სადაც მისი ქმარი მსახურობდა, არანაირი ცნობები არ ისმოდა. თოვლში

ჯიუტობდა, თითქოს არ სურდა გახსნა.

კარი ბოლომდე არც კი გაღებულა, რომ კომუფლირებულ შინელსა და თოვლიან ჩექმებში ჩაცმული ქმარი უკვე ჰოლში შედიოდა. მან ურდული გადაკეტა და გასაღებიც გადაატრიალა. ამ მოძრაობის მნიშვნელობა რეიკომ უეცრად ვერც გაიგო.

– სალამო მშვიდობისა, – მდაბლად მიესალმა ქალი, მაგრამ პორუჩიკმა არაფერი უპასუხა. მან ხმალი შეიხსნა და გახდა დაინყო. რეიკო მიეშველა. შინელი ცივი და სველი იყო და საჯინიბოს სუნი ასდიოდა, როგორც მშრალ, მზიან დღეე-

ბში; უჩვეულოდ მძიმედ ერვნენ სამოსი ქალს; მან შინელი საკიდზე დაჰკიდა, ილიაში ხმალი და „პორტუპეი“ ამოიჩარა და ფეხდაფეხ მიჰყვა ქმარს პირველი სართულის მისაღებში.

ლამპის კაშკაშა შუქზე მეუღლის ნვერმოშვებული სახე ეუცხოვა ქალს. ღანვები ჩასცვენოდა და თვალის უპეები ჩამუქებოდა სინძის. ჩვეულებრივ, როდესაც სამსახურიდან გუნებაზე ბრუნდებოდა, იგი სასწრაფოდ იცვლიდა სამოსს და ვახშამს ითხოვდა. დღეს პორუჩიკი მუნდირით დაჯდა მაგიდასთან და თავი ჩაღუნა. რეიკოს არ უკითხავს, გაეშალა თუ არა სუფრა.

მცირე ხნის ღუმილის შემდეგ ქმარმა წარმოთქვა:

– მე არაფერი ვიცოდი. მათ არც კი გამაგებინეს. ალბათ, იმის გამო, რომ ახალდაქორწინებული ვარ. კანოც იქ არის, ჰომაც, იამაგუტიც...

რეიკოს თვალწინ წარმოუდგენენ ვარდისფერსახიანი ახალგაზრდა ოფიცრები, სინძის მეგობრები, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ მათთან.

– ხვალ უზენაეს რესკრიპტს გაახმაურებენ. მათ ამბობებულებად გამოაცხადებენ. ჩემი ვალია, ჯარისკაცები წავიყვანო მათ წინააღმდეგ... არ შემიძლია ამის გაკეთება, არ შემიძლია... დღეს პოსტიდან გამათავისუფლეს, – განაგრძო პაუზის შემდეგ. – უფლება მომცეს, დღევანდელი ღამე შინ გავატარო. დილით შეტევაზე გადავალთ. რეიკო, ამას ვერ გავაკეთებ.

თვალდახრილი რეიკო მის პირისპირ იჯდა. მან მშვენივრად უწყოდა, რომ ქმარი გადანყვეტილებას ამცნობდა – სიკვდილის გადანყვეტილებას. მის ხმაში შეურყეველი ძალა იგრძნობოდა, რადგან თითოეული სიტყვის უკან სიკვდილი იდგა, როგორც უძრავი და შემზარავი დეკორაცია.

პორუჩიკი მოუთხრობდა განცდილ სულიერ ტანჯვაზე, თუმცა გული მისი შეუდრეკელი ჩანდა.

მისი სიტყვების შემდეგ სიჩუმე ჩამონვა – ისეთი სუფთა და გამჭვირვალე, როგორც მთის წყარო ანკარა. ორი დღის განუწყვეტელი ტანჯვის შემდეგ საკუთარ სახლში, მშვენიერი, ახალგაზრდა მეუღლის პირისპირ მჯდარმა ოფიცერმა იგრძნო, როგორ მშვიდდებოდა მისი მღელვარე სული. მან იცოდა, რომ მეტის თქმა საჭირო არ იყო – ქალს მისი ესმოდა.

– აი, ასე... – პორუჩიკმა თავი ასწია. უძილო ღამეების მიუხედავად, მახვილი და დაუბინდავი მზერა ჰქონდა. მისი თვალეები ახლა რეიკოს უყურებდნენ.

– ამალამ ჰარაკირი უნდა გავიკეთო.

რეიკო არ შემკრთალა. მის დიდ თვალეებში ისეთი დაძაბულობა იგრძნობოდა, თითქოს აგერ-აგერ ზარივით დაინკარუნებო.

– მე მზად ვარ, – უპასუხა მან მშვიდად. – ნება მომეცი, კვალში მოგყვე.

პორუჩიკმა იგრძნო, რომ ეს წამლუკავი მზერა დათრგუნავდა. სიტყვები თავისით წასცდა ტურებიდან, თითქოს ბოდავდა:

– კარგი, მაშ, ერთად, მაგრამ მე მსურს, შენ იხილო, როგორ მოგკვდები.

წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ შეეძლო ასე იოლად, თითქოს ზერელედაც კი, მიეცა სიკვდილის ნება სატროფოსთვის, მაგრამ, როგორც კი ეს სიტყვები დაირხა ჰაერში, მიჯნურთა გულებს ბედნიერების მწველი შეგრძნება ტალღასავით დაეტაკა. რეიკო ქმრის უპირობო ნდობამ ალაფრთოვანა. მან უწყოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სინძისთვის, რომ ჰარაკირს უზადოდ ჩაეველო. ჰარაკირის შესრულებისათვის აუცილებელ პირობას დამსწრე წარმოდგენს და ის გარემოება, რომ ეს როლი მას ერგო წილად, ადასტურებდა მის მიმართ უზარმაზარ პატივისცემას. მეუღლის მხრიდან უკიდევანო ნდობას ისიც ადასტურებდა, რომ თავდაპირველად რეიკოს სიკვდილი არ მოითხოვა კაცმა, არ სურდა,



შეემონებინა, რამდენად შეასრულებდა ქალი დანაპირებს. სინძი რომ ჩვეულებრივი, საშუალო კაცი ყოფილიყო, რეიკო პირველი მოკვდებოდა, როგორც ეს ორმაგი თვითმკვლელობების შემთხვევებში ხდება.

პორუჩიკი თვლიდა, რომ რეიკოს გადანყვებილება ადასტურებდა ფიცს, რომელიც მან პირველ ღამეს დადო და ამ სიმტკიცეს საკუთარი ქცევისა და ცოლის სწორი აღზრდის ნაყოფად სთვლიდა. ეს აზრი მას სიამაყეს ჰგვრიდა. ამპარტავნებისაგან დაცლილ სინძის ვერც კი წარმოედგინა, რომ მეუღლეს მხოლოდ მისდამი სიყვარულის გამო შეეძლო ამ ნაბიჯის გადადგმა.

სიხარულმა მოიცვა მათი სულები და იგი იმდენად დიდი და ბუნებრივი გახლდათ, რომ მეუღლეთა სახეები ღიმილმა გაასხივოსნა. რეიკოს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს კიდევ ერთი საქორწინო ღამე ელოდათ წინ. აღარსად ჩანდა ტკივილი და სიკვდილი – წინ მხოლოდ უკიდევანო და თავისუფალი სივრცე ლივლივებდა.

- აბაზანა მოვამზადე. მიიღებ?
- დიახ.
- ხომ არ ივანშმებ?

ეს სიტყვები იმდენად ჩვეულებრივად იქნა წარმოთქმული, რომ პორუჩიკს წამით მოეჩვენა, თითქოს ყველაფერი, რაც წელან მოხდა, მხოლოდ ზმანება იყო და სხვა არაფერი.

- საკვების მიღება, ვფიქრობ, არ ღირს. აი, საკვს კი სიამოვნებით დავლევდი.

- კარგი, ძვირფასო.

რეიკო წამოდგა, კარადიდან ქმრის ხალათი გამოიღო და მეუღლეს სთხოვა, შიგნით შეეხედა. ოფიცერი კარადასთან მივიდა და მდუმარედ დაათვალიერა ქალღალღებში გახვეული კაბები და პარკებზე დაწერილი რეიკოს მეგობრების მისამართები. ცოლის გადანყვებილების გააზრებულობის კიდევ ერთმა დადასტურებამ მასში სევდა კი არ გამოიწვია,

არამედ გული უფრო მეტად დაუტკბო მისდამი სიყვარულმა და სინაზემ. რეიკო ისე ჰგავდა ახალგაზრდა პატარძალს, რომელიც ქმარს სიამაყით აჩვენებს საკუთარ სათამაშოებს, რომ ვერაფრით მოერია თავსა და სიყვარულს, ზურგიდან მოხვია ხელები და კისერზე დაეკონა.

გაუპარსავმა სახემ უჩხვლიტა რეიკოს, ვისთვისაც სწორედ ამ შეხებაში ჩადებულიყო სიცოცხლის საზრისი. კოცნა განსაკუთრებულად ცოცხლად მოეჩვენა – მალე ხომ ყველაფერი დამთავრდება. ყოველი წამი იკრებდა ძალებს, სხეულის ყველა უჯრედი იღვიძებდა. რეიკო ფეხის წვერებზე აინია, რათა ქედი უფრო კარგად მიეშვირა ქმრის ტუჩებისათვის.

- ჯერ აბაზანა, შემდეგ საკე, მერე კი... ზემოთ გაშალე სანოლი, – ჩაუჩურჩულა პორუჩიკმა. რეიკომ თავი დაუქნია.

კაცმა სწრაფად გაიძრო მუნდირი და სააბაზანოში შევიდა. რეიკო სასტუმრო ოთახში საკეს ათბობდა და სააბაზანოდან გამომავალ წყლის ჩხრიალს უსმენდა. ცოტა ხანში ქალმა მეუღლეს ხალათი, ქამარი და თეთრეული შეუტანა და იკითხა, საკმარისად ცხელი მოდიოდა წყალი თუ არა. პორუჩიკი ორთქლში გახვეულიყო და წვერს იპარსავდა. ღონიერი ზურგის კუნთები ხელის მოძრაობას დაჰყვებოდნენ.

იმ საღამოს ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. რეიკომ შინ დარჩენილი მარაგებიდან სასწრაფოდ შეამზადა მცირედი მისაყოლებელი. ხელები არ უკანკალებდა; საქმეს უკეთესად უძღვებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ. ეგ იყო მხოლოდ, რომ ხანგამოშვებით უცნაურ თრთოლას გრძნობდა მკერდში. ეს შეგრძნება წამიერად ჩნდებოდა, როგორც ელვა ცის შორეულ მხარეებში. სხვა მხრივ, ყოველივე ძველებურად იყო.

წვერის პარსვისას პორუჩიკი გრძნობდა, გახურებული სხეულიდან როგორ

მიიძურნებოდა ეჭვებითა და ტანჯვით გამონვეული დაღლილობა; უცილობელი აღსასრულის მიუხედავად, ოფიცრის არსება მთლიანად მოეცვა ბედნიერების მოლოდინს. ოთახიდან ცოლის ფეხის ხმა ისმოდა და კაცში სრულიად ბუნებრივმა ფიზიკურმა ლტოლვამ იფეთქა, რომლის შესახებაც უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში არც უფიქრია.

სინძის ეჭვი არ ეპარებოდა, მათ მიერ მიღებულ გადანყვეტილებაში ბენვისოდენა ხელოვნურობაც კი არ გახლდათ. იმ წამს ამაზე არც უფიქრია არც ერთს, მაგრამ ორივენი ქვეშეცნეულად გრძობდნენ, რომ მათი, სხვებისაგან ფარული ბედნიერება მტკიცედ ყოფილა შეჯავშნილი უზენაესი სამართლიანობით, ღვთაებრივი განგებითა და უზადო ზნეობრიობით. როგორც კი ერთმანეთის თვალეში ნაიკითხეს მზადყოფნა ღირსეული სიკვდილისათვის, პორუჩიკმა და მისმა მეუღლემ კვლავ გააცნობიერეს, თუ როგორი მტკიცე კედელი იცავდა მათ სიყვარულს, ნაშენები ჭემმარიტებისა და სილამაზისაგან. სწორედ ამიტომ, პორუჩიკი არათუ ვერ ხედავდა წინააღმდეგობას ფიზიკურ ლტოლვასა და პატრიოტიზმს შორის, პირიქით, ეს ორი ვნება სრულიად ბუნებრივად ერწყმოდა ერთურთს.

დაორთქლილ, მქრქალი ბზარებით ჩაშავებულ სარკეს პორუჩიკი ყურადღებით ჩასჩერებოდა და სამართებელს ფრთხილად ისვამდა სახეზე: მალე, სულ მალე ამ სახეს სიკვდილის ნიღაბი გადაეფარება, ამიტომ სულაც არ არის აუცილებელი, რომ იგი რაღაც ნაკანრებით დამახინჯდეს. ახლად გაპარსულმა კანმა ბზინვა დაიწყო და კაცი გააახალგაზრდავა – ძველი, დაბზარული სარკე განათდა თითქოს. ნათლითმოსილი ახალგაზრდობისა და სიკვდილის კავშირი ხომ ასეთი ამაღელვებელი და ელეგანტურია...

წუთუ ამ ნაკვთებს მალე წაშლის სიკვდილის ჩრდილი?! უკვე ამ წუთებში

სინძის სახე სანახევროდ აღარ ეკუთვნოდა და უფრო მეტად ბრძოლაში დაცემული ჯარისკაცის ქვის ქანდაკებას ჩამოჰგავდა. ოფიცერმა წამით თვალეები დახუჭა. სამყარო სიბნელეში ჩაიძირა... განა მხოლოდ ცოცხალნი არ ხედავენ?

როდესაც პორუჩიკი სააბაზანოდან გამოვიდა, მისი ახლად გაპარსული ლოყები მოცისფროდ ანათებდა; იგი ქურას მიუჯდა, სადაც საკე ცხელდებოდა. რეიკოს ყველაფერი მოემზადებინა და თავის მოწესრიგებაც მოესწრო. ღანვები ავარდისფრდებოდა, სველი ტუჩები უბრწყინავდა... პორუჩიკმა მეუღლის სახეზე დარდის ნატამალიც ვერ შენიშნა. მისი გამძლეობით აღფრთოვანებული კიდეც ერთხელ გაიფიქრა, რომ არჩევანში არ შემცდარა.

საკე გადაჰკრა და ფინჯანი მეუღლეს მიანოდა. რეიკოს აქამდე არასოდეს ღვინოც გაესინჯა. მან მორჩილად მიიტანა საკე ტუჩებთან და დამფრთხალმა მოსვა.

– მოდი ჩემთან! – მიმართა პორუჩიკმა.

რეიკო მიუახლოვდა ქმარს. დაიხარა; კაცმა ხელები მოხვია და ღონივრად ჩაიხუტა. რეიკოს მკერდში რაღაც ჩაელვარა თითქოს. ბედნიერება და სევდა, საკეთი ღონემიცემული, ერთმანეთში აიზილა და ადუღდა. პორუჩიკმა ზემოდან ჩახედა ცოლს თვალეებში. აი, უკანასკნელი სახე ქალისა, ვისი შეხედვაც არგუნა ბედისწერამ. დინჯად, შთაგონებით შეჰყურებდა იგი უძვირფასეს ნაკვთებს, ისე ხარობდა, როგორც ყარიბი მოგზაური, შვენიერი პეიზაჟით, რომელსაც ვეღარასდროს ვეღარ შეავლებდა თვალს. შეჰყურებდა ქალს პორუჩიკი და ცქერით ვერ ძღებოდა: რბილი, ძლიერი ტუჩები ათბობდნენ ამ მშვენიერების ცივ ხაზებს. იგი დაიხარა და ტუჩებს ეამბორა. უეცრად შენიშნა, ისე, რომ სახეზე ერთი კუნთიც არ გასტოკებია, რეიკოს გრძე-

ლი წამნამებიდან ვარსკვლავებივით მოციაგე ცრემლები ბრჭყვიალით დასდიოდა ლოყებზე.

– წამოდი, საძინებელში ავიდეთ, – თქვა ქმარმა.

ქალმა ასვლამდე სააბაზანოში შესვლა მოისურვა. სინძი მარტო ავიდა ზემოთ, ლუმლით გახურებულ საძინებელში შევიდა და ლოგინზე გაიშხლართა. ყველაფერი ძველებურად იყო, საათიც კი იმ დროს უჩვენებდა, როდესაც ლოგინზე წამონოლილი ქმარი ცოლს ელოდა ხოლმე.

პორუჩიკმა ხელები თავქვეშ ამოიღო და ქერს მიაპყრო თვალი, სადაც ლამპის შუქის ანარეკლი, როგორც ყოველთვის, ჯადოსნურად ფარფატებდა. მაინც რას ელის იგი – სიკვდილს თუ ტრფილის თავდავინყებას? ერთის მოლოდინი ისე გადანონიდა მეორეს, რომ სინძის ეჩვენებოდა, თითქოს სიკვდილი ყოფილიყო მისი ტრფობის ობიექტი. ასე იყო თუ ისე, პორუჩიკს ჯერ არასდროს განეცადა ყოვლისმომცველი თავისუფლების ასეთი შეგრძნება.

ფანჯრის მიღმა დათოვლილ ქუჩაში მანქანამ საბურავების შრიალით გაიარა. კლაქსონის ხმას შენობებმა მოგუდული ექოთი უპასუხეს. ცხოვრების მდინარება ჯიუტი ამაოებით გრძელდებოდა, მხოლოდ აქ, ამ ოთახში, გაჩენილიყო მარტოხელა კუნძული. მას გარს უზარმაზარი, არეულობაში ჩაძირული ქვეყანა ერტყა, რომელსაც პორუჩიკმა გული შესწირა. სწორედ მისთვის უნდა მოკვდეს იგი. ნეტავ, შენიშნავს მამული წმინდა იდეისათვის თავდადებულ მსხვერპლს? თუნდაც ვერ შენიშნოს! პორუჩიკის უკანასკნელი ბრძოლის ველი დიდების გვირგვინებით არ იქნება მოფენილი, ბედისწერამ არ არგუნა მტრის ხელით ვაჟკაცური სიკვდილი, მაგრამ ცხადზე ცხადი გახლდათ, რომ სწორედ ამ ოთახში გადიოდა ფრონტის ხაზი მისი სულისა.

კიბეზე ამომავალი რეიკოს ფეხის ხმა მოესმა. კიბის ციცაბო, ძველი საფეხ-

ურები ჭრიალებდა ყოველ ნაბიჯზე. პორუჩიკს უყვარდა ეს ხმა. რა ხშირად ელოდა ძველი კიბის ჯადოსნურ მუსიკას საწოლზე განრთხმული. სინძი ტაკაიამამ გაიფიქრა, რომ ნაცნობი ჭრიალი უკანასკნელად ესმოდა, ამიტომ სმენად იქცა. ყოველი წამის ცხოველი შეგრძნობა გადანყვიტა და ეს წამები აღმასებად აკიაფდნენ მის წინაშე.

რეიკოს საბანაო ხალათზე ალისფერი სახვევი შემოერთყა, რომელიც ოთახის ბინდბუნდში შავად კრთოდა. პორუჩიკმა მისი ნასკვისაკენ წაილო ხელები. ნასკვის გახსნაში ქალიც მიეხმარა ნაზად და სახვევი გველივით დაცურდა იატაკზე. ქმარმა ხალათის განიერ სახელოებში შეუყო ხელები; პასუხად, რეიკომ იდაყვები მოუჭირა მტევნებზე და სხეულზე მიიკრა მისი ხელისგულები; სალუქ, მცხუნვარე კანთან შეხებამ სინძის ვნებიანი თრთოლა მოჰგვარა.

ვერ გაიგეს, როგორ აღმოჩნდნენ გავარვარებული ლუმლის გვერდით სრულიად შიშვლები.

მათი სული, მათი სხეული, ფიქრები მათი პირთამდე აევსო იმ შეგრძნებას, რომ ეს ყველაფერი უკანასკნელად ხდებოდა. თითქოს ვილაც ჯადოქარმა უჩინარი ფუნჯით მათ სხეულებს დაანერა სიტყვები – „უკანასკნელად!“

პორუჩიკმა მიიზიდა ახალგაზრდა ცოლი და იმავე წამს შეერწყნენ ისინი კოცნაში ერთურთს. მისი ენა დაუსხლტა რეიკოს ტუჩებს; ჯერ არშეცნობილი სიკვდილი მათ გრძნობებს ასმაგად ამახვილებდა, ყოველი შეხება გახურებული შანთივით სწვავდა მათ. აუცილებელი აგონიის მოახლოება ნეტარებას არნახულ სისუფთავესა და დახვეწილობას სძენდა.

– დამენახე, – წაიჩურჩულა პორუჩიკმა. – მინდა, უკანასკნელად დავტკბე შენი მშვენებით, – მან საღამური ნათურა საწოლისკენ შეატრიალა.

თვალეზდახუჭული რეიკო გაუნძრევლად იწვა საწოლზე. ნათურის სხივები

გვერდულად ეცემოდა ქათქათა სხეულს და რელიეფურად აჩენდა მის ყოველ ნაკვთს, ყოველ ამობურცულ გორაკს და ჩალრმავებულ ხევ-ხუვებს. ეგოისტურმა სიამოვნებამ შეიპყრო პორუჩიკი იმის გაფიქრებაზე, რომ იგი უნდა მომკვდარიყო პირველი და საბედნიეროდ, ვერ ნახავდა ამ მშვენიერების აღსასრულს.

აუჩქარებლად იმახსოვრებდა მის წინაშე გადაშლილ ჯადოსნურ სურათს. ერთი ხელით რეიკოს თმაზე მოეფერა, მეორე ნელ-ნელა ალენილ სახეზე დაუსვა ფრთხილად; დაიხარა და ქალის თვალის უბეებს დააკვდა კოცნით. მაღალი, ლამაზი შუბლი... გრძელი ნამნამები განაბულიყვნენ წარბების თხელი ზოლის ქვეშ... სწორი, უზადო ცხვირი... სავსე, ლამაზად მომრგვალებული ტუჩები, მათ მიღმა კბილთა სითეთრე... ლანვების ნაზი ვარდისფერი და პატარა, მდიდრული ნიკაპი... პორუჩიკის თვალწინ თითქოს სიკვდილის მთელი ბრწყინვალეობა წარსდგა, პასუხად, იგიც გაშმაგებით დაენაფა ბროლივით ყელს, სადაც სულ მალე ხანჯლის წვერი დატრიალდება... კოცნიდა მანამ, სანამ ბროლმა ფერი არ იცვალა ამარტის ფერად... ისევ ტუჩებთან დაბრუნდა და გიჟურ რიტმში რეიკოს ტუჩების გადაყლაპვა მოინდომა თითქოს. თვალეები რომ დაეხუჭა ამ დროს, წარმოიდგენდა, რომ მთელი სამყარო ტალღებში ქანაობდა.

პორუჩიკის ტუჩები მორჩილად მისდევდნენ თვალთა მოძრაობას. კოცნისაგან გამაგრებული ძუძუს კერტები, მწვერვალეებივით რომ ამშვენიებდნენ მკერდის გორაკებს, მთის მწიფე ალუბლებს დაემსგავსნენ. მხრებიდან მოყოლებული, ხელების მრგვლოვანი მოხაზულობა მაჯებამდე თანდათან წვრილდებოდა. წვრილი, თლილი თითები – სწორედ ის თითები, საქორწინო ფოტოგრაფიაზე მარაოს რომ ანანავებდნენ – მორცხვად ემალებოდნენ, მუჭში მოქცეულნი, პორუჩიკის მწველ ტუჩებს. მკერდსა და მუცელს შორის

არე მორჩილ და იმავდროულად მტკიცე ძალას ასხივებდა; უფრო ქვემოთ თეძოების ხვეულები იწყებოდა, თუმც ამ ადგილებში სხეული ჯერ კიდევ ინარჩუნებდა დისციპლინასა და თავშეკავებას. ლამპის მქრალ შუქზე მუცლის დამაბრმავებელი სითეთრე განიერ ფიალაში ჩასხმულ რძეს აგონებდა კაცს; მის შუაგულში პატარა ორმო მოსჩანდა, მუქი, როგორც წვიმის წვეთის კვალი. კიდევ უფრო ქვემოთ, იქ, სადაც ჩრდილები მუქდებიან, ახალი ამონაყარვით ბიბინებდა თმის ნორჩი ღერები; ათრთოლებული, ვნებით ატანილი სხეულიდან ქალის მათრობელა სურნელს სწორედ აქ ეპოვა გამოსავალი.

რეიკომ აკანკალებული ხმით აღმოთქვა:

– მეც მინდა... უკანასკნელად...

პირველად მიმართა მან ქმარს ასეთი პირდაპირი მოთხოვნით; თითქოს რაღაცა, რაც აქამდე გულდასმით იმალებოდა ბუნებრივი მორჩილებით, უეცრად აფეთქდა და თავისუფლება მოიპოვა. პორუჩიკი ნება-ნება გადანვა ზურგზე. ქალის ქათქათა სხეული წამოიშრათა; ქმრის მაგალითით აღტყინებულმა ქალმა თითებით ნაზად დაუფარა მზერა მასზე დამკვდარ თვალეებს.

ალერსით ჩაიკრა მკერდში კაცის მოკლედ თმაშეკრეჭილი თავი. უხეშმა თმამ კანი დაუჩხვლიტა, ცხვირი გაყინული ჰქონდა სინძის, ხოლო სუნთქვა – მწველი. რეიკო განზე გაიწია და თვალეებით ჩააფრინდა მეუღლის ვაჟკაცურ სახეს. ხშირთმიანი საფეთქლები... მილულული თვალეები... დიდრონი ცხვირი... მოკუმული, ლამაზი ტუჩები... გაპარსვის შემდეგ მოცისფროდ მოელვარე ყვრიმალები... რეიკომ დაკოცნა ასე ძვირფასი სახე, შემდეგ დაკოცნა ძლიერი კისერი, განიერი მხრები, გამობურცული, კუნთების ორი ფარით დაცული მკერდი, მხრებისა და მკერდის კუნთთა მიერ დაფარული ილღიებიდან მოტკბო, სევდიანი სურნელი მოსდიოდა, რომელშიც უცნაურად იგრძნობო-

და ახალგაზრდა სხეულის სასიკვდილო წინათგრძობა. პორუჩიკის სხეული მნიფე ხორბლისფრად ღაღანებდა, მუცელი კუნთების სქელი, რელიეფური ჯავშნით შემოფარგლულიყო. ამ სიმტკიცის შემხედვარე რეიკომ უეცრად წარმოიდგინა დაჩეხილი და დამახინჯებული სხეული. ცრემლები წვიმასავით წამოუვიდა თვალებიდან და დიდხანს, დიდხანს ჰკოცნიდა ქმრის მუცელს.

პორუჩიკმა იგრძნო, რომ სხეულზე ცრემლები ეწვეთებოდა, ამან სიმამაცის ახალი ტალღა მოჰგვარა მას და უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ნებისმიერ სატანჯველს გაუძლებდა.

ზედმეტი იქნება აღწერა ნეტარებისა, რაც ამგვარმა დამშვიდობებამ მოჰგვარა ცოლ-ქმარს. პორუჩიკმა თავის ძლიერ მკლავებში მოიმწყვდია აქვითინებული მეუღლე და მათი სახეები ერთმანეთს არაადამიანური ძალით შეენებნენ. რეიკომ მთელი სხეულით კანკალებდა. ოფლში გაღვრილი სხეული მეორეს შეერწყა და არ არსებობდა ძალა, რომელიც დააშორებდა ერთ სხეულად გადაქცეულებს. რეიკომ წამოიყვირა. იგი თითქოს უზარმაზარი სიმალლიდან უფსკრულში გადაეშვა, შემდეგ კი ფრთები გამოესხა და ისევ ცაში აფრინდა. პორუჩიკი ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა, როგორც მედროშე აღლუმის დროს... ერთ ტალღას მეორე ცვლიდა, ახალგაზრდებმა არ უწყოდნენ, რა იყო დაღლა და ახალ-ახალ სიმალლეებს იპყრობდნენ.

#### 4

როდესაც პორუჩიკი რეიკოს სხეულს მოსწყდა, არაფრით ნიშნავდა იმას, რომ დანაყრდა ტრფობით. მისი შემოფოთების მიზეზი სხვა გახლდათ – ჰარაკირისთვის ძალები უნდა დაეზოგა... კიდევ ის გახლდათ მიზეზი, რომ არ სურდა, მათი სიყვარულის უკანასკნელი ჯადოსნური მომენტები მოყირჭებით გაფერმკრთალებულიყო.

იგრძნო თუ არა რეიკომ, რომ მეუღლე

გვერდზე გაინია, იმ წამსვე დამორჩილდა მის ნებას. პირაღმა დანოლილი ხელჩაკიდებული შიშველი წყვილი მრუმე ჭერს შეჰყურებდა. ოფლი მალე შეაშრათ, თუმც გალულუნებული ღუმელი ოთახში საკმაო სითბოს ინარჩუნებდა. ჩუმი ღამე იდგა. ქუჩაში მოძრაობა შემწყდარიყო; მატარებლებისა და ტრამვაის ხმაური ეცუის სადგურიდან აქამდე არ აღწევდა და სადღაც აკასაკას სასახლის პარკში იკარგებოდა. დედაქალაქის ამ მყუდრო უბანში, ძნელად თუ დაიჯერებდა ადამიანი, რომ სადღაც, აქვე, ორი სამხედრო დაჯგუფება ერთმანეთთან სამკვდროსასიცოცხლო შებრძოლებისთვის ემზადებოდა.

ცოლ-ქმარი გაუნძრევლად იწვა, ჩუმად ტკბებოდა ერთმანეთისაგან მომდინარე სითბოთი და ხელახლა განიცდიდა უკვე გარდასულ სანეტარო წუთებს: ყოველ წამს, თითოეული კოცნის დაუვინყარი გემოს, ყველა შეხებით გამოწვეულ თრთოლას, ბედნიერების შეგრძნებას, რომელსაც გულისცემის შეჩერებაც შეეძლო, მაგრამ ჭერის ბნელი კუთხეებიდან მათ უკვე სიკვდილის სახე უმზერდა. ნეტარება დასრულებულიყო და იგი აღარასოდეს დაუბრუნდებოდა მათ. ერთი აზრი აეკვიატა ორივეს: ძალიან დიდხანსაც რომ ეცოცხლათ ბედნიერად, ამდაგვარ ექსტაზს ვერასოდეს ვერ განიცდიდნენ.

მათი გადაჭდობილი თითები მალე მოსწყდება ერთმანეთს, მალე გაქრება ჭერზე ამოტვიფრული ხის ჩუქურთმები. ყოველწამიერად უფრო საგრძნობი ხდებოდა სიკვდილის მოახლოება. ახლა უკვე სიმამაცის მოკრება გახლდათ საჭირო, რათა თვითონ გადაედგათ მისკენ ნაბიჯი.

– მაშ, კარგი, – დაარღვია ღუმილი პორუჩიკმა. – მომზადების დროა. – მისი სიტყვები მტკიცედ ფლერდა, თუმც რეიკოს აქამდე ასეთი სინაზე და სილბო არასოდეს სმენია.

უხმოდ ადგნენ. წინ, მართლაც, ბევრი საქმე ელოდათ.

პორუჩიკი აქამდე არასოდეს მიშველებია მეუღლეს საწოლის მილაგებაში. ახლა კი მან სწრაფად გამოალო კარადის კარები და დაჭმუჭნილი თეთრეული შიგნით შეყარა, მერე ღუმელი გამორთო, ლამპა თავის ადგილზე დადო და ოთახმა ისეთი იერი მიიღო, თითქოს ვინმე განსაკუთრებულ სტუმარს ელოდნენ.

– რამდენჯერ გვიქეიფია აქ, – ამოიოხრა პორუჩიკმა. – კანოსთან, ჰომასთან, ნოგუტისთან ერთად...

– თან როგორ უყვარდათ დროსტარება.

– არა უშავს. მალე შევხვდებით. წარმომიდგენია, როგორ დამცინებენ, როდესაც შენთან ერთად მნახავენ.

სანამ პირველ სართულზე ჩავიდოდა, კაცმა თვალი შეავლო მყუდრო, განათებულ ოთახს. მის გონებაში კვლავ გაიელვეს მეგობრების, ახალგაზრდა ოფიცრების სახეებმა, თითქოს შემოესმა მათი ნამუსრევი ხმები, მათი უმანკო ბაქიობა. არასოდეს უფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ამ ოთახში გამოიფატრავდა მუცელს.

კიბეზე ჩასულები მომზადებას შეუდგნენ. პორუჩიკი ტუალეტში შევიდა, შემდეგ სააბაზანოს მიაშურა. რეიკომ კოხტად დაკეცა მეუღლის ხალათი და სააბაზანოში მუნდირი და ახალი, გახამებული ნელსახვევი შეიტანა. მცირე სასტუმრო ოთახის მაგიდაზე უკანასკნელი ბარათებისათვის გამზადებული ქალაღის ფურცლები დააწყო და ტუშის დამზადებას შეუდგა. უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ რა დაენერა.

რეიკოს თითები მთელი ძალით ფხვნიდა ტუშს სამელნის ოქროთი დაფერილ სახეხზე, სადაც წყალი ნელნელა შავდებოდა. ქალმა საკუთარ თავს აუკრძალა იმაზე ფიქრი, რომ მისი რიტმული მოძრაობები და ხეხვის მონოტონური ხმები ერთადერთ მიზანს – აღსასრულს აახლოებდა. არა და არა! ეს მხოლოდ ჩვეულებრივი, საოჯახო საქმე გახლდათ, სიკვდილამდე დროის

გაყვანის მიზნით ნამოწყებული, თუმცა, უკვე გაღეული ტუშის ნამცეცები უკვე იოლად იფქვებოდა და მისგან მომავალი სუნიც უფრო მძაფრდებოდა, რაც რეიკოს ზაფრავდა.

სააბაზანოდან პორუჩიკი გამოვიდა; მიშველ ტანზე გადაეცვა მუნდირი. იგი უხმოდ დაჯდა, ფუნჯი ხელში აიღო და შემკრთალმა დახედა სუფთა ფურცელს.

რეიკო ნამოდგა და თეთრი კიმონოს ჩასაცმელად გავიდა. როდესაც ახალდაბანილი და ფერუმარილწასმული ქალი ოთახში დაბრუნდა, პორუჩიკს გამოსათხოვარი წერილი უკვე დაენერა.

„გაუმარჯოს იმპერატორის არმიას!

პორუჩიკი სინძი ტაკეიამა“.

რეიკო მეუღლის წინ დაჯდა და წერას შეუდგა. პორუჩიკი ყურადღებით და სრული სერიოზულობით უყურებდა, თუ როგორ გამოჰყავდა მის ცოლს იეროგლიფები სუფთა ფურცელზე.

ამის შემდეგ მან ხმალი შემოირტყა ნელზე, რეიკომ ხანჯალი საკუთარ ნელსახვევში ჩააგო და გამოსათხოვარი წერილებით ხელში, მეუღლეებმა საკურთხეველს მიაშურეს, დაიჩოქეს და მდუმარე ლოცვაში ჩაიძირნენ.

პორუჩიკმა პირველ სართულზე შუქი ჩააქრო და კიბეს აუყვა. შუა გზაზე შეჩერდა, უკან მოიხედა და რეიკოს სილამაზემ მეხი დასცა – იგი უკან მოჰყვებოდა თვალებდახრილი, თეთრ სამოსში გამოხვეული – სიბნელიდან სინათლისაკენ.

წერილები მეორე სართულის ტოკონომაში, გვერდით დაინყვეს. პორუჩიკს სურდა, კედლიდან კაკეძიკუ (კალიგრაფიული წარწერა გრძელ ქალაღზე ან აბრეშუმზე) ჩამოეღო, მაგრამ გადაიფიქრა: მასზე ერთადერთი დიადი სიტყვა ენერა – „ერთგულება!“ მან ჩათვალა, რომ მათი ხელისმომკიდე, გენერალი ოძეკი, რომელმაც ეს იეროგლიფები დაწერა, აპატიებდა, თუ სისხლის წვეთები მიესხმებოდა გრაგნილს.

პორუჩიკი იატაკზე დაჯდა, ზურგით კედლისკენ და ხმალი მუხლებზე

დაიდო. რეიკო მეორე ტატამზე დაეშვა; თეთრებში ჩაცმულს წითელი პომადა დამაბრმავებლად უხდებოდა.

ცოლი და ქმარი გვერდიგვერდ ისხდა და ერთმანეთს თვალებში უცქერდნენ. როდესაც რეიკომ ხმალს შეხედა, პირველი ღამე გაახსენდა და სევდა აუტანელი სიმძიმით დაანვა მის არსებას. სწორედ მაშინ პორუჩიკმა ჩამწყდარი ხმით დაიწყო ლაპარაკი:

– მე არ მყავს სეკუნდანტი, ამიტომ იძულებული ვარ, ღრმად შევიყვანო ხმალი სხეულში. ალბათ, ეს სანახაობა მძიმე იქნება, მაგრამ შენ არ შეშინდე. გვერდიდან სიკვდილის ყურება საშინელებაა. შენი სიმამაცე შიშმა არ განაქარვოს. კარგი?

– კარგი, – მდაბლად დაუხარა თავი რეიკომ.

ცოლის ულამაზესმა აღნაგობამ, თეთრ სამოსში რომ იკვეთებოდა, პორუჩიკს ნაგვიანევი ვნება აღუძრა. სულ ცოტა ხანში ქალი ახალ ხარისხში დაინახავს საკუთარ ქმარს – ოფიცრის მოვალეობის შესრულების ჟამს, რადგან ამგვარი სიკვდილი არანაკლებ საპატიოა, ვიდრე ბრძოლის ველზე გმირული აღსასრული.

პორუჩიკს წამიერი, ფანტასტიკური წარმოსახვა ეწვია. ბრძოლის ველზე ეულად დაცემა და თვითმკვლელობა მშვენიერი მეუღლის თვალწინ – თითქოს იგი ერთდროულად ორ განზომილებაში სიკვდილისთვის ემზადებოდა და ამ სურათმა ნეტარების მწვერვალზე ააფრინა. აი, რა ყოფილა ჭეშმარიტი ბედნიერება – გაიფიქრა მან. – მეუღლის მზერის ქვეშ სიკვდილი იგივეა, რაც სიკვდილის წინ ზღვის ნიაგ-ქარის სურნელის შეგრძნება. მას ბედმა გაუღიმა, სხვებისათვის მიუწვდომელი პრივილეგია ერგო წილად. თეთრი, პატარძლის დარი ფიგურა განასახიერებდა ყველაფერს, რისთვისაც ცოცხლობდა იგი: იმპერატორს, სამშობლოს, საომარ ბაირალს. ყველა ეს წმინდა სიმბოლო მისი მეუღლის ნათელი და ყოვლისშემტყობი თვალებიდან უმზერდა მას.

რეიკო აკვირდებოდა მეუღლის მზადებას და ფიქრობდა, რომ არ არსებობდა სამყაროში სანახაობა, ამაზე მშვენიერი. მუნდირი ყოველთვის უხდებოდა პორუჩიკს, მაგრამ ახლა, როცა წარბშეჭმუნვილი და ტუჩმოკუმული სიკვდილს თვალებში შეჰყურებდა, მისმა სახემ განუმეორებლად ვაჟკაცური იერი მიიღო.

– მორჩა, დროა, – თქვა პორუჩიკმა.

რეიკომ დაბლა, იატაკამდე დახარა თავი. უეცრად ძალებმა დატოვეს იგი. წელში გამართვა ველარ შეძლო. – ტირილი არ შეიძლება, – უთხრა საკუთარ თავს! სახე შეღებილი მაქვს. მაგრამ ცრემლები თავისით დიოდნენ.

როდესაც, როგორც იქნა, გაიმართა, ცრემლების მიღმა დაინახა, რომ ქმარი გაშიშვლებულ ხმალს თეთრ ნაჭერს ახვევდა, რომ ღია პირი მხოლოდ ოციოდენ სანტიმეტრი დარჩენილიყო.

ეს რომ დაასრულა, ხმალი იატაკზე დადო, ფეხები გადააჯვარედინა და მუნდირის საყელო გაიხსნა. მისი თითები ნელ-ნელა ხსნიდნენ სპილენძის თითოეულ ღილს. გაშიშვლდა ბრინჯაოსფერი მკერდი, შემდეგ მუცელი. პორუჩიკმა ქამარი შეიხსნა, შარვალი ჩაიწია. გამოჩნდა ქათქათა თეთრი ნელსახვევი; ისიც ოდნავ ქვევით ჩასწია და მარჯვენა ხელი თეთრნაჭერდახვეულ ხმალს ჩაავლო; მარცხენას მსუბუქად ისვამდა ნელსქვემოთ.

წამით დაეჭვდა, კარგად იყო თუ არა ხმალი ალესილი, შარვალი სანახევროდ ჩაიწია და ფეხზე ოდნავ დაუსვა. კანზე უმალ გაჩნდა ნაიარევი და ელექტრონის შუქზე აბრჭყვიალებული, წვრილ ძაფებად დაიქსაქსა სისხლი თედოზე.

რეიკო პირველად ხედავდა მეუღლის სისხლს და სუნთქვა შეეკრა. მან თვალებში ჩახედა კაცს. პორუჩიკი შემფასებლური მზერით დაჰყურებდა ნაიარევს. ქალი იმავ წამს დაწყნარდა, თუმც კარგად ესმოდა, რომ ეს სიწყნარე ყალბი და მოჩვენებითი იყო.

უეცრად პორუჩიკმა სახე ასწია და

მეუღლეს მკაცრი, შევარდნისებური მზერით შეხედა. ხმლის წვერი დაიპირდაპირა, თვითონ წამოინია, რომ ხმაღს ზედ დასდგომოდა. ჩანდა, როგორ დაეჭიმა კუნთები მუნდირის ქვეშ. აშკარა იყო, რომ კაცმა ყველა ძალის მობილიზაცია მოახდინა. ჩანდა, რომ მუცლის ქვედა, მარცხენა ნაწილში, ღრმად აპირებდა დარტყმას. გაშმაგებულია ყვირილმა შეძრა ოთახის სიჩუმე.

თვითონ დაირტყა ხმალი, მაგრამ პორუჩიკს ეგონა, რომ სხვამ გაუყარა ფოლადის მსხვილი კეტი სხეულში. თვალი დაუბნელდა და რამდენიმე წამის განმავლობაში სრულიად ველარ ხედებოდა, თუ რა ხდებოდა მის თავს. გამიშვლებული ფოლადი თეთრ ნაჭრამდე შევიდა ტანში; პორუჩიკის მუშტი, რომლითაც ხმალი ეპყრა, მუცელს მიეჭირა.

გონება დაუბრუნდა. „ხმალმა მუცლის დაფა ნამდვილად გახია“, – გაიფიქრა მან. სუნთქვა უჭირდა, მკერდი მძიმედ ამოსდიოდა; სადღაც, ძალიან შორს – შეუძლებელია, რომ ეს მის სხეულში მომხდარიყო – დაიბადა თავზარდამცემი ტკივილი, თითქოს მინა გაიპო და ცეცხლოვანი ლავა ამოიფრქვა. საშინელი სისწრაფით მოდიოდა მისკენ ტკივილი. პორუჩიკმა ქვედა ტუჩი მოიკენიბა, რათა არ ეყვირა.

„ჰარაკირი! აი, როგორი ყოფილა!“ – გაიფიქრა მან. – „თითქოს ცა დაემხო, თითქოს მთელი სამყარო დაიძრა და ამოყირავდა“. მისი ნებისყოფა და სიმამაცე, ხმლის დაკვრამდე შეურყეველ ბურჯად მდგომი, გაიწელა და წვრილ, ფოლადის ძაფად გადაიქცა; გაფიქრებამ, რომ რაღაც უნდა დაჯდომოდა, ამ ძაფს უნდა ჩასჭიდებოდა, პორუჩიკის სული განგაშითა და უსაზღვრო სევდით აავსო. მუშტი, რომლითაც ხმალი ჰქონდა ჩაბლუჯული, დაუსველდა. ოფიცერმა დაინახა, რომ ხელიცა და ხმლის პირზე დახვეული თეთრი ნაჭერიც გასისხლიანებულიყო; წელსახვევიც ალისფრად ანათებდა. „უცნაურია,

რომ, მიუხედავად ამგვარი ტკივილისა, ყველაფერს ასეთი სიცხადით ვხედავ და სამყაროც ისე არსებობს, როგორც ადრე“. – გაიფიქრა მან.

იმ წამიდან, როდესაც პორუჩიკმა მუცლის ქვემოთ დაიკრა ხმალი და სახე, თითქოს თეთრი ფარდა გადააფარესო, საშინლად გაუფითრდა, რეიკო მთელი არსებით ებრძოდა დაუძლეველ სურვილს, ქმარს მივარდნოდა. ამის გაკეთება არ შეიძლება, იგი უნდა იჯდეს და უცქიროს. ის ხომ ერთადერთი მოწმეა, სწორედ ასეთი ვალდებულება დააკისრა მეუღლემ. ქმარი იქვე, გვერდით, ტატამზე იჯდა; ქალი ცხადად ხედავდა მის შემოილ სახეს და მოკვნიტილ ტუჩს, აშკარად ხედავდა მის ენითუთქმელ ტანჯვას, მაგრამ რეიკომ არ იცოდა, როგორ ეშველა მისთვის.

პორუჩიკს შუბლზე ოფლის წვეთები დაასხდა. მან თვალეზი მოჭუტა. როდესაც ისევ გაახილა, მის მზერას დაკარგული ჰქონდა ჩვეული სიმკვეთრე. ახლა მას უაზრო, სიცარიელით აღსავსე გამოხედვა ჰქონდა, როგორც დაჭრილ ნადირს.

ქმრის ტანჯვა ზაფხულის მზეზე უფრო ბრწყინავდა. მას არაფერი ჰქონდა საერთო გლოვასთან, რომელიც რეიკოს სულს უსერავდა. პორუჩიკი თვალსა და ხელს შუა სხვა სამყაროსეულ არსებად გადაიქცა, მთელი მისი არსი ტანჯვაზე იყო კონცენტრირებული და რეიკოს მოეჩვენა, რომ მისი მეუღლე ტყვეა – ტკივილის გალიაში გამომწყვდეული პატიმარი, რომელსაც საშველად ველარ მისწვდები. ქალის გრძნობები? მისი გლოვა ფიზიკური სატანჯველი არ გახლდათ. რეიკოს გრძნობა გაუჩნდა, თითქოს მავანმა მასსა და მის მეუღლეს შორის შუშის უმონყალო კედელი ააშენა.

ქორწინებიდან მოყოლებული, მთელი მისი ცხოვრების აზრი ქმარი გახდა; მისი ყოველი ამოსუნთქვა რეიკოს ამოსუნთქვა იყო; ახლა კი კაცი სრულიად განცალკევებულად არსებობდა საკუ-



თარი სატანჯველის პატიმრობაში და გლოვის ზღვაში მარტოდ დარჩენილმა ქალმა ყოველგვარი საყრდენი დაკარგა.

პორუჩიკი შეეცადა, განივი კვეთა გაეკეთებინა, მაგრამ ხმალი შიგნეულობაში გაიჭედა, რომელიც რბილი დრეკადობით უძლიანდებოდა მას. კაცი მიხვდა, რომ ორივე ხელით უნდა ჩაებლუჯა იგი და უფრო ღრმად შეეყვანა სხეულში. ასეც მოიქცა. იარაღის წვერი უფრო ნელა შედიოდა, ვიდრე პორუჩიკი ელოდა, ამიტომ მარჯვენა მარჯვს მთელი ძალა დაატანა. საჭრეთელი ათ სანტიმეტრზე მაინც შეიტანა გვამში.

ტკივილი უკვე ნიაღვარივით წამოვიდა, გაფართოვდა და სხეულს მოედო; ეჩვენებოდა, რომ მუცელი უზარმაზარი ზარივით რეკავდა, ათასი უზარმაზარი ზარივით, რომელიც პულსის ყოველ დარტყმაზე, ყოველ ამოსუნთქვაზე უნგრევდა მთელ სხეულს. კვნესის შეჩერება შეუძლებელი გახდა. უეცრად პორუჩიკმა დაინახა, რომ ხმალი მუცლის შუაგულამდე მისულიყო და ამით კმაყოფილმა, ენერგიისა და სიმამაცის მოზღვავება იგრძნო.

სისხლი მდინარესავით ჩქეფდა, ტალღებად ისხმებოდა ჭრილობიდან. იატაკი ალისფრად შეიღება; ხაკისფერ შარვალს ნითელი წყაროები სდიოდნენ. ერთი წვეთი, როგორღაც, გვერდით ტატამზე მჯდომი რეიკოს თეთრ კიმონოს მიეშხეფა და გაანათა.

როდესაც პორუჩიკმა ხმალი მუცლის მარჯვენა მხარეს გადაიტანა, ხმლის წვერი ღრმად აღარ იყო სხეულში. სისხლითა და ქონით გაზეპილი საჭრისი ჭრილობიდან ამოვარდნაზე იყო. უეცრად ყელში გულისრევა მოაწვა და პორუჩიკმა ხრინწიანი ხმით დაიბლაგლა. სპაზმისაგან ტკივილი კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდა, ჭრილობის კიდეები ერთმანეთს დაშორდნენ და ლიობიდან შიგნეულობამ იწყო გამოსვლა, თითქოს მუცელსაც ალებინებდა. ნაწლავებს პატრონის სატანჯველი არაფრად ედარ-

დებოდა; ჯანმრთელი, მბრწყინავი ორგანოები ხალისით მიძვრებოდნენ თავისუფალი სივრცისაკენ. პორუჩიკს თავი ჩამოუვარდა, მხრები მძიმედ უმოძრავებდა ზევით-ქვევით, თვალის გუგებმა ტრიალი დაიწყეს, პირიდან ნერწყვი გადმოეკიდა. მუნდირის ეპოლეტები ოქროსფრად აინთნენ.

ირგვლივ ყველაფერი სისხლში ცურავდა; პორუჩიკი ნითელ გუბებში იჯდა; სხეული ისე მოემჩვარა, რომ ხელით იატაკს ებჯინებოდა. ოთახში სიმყრალე გავრცელდა – პორუჩიკს ისევ ალებინებდა; მისი მხრები ისევ ცახცახებდნენ. მუცლიდან გამოვარდნილი ხმალი უმოძრაოდ გაშეშებულიყო უსიცოცხლო ხელში.

უეცრად პორუჩიკი გაიმართა. განა შეიძლება ნებელობის ასეთი დაძაბვა რაიმეს შეედაროს ქვეყანაზე? მკვეთრი მოძრაობით უკან გადაგდებული თავი კედელს შეეხალა, თვალები გადმოუცვივდა, კანს გვამური სიმშრალე გადაეკრა; ღანვებსა და პირს, ოდესღაც ასეთ ლამაზს, შემშრალი ტალახის ფერი დაედო. ძალების განწირული დაძაბვით ასწია მძიმეზე უმძიმესი ხმალი. მოძრაობა ისეთი შენელებული და ზერელე ჰქონდა, როგორც მოსამართ თოჯინას. პორუჩიკი ცდილობდა, მოუთვინიერებელი ხმალი ყელში გაეყარა. რეიკო გულმოდგინედ აკვირდებოდა, თუ როგორ ასრულებდა მისი მეუღლე უკანასკნელ, ალბათ, ყველაზე რთულ მოძრაობას. ერთი მეორეზე მიყოლებით, ყელში დამიზნებული, გალიპული დაშნის წვერი მიზანს სცდებოდა. ძალები სტოვებდნენ პორუჩიკს. წვერი უხეშ ნაჭერს უშედეგოდ ეხლებოდა. საკინძე გახსნილი ჰქონდა კაცს, მაგრამ საყელო ჯერ კიდევ უფარავდა კისერს.

ამდენის ატანა რეიკოს უკვე აღარ შეეძლო. ოჰ, როგორ სურდა მას, ქმარს მიშველებოდა, მაგრამ ადგილიდან ვერ დგებოდა. ბოლოს ოთხზე დამდგარი მიფორთხდა მასთან ნითელ გუბებში.

თეთრი კიმონო ალისფრად დაიფერა. ქმრის ზურგს უკან მოხვედრილმა ქალმა საყელო ფართოდ გადაუნია. სულ ეს იყო, რითიც მიეხმარა საყვარელს. როგორც იქნა, აკანკალებულმა ხმლის წვერმა იპოვნა სამიზნე. რეიკოს მოეჩვენა, რომ მან ჰკრა ხელი ქმარს, მაგრამ არა – პორუჩიკი თვითონ, უკანასკნელი ძალით წინ გადაინია ხმლის შესახვედრად. ბასრმა ფოლადმა ყელი გაიარა და კეფის ქვემოთ გამოვიდა. გაასხა სისხლმა შადრევანივით და პორუჩიკიც ჩაყურდა. კისერს უკან ცივი ფოლადი ლამპის შუქს ლურჯად ირეკლავდა.

## 5

რეიკო ნელა ჩავიდა კიბეზე. სისხლით გაჟღენთილი ტაბები იატაკზე უსრიალებდა. მეორე სართულზე მკვდრული დუმილი გამეფებულიყო.

მან შუქი აანთო, გაზის ონკანი მოუშვა და ლუმელში მინავლებულ ნაკვერჩხალს წყალი მიასხურა. შემდეგ სარკესთან მივიდა და კიმონოს კალთები აინია. სისხლის წვეთებს თეთრ კიმონოზე ჯადოსნური ნახატები მოექარგა. რეიკო იატაკზე დაეშვა და ააკანკალა, მეუღლის სისხლით გაჟღენთილი კალთები ფეხებს უყინავდა. დიდხანს იკეთებდა კოსმეტიკას. ლანვები ფერუმარილით დაიფერა; ნითელი, კაშკაშა პომადა დაიდო ტუჩებზე. ამჯერად გრიმს საყვარლისთვის აღარ იკეთებდა, იგი იმ სამყაროსთვის იყო განკუთვნილი, რომელსაც მალე დატოვებდა; სწორედ ამიტომ, ფუნჯის მოძრაობაში იყო რალაც დიადი... როდესაც რეიკო ფეხზე ადგა, ტატამზე სისხლიანი კვალი დარჩა, თუმცა ქალს მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

ამის შემდეგ ახალგაზრდა ქალი სააბაზანოში შევიდა, ბოლოს კი დერეფანში აღმოჩნდა. საღამოს, სიკვდილისთვის მზადებისას, პორუჩიკმა კარები გასაღებით გადაკეტა. მცირე ხანს რეიკო

კარებთან იდგა და მარტივი დილემის გადაწყვეტას ცდილობდა. საკეტი ასევე დატოვოს თუ გახსნას? თუკი სახლი ჩაკეტილი დარჩება, მეზობლები დიდხანს ვერ გაიგებენ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სიკვდილის ამბავს. ვერაფრით დაუშვებდა, რომ მათი გვამები უკვე გახრწნილ მდგომარეობაში ეპოვათ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, კარები ღია დაეტოვებინა... რეიკომ გასაღები გადაატრიალა და კარები ოდნავ შეაღო. შესასვლელში ცივმა ქარმა შეინავარდა. ღამის ქუჩა უდაბურად გამოიყურებოდა; ხეთა კენწეროების ზემოთ ვარსკვლავები ციაგებდნენ.

რეიკო ისევ ზემოთ აბრუნდა. ფაჩურებზე სისხლი შეშრა და ფეხი აღარ უცურავდა. შუა კიბეზე მკვეთრი სუნი შემოეგება.

რეიკომ მშვიდად გადაჭრა ოთახი. მეუღლის ცხედარს გვერდით მიუჯდა და მის სახეს გადახედა. პორუჩიკის გაყინული მზერა სადღაც, ერთ წერტილში მიციებულიყო. რეიკომ უსიცოცხლო თავი აუნია მას, სახელოთი მოსწმინდა სისხლი და ქმრის ტუჩებს გამოსამშვიდობებელი ამბორით მიეახლა.

ფეხზე წამომდგარმა კარადა გამოაღო და თეთრი გადასაფარებელი და თასმა გამოიღო. კიმონო რომ არ დაექმუჭნა, გადასაფარებელი ფრთხილად შემოიხვია ნელზე და მჭიდროდ შეკრა თასმით. მერე ისევ ქმრის გვერდით დაეშვა იატაკზე. წელსახვევიდან ხანჯალი გამოაძრო, დახედა მბრწყინავ ფოლადს და ენით შეეხო... რკინას მოტკბო გემო დაჰკრავდა.

ახალგაზრდა ქალს წამითაც არ უყოყმანია. მან გაიფიქრა, რომ სატანჯველი, ასე რომ ამორებდა ქმარს, მალე მისი მონაპოვარიც გახდებოდა; იმასაც ფიქრობდა, რომ წამი მათი კვლავ შეერთებისა სულ ახლოს იყო და მის გულში სიხარულმა დაისადგურა. ქმრის ტკივილით დამახინჯებულ სახეში იგი რალაც ამოუცნობს, საიდუმლოს ხედავდა. მოვიდა ჟამი, რომ

ეს გამოცანა ამოეხსნა. რეიკოს მოეჩვენა, რომ სწორედ ახლა მიხვდა დიადი აზრის მნიშვნელობას, რომლისაც ასე სჯეროდა მეუღლეს. თუკი მანამდე ამ იდუმალი ცოდნის შესახებ ქმარი მოუთხრობდა, ახლა უკვე თვითონ შეიგრძნობდა მის არსს.

რეიკომ ყელთან მიიბჯინა ხანჯალი და დაანვა. სულ მცირე იარა დააჩნდა. თავში სიცხე მოასკდა, ხელები აუკანკ-

ალდა. მან მკვეთრად გადასწია ხანჯლის პირი გვერდზე. პირში ცხელი მასა ზვირთებად აჩქეფდა, თვალწინ მთელი სივრცე წითლად შეიღება – ყელიდან ამომსკდარი სისხლის შადრევანი იყო ამის მიზეზი. რეიკომ ძალა მოიკრიბა და ხანჯალი ვადამდე შეიყვანა ყელში.

*თარგმნა ლაშა ხეცურიანმა*



მერი ცხოვრებოვა



სანამ ცოცხალი ხარ

ვუკლვნი მშულის, გივი თაღაივის სსოვნას

– ახლა მე თვითონ, მარტოდმარტო უნდა წავიდე, – თავისთვის ჩაილაპარაკა და, როგორც კი ოჯახის წევრები სამსახურში გაიკრიფნენ, წასასვლელად მოემზადა. სამი სანთელი უბეში ჩაიდო, კარი გამოიკეტა და გამოვიდა. ქუჩა გადაკვეთა თუ არა, აღმართს შეუდგა. სახსრები ძველებურად აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ არ ეპუებოდა. მალეობს რომ ახედა, მიხვდა, სალოცავამდე მისასვლელ აღმართს ძველებურად ველარ აივლიდა. ამას წინათაც ცოტა დააკლდა, კინალამ გული შეუნუხხდა, მაგრამ მაშინ მარტო არ იყო. „ახლა რომ ცუდად გავხდე, სირცხვილი იქნება. შორიდან მოვლა მომიწევს, მაგრამ მეორე მხრიდან მოვუვლი, ბექობი იქიდან უფრო იილი ასავლელია ნაკლებად ნელ-ნელა როგორმე ავაღწევ“, – გაიფიქრა და აღმართს შეუდგა.

მიდიოდა შავოსანი ქალი ნაბიჯების თვლით. ფიქრები თავს არ ანებებდნენ, თავისკენ ითრევენ. „ვინმესთან ერთად რომ ავდივარ, ვერც ვტირი, ვერც დაველაპარაკები. მერიდება, არა თქვან, მოხუცს რაღა ცრემლებს აყრის, იმან თავის წილი წუთისოფელი განვლო, თავისი წილი კალო უკვე გალენა, როდემდე იცოცხლებდა, ცას ხომ არ გამოეკერებოდაო. ახლანდელეებმა შეიძლება ასე იფიქრონ, მაგრამ მათ რა

იციან, მოხუცებულობაში კენტად დარჩენა რა ძნელია. ვმაღავ ჩემს სადარდებელს, როგორც შემიძლია, მაგრამ ხან თავს ვერ ვერევი და ასეთ დროს გაცალკევდები ხოლმე, არ დამცინონ... არ იფიქრონ, ზოგიერთს ახალგაზრდა შვილი დაელუბა და ამ მოხუცს კი...“

მზიანი დღე იყო, შემოდგომის მზიანი დღე. გზის ორივე მხარეს ბუჩქები, ხეები ყვითლად ღუოდნენ და მზის სხივებზე ოქროს წყალში ამოვლებულელებით ბზინავდნენ. მათ შორის კი, ბუჩქებს შორის, ერთმანეთის გვერდი-გვერდ შავი რკინის ლობეები მოჩანდა.

აღმართი რომ აათავა, შეისვენა და ირგვლივ მიმოიხედა... გულს შემოეყარა: „ღმერთო, ჩვენო შემქმნელ-დამბადებელო, ამას რას ვხედავ? ქალაქზე დიდი ფართი სასაფლაოს დაუკავებია! მართალია, ბოლო წლებში, ამ უბედურ დროში, ბევრი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ასე ერთბაშად? ამის ყურება რა მძიმეა, რა საშინელებაა... გარდა ამისა, ბოლო წლებში ეს რა ხდება! – მიცვალებულს საფლავამდე თითქმის აღარავინ მიჰყვება. წინათ მთელი ხალხი დაიდვრებოდა ხოლმე და მიცვალებულს სასაფლაომდე მიაცილებდნენ, შემდეგ კი ქელებში დასხდებოდნენ და პატივსაცემდნენ. ახლა გარდაცვლილს მხოლოდ ოჯახის წევრები მიაცილებენ, მი-

პატიუბული ხალხი კი მათ მიბრუნებამდე უკვე ქელეხის სუფრას უზის“.

რაც უფრო მალლა-მალლა მიდიოდა ქალი, მით უფრო სხვაგვარი ეჩვენებოდა სასაფლაო. ქვემოთ ძველი სასაფლაო ხეებს, ბუჩქებს გადაეფარა, გატყუებული იყო იქაურობა. ადამიანს იქ დაკარგვისაც კი შეეშინებოდა, შეიძლება უკან გზაც ვეღარ გამოეგნო. ცოტა ზემოთ ახალი სასაფლაო მოჩანდა, იქ საფლავები უმეტესად თლილი ქვით მოეპირკეთებინათ. შიგნით ლამაზი გრანიტის ქვები მოეფინათ და მიცვალებულის სურათიანი ქვა დაედგათ... აქ ჯერჯერობით იმდენად ბევრი ხე არ იყო. ახალი მიცვალებულის საფლავებზე ჭირისუფლები ხშირად დადიან და უვლიან ახლობლის სამუდამო სამყოფელს.

როგორც იქნა, მიაღწია თავისი მიცვალებულის საფლავამდე. საფლავის ქვიდან კაცი ნაღვლიანი, სევდით სავსე თვალებით იყურებოდა და ქალი, თითქოს ვიღაცამ მისი გული ხელებში მოიქციაო, ცუდად გახდა... ვეღარაფერი, ვეღარაფერი ვეღარ შეძლო – ვეღარც ტირილი, ვეღარც საუბარი. გზად მომავალი კი სხვაგვარად ფიქრობდა – არავინ იქნება და ტირილით გულს მოვიოხებო.

დაჯდა საფლავის დაბალ ლოპეზე, კაცის პირდაპირ და შეჰყურებენ ერთმანეთს. არა, ტირილი არ უნდოდა, სიტყვის თქმის სურვილიც აღარ გასჩენია. მხოლოდ თვალებით საუბრობდნენ, ერთმანეთის ფიქრებსაც კარგად ხვდებოდნენ, ისე, როგორც წინათ...

ცოტა ხნის შემდეგ ფიქრები გაუწყდა, სანთლები აანთო და საგანგებოდ დადგმულ სასანთლეში დაამაგრა. მერე კვლავ თავის ადგილზე დაჯდა და ისევ ქვაზე ამოკვეთილ სურათს მიაშტერდა, გაუძრევლად იჯდა. საიდანლაც ნიავმა წამოუქროლა და სანთლების ალები ისე ამოძრავდნენ, თითქოს ერთმანეთს ეფერებოდნენ, შემდეგ კი ისევ გაცალკევდნენ.

ისევ ფიქრებმა გადასცალეს: „ვაი, შეუბედურ დღეზე გაჩენილო... გავა ცოტა ხანი და მიწა შეგჭამს, მიწად იქცევი... მიწას შეერევი. აქ კი, სააქაოში, მარტო შენი ცარიელი სახელი დარჩება. აქ დარჩენილი შენიანები მოვლენ შენს საფლავთან, შენს სულს ახსენებენ, შენ თვითონ კი მიწად იქცევი, მიწად...“ და საიდანლაც, ძველთაძველი, ძალიან ძველი სურათი ამოტივტივდა მოხუცი ქალის გონებაში. ძველი სურათი გაცოცხლდა მის თვალწინ... მთის სოფელი წრე, აქ ზაფხულის არდადეგებზე ამოდიოდა ხოლმე მამიდასთან. მამიდის ქმარი მასწავლებელი იყო და სოფლის პატარებს უამრავ საინტერესო ამბავს უამბობდა. სოფელში ყველას უყვარდა ჯენა პაპა. ჩამოჯდებოდა თუ არა სკამზე, დიდ-პატარა მის ირგვლივ იყრიდა თავს. ზაფხულის ერთ საღამოსაც თანასოფლელებს ნაძვის ხის ქვეშ ჯენა პაპას ირგვლივ მოეყარათ თავი – თან ისვენებდნენ, თან ჯენა პაპას უსმენდნენ. საოცარი თქმულებებიდან ერთერთს იხსენებდა: „წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ, ამქვეყნად ღმერთის გარდა არავინ და არაფერი არ იყო. ქვეყნიერებაზე სიბნელე, უკუნეთი სიბნელე გამეფებულიყო. გაბრაზდა ღმერთი და თქვა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, იქმნას ნათელი და მართლაც სიბნელეს ერთი ნაწილი გამოეყო და ქვეყანა განათდა. იმ ერთ, განათებულ ნაწილს ღმერთმა დაარქვა დღე, მეორე, ბნელ ნაწილს კი – ღამე.

მეორე დღეს კი, ღმერთის სიტყვით, მიწიდან ამოხეთქა წყალმა და გაჩნდნენ მდინარეები, ტბები, ზღვები, მიწაზე კი – ხეები, ბალახი, ხეხილი ამოიზარდა.

მეოთხე დღეს ცაზე მთვარე და ვარსკვლავები აკიაფდნენ.

მეხუთე დღეს ღმერთმა წყალში თევზი გააჩინა და ცაში – ფრინველები.

მეექვსე დღეს – მხეცები, ცხოველები გაჩნდნენ.

სულ ბოლოს კი, ისიც მეექვსე დღეს,

ღმერთმა ადამიანი შექმნა, მაგრამ, და-  
იმახსოვრეთ, – ამბობს ჯენა პაპა, თან  
სახეზე ღიმილი დასთამაშებს, – ღმერ-  
თმა ყველა ხელის გაუნძრევლად, სიტყ-  
ვის, თქმის შედეგად შექმნა – თქვა  
და ყველაფერი ასე შეიქმნა, თქმა და  
ქმნა ერთი იყო, იტყოდა და ყველაფე-  
რი ასე შესრულდებოდა. თქმისთანავე  
მის წინაშე ჩნდებოდა ქმნილი. ადამი-  
ანი კი თვითონ შექმნა, თავად მოინდო-  
მა ასე. ჰო, საკუთარი ხელით შექმნა,  
როგორც თვითონ უნდოდა, ისე. აილო  
თიხა – მიწა, თავისივე ხელით მოზილა,  
კაცის ფორმა მისცა, ჩაჰბერა უკვდავი  
სული და ასე გაჩნდა პირველი ადამი-  
ანი – კაცი. ღმერთმა დაარქვა ადამი,  
ის არის მიწისა და თიხის ნარევი. ვინ-  
მე დაფიქრებულა იმაზე, კაცს როცა  
ვასაფლავებთ, ხელით მიწას რომ ვაყ-  
რით, რატომ ვამბობთ ასე: ბუმბული-  
ვით მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შე-  
ნი დამბადებელი მიწაო. აი, იმიტომაც,  
იმიტომაც!”

გესმის? შენი დამბადებელია მიწა...  
ეს დიდი საოცრებაა, ძალიან დიდი...

წინათ, ამ თქმულებების მოსმენის  
ასე, რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ბიბ-  
ლიის წმინდა წერილები იყო. იმ დროს  
ხომ სასულიერო ლიტურატურას წასა-  
კითხად კი არა დასანახავადაც არავინ  
მოგვცემდა, ჯენა ბაბუას კი, სასული-  
ერო სემინარია ჰქონდა დამთავრებუ-  
ლი და რევოლუციამდე, მრავალი წლის  
განმავლობაში, მღვდლად მსახურობ-  
და. რევოლუციის შემდეგ, სასულიერო  
მოღვაწეობა რომ აუკრძალეს, სოფლის  
პატარებს წერა-კითხვას ასწავლიდა.

შემდეგ სოფლის სკოლაც გახსნეს და იქ  
მასწავლებლად დანიშნეს. სასულიერო  
სემინარიადამთავრებულმა ბიბლია, რა  
თქმა უნდა, იცოდა და იმ საოცარ ამ-  
ბებს, ბიბლიურ თქმულებებს ასე საინ-  
ტერესოდ უყვებოდა თანასოფლელებს.  
იმ სიბრძნის წყაროს, ცხოვრების არსის  
განმსაზღვრელი წიგნის თხზულებებს  
დიდი გულისყურით უსმენდა ყველა.  
ბიბლიურ თხზულებებს ადამიანის შექ-  
მნისა და მისი ამქვეყნიური თუ იმქვეყ-  
ნიური მოვალეობის შესახებ, ჩვენი ჯე-  
ნა პაპა ასე ლამაზად გვაცნობდა.

მზე ჩასასვლელად ემზადებოდა.  
ქალს მოერიდა... ვერ შეამჩნია, დრო  
როგორ სწრაფად გასულიყო... ნელ-ნე-  
ლა წამოინია. „წავიდე, თორემ ჩემები  
შინ რომ მობრუნდებიან, შეეშინდებათ  
– სახლიდან ფეხს არსად დგამდა და  
ახლა რა იქნაო, შეშფოთდებიან“. ქვა-  
ზე ამოკვეთილი სურათი ხელსახოცით  
ნელ-ნელა, ხელის კანკალით გადანმინ-  
და და თითქოს ცოცხალს ესაუბრებო-  
და, ხმამაღლა თქვა: „აბა, რა გითხრა  
ჩემი გაჭირვებისა, შენ ჩემზე უბედური  
ხარ. ისევ თვითონ უნდა გაუუმკლავდე  
ჩემს ჭირ-ვარამს, შენ რაღაზე შეგანუ-  
ხო, შენ ხომ შენიც გეყოფა!“

ეს რამდენიმე სიტყვა ძლივს ამოთ-  
ქვა სევდამორეულმა ქალმა და თავჩა-  
ქინდრული დაადგა სახლისაკენ მიმა-  
ვალ ბილიკს...

„სანამ ცოცხალი ხარ, როგორც ადა-  
მიანს ეკადრება, ისე იცხოვრე“, – ყურ-  
ში ცხადლივ ჩაესმა ძალიან, ძალიან  
ნაცნობი ხმა.

## Цыхуырбаты Мери

### ЦАЛЫНМÆ УДÆГАС ДÆ *Арын дзы мае цардаембал - Тедеты Гивийы рухс ном*

– Ацы хатт махæдæг хъуамæ иунагæй ацауон, – загъта йæхинымæры æмæ, бинонтæ куыстмæ куы ацыдысты, уæд йæхи рацæттæ кодта: æртæ цырагъы йæ тары бавæрдта, дуар рахгæдта æмæ рацыд. Уынгæй ахызт æмæ уæләмæ схæрд кодта. Йæ уæрджытæ йæ коммæ нæ кастысты, фæлә йæхи нал баса-ста. Къуылдыммæ куы скаст, уæй æй бамбæрста – кувæндонмæ цы цахгæрма асинтыл хъуыд схизын, ууылты йæ бон нæ бауыдаид. Амæйразмæ дæр, чысыл-ма бахъауа, йæ зæрдæ бахъарм уа, æмæ уæд иунаг нæ уыд. «Ныр та куы бавзæр уон, уæд мае худинаг ныхъхъæр уыдзæн. Дардыл æрзилын мае бахъæудзæн, фæлә, хæдтулгæтæ кæуылты цауынц, ууыл-ты ахизон æмæ сындæггай исчердæмты сфардæг уыдзынæн», – ахъуыды кодта æмæ фæндагæн иннæ фарсмæ бахызт.

Цыд садæрæг ус, йæ къахдæфтæ нымайгæ, йæ хъуыдытæ йæ разæй тынд-зыдтой æмæ йæ сæ фæдыл сайдтой. «Искæйтимæ дæм куы ‘рбацауын, уæд нал кæуын бауæндын, нал – сдзурын, – æфсæрмы фæкæнын, афтæ ма зæгъой, зæрондыл ма та цæй кæуын хъæуы, йæ цардыхай фæкодта, уæдæ кæдмæ царда-ид, зæгъгæ. Уый æрыгæттæ афтæ хъу-

ыды кæндзысты, фæлә уыдон цæмæй зонынц, зæрондæй иунагæй баззайын зындæр кæй у. мае маст æмбæхсын, куыд мае бон у, афтæ. Фæлә хатт мае хиуыл нал фæтых вæййын æмæ уымæ гæсгæ адæмæй мае хи дард фæласын, ма мыл фæхудой... Адæмæн се ‘взонг хъæбултæ фæцагъды сты, ацы зæронд та...».

Хурбон уыд, фæззыгон хурбон. Фæндагæн йæ дыууæ фарс – къутæрæй, бæласæй – бур-бурид дардтой æмæ хуры рухсмæ бæстæ сыгъзæрин доны æвдылдæй зынд. Се ‘хсæнты та – къутæрты ‘хсæнты, кæрæдзийы фæрстæм, сау, згæ æфсæн æмбæндтæ зындысты.

Уæләмæ, къуылдыммæ, куы схæццæ ис, уæд æрулæфыд æмæ йæ алыварс йæ цæст ахаста... Йæ зæрдæ ныккæрзыдта: «Хуыцау, не скæнæг, ай циу? Уæлмæрд горæтæй фылдæр зæхх куы бацахста! Фæстаг азты æнамонд дуджы бирæ адæм фæцагъды, фæлә сæм афтæ иумæ, тымбылæй кæсын куыд уæззау у, куы... Æнауый та нæм фæстаг азты куыд æвзæр – мардæн йæ фæстæ уæлмæрдмæ ничиу-ал цауы. Раздæр та-иу уый æппæт адæм растадысты æмæ-иу зианы йæ ингæнмæ бахастой, стæй та-иу фыдохы фынгыл

балæггад кодтой. Ныр зианы æрмæст йæ хиуæттæ аласынц хæдтулгæйыл, æрхонгæ адæм та се ‘рыздæхынмæ хист хæрд фæвæййынц...».

Ус куыд уæлæмæ-уæлæмæ цыд, афтæ йæм уæлмæрд æндæрхуызон зынд. Дæлейæ – зæронд уæлмæрды, бæлæстæ, къутæртæ бамбæрзтой, бынтон схъæдхуызи. Адæймаг тæрсгæ дæр фæкæндзæни фæдзæгъæлæй, гæнæн ис, фæстæмæ фæндаг дæр мауал ссара... Куыдуæлæмæ та, ног уæлмæрд сырæзт æмæ ам ингæнтæ фылдæр лæгъз дурæй æмбондгонд сты, сæ мидæг рæсугъд дзæнхъа дурæй цыртытимæ. Ам нырма бæлæстæ уыйбæрц нæй. Ног мæрдты хицæуттæ арæхдæр цæуынц уæлмæрдмæ æмæ зылынц сæ мæрдты æнусон бынæттæм.

Схæццæ йæхионы ингæнмæ. Цыртæй йæм лæг ахæм æрхæндæг цæстытæй æрбакаст, æмæ сылгоймагæн цыма йæ зæрдæ исчи йæ къухы ‘хсæн балæмæрста, афтæ фæци... Æмæ ницы, æппындæр ницы сфæрæзта – нæдæр кæуын, нæдæр – сдзурын. Фæндагыл та æндæрхуызон хъуыды кодта – ничи йæ уындзæн æмæ йæ зæрдæйы тышпыртæ суадздзæн.

Æрбадти цырты комкоммæ дурын æмбондыл æмæ кæсынц кæрæдзимæ. Нæ, нæ хъуыд кæуын, нæдæр исты загъын. Сæ цæстытæ алцы дæр дзырдтой, кæрæдзийы хъуыдытæ æнæсымæй æмбæрстой, раджы куыд уыд, афтæ.

Чысыл фæстæ йæ хъуыдыйы фæци, цырагъгътæ ссыгъта æмæ сæ цырагъдарæныл бафидар кодта. Æрбадт фæстæмæ йæ бынаты æмæ та цыртмæ æдзынагæй кæсы. Уддзæф-иу куы ‘рбаулафыд, уæд пиллæттæ змæлыдысты æмæ , цыма, цырагъгътæ кæрæдзийыл узæлыдысты, стæй та-иу фæхицæн сты.

Хъуыды йæхион кодта: «Афтæ, мæгуыр уа дæ бон... Сыджыты хай бада. Рацæудзæн иу чысыл рæстæг æмæ дæ сыджыт бахæрдзæн, æд стджытæ...

Æмæ сиу уыдзынæ зæххимæ. Æрмæст ма уæлæуыл дæ афтид ном баззайдзæнис. Цæудзысты дæм дæ байзæттаг æмæ дын дæ удæн рухс кæндзысты. Дæхæдæг та сыджыт фестдзынæ, сыджыт...». Æмæ рагон, тынг рагон царды ныв райгас усæн йæ цæстыты раз: хæххон хъæу Цъыру. Ардæм-иу, скъолайы ма куы ахуыр кодта, уæд сæрды улæфтыты рæстæджы йæ фыдыхомæ цыд. Йæ фыдыхойы æмкъай ахуыргæнæг уыд æмæ-иу хъæуы сывæллæттæн алы цымыдисон хабæрттæ дзырдта. Хъæубæстæ бирæ уарзтой Джена дадайы. Æмæ-иу кæм бадт, уырдаем-иу стырæй-чысылæй сæхи ластой. Иу сæрдыгон бон дæр нæзыты бын тымбылæй бадтысты сых, сæ улæфт уагътой æмæ Джена дадамæ хъуыстой. Йæ диссаджы хабæрттæй та сæ иу дзуры: «Раджы, тынг раджы, бæстыл Хуыцауы йеддæмæ ничи æмæ ницы уыд. Бæстæ та уыд талынг, садалынгæй æмбæрзт. Схъыг Хуыцау æмæ загъта, афтæ цæрæн нæй, уæд рухс! Æмæ дын уыцы тæккæ талынгæн иæ иу хай фæхицæн æмæ бæстæ ныррухс. Уыцы хай Хуыцау рахуыдта бон, иннæ талынг хайы та – æхсæв.

Дыккаг бон та Хуыцауы бардзырдмæ гæсгæ зæххæй дон фæхицæн æмæ сæвзæрдысты цæугæдæттæ, цæдтæ, денджызтæ. Зæххыл та – бæлæстæ, кæрдæг, халсар схæцыд.

Цыппæрæм бон арвыл райгуырдысты Мæй æмæ стъалытæ.

Фæндзæм бон Хуыцау доны мидæг кæсаг сæвзæрын кодта, арвыл та – тæхаг мæргътæ.

Æхсæзæм бон – сырдыт, стур-фос сæвзæрдысты.

Иууыл фæстагмæ та, уый дæр æхсæзæм бон, Хуыцау адæймаджы сфæлдыста. Фæлæ уæ зæрдыл бадарут, – дзуры Джена дада, йæ цæсгоммыл цины мидбылхудт, афтæмæй, – Хуыцау алцы дæр дзыхы ныхасæй, дзырдæй, бардзырдæй сфæлдыста, загъта-иу æмæ-



иу алцы йæ разы фестад. Адæймаджы та йæхæдæг, йæхи къухтæй сфæлдыста, йæхи куыд фæндыд, афтæ: систа сыджыт, снадта йæ æмæ йæхи æмхуызон сарæзта, бауагъта дзы æнаæмæлгæ уд æмæ афтæ райгуырд фыццаг адæймаг – Лæг. Хуыцау æй схуыдта адам. Уый та нысан кæны зæххæй, сыджытæй сфæлдисгæ. Искуы уæ исчи ахъуыды кодта, марды ингæны куы нывæрæм, уæд ыл сыджыт куы бакалæм къухæй, уæд цæмæн афтæ зæгъæм: пакъуыйау дын рог уæд дæ раттæг зæхх. Гъе, уымæн, гъе!»

Хъусыс? Дæ раттæг зæхх... уый тынг диссаг у, тынг цымыдисон.

Уыцы рагбонты, ацы æмбисонды хабæрттæм хъусгæйæ, цæмæй зыдтам, уыдон Библийы сыгъдæг фыстæджытæ кæй уыдысты. Уыцы рæстæджы дини чингуытæ афтæ сæрибарæй уаргæ æмæ кæсгæйæ нæ уыдысты. Джена дада та дини семинары ахуыр кодта революцийы агъоммæ æмæ бирæ азты сауджынаæй фæкуыста. Стæй революци куы фæуæлахиз, дини хъуыддаг куы сæхгæдтой, уæд хъæуы сывæллæттæн кæсын-фыссын амыдта.

Фæстæдæр хъæуты скъолатæ бакодтой æмæ та йæ ахуыргæнæгæй баурæдтой. Сауджын уæвгæйæ, Библи куыд нæ зыдта æмæ уыцы æгъуыстаджы хабæрттæ таурæгъты хуызы дзырдта хъæубæстæн. Уыцы зондамонæн, царды мидисамонæг цаутæм-иу цымыдисæй хъуыстой адам. Адæймаджы уæвынады мидис уæлæуыл дæр æмæ уымыбæсты дæр Джена дада афтæ рæсугъдæй амыдта Библимæ гæсгæ.

Хур нындаата. Сылгоймаг фæхатыд, бирæ рæстæг кæй рацыд, æмæ фестад. «Цæуын ныр, æндæра бинонтæ мæ разæй куы ‘рбацæуой.ю уæд фæтæрсдзысты – хæдзарæй йæкъах куы никадæм æвæры, уæд ныр цы фæци, зæгъгæ». Къухсæрфæнæй цыртыл нывы асæрфта æмæ удагасмæ куыд бадзурай, афтæ йын хъæрæй загъта: «Цы ма дын дзурон мæ зынтæ, дæхæдæг мæгуырæдæр куы дæ. Мæхæдæг мæ мастыл хъуамæ фæтых уон, дæу ма цы тыхсын кæнон».

Æмæ рацыд сæргуыбырæй...

«Цалынмæ удагас дæ, уæдмæ, лæгыл куыд æмбæлы, афтæ цæр», – йæ хъустыл ауад зонгæ хъæлæс...



მანანა პაიჭაძე



## „მეფე ლირი“ მიხეილ თუმანიშვილის თეატრში

„ძნელი სათქმელია თუ რომელი პიესა უფრო სრულად ავლენს შექსპირის ტრაგიკულ მსოფლშეგრძნებას – „ჰამლეტი“ თუ „მეფე ლირი“. შემთხვევით როდი ფიქრობენ, რომ შესაძლოა სწორედ „მეფე ლირი“ იყოს რენესანსული ტრაგედიული თეატრის მწვერვალი. ტოლსტოის, როგორც XIX საუკუნის უმაღლეს რანგში აყვანილი კლასიკური რეალიზმის წარმომადგენელს, არ მოსწონდა „მეფე ლირის“ სრულყოფილი, სიმბოლურობამდე მისული შინაგანი ადამიანური ტრაგიზმის შიშველი სიმძაფრე (სქემატური და მხატვრულად დაუჯერებელიო, დაახლოებით ასე იტყვის იგი), მაგრამ სწორედ ამ „უტრირებული“ ტრაგედიულობით, ადამიანის გრძნობად-ემოციური, ისევე, როგორც ინტელექტუალური სამყაროს მიმანიშნებელ, უკიდურესობამდე აღვსილ სიმბოლოთა წყალობით „მეფე ლირმა“ შექსპირის სხვა ქმნილებებზე უკეთ თუ არა, არც მათზე ნაკლებად, ცოცხლად მოიტანა ჩვენს დრომდე მისი ავტორის, როგორც იტყვიან ხოლმე, უბერებელი შემოქმედება“ (ფრაგმენტი ნიკო ყიასაშვილის 1982 წელს დაწერილი კრიტიკული წერილიდან „ვარიაცი-

ები თემაზე „და მე ავტირდი ვით მეფე ლირი...“ ციტირებული წიგნიდან: ნიკო ყიასაშვილი. „სკილასა და ქარიბდას შორის“, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 1992 წელი, გვ. 181-182.).

მე თუ მკითხავთ, შექსპირის „მეფე ლირზე“ მეტის თქმა აღარც არის საჭირო, მაგრამ, რადგანაც ჩემი ამოცანაა დავწერო რეცენზია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში რეჟისორ ზურაბ გენაძის მიერ დადგმულ ახალ სპექტაკლზე, რომლის პრემიერაც 2016 წლის 30 მაისს შედგა და რომელიც წლევანდელ ფესტივალ „საჩუქრის“ ფარგლებში ორჯერ წარმოადგინეს (22 ოქტომბერს და 17 ნოემბერს), მაშინ უნდა დავიცვა არა მხოლოდ აკადემიური თეატრალური რეცენზიისათვის დამახასიათებელი და სავალდებულო ნორმები, არამედ უნდა გავითვალისწინო ისიც, რომ დარბაზში მინიმუმ ორი სახის მაყურებელი იმყოფება: ერთნი ზედმინწევით კარგად იცნობენ შექსპირის პიესის არათუ ტექსტს, არამედ მისი თეატრალური დადგმების ისტორიასაც, ხოლო მეორენი კი არანაირ (ან თითქმის არანაირ) ინფორმაციას არ ფლობენ მის შესახებ. არც

რეცენზიის მკითხველების კლასიფიკაცია არის სხვაგვარი. ამიტომ, ნება მიბოძეთ, მოკლედ, მაგრამ მაინც, ანბანური ქვეშარიტებით დავინყო.

უილიამ შექსპირის ტრაგედიას „მეფე ლირი“ სიუჟეტურად არაფერი აქვს საერთო ირლანდიელი კელტების მითოლოგიის ამავე სახელის მატარებელ ზღვის ღმერთთან (ანდა სულაც მის ვალიურ ანალოგთან).

თქმულება მეფე ლირსა და მის ქალიშვილებზე შექსპირის დროს ძალზე პოპულარული იყო. არსებობდა მისი რამდენიმე ვერსია, დანერგილი სხვადასხვა ჟანრში – მოთხრობების, ლექსების, ასევე დრამების სახით. ამ თქმულების ძირითადი მონახაზი შემონახულია უელსელი ჯეფრი მონმაუთელის Historia Regum Britanniae-ში (ნიგნი II, თავები 11-15), ანუ „ბრიტანელი ხალხის ისტორიაში“ (დანერგილი დაახლოებით 1136 წელს ლათინურ ენაზე), ასევე თქმულება გადმოცემულია რობერტ გლოსტერის (1300), რობერტ მანინგის (1338), ჯონ ჰარდინგის (1450) ლექსებში, პროზაული ფორმით კი რობერტ ფაბიანის (1516), ჯონ რასტელის (1530) და რიჩარდ გრაფტონის

(1568) ქრონიკებში. დედოფალ ელისაბედის ეპოქაში ეს სიუჟეტი ასახული იყო თითქმის ყველა ცნობილ ისტორიულ ქრონიკაში, მათ შორის აგრეთვე რ. ჰოლინშედის „ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ქრონიკებში“ (1577-1587 წწ.). სწორედ ეს ნაშრომი გამოდგა შექსპირისთვის ძირითად წყაროდ მისი ისტორიული ქრონიკებისთვის და ასევე ლირის შექმნისათვის.

შექსპირის „მეფე ლირის“ წყაროებია აგრეთვე: ედმუნდ სპენსერის პოემა „ფერიების დედოფალი“ (1590), ჯონ ჰიგინსის „სარკე მმართველთათვის“ (1574), ჯონ მარსტონის „უკმაყოფილო“ (1604), მიშელ მონტენის ესეები, უილიამ ჰარისონის „ინგლისის კუნძულის ისტორიული აღწერა“ (1606), უილიამ უორნერის „ალბიონის ინგლისი“ (1589), და კიდევ რამდენიმე სხვა. მნიშვნელოვანია ანონიმი ავტორის პიესა „მეფე ლირის ქვეშარიტი ისტორიის ქრონიკა“, რომლის პრემიერაც შედგა ჰენსლოუს თეატრში 1594 წელს. შექსპირის პიესის მეორე, პარალელური სიუჟეტური ხაზი – გლოსტერისა და მისი ვაჟიშვილების ამბავი – ნასესხებია 1590 წელს გამო-



ცემული სერ ფილიპ სიდნის რომანი-დან „არკადია“.

ყველა კვარტოსა და ფოლიოს გამოცემის ტექსტოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ პირველი კვარტო (1608) ყველაზე ავტორული თუ საავტორო, ანუ ლიტერატურული ტექსტია, ხოლო პირველი ფოლიოს (1623) ტექსტი – ყველაზე თეატრალურია, ანუ სათეატრო დადგმისთვის გათვალისწინებული.

რუდუნებით წარმოებული შექსპიროლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ შექსპირის „მეფე ლირი“ დაიწერა 1605-1606 წლებში, ანუ „მეფე ლირს“ წინ უსწრებდა „ოტელო“ (1604) და მოსდევდა „მაკბეტი“ (1606).

ვიცით ისიც, რომ შექსპირის სიცოცხლეში „მეფე ლირი“ პირველად დაიდგა 1606 წლის 26 დეკემბერს უაითჰოლში, მეფე ჯეიმზ I-ის კარზე. რიგითი წარმოდგენები, როგორც ჩანს, გლობუსის თეატრში იმართებოდა.

შემდეგ „მეფე ლირის“ სცენური ცხოვრება წყდება. 1642-1660 წლებში პურიტანულმა მთავრობამ თეატრები დახურა. რესტავრაციის პერიოდში 1681 წელს „მეფე ლირი“ დაიდგა ნეიუმ ტეიტის რედაქტირებული და ადაპტირებული ვერსიის მიხედვით. ნეიუმ ტეიტმა რადიკალურად შეცვალა შექსპირის ტექსტი და მისი კონცეფცია. ტეიტის რედაქციაში პიესა ჰეპი-ენდით მთავრდება, ამოღებულია მასხარას როლი, კორდელიას და ედგარს ერთმანეთი შეუყვარდებათ და პიესის დასასრულს ისინი სათავეში ჩაუდგებიან აღდგენილ სამეფოს. ლირი, გლოსტერი და კენტი კი თავ-თავიანთ ციხესიმაგრეებში ბრუნდებიან. ამ სახით იდგმებოდა ეს პიესა 1838 წლამდე (ამერიკაში – 1875 წლამდე)<sup>1</sup>.

1838 წლის თებერვალში კი გამო-

ჩენილი ინგლისელი მსახიობის ჩარლზ მაქრედის ძალისხმევით ლონდონის კოვენტ გარდენის თეატრში (რომელსაც იმხანად სწორედ ჩ. მაქრედი ხელმძღვანელობდა) დაიდგა შექსპირის დრამის სრული ტექსტი. სწორედ აქედან იწყება შექსპირის „მეფე ლირის“ თეატრალური ცხოვრება, რომელიც დღევანდელ დღემდე აინტერესებს, აღლევებს და იზიდავს მაყურებელს, რეჟისორებს, მსახიობებს.

შექსპირის ლირი არის წინარომაული პერიოდის ბრიტანეთის (IX-VIII საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ლეგენდარული მეფე.

შექსპირის დრამის თავფურცელზე მოქმედი გმირების ჩამოთვლისთანავე ვკითხულობთ: მოქმედების ადგილი – ბრიტანია, დრო – ლეგენდის თანახმად, IX საუკუნე ჩვ. წ. აღ.-მდე, ჰოლინშედის თანახმად, სამყაროს შექმნიდან 3105 წელი), მაგრამ დრო შექსპირთან პირობითობაა, მეტიც, ის აბსოლუტური და უნივერსალურია იმ გაგებით, რომ ნებისმიერ ეპოქას შეიძლება მიესადაგოს.

პირობითობად უნდა აღვიქვათ ალბათ მოქმედების ადგილიც, რადგან ასეთი ტრაგიკული კოლიზია ნებისმიერ სხვა ქვეყანაშიც შეიძლება მოხდეს.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე 2016 წელს (შექსპირის გარდაცვლიდან ზუსტად 400 წლის შემდეგ) თამაშდება შექსპირის „მეფე ლირი“ ყველა ამ პირობითობის გათვალისწინებით.

**რეჟისორმა ზურაბ გენაძემ** შესანიშნავი ინტონაციური გასაღები მონახა ამ მაღალი ტრაგედიის მაღალ დონეზევე შესანარჩუნებლად.

მისი რეჟისორული კონცეფცია სივრცის ათვისებით იწყება. სცენაზე დგას

<sup>1</sup>„მეფე ლირის“ ტეიტისეულ რედაქციას დიდი და დამსახურებული კრიტიკა მოჰყვა. მას აუმხედრდნენ ლემბი, კიტსი, კოლრიჯი, შელი, შლეგელი და სხვანი.

კონსტრუქცია, რომელიც ისეთივე პირობითია, როგორც მოქმედების დრო, ადგილის მხრივ კი გერმანიკულ და რომანულ სამყაროზე მიგვანიშნებს. ამ მოძრავ და უაღრესად ელასტიკურ კონსტრუქციას გოთიკური და რომანული ტაძრების კონფიგურაცია აქვს. იგი შეიძლება აღვიქვათ, როგორც სასახლედ, ასევე ცენტრალური ევროპის რომელიმე ქრისტიანულ ტაძრად, თუმცაღა ვიცით, რომ „მეფე ლირის“ მოქმედება წინაქრისტიანულ ეპოქაში ხდება და საერთოდაც, ამ პიესის ტექსტში სიტყვა „ღმერთი“ სულ ხუთიოდეჯერ თუ არის ნახსენები (ისიც განზოგადებული მნიშვნელობით და არა კონკრეტულით), განსხვავებით სიტყვისაგან „ბუნება“, რომელიც ორმოცდაერთჯერ არის მოხსენიებული. რეჟისორმა ამაშიც დაინახა დიდი მხატვრული პირობითობა: კონსტრუქცია ხან წინა პლანზეა (როდესაც სასახლის ან ციხე-კოშკის ინტერიერის გამოსახვაა საჭირო), ხან უკანაზე (როდესაც ღია სივრცის ჩვენებაა საჭირო – ქარიშხლის სცენა, ფინალში არაჩვეულებრივად ლაკონური და მეტყველი ბატალური სცენა).

ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია სპექტაკლის ტემპორიტმიკა, რომელსაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის უაღრესად სადა, მაგრამ მკვეთრი და კონტრასტული მუსიკალური გაფორმება.

ვისარგებლებ შემთხვევით და დავასახელებ შესანიშნავ სადადგმო ჯგუფს:

მხატვარი – შოთა გლურჯიძე, მუსიკის ავტორი – ერეკლე გენაძე, სასცენო მოძრაობა – კახა ხოშტარია, რეჟისორის ასისტენტი – სოფო ორჯონიკიძე, ტექნიკური რეჟისორი – ელენე მონასელიძე.

სპექტაკლის ტემპორიტმი სრულ ჰარმონიას ქმნის შექსპირის ტექსტში აღწერილი მოქმედებების დინამიკასთან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ შექსპირი დრამატურგიულ ხდომილებათა სისწრაფის დიდოსტატია. განსაკუთრებით ეს ჩანს „მეფე ლირში“ მაშინ,

როდესაც ედმუნდი არწმუნებს გლოსტერს ედგარის ღალატში და ედგარს კი იმაში, რომ მამამისს უნდა გაექცეს. ეს ყოველივე ისე იოლად და სწრაფად გამოსდის ედმუნდს (მე უფრო ვიტყვოდი – შექსპირს), რადგან, თუკი ედმუნდის ინფორმაციის ადრესატი პერსონაჟი მეტ დროს დაუთმობდა ამ ინფორმაციას, აუცილებლად მიხვდებოდა ედმუნდის არგუმენტაციის უსაფუძვლობას. ეს რომ არ მოხდეს, შექსპირი-auctori გლოსტერსაც და ედგარსაც დაუყოვნებლივ დააჯერებს ედმუნდის რჩევების სიმართლეში და ისინიც შესაბამისად იქცევიან: ერთი კანონიერ შვილს მოღალატედ გამოაცხადებს, მეორე კი დაიჯერებს, რომ უნდა გაიქცეს, თუმცა არავითარ შეთქმულებასა და თავდასხმაში თავის ძმაზე მონაწილეობა არ მიუღია. გამოვყოფდი ედმუნდისა და ედგარის როლების შემსრულებლებს – გიორგი ყიფშიძესა და პაატა ინაურს. გიორგი ყიფშიძის ედმუნდი თავის თვისებას დასაწყისში სტატიკური ატიტიუდით გამოხატავს, ხოლო შემდეგ კი სცენური მოძრაობითა და მეტყველებით, მაგრამ ყოვლგვარი გადამეტებული დეკლამაციის გარეშე. ასეთივე „სადაა“ თავის თითქმის უსიტყვო კაპიტულაციაში პაატა ინაურის ედგარი, მაგრამ იგი თანდათან გარდაიქმნება, შინაგან ძალებსა და რწმენას იკრებს ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რწმუნდება, რადგან გრძნობს, რომ ლირს და გლოსტერს მასზე გაცილებით მძიმე ბედი ერგოთ სასჯელის სახით. ამიტომ ედგარი ვითომდაც ტომი ბედლამიდან (ანუ უპოვართა საგიჟეთიდან) ეხმარება ორივეს. არაჩვეულებრივია პაატა ინაურის პლასტიკა და სცენა ლირთან – „პილიკოკი ჩამომჯდარა პილიკოკის მთაზედა – ეეე-უუუ!!!!“

ასევე არაჩვეულებრივ აქტიორულ ანსამბლს ქმნიან გონერილისა და რიგანის შემსრულებელი მსახიობები – ნანუკა ლითანიშვილი და მაია გელო-

ვანი. ამ შემთხვევაშიც მსახიობები შექსპირული ტექსტის ინტონირების ერთგულნი რჩებიან და არაფერი ზედმეტად მანერული არ შემოაქვთ თავიანთი გმირების მეტყველებასა თუ ქცევაში. ამ ზომიერების დაცვა ოსტატობაზე მეტყველებს.

ეპიკური გმირის ტიპს განასახიერებს აკაკი ხიდაშელი – გლოსტერი. დამაჯერებლები არიან თავიანთ როლებში ნიკა წერედიანი (კორნუოლი), თემო ნატროშვილი (ალბანი) და იმედა არაბული (კენტი).

ძალიან საინტერესოდ არის გადანყვებილი გონერილას მსახურის, ოზვალდის სახე, რომელსაც ჩინებულად ასრულებს ვანო დუგლაძე. სხვათა შორის, ზურაბ გენაძის რეჟისორული კონცეფციის თანახმად, სწორედ ოზვალდი ახრჩობს მასხარას. საქმე ის გახლავთ, რომ შექსპირული ტექსტიდან მასხარა მესამე მოქმედების შემდეგ აღარ ჩანს და ვერ ვიგებთ, თუ რა დაემართა. ამიტომ რეჟისორებისთვის ეს მუდამ ექსპერიმენტის საგანი ხდებოდა, თუ როგორ „გააქრობდნენ“, ანუ გაიყვანდნენ მასხარას სპექტაკლიდან. მაგალითად, რობერტ სტურუას სპექტაკლში მასხარას (ყანრი ლოლაშვილს) თვითონ ლირი (რამაზ ჩხიკვაძე) კლავს. შემდეგ კი ეს უკვე მკვდარი მასხარა დგება და თავისი ფეხით გადის სცენიდან. ზურაბ გენაძის დადგმაში კი ეს ოზვალდია, რომელიც ჩუმად მიეპარება ჩაძინებულთ და ვანო თარხნიშვილის მიერ დიდებულად შესრულებულ მასხარას ყელში ყულფს წაუჭერს. ფინალში ამავე მეთოდით ცდილობს ოზვალდი ედგარის მოკვლასაც, ოღონდ ამჯერად ბედი არ გაუღიმებს და თავადვე გახდება თავისი გამოგონების მსხვერპლი. მასხარა კი, როგორც უკვე აღვნიშნე, არაჩვეულებრივად შეასრულა ვანო თარხნიშვილმა. საერთოდ მასხარას სახე საოცრად მნიშვნელოვანია ამ ტრაგედიაში, რადგანაც ის წარმოადგენს

ლირის ერთგვარ ანარეკლს, აჩრდილს, ანტიპოდს და ამავე დროს მის ერთგულ მეგზურსა და მსახურს.

შექსპირის „მეფე ლირის“ ტექსტი საესეა დიქოტომიებითა და ანტინომიებით.

თუ ამ დიქოტომიებს სემანტიკურ სიღრმეზე განვიხილავთ, მაშინ ამგვარ სტრუქტურას მივიღებთ:

ჭკვიანი/გონიერი არის სულელი/გიჟი – ლირი („Reason in Madness“ – გონიერება სიგიჟეში).

სულელი-ჭკვიანია – მასხარა („Wisdom – in-Folly“ – სიბრძნე სისულელეში) მხედველი-ბრმა – გლოსტერი, (გარკვეულნილად – ლირიც);

ბრმა-მხედველია – გლოსტერი;

„სიტყვა საქმეს სცილდება“ – გონიერი და რიგანი;

ღარიბი მდიდარია – ედგარი, კორდილია;

მდიდარი ღარიბია – ლირი.

ყველა მომხვეჭელი და მლიქვნელი მარცხდება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მარცხდება მათი საქმეც.

ფიზიკური სიკვდილი არ ნიშნავს მარადიულ სიკვდილს, დავინწყებას.

ლირი და კორდილია – დასაწყისში ერთმანეთისგან დაშორებულები, დასასრულს ერთად არიან. მათ ველარავინ დააშორებს.

ან რითი დაიწყო ეს ტრაგედია? რა არის მისი აღმოცენების მიზეზი?

მოხუცმა მეფემ გადაწყვიტა დათმოს თავისი გვირგვინი, ძალაუფლება და მიწები და დაურიგოს თავის ქალიშვილებს, ოღონდ ერთი პირობით: თითოეულმა მათგანმა მას სიტყვიერად უნდა აუხსნას საჯაროდ სიყვარული. ვისი ნათქვამიც უფრო მოეწონება, ის უფრო კარგ მინებს მიიღებს და მოხდა ის, რაც მოხდა:

გონიერი და რიგანი, რომლებისთვისაც ამ სიტყვების თქმა არა მხოლოდ უბრალოდ ვარჯიშია ვერბალურ ელოკვენციაში, არამედ სანადელი ძალაუფლების ხელში ჩაგდების ინსტრუ-

მენტი, ძალ-ღონეს არ იშურებენ ეპითეტებში. უმცროსი კი – კორდილია ამბობს: – არაფერს. „My love’s more ponderous than my tongue“ – „მე ვარ მდიდარი გულწრფელითა სიყვარულითა, რომელიც სიტყვით კმაზულს გრძნობას გარდემეტების“.

მოხუცი მეფე (როგორც ქრონიკებიდან ვიცით, მან სამოცი წელი იმეფა) მიჩვეულია, რომ მის ყველა სურვილსა და ბრძანებას უპირობოდ ასრულებენ. კორდილიასგან ასეთი მოკლე და სადა, ჩვეულებრივი პასუხი რომ მიიღო, გაუკვირდა. თუ კორდილია გულწრფელია თავის სიტყვებსა და საქციელში, ლირიც გულწრფელია თავის გაოგნებაში, მაგრამ ის არაადეკვატურია თავის განაჩენში – კორდილიას გარიყვასა და მისთვის მიწების წართმევაში. ეს არაადეკვატურობა კი მისი ჩვევებიდან გამომდინარეობს. ის მიჩვეულია პირფერობას და არ ძალუძს გულახდილობა. ამან „დააბრმავა“ და „დააყრუა“ იგი. აი, ეს არის ამ ტრაგედიის დასაბამი და ძირითადი საბაბი თუ მიზეზი. დანარჩენი მოვლენები და პერსონაჟების ხასიათების გახსნა კი გზადაგზა გვიჩვენებს ცხოვრების დაუნდობელ დინებას.

მით უფრო ჩუმ ტრაგიზმს აღწევს პიესის ფინალი, მით უფრო დიდია მისი მოქმედება მაყურებელზე (მკითხველზე).

ეს ლირიკული ტრაგიზმი სათუთად ააჟღერა ზურაბ ყიფშიძემ, რომლის თამაში თითქოს თამაშიც არ იყო – ის იყო ლირი.

მისი შემოსვლა სცენაზე თითქოს პომპეზური იყო, მაგრამ ამავე დროს სრულიად ბუნებრივი და მშვიდი (ამ სირბილითა და ბუნებრიობით თითქოს იარვეტის ლირის პირველი გამოჩენა გამახსენა გრიგორი კოზინცევის ცნობილი ფილმიდან). ზურაბ ყიფშიძის ლირი პირველ მოქმედებაში არის თავნება და ეგოცენტრიკოსი ადამიანი, თავმომწონე და სულგრძელი, მაგრამ რეალობასთან პირველივე შეჯახებისთანავე

საოცრად ემოციურია – კორდილიას პასუხი მას თითქოს გამოაფხიზლებს. ზურაბ ყიფშიძის მეტყველება, მისი უნიკალური ხმის ტემბრი და დიქცია თითქოს ბუნებრივად შეერწყა შექსპირის ლირის ურთულეს და უნატიფეს ტექსტს, რომლის (ტექსტის) წაკითხვის ტემბრალური შეფერილობა მსახიობმა საოცრად სწორად და გააზრებულად შეუხამა თითოეული პასაჟისა და სიტყვის სემანტიკას. შექსპირის ამ ნაწარმოების ტექსტუალური სემანტიკა ძალზე ღრმა და მრავალფეროვანია.

არ შემიძლია გვერდი ავუარო ამ ტექსტის ანალიზის ერთ მცდელობას. ეს გახლავთ ჟან-ლიუკ გოდარის 1987 წელს გადაღებული ფილმი „მეფე ლირი – გამოკვლევა“. ფილმის ჟანრი – **ფარსი+დრამა+ფენტეზი**. მხოლოდ გოდარს და მხოლოდ ამ ჟანრში შეეძლო სქემად ექცია და სემებად დაეშალა შექსპირის „მეფე ლირის“ ტექსტუალური ქსოვილი, მეც ერთგვარი კვლევა ჩავატარე ამ ფილმისა და შედეგად გთავაზობთ გოდარის კვლევის სქემას:

1. შიში და სიძულვილი – Fear and Loathing;
2. არა რა/არა საგანი – არაფერი – No Thing;
3. განწმენდა/გარკვევა/განათება – A Clearing ;
4. ზნეობა ძალაუფლების წინააღმდეგ – Virtue vs Power;
5. ზნეობა და ძალაუფლება – Power and Virtue;
6. არა რა/არა საგანი – არაფერი – No Thing;
7. 3 მოგზაურობა „მეფე ლირში“ – 3 Journees in to King Lear;
8. ეს მონაკვეთი კონკრეტული პოეზიის ნიმუშს წარმოადგენს:

Hear – Lear – No Thing  
Hear  
No  
Lear  
Thing

9. ზნეობა და ძალაუფლება – Power and Virtue;
10. ზნეობა ძალაუფლების წინააღმდეგ – Virtue vs Power ;
11. შიში და სიძულვილი – Fear and Loathing;
12. „მეფე ლირი“ – გამოკვლევა – King Lear. A Study;
13. შიში და სიძულვილი – Fear and Loathing;
14. განწმენდა/გარკვევა/განათება – A Clearing;
15. შიში და სიძულვილი – Fear and Loathing;
16. დასასრული – The End;
17. განწმენდა/გარკვევა/განათება – a cLEARing;
18. „მეფე ლირი“ – გამოკვლევა – King Lear. A Study;

აქედან ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გოდარი ვარიაციას თემების – შიში, სიძულვილი, ძალაუფლება, ზნეობა, განწმენდა, კორდილიას მთავარი სიტყვის გამეორებას – არაფერს, რომელიც გოდარმა დაშალა, როგორც „არა რა, არა საგანი“ (სხვათა შორის, ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისეულ თარგმანში არქაული ფორმით სწორედ ეს ვარიანტია მოცემული – „რას იტყვი? – არარას“.)

და არსად არის სიტყვა – სიყვარული.

მეფე ლირის ტრაგედიის მიზეზიც ხომ სწორედ სიყვარულის დეფიციტია (ვერ ვიტყვი მისი არარსებობა, რადგან ლირს, კორდილიას, ედგარს, გლოსტერსა და კენტს ეს გრძნობა ამოძრავებთ).

ზურაბ ყიფშიძის ლირს უყვარს კორდილია, ასევე კორდილიასაც უყვარს მამამისი. სხვათა შორის, კორდილიას

როლი ბრწყინვალედ შეასრულა კატო კლატოზიშვილმა. მისი პირველივე გამოჩენა ძალზე საგულისხმო აღმოჩნდა: სანამ ყველანი ლირის გამოჩენას ელიან და ჯარისკაცებივით დარაზმულები ეწყობიან, კორდილია თამაშით არის გართული და იგვიანებს. მას თეთრი კაბა აცვია. ის ელოდება საქმროსთან შეხვედრას. გარდა ამისა, საყვარელი მამისგან არ ელის რაღაც განსაცდელს. კორდილია სრულიად ტრანსპარენტული, გამჭვირვალეა თავის გრძნობებსა და ქცევებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ იცნობს თავის დებს. ფინალშიც მისი ტანისამოსი თეთრია.

გოდარის გამეორების ტექნიკას მივმართავ და კიდევ ერთხელ დავუბრუნდები უკვე დაწერილ პასაჟს:

**მოხუცი მეფე (როგორც ქრონიკებიდან ვიცით, მან სამოცი წელი იმეფა) მიჩვეულია, რომ მის ყველა სურვილსა და ბრძანებას უპირობოდ ასრულებენ. კორდილიასგან ასეთი მოკლე და სადა, ჩვეულებრივი პასუხი რომ მიიღო, გაუკვირდა. თუ კორდილია გულწრფელია თავის სიტყვებსა და საქციელში, ლირიც გულწრფელია თავის გაოგნებაში, მაგრამ ის არაადეკვატურია თავის განჩენში – კორდილიას გარიყვასა და მისთვის მიწების წართმევაში. ეს არაადეკვატურობა კი მისი ჩვევებიდან გამომდინარეობს. ის მიჩვეულია პირფერობას და არ არის მიჩვეული გულახდილობას. ამან „დააბრმავა“ და „დააყრუა“ იგი. აი, ეს არის ამ ტრაგედიის დასაბამი და ძირითადი საბაზი თუ მიზეზი. დანარჩენი მოვლენები და პერსონაჟების ხასიათების გახსნა კი გზადაგზა გვიჩვენებს ცხოვრების დაუნდობელ დინებას.**

მით უფრო ჩუმ ტრაგიზმს აღწევს პიესის ფინალი, მით უფრო დიდია მისი მოქმედება მაყურებელსა და მკითხველზე.

ეს ლირიკული ტრაგიზმი სათუთად ააუღერა ზურაბ ყიფშიძემ, რომლის თამაში თითქოს თამაშიც არ იყო – ის იყო ლირი.




დაახ, ყველა სცენაში – ექსპოზი-  
ციაში, ქარიშხლის სცენაში, სიგიჟის  
სცენაში, ფინალში – ზურაბ ყიფშიძემ  
ყველგან დაგვარწმუნა, რომ ის ღირსა.

იმაში კი, რომ ჩვენ, მართლაც, შექ-  
სპირის „მეფე ღირს“ ვუყურებთ სცე-  
ნაზე, დაგვარწმუნა, როგორც რეჟისორ  
ზურაბ გენაძის კონცეფციამ და მსახი-  
ობების მთელმა ანსამბლმა, ასევე მანა-  
ნა ანთაძის არაჩვეულებრივმა ახალმა

თარგმანმა, რომელიც ძალზე ბუნებრი-  
ვად და თანამედროვედ ჟღერს და რო-  
მელსაც დღევანდელ ქართველ მაყურე-  
ბელთან უფრო ახლოს მოაქვს გენია-  
ლური შექსპირის გენიალური ტექსტის  
საზრისიც და მელოსიც.

*სტატიაში გამოყენებულია  
ლამა კუპრაშვილის ფოტოები*



აღინა ქადაგიშვილი

ფესტივალ „საჩუქარი  
2016“-ის დღიშრიები



**ფლამენოთი დანიყო, ტანოთი  
დასრულდა**

ეს სათაური, რომელიც, სასიყვარულო ამბავს მოუხდებოდა, სინამდვილეში მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქარის“ გახსნასა და დახურვას ეხება, თუმცა, ვინ თქვა, რომ ეს ფესტივალის თავად არ არის სიყვარულის ისტორია, სიყვარულისა, რომელიც უკვე დიდი ხანია, გრძელდება და როგორც ბავშვი ელის შეპირებულ საჩუქარს, ჩვენც ისე მოუთმენლად ველოდებით ყოველი წლის შემოდგომაზე მის დაწყებას.

ოქტომბრის დასაწყისიდანვე ფესტივალის ორგანიზატორები საუბრობდნენ სახელგანთქმული ესპანელი მოცეკვავის, ევა იერბაბუენას ვიზიტსა და მის არაჩვეულებრივ წარმოდგენაზე. ჩვენს სტუმარს პირველი ინტერვიუ ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა აეროპორტშივე ჩამოართვა. ევას სპორტულად ეცვა, მზის სათვალე ეკეთა და თავი ისე უბრალოდ ეჭირა, მიჭირდა დაჯერება, რომ სწორედ ეს ქალბატონი გახლდათ ფლამენკოს უბადლო ოსტატი, რომელსაც ასე ველოდით.

სამაგიეროდ, ის, რაც 15 ოქტომბერს ოპერის სცენაზე ვიხილე, კიდევ უფრო გასაოცარი აღმოჩნდა. ეს იყო სრული გარდასახვა ჩვეულებრივი ადამიანისა ზემოთაგონებულ ცეკვის ქურუმად, ადამიანისა, რომელიც ჩვენსავით იცვამს, დადის, საუბრობს... ის ერთნაირად მიმზიდველია სარეპეტიციო ფორმასა და საკონცერტო შავ კაბაში, ბატა დე ცოლა რომ ჰქვია; კი არ დადის, ხან დარბაისლურად დააბიჯებს, ხან დაფარფატებს, ხანაც გაშმაგებით როკავს მითური მენადებივით. რა საჭიროა საუბარი, თუნდაც ერთი მისხალი სიტყვა, როდესაც, საკმარისია ფეხის დაბაკუნება, თავის აქნევა, თვალების დაკვესება, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს, როგორც მისი დასისთვის, ისე მაყურებლისთვის.

დიახ, ასეთი ევა იერბაბუენა ვიხილეთ ფესტივალ „საჩუქარის“ გახსნის დღეს სპექტაკლში „წვიმა“. ამის შემდეგ აღფრთოვანებულ ქართულ პრესაში რატომღაც საუბრობდნენ მის ასაკზე, პატარა ტანსა და სრულ აღნაგობაზე და, მგონია, სრულიად უადგილოდ.

**მანანა ტურიაშვილი:** „ორმოცდაექვსი წლის ევა იერბაბუენამ თბილისის ოპერის სცენაზე, ქართველ მაყურებელთან ორთაბრძოლაში დაამარცხა

ასაკი, დაამარცხა მოდად ქცეული, ქალების სიგამხდრისკენ მიდრეკილი ვნებები, დაამარცხა ახალგაზრდა ქალბატონების წარმოდგენა ქალის სიგრძე-სიგანის პარამეტრების შესახებ“. ჯერ ერთი, ასაკთან დაკავშირებით მაია პლისეცკაია მახსენდება და მეორეც, ჩემი მოკრძალებული აზრით, ფლამენკოს მოცეკვავეს არ ევალება ბალერინასავით გამხდარი იყოს.

ფრანკფურტში დაბადებულ და გრანადაში გაზრდილ ევას ცეკვა თითქოს სისხლში ჰქონდა გამჯდარი: თერთმეტი წლის გოგონა უკვე ბრწყინვალედ ასრულებდა ფლამენკოს. სწორედ გრანადაში, ფლამენკოს ცნობილ სკოლაში „მარიქუილა“, ევა ბავშვ-

და რიტუალია, რომ ამ შეხვედრებმა თანამედროვე ხელოვნებაზე იქონია გავლენა. მაია პლისეცკაიას პირადი მოწვევით ევას მონაწილეობა უნდა მიეღო მის ოთხმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ კონცერტში „ავე მაია“. ცნობილი ბალერინა ამ დღეს ველარ მოესწრო, ევამ კი დიდ თეატრში შეასრულა ფრაგმენტი წარმოდგენიდან „წვიმა“, რამაც მაყურებლის ისეთივე აღფრთოვანება და დაუსრულებელი ოვაცია გამოიწვია, როგორც 15 ოქტომბერს, ოპერის თეატრში...

ფლამენკო სიმღერის, ცეკვისა და მელოდიის მთლიანობაა, ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც რთული აგებულება და საუკუნოვან ტრადიციებზე



ვობიდან ეუფლებოდა იმ საიდუმლოს, რომლის წყალობითაც მოგვიანებით საკუთარი ხელწერა შექმნა. პინა ბაუში მას ვუპერტალში გამართულ ფესტივალებზე იწვევდა. გამოჩენილ ამერიკელ მოცეკვავესა და ქორეოგრაფთან, კაროლინ კარლსონთან ერთად, მას არაერთხელ გაუმართავს სცენური დიალოგი, რომელშიც იმდენი კოდი

დაფუძნებული უამრავი წესი და თვისება აქვს. ხუთასი წლისათ წინ ესპანეთში წარმოშობილი ეს სანახაობა ანდალუზიური, ბოშური, მავრიტანული და ებრაული ფესვებით სულ უფრო და უფრო იწვევს ქორეოგრაფების ინტერესს, რადგან ამ ცეკვაში ისინი ხედავენ შთაგონების წყაროს, შემოქმედებითი განვითარებისთვის საჭირო რესურსებს. ფლამენკოს

ორი ძირითადი სახეობა ე. წ. დიდი და პატარა, ანუ მაღალი და უბრალო სტილი კიდევ ორმოცდაათ ქვესახეობად იყოფა, რომელთა შორისაც ხშირად ძნელია მკაფიო საზღვრების გავლება. მართლაც, სანთლით საძებარია ადამიანი, რომელიც ამ სისტემას ისე საფუძვლიანად იცნობს, რომ მასში სიახლის შეტანას ახერხებს, საკუთარ სტილს აყალიბებს. როგორც ჩანს, ევა იერბაბუენა ამ მცირერიცხოვან რჩეულთა შორისაა.

მანანა ტურიაშვილი წერს, რომ პირველ წუთებში მაყურებელი ევა იერბაბუენას პარტერში მსვლელობას ინტერესით ადევნებდა თვალყურს, მას არც ამ ბრწყინვალე მოცეკვავის სცენაზე ასვლა გაჰკვირვებია და არც პინა ბაუშისა და პედრო ალმოდოვარის ფილმის „დაელაპარაკე მას“ ხანმოკლე ასოციაციები. უბრალო წითელ კაბაში ჩაცმული ევა სავარჯიშო ტანსაცმლით შემოსილ დასს ათვალთვლებდა, თითქოს ირჩევდა ან იწვევდა რომელიმე მათგანს. „მცირე ტანის თეძოჩასხმული ქალბატონი მკაცრად მოძრაობდა სცენაზე. ტემპორიტმი ნელი და გაყურსული იყო მანამ, სანამ მომღერალთა ხმებმა, გიტარისტის აჟღერებულმა ბგერებმა და მოცეკვავეთა მოძრაობებმა ერთმანეთთან დიალოგი არ გამართეს. მე ვარ სრულყოფილი! – გვეუბნებოდნენ ესპანელი მსახიობები და ძალას გვმატებდნენ, გვაგვებდნენ და მაყურებლის თვალწინ დაბადებული მშვენიერებით იმ ფლამენკოს განადიდებდნენ, რომელსაც იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი მიაკუთვნა.“

ძნელია, არ დაეთანხმო სტატიის ავტორს. დარბაზში მყოფთაგან ყველას ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ ღირსი გახდა, დასწრებოდა ადამიანისა და ხელოვნების სილამაზის ერთად შერწყმის მისტერიას. ალბათ, სწორედ ესაა ის „დუენდე“, რომლის შესახებაც ამდენს საუბრობენ.

„მკრთალად განათებული სცენის მიღმა აქა-იქ ბათქაშჩამონგრეული, ძველი აგურის კედელია აღმართული. კედელს შუაში ასევე ძველებური ხის კარიბჭე აქვს დატანებული. ჭერიდან ჩამოსული ნისლი უკვე მთელ დარბაზს სწვდება“. ეს წვიმაა, წვიმა... ესპანელი მუსიკოსები და მომღერლები ამ ნისლში ხან სრულიად დაინთქმებიან, ხანაც თავს დააღწევენ და ჩვენთვის ხილულნი ხდებიან, ეს წვიმაა, ესაა იდუმალი კავშირი ცასა და დედამიწას, ქალსა და მამაკაცს შორის; სპექტაკლის სათაური იმ სიმბოლოებზე მიგვანიშნებს, რომლებითაც გაჯერებულია მისი დრამატურგია. წარმოდგენის ხანგრძლივობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩვენ თვალწინ ჩაველო რამდენიმე ადამიანის ცხოვრებას, სადაც სიყვარულს მუდამ თან ახლავს ტკივილი და იმედგაცრუება, სადაც სიკეთე და სილამაზე დაუსჯელი არ რჩება, მაგრამ მწუხარების გვერდით სიხარულიც არსებობს, ტრაგიკულის პირისპირ კი კომიკური, როგორც მისი საპირნონე (რადგან ამ სამყაროში წონასწორობა კანონზომიერი მოვლენაა, ისევე, როგორც შუქ-ჩრდილი). მთავარი პერსონაჟი ევას გმირია – ემოციური, ძლიერი, თავისუფალი და შეუპოვარი ქალი, რომელიც მზადაა თავი შესწიროს მას, ვინც უყვარს.

„დიდი მსხვერპლშენიშვნა – ასე შეიძლება ეწოდოს ყოველივე იმას, რასაც წარმოგვიდგენს ევა იერბაბუენა. საკუთარი ისტორიის მოყოლა ჩვენთვის, მაყურებლებისათვის – ეს აღსარებაა“.

მაინც რაზეა ეს სპექტაკლი? გულუბრყვილო შეკითხვაა – ცხოვრებაზე. როგორც წვიმა შეიძლება იყოს მინის გამანაყოფიერებელი, სიუხვის მომტანი და ამავდროულად, ყველაფრის გამანადგურებელი და წამლექავი, ასევეა ჩვენი გრძნობებიც, მაგრამ თუ ადამიანს აღსარების თქმის უნარი შესწევს, ეს გზაა საკუთარი თავის კვლავ

მოპოვებისა და გადარჩენისკენ – გზა აღმავალი.

მსხვერპლშენიშვნა დამთავრებულია. დიდი ხელოვანი, რომელმაც ვალი მოიხადა მაყურებლის წინაშე, თავმდაბლურად ტოვებს სცენას. „იერბა-ბუენამ სარეპეტიციო ტანსაცმელში შემოსილ პარტნიორებს გვერდი აუარა და პარტერში დაეშვა. მისი გმირი მაყურებელთა დარბაზიდან წამოვიდა, დასთან ერთად უზარმაზარი კოცონი ააგიზგიზა, ტრაგიკულის შეგრძნებით აგვამალლა და ისევ ხალხში გაუჩინარდა. ალბათ, ეს არის ხელოვნება!“ დიახ, ასეა! ასე ჰქვია იმ სასწაულს, რომელიც ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანს საკუთარ შეზღუდულობას ავინწყებს, თუნდაც ცოტა ხნით ზებუნებრივი ძალით ალავსებს და საკუთარ მსახურად აქცევს.

აი, წრეც შეიკრა: თუ გახსოვთ, ჩემი წერილის დასაწყისში ევას ცეკვის ქურუმი ვუნოდე, ხოლო, სადაც ქურუმია, იქვეა მსხვერპლშენიშვნაც და თუ ფლამენკო თავისი ცეცხლოვანი რიტმებით გრძნობის ჩასახვის სიტკბოებას მოგვაგონებს, ტანგო უკვე მონიფული სიყვარულის სევდიან ამბავს ჰგავს. ესპანურენოვანი კულტურის ეს ორი შედეგრი არაერთ ხელოვანს შთააგონებდა. 1921 წელს პარიზში სერგეი დიაგილევს „ფლამენკო“ შეუტანია რუსული ბალეტის პროგრამაში; 1943 წელს ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენში“ ფედერიკო გარსია ლორკას ნანარმოების მიხედვითა და სალვადორ დალის დეკორაციით სპექტაკლიც დაუდგამთ; ხორხე ლუის ბორხესი 1928 წელს დაწერილ ნიგნში „ელ იდიომა დე ლოს არგენტინოს“ – (არგენტინელების ენა) საგანგებოდ მიმოიხილავს ტანგოს.

23 ნოემბერს თუმანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქრის“ დასკვნით წარმოდგენა „ვარდების ტანგო“ ვიხილეთ. ხელოვანი ირმა

შარიქაძე, რომელიც, როგორც ფოტოგრაფი უფროა ცნობილი, ამ პერფორმანსში მაყურებელს ერთდროულად იდეის ავტორის, რეჟისორის, კოსტუმების დიზაინერის, მსახიობისა და მოცეკვავის ამპლუაში მოეგვინა.

„ჩემი ობიექტივიდან დანახული სამყარო არაჩვეულებრივია და მისი ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ქმნილება ქალია“, – უთქვამს ირმას ერთ-ერთ ინტერვიუში. რასაც კი მოჰკიდებს ხელს ეს მრავალმხრივი შემოქმედი, ყველაფერს ქალის მზრუნველი ხელი და დახვეწილი გემოვნება ემჩნევა: მის ფოტონამუშევრებს, ისევე, როგორც დიზაინერულ პროექტებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება. მისი ხელოვნება თვითშემეცნებით, ინტუიციით, ცხოვრებისა და ადამიანების სიყვარულით იწყება, ხოლო ქალის პიროვნება და შინაგანი სამყარო მისთვის, როგორც ხელოვანისთვის, განსაკუთრებით საინტერესოა.

„ვარდების ტანგო“ ეძღვნება ტრფობას – პირველი გაუბედავი გრძნობიდან უძლიერეს ვნებამდე – ლალატი, იმედგაცრუებით, განშორებით გამოწვეული ტკივილით. თუ როგორ აღდგება ქალი ფერფლიდან, როგორ იწყება ცხოვრება ახლიდან, ვინ იცის, იქნებ მომდევნო სიყვარულამდე.

მომიტევით, გავერთე და ცოტა არ იყოს, დავარღვიე თანმიმდევრობა. პერფორმანსი „ვარდების ტანგო“ ირმა შარიქაძის, იგივე ირმა დე ლორეის მიერ არის შეთხზული, ქალის ცხოვრებისა და სიყვარულის ტკბილ-მწარე ამბავი, რომელსაც რამდენიმე მთხრობელი ჰყავს, მაგრამ ეს „თხრობა“ ცეკვის, სახელდობრ, ტანგოს საშუალებით მიმდინარეობს და, შესაბამისად, „მთხრობელები“ – სხვადასხვა ფერის კაბებში ჩაცმული ქალები ვარდებად გვევლინებიან. ვარდის სიმბოლური დატვირთვა ძალზე მრავალფეროვა-

ნია: ის, ტრადიციულად, განასახიერებს ქალს, სატრფოს, მშვენიერებას; არის როგორც სიცოცხლის, ასევე სიკვდილის, თვით სამყაროს სიმბოლოც. ამ წარმოდგენაში, რომელიც თავისი ლაკონურობით იაპონურ ჰაიკუს ჰგავს – მუსიკა, ცეკვა, სიმღერა, თეატრალური მიზანსცენა თუ პანტომიმა ორგანულ ნაერთს ქმნის, რომლის ემოციური ზემოქმედების სიძლიერე მხოლოდ სიყვარულის განცდას თუ შეედრება. საბოლოოდ, მაყურებელი შეყვარებულია ამ წარმოდგენაზე და მხოლოდ იმას ნუხს, რომ ასეთი ხანმოკლე იყო „ვარდების ტანგო“ და, შესაბამისად, მისი სიამოვნებაც, თუმცა, მე რომ მკითხოთ, მსგავსი ინტენსიურობის მქონე ნაწარმოები სწორედ ხანმოკლე უნდა იყოს, რადგან ასეთ დაძაბულობას დიდხანს ვერავინ გაუძლებს – სცენაზეც, ისევე, როგორც ცხოვრებაში, ძლიერ გრძნობას, ყოვლისმომცველ ვნებას შეუძლია გაანადგუროს, ფერფლად აქციოს ადამიანი.

მამ ასე, 23 ნოემბერს, საღამოს, ყინვიან ამინდში თუმანიშვილის თეატრში არგენტინული ტანგო და სამხრეთული ვნებათა ღელვა გველოდა. მომცრო დარბაზი, სავარძლების ხუთიოდე რიგით, გაჭირვებით იტევდა თეატრის მოყვარულებს. სცენა უშუალოდ პირველი რიგის შემდეგ იწყებოდა და მაყურებელს შეეძლო სულ ახლოდან ეცქირა პერფორმანსისთვის, რაც მის თანაგანცდას ერთი ორად ზრდიდა. დარბაზის სივნიროვით ვერ შეაშინებ საათობით ფეხზე დგომას მიჩვეულ ჩვენს მაყურებელს, რომელიც არ ეპუება ზამთრის სუსხსა და თბილისურ საცობებს და არ ნანობს, რომ სახლის სითბო და მყუდროება გამოგონილ ამბავზე გაცვალა.

შუქი ქრება, შემდეგ ინთება. მაგიდას ოთხი მშვენიერი ქალი უზის – აბრეშუმის ხალათებით. დილაა, იღვიძებენ. მუსიკის ჰანგები მათ აცოცხლებს, ცეკვას

ინყებენ ადგილზე. ერთ-ერთი მათგანი დგება, იხდის ხალათს, ალისფერ კაბაში ჩაცმული ჩამოუვლის სამ დანარჩენს: უყურებს, ხელით ეხება, თითქოს მათი შეცნობა სურს ანდა გამხნეება. ამის შემდეგ ქალები იცვლებიან. იცვლიან – ნელ-ნელა საშინაო ხალათებს იხდიან და გამოსასვლელ კაბებში რჩებიან. მათი განსხვავებულობა ნაირფერი სამოსითაც არის ხაზგასმული: ალისფერი, ცისფერი, ლურჯი და ყვითელი ფერის კაბებით. მორიგეობით ინყებენ ცეკვას, მარტო ან პარტნიორ მამაკაცთან ერთად. ყოველი მათგანი საკუთარ თავგადასავალს, სიყვარულის ამბავს გვიამბობს; ისინი ოთხნი არიან და თანაც ერთი. ალისფერკაბიანი ხომ თავად ირმა დე ლორე-ია, ხოლო დანარჩენები... ვინ არიან მისთვის დანარჩენები? რეალური არსებები: მეგობრები, პარტნიორები „Tango de RosaSi~, მუზები თუ მისივე ქმნილებანი; უბრალოდ, ქალები, მისი ორეულები, მსგავსნი და თანაც განსხვავებულნი? ლიკა ცნობილად, ნათია ბუნტური, თეკლა გოგრიჭიანი... ფერებს, ცხადია, სიმბოლური დატვირთვა ენიჭება: ალისფერი ვარდი ვნებიანი სიყვარულის სიმბოლოა, ყვითელი – განშორებისა. ეს წარმოდგენის სიუჟეტშიც აისახება.

ის ხალათები, რომლებიც ასე შვენოდათ პერფორმანსის მონაწილეებს, ირმა შარიქაძის ვინტაჟური კიმონოების სერიიდანაა. ძველი ჩინური აბრეშუმის კეთილშობილი ბზინვარება და დიზაინერის ფანტაზია მომნუსხველად მოქმედებს მნახველზე. არ დაგვაინყდეს, რომ არა მარტო კაბები, არამედ თვით ულამაზესი ტანგოს საცეკვაო ფეხსაცმელიც ირმამ შექმნა საგანგებოდ `Tango de RosasTvis~.

პერფორმანსის განათების დიზაინერმა, საქართველოში მცხოვრებმა ფრანგმა ბრის ბორდოვაჩმა, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მის წინაშე მდგარ რთულ ამოცანას, ჩემ-

თან საუბარში აღნიშნა: „ცნობილია, რომ ტანგოს შესრულებისას წამყვანი როლი მამაკაცს ენიჭება, ქალი კი მის მოძრაობებს მიჰყვება. ჩვენი წარმოდგენა იმითაც არის საინტერესო (განსაკუთრებით, ქალბატონებისთვის), რომ აქ სწორედ ქალია მთავარი მოქმედი გმირი“. თუმცა ქალის მომხიზვლელობა და სიყვარულის უნარი სრულად ვერ წარმოჩნდება, თუ გვერდით ღირსეული მამაკაცი არ ეგულება ან ვარდი როგორღა გაიფურჩქნოს, თუ ცუდი მებაღე შეხვდა? უნდა ითქვას, რომ „ვარდების ტანგოს“ გაუმართლა მამაკაცის პარტიის შემსრულებლებში: ცნობილი იტალიელი ტანგოს მოცეკვავე სამუელ ფრაჯიაკომო საგანგებოდ ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოში. ოთარ ბალათურია სანკტ-პეტერბურგიდან გვესტუმრა; კობა შონიასა და სოსო მწყერაძის ცეკვა ოსტატობისა და არტისტულობის ნიმუშია. სხვათა შორის, ირმა შარიქაძემ, სწორედ სოსო მწყერაძესთან ერთად, პირველად შვიდი წლის წინ იცეკვა ტანგო. ამიტომ ამ უკანასკნელს თავის ნათლიად მიიჩნევს.

საინტერესოა, რას ფიქრობენ პერფორმანსის მონაწილეები ტანგოს შესახებ, რა როლს ასრულებს ის მათ ცხოვრებაში?

**ირმა შარიქაძე:** „ტანგო სევდიანი ფიქრია, რომელიც იცეკვება“, – უთქვამს ბორხესს და თუ სევდას ცეკვავ,



ის, ალბათ, სევდაც აღარაა. ტანგო, როგორც წამდვილი ხელოვნება, გადარჩენის გზაა. ეს გზა ორი ადამიანის კონტაქტის, სიახლოვის მაგიაა. სწორედ ამან განაპირობა ტანგოს ტრიუმფალური პოპულარობა, ამიტომ შედგა ის ალტერნატიულ სუბკულტურად. ასე გახდა ტანგო ჩემი ცხოვრების საუნდტრეკი და თვითგამოხატვის საშუალებად იქცა. არგენტინელებს არ სწამთ უცხოელების ნაცეკვი, რადგან მიაჩნდათ, რომ ტანგოს მთავარი მახასიათებელი, იმპროვიზაცია, საკუთრივ არგენტინული ნაციონალური ხასიათის გამოვლინებაა, მაგრამ გულს, გრძნობას ნაციონალობა არა აქვს, ტანგომ ჩემი გული პირველი სიყვარულივით დაიპყრო და მეც შვიდი წელი დაიჭირდა გამბედაობის მოსაკრებლად, სათქმელის გასააზრებლად, ფორმის მოსაძებნად, თუმცა ტანგოს მთელ ცხოვრებას სიამოვნებით მივუძღვნიდი“.

**სამუელ ფრაჯიაკომო:** „ეს არის ცეკვა, სადაც შეიგრძნობ შენი სხეულის თითოეულ ნაწილს, სადაც არსებობთ მხოლოდ შენ, პარტნიორი და მუსიკა“ იმასაც ამბობენ, რომ ტანგო სრულდება მხოლოდ პარტნიორისთვის და არა პუბლიკისთვის. „ბენვის ხიდზე გადიხარ ვნებასა და რეალობას შორის, – ამბობს ლიკა ცნობილაძე. – რადგან ვნება ჭკუას გაკარგვინებს. ცეკვაშიც ასეა. თუ ბევრჯერ იცეკვებ და მუსიკასა და შენს პარტნიორთან ერთად

მასში ჩაიძირები, შეიძლება გაქრე ამ სამყაროდან“. რომანტიკული ურთიერთობები ხშირად ორთაბრძოლას მოგვაცოცხლებს, ასევეა ტანგოშიც: ცეკვისას ქალი და მამაკაცი ერთდროულად თითქოს ეურჩება და ემორჩილება კიდევ ერთმანეთს.

ირმა შარიქაძის „Tango de Rosas~ არგენტინულ

ტანგოს ეძღვნება, თუმცა ისეთივე ინტერნაციონალური და ინტერკულტურულია, როგორც თავად ტანგო. წარმოდგენის მონაწილეები პატარა მრგვალი მაგიდების გარშემო სხედან, როგორც რესტორანში ან კაფეში, გაისმის მუსიკა, წყვილი ცეკვავს ტანგოს. სადა ვართ, საქართველოში თუ 50-იანი წლების საფრანგეთში? ნუკრი

დანყების სურვილი უნდა იგულისხმებოდეს. ასეთი ტკივილის წინაშე მდგარს თვითგადარჩენის სხვა საშუალება არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ გაძლიერდეს და ხელახლა შექმნას საკუთარი თავი. დასასრულ, ყვითელ კაბაში ჩაცმული ეს ქალი მაყურებლისკენ მობრუნდება და სუსტად გაიღიმებს.

დაუვიწყარია ირმა შარიქაძისა და



კაპანაძე „თეთრ ვარდებს“ ასრულებს მუსიკალური თანხლების გარეშე და ტანში ჟრუნტელი გივლის, თამუნა მგალობლიძევილი კი სუფთა ფრანგული პრონონსით მღერის ტინო როსის ერთ-ერთ ცნობილ „ტანგოს“, აგრეთვე ჟაკ ბრელის შედევრს „ნუ მიმატოვებ“. ქალი, რომელსაც მიატოვებენ, მარტო რჩება. მიდის სარკესთან, იღებს საპარსს და ნელ-ნელა იპარსავს თმას. ის იმდენად გადაღლილია სიყვარულისა და სასონარკვეთისაგან, რომ ემოციის ნატამალსაც აღარ ამყდვენებს. აი, მის თავზე მხოლოდ ბუსუსებილა რჩება.

თმის გადაპარსვა ბევრ რამეს შეიძლება ნიშნავდეს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, წარსულზე უარის თქმა, თვითშემეცნება და ახალი ცხოვრების

სამუელ ფრაჯიაკომოს მიერ შესრულებული ტანგო წარმოდგენის ფინალურ სცენაში – ტრფობის ვირტუოზული იმიტაცია და ალისფერი კაბის ფრიალი. ირმას კაბის წითელი ფერი სიმბოლურად განასახიერებს იმ ახალი, თავისუფალი ქალის დაბადებას, ვისაც არ ეშინია საკუთარი ქალური მომხიბვლელობის გამომჟღავნების, ვინც უკვე სრულფასოვან, თვითკმარ პიროვნებას წარმოადგენს და მოქმედების უნარი შესწევს, სასიყვარულო ურთიერთობაში ინიციატივის გამომჟღავნებაც შეუძლია. დაუჯერებელია, რომ ემოციურად ასე დატვირთული ცეკვა, სადაც შეკავებული ვნება თითქოს ეიფორიაში გადადის, სულ რამდენიმე დღეშია დადგმული; დაუჯერებელია ისიც,



რომ არგენტინაში ამ ხალხურ ცეკვას თავდაპირველად მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ, ცეკვას, რომელიც აფრიკაში წარმოიშვა. თვით სიტყვა „ტანგო“ ნიგერიული ტომის იბიბოს ენაზე „დოლის ხმაზე ნაცეკვს“ ნიშნავს, თუმცა ეს უკვე ცალკე თემაა.

## უფრო აბსურდული, ვიდრე ცხოვრებაა...

ხელოვნება და ლიტერატურა ვერ იქნება უფრო აბსურდული, ვიდრე ცხოვრებაა, – ამის მსგავსი გამონათქვამები ხშირად გვესმის. ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზეც, რომ გამოგონილი სამყარო ვერასოდეს აჯობებს ნამდვილს სილამაზესა თუ სისასტიკეში და ა.შ. ეს ხომ თავისთავად ცხადია! ხელოვნებაცა და ლიტერატურაც, საბოლოო ჯამში, სინამდვილეს ბაძავს, ცხოვრებით საზრდოობს, იმისდა მიხედვით, თუ თავად შემოქმედი, ავტორი ცხოვრებად რას მიიჩნევს... უბრალოდ, ადამიანს ყოფა ზოგჯერ ისე ღლის, რომ საკუთარი თავიც ავიწყდება – აქ ვგულისხმობ

არა მის ყოველდღიურ მატერიალურ მოთხოვნილებებს, არამედ თვითრეფლექსიას, სოკრატეს უმთავრეს დებულებას: „შეიცან თავი შენი!“, რაც მეორე ადამიანის, საზოგადოებისა და საერთოდ, ყველაფრის შემეცნების თავი და თავია, საამისოდ კი თითქმის ვერასოდეს ვიცლით, ისე ვცხოვრობთ, ვერც კი ვამჩნევთ, ხშირად რაოდენ წვრილმანია ჩვენი აზრები და მიზნები, როგორი გაუგებრობა სუფევს გარშემო, რა უიმედოდ მოძველდნენ ჩვენი კერპები და მორალური პრინციპები; ანდა, პირიქით, ყველაფრის მიუხედავად, რა მშვენიერია სამყარო, როგორი კეთილშობილია ადამიანი, თუნდაც თითოეული ჩვენგანი, როდესაც მზად ვართ, საკუთარი სიცოცხლე თუ არა, წუთისოფლის თუნდაც მცირედი ნაწილი სხვა ადამიანებს დავეთმოთ უანგაროდ.

ზემოთქმულმა ილია ჭავჭავაძის სიტყვები გამახსენა, როცა „კაცია-ადამიანში?!“ მკითხველს მიმართავს და თავის მოთხრობას იმ სარკეს ადარებს, რომელიც შეიძლება ალაგ-ალაგ დაბზარულიც იყოს და ლაქიანიც, მაგრამ მასში მაინც მკაფიოდ აირეკ-



ლება იმდროინდელი ქართული ყოფა და თავად ის უმადური (თუ მადლიერი) მკითხველიც, მთელი თავისი ნაკლოვანებებით. „რა ვქნა“, – თავს იმართლებს ილია, რაც მქონდა, ის მოგეცი, რითიც შემეძლო, იმით დაგეხმარეო. ასე გვეხმარება ლიტერატურა და ხელოვნება გამოგონილი ამბებითა თუ წინაპრების „იყო და არა იყო რათი“ და საკუთარი თავის დანახვის საშუალებას გვაძლევს.

ასე გვეხმარება ფესტივალი „საჩუქარი“, რომელიც ყოველწლიურად გვანებივრებს საგანგებოდ ხელოვნების „გურმანებისთვის“ შედგენილი პროგრამით, ერთდროულად უზარმაზარ ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებს და ბევრ რამეზეც დაგვაფიქრებს, თითქოს იმისთვის, რომ არ მოვდუნდეთ, არ მოვიწყინოთ ფესტივალიდან ფესტივალამდე.

შარშანდელი „საჩუქარი“ იმითაც იყო დაუვიწყარი ქართველი მაცურებლისთვის, რომ რუსეთში მცხოვრებმა ლიტველმა რეჟისორმა რიმას ტუმინასმა თავისი ორი შედევერი გვაჩვენა: მარიუს ივაშკიავიჩუსის „მადაგასკარი“ (თუმანიშვილის თეატრში) და ალექსანდრ პუშკინის „ევგენი ონეგინი“, რომელიც გრიბოედოვის თეატრში ზედიზედ სამი დღის განმავლობაში გადიოდა სრული ანშლაგით. რასაკვირველია, ტუმინასს წლევანდელ ფესტივალზეც ველოდით. ის, მართლაც, ჩამოვიდა და „სპუტნიკ საქართველოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „იცით, საოცარი გრძნობაა: ერთი მხრივ, ჩვენ – ვახტანგოვის თეატრი და ფესტივალი როგორღაც დაკავშირებულნი ვართ, ახლობლები გავხდით, ვუგებთ ერთმანეთს, თვალყურს ვადევნებთ და მეორე მხრივ, მე ხომ ლიტველი ვარ. ასე რომ, საქართველო ძალიან ახლობელია ჩემთვის, როგორც შემოქმედებითი აღმაფრენით, ასევე იმ რალაცით, რაც პატარა ერებს აერთიანებს, რაც თბილია და სათუთი; მსგავსი პრობლე-

მებით, ალბათ, ერთნაირი ცხოვრებითა და ოცნებებით...“

ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასმა 18 და 19 ოქტომბერს მარჯანიშვილის თეატრში წარმოადგინა ფრანგი დრამატურგის, ჟერალდ სიბლეირასის პიესის მიხედვით შექმნილი დადგმა „ქარი ალგებში შრიალებს“. რეჟისორი – რიმას ტუმინასი, როლებში: ვლადიმირ ვდოვიჩენკო, ვლადიმირ სიმონოვი და მაქსიმ სუხანოვი.

რიმას ტუმინასის ხელწერა საკმაოდ გამორჩეულია: ერთდროულად უალრესად თანამედროვე და თანაც, საუკეთესო თეატრალური ტრადიციების ერთგული რეჟისორი არასოდეს გაურბის სირთულეებს, პირიქით, მგონია, სწორედ ისინი ხიბლავს და აზარტს უათკეცებს. სწორედ ისეთი შემოქმედია, რომელიც აკეთებს მხოლოდ იმას, რაც მოსწონს, რაც შთააგონებს. ბევრი რამ დანერილა მისი ახირებებისა და სტილის თავისებურებების შესახებ. ფილოსოფიური ნიაღვრეები, აბსურდი, დახვეწილი იუმორი და ზოგჯერ სარკაზმში გადასული ირონია – ის ინგრედიენტებია, რომლებიც მის თითქმის ყველა ნამუშევარში გვხვდება და რომელთა მიხედვითაც უმაღლ გამოიცნობ – ეს ტუმინასია!

არა მგონია, ადვილი იყოს, მაცურებლით სავსე დარბაზის ყურადღება თითქმის სამი საათით მიაჯაჭვო სცენას, სადაც ძალიან ცოტა რამ თუ იცვლება და მთელი ამ ხნის მანძილზე სამადსამი მსახიობის დიალოგი მიმდინარეობს. სამივენი თითქმის გაუსვლელად ცხოვრობენ თავშესაფარში, სადაც პირველი მსოფლიო ომის შედეგად მიღებული ტრავმების, ჭრილობებისა თუ სულიერი აშლილობების შედეგად აღმოჩნდნენ და ეჭვს არ ინვევს, რომ იქვე გაატარებენ სიცოცხლის დარჩენილ დღეებს. მოქმედება საფრანგეთში ხდება და სპექტაკლის გმირებიც ფრანგები არიან,

თუმცა, როგორც შემდეგ ირკვევა, ეს სულაც არ არის მთავარი. საქმე ისაა, რომ ეს მამაკაცები (მათ შორის ორი მოხუცია, მესამე კი შუა ასაკის), სხვა აქ მყოფთა მსგავსად, საზოგადოებისგან გარიყული, ზედმეტი ადამიანები არიან. ესაა ამ სამეულის ტრაგედია. მათ დაუსრულებელ საუბრებში ერთ-თავად აღრეულია ანმყო და წარსული და ვერ გაიგებ, რომელ დროში უფრო ცხოვრობენ ისინი, თუკი ასეთ უმწეო მდგომარეობაში ყოფნას საერთოდ ჰქვია ცხოვრება. წარსული კი, მათი წარსული სულაც არ ყოფილა ურიგო. ერთი მათგანი წარმოშობით არისტოკრატიული ოჯახიდანაა, განათლებულია და კარგი მანერები აქვს, ოღონდ არაფერში არგია, რადგან სულიერად ავადმყოფია; მეორე თავის ჯანმრთელ ფეხს მისტირის, რომლის მაგივრობასაც დღეს ხის პროთეზი ასრულებს, მესამემ კი გაიხსენა, რომ სანამ ომში თავის ტრავმას მიიღებდა და გულყრები დაენწყებოდა, მუსიკოსი იყო. ეს სამი მარტოსული ადამიანი, რომელიც არაფრით არ ჰგავს ერთმანეთს და ამქვეყნად არც არავის სჭირდება, სწორედ ამ მიზეზების გამო ერთმანეთისთვის ძალიან ახლობელი გამხდარა. ყველაფრის მიუხედავად, ისინი სიცოცხლის, ერთმანეთის დიდ სიყვარულს ატარებენ და სურვილს, რომ ისწრაფონ სანუკვარი ოცნებისაკენ. თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ ეს სამეული გადაწყვეტს, გაიქცეს გორაკზე, სადაც ალგები შრიალებენ. ცხადია, მათი ამ ჩანაფიქრის განხორციელება სწორედ რომ აბსურდის, შეუძლებლობის სფეროს განეკუთვნება, როგორც ყველა გიჟური იდეა, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ გახლავთ! ის საოცნებო ალგები, შორს, გორაკზე რომ მოჩანს და ქარი ასე ლამაზად არხევს, წმინდა წყლის მეტაფორაა, მირაჟია, მაგრამ ის სასიცოცხლოდ ესაჭიროება ამ სამ სიმპათიურ

პიროვნებას, რადგან მომავლის იმედს უნერგავს, მათ უბადრუკ არსებობას უეცრად ამაღლებული მიზანი უჩნდება, თუნდაც ამ ალგებს მეტი ძალა არ გააჩნდეთ, ვიდრე იმ ხავესს, წყალწაღებული რომ ეჭიდება.

რიმას ტუმინასის აბსურდული სამყარო ჩვენს რეალობას წააგავს, რომელშიც ყოველდღე ვითქვიფებით, პირველივე ნამებიდან გვაჯადოებს და ჩვენს ყურადღებას სცენაზე მყოფ სამ „მასხარაზე“ მიაჯაჭვებს. სამი ჩვენთვის ძალიან ნაცნობი, საყვარელი და ცრემლებამდე ახლობელი ჯამბაზი ცხოვრობს ჩვენი ცხოვრებით, „ისინი ცდილობენ, დაამარცხონ რეალობა, გაკვეთონ ეს წყეული ჯადო-წრე, რომელსაც ჩვენ (შეცდომით) სიცოცხლეს ვუნოდებთ. იმარჯვებენ და მარცხდებიან, ტირიან და ხარხარებენ, მოთქვამენ და მასხრობენ, საბოლოოდ კი თავს გვაყვარებენ“.

უკაცრავად, ძალღი გამომრჩა! აქამდე ვამბობდი, რომ ისინი სამნი არიან, თუმცა თავად სამეული კი ფიქრობს, რომ ძალღის ქანდაკება, რომელიც იქვე დგას და ყველა მათი შეხვედრისა და საუბრის მომსწრეა, სამეგობროს მეოთხე, სრულუფლებიანი ნევრია.

აბსურდულ სიტუაციებს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც რა გამოლევს, ზოგჯერ ისეთ ფანტასმაგორიულ, ალოგიკურ ან კომმარულ კადრში აღმოჩნდები, თავი კაფკას გმირი გგონია, თუმცა ყველაზე საზარელი მაინც ჩვენი სასტიკი და ულამაზო ყოფაა. „ბრძოლა არსებობისთვის“, ალბათ, ამის და კიდევ ბევრი სხვა რამის სათქმელად ჩამოვიდნენ ჩვენთან იტალიელი სტუმრები, რომელთა შესახებაც ახლა მოგიტხრობთ.

29 და 30 ოქტომბერს, პროგრამის „ფოკუსშია იტალია“ ფარგლებში „დამოუკიდებელი კვლევის თეატრალურმა ასოციაციამ“ (მილანი, იტალია) თუმანიშვილის თეატრში წარმოადგინა დადგმა „იტალია ათიან წლებში – იტა-

ლია დღეს“. სპექტაკლის რეჟისორია სერენა სინიგალია, პიესის ავტორი ედუარდო ერბა.

მეოცე საუკუნის მიწურული და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი თეატრალურ სამყაროში მკვეთრი სათეატრო ფორმისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ეპოქად უნდა მივიჩნიოთ. დადგმის ავტორთა მხრიდან სასცენო ხელოვნების ნაწარმოებებში სულ უფრო და უფრო პრიორიტეტულ ელემენტად იქცევა ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც თავისი ეფექტურობით მაყურებელზე მაქსიმალურ ზეგავლენას მოახდენს. ნიველირებულია და ხშირად საერთოდ უარყოფილია თხრობის, ამბის, სიუჟეტის თანმიმდევრული განვითარების ცნებები ამ ელემენტების კლასიკური გაგებით.

„იტალია ათიან წლებშიც“ ასეთ ნამუშევართა რიცხვს მიეკუთვნება და თამაშის ხერხითა და თხრობის მანერით იტალიურ ნეორეალიზმს მოგვაგონებს. მაყურებელი მისთვის უცნობი ადამიანების ცხოვრების ნებისმიერი, თვით ყველაზე უფრო ინტიმური ეპიზოდების მომსწრე ხდება, სპექტაკლის გამირებთან ერთად ბოლომდე ეფლობა მოცემული ეპოქისთვის დამახასიათებელ ატმოსფეროში, რომელიც ამავე დროულად, მისი, მაყურებლის დღევანდელი დღეა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი, 2008 წელს ცუნამივით თავს რომ დაგვატყდა, დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა და ძალას იკრებდა. სამსახურიდან დათხოვნის, უმუშევრობის, მასობრივი გაღარიბების უზარმაზარმა ტალღამ არც ერთი ქვეყანა არ დაინდო. თანამედროვე ეკონომიკური და საბანკო სისტემის კრაზი ერთგვარ წყალგამყოფ ზოლად იქცა და რაც უფრო მეტად განვითარებულია ესა თუ ის სახელმწიფო, მით მეტად იგრძნობა განსხვავება ორ ეპოქას შორის – კრიზისამდე და კრიზისის შემდეგ. უკვე ძალიან ბევრი მწერალი და ხელოვანი

დაინტერესდა ამ პრობლემით, კერძოდ კი, როგორ იწვევს ფინანსური კრიზისი, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენა, ჯაჭვური რეაქციების მთელ რიგს, რასაც შედეგად სულიერების კრიზისი მოსდევს.

სპექტაკლის ავტორები რეალისტური ხერხებით ახდენენ თანამედროვე დასავლური ღირებულებების დაუნდობელ კრიტიკას, ღიად დასცინიან დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის, პროცენტების თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის მახინჯ გამოვლინებებს. ნატურალიზმი უკიდურესობამდე მიყვანილი, რათა მაყურებელმა თავი რეალური მოვლენების მოწმედ იგრძნოს; თითქოს ირღვევა საზღვარი სცენასა და დარბაზს შორის, ყოველგვარი ტაბუ მოხსნილია: პიესის გამირები ჩხუბობენ, უშვერი სიტყვებით ილანძღებიან მშობლიურ იტალიურ ენაზე (თუმცა დარბაზში მსხდომთ შეუძლიათ, თვალი ადევნონ თარგმანს სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე), მოკლედ, თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში: შიშვლდებიან და სქესობრივი აქტის იმიტაციასაც კი ახდენენ. თავისუფლება გინდოდათ? ინებეთ!

როგორც იტყვიან, „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო“, ჩვენ ვართ მომსწრენი – ერთმანეთის მიყოლებით. ხუხულებივით როგორ ინგრევა იმ ადამიანების ცხოვრება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი და ნებსით თუ უნებლიეთ, არა მარტო საკუთარ, არამედ სხვების ბედისწერასაც განსაზღვრავენ. მაყურებელი იცინის, თუმცა, სინამდვილეში, ტირილი მართებს. აქ კომედია ისეთი სისწრაფით გადადის ტრაგედიაში, ისე დაუნდობლად ეხდება ფარდა პერსონაჟების ჭეშმარიტ სახეებს, მათ ფარულ მიზნებსა თუ მოტივებს, რომ გონზე მოსვლას ძლივს ვასწრებთ.

სპექტაკლის ბოლოს აღმოჩნდება, რომ

მავანის მოსიყვარულე და მზრუნველ მეუღლეს მხოლოდ ქმრის მიერ ნაშოვნ ფული და უზრუნველი ცხოვრება ჰყვარებია, ხოლო ის ქალი, რომელიც მთელი ამ საათ-ნახევრის განმავლობაში ცუდი დედა გვეგონა, სინამდვილეში მზადაა, თავი შესწიროს შვილის კეთილდღეობას. აქ თითქოს არ არსებობენ ჯალათები, ყველა პერსონაჟი მხოლოდ მსხვერპლია და ამიტომ სიბრალულს იწვევს, მაგრამ, მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ვინაა დამნაშავე იმაში, რომ ასე ცუდად ვცხოვრობთ? იქნებ, უფრო ბედნიერები ვყოფილიყავით, ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა რომ არ ჰქონოდა შეძენილი ავტომობილის მარკას და ტანსაცმლის ან სუნამოს „ლეიბლს“?

და მაინც, ამ აბსურდულ და მანკიერ სამყაროში, მთელ ამ საგიჟეთში, როგორც სანაგვეზე გაზრდილი ყვავილი, მოულოდნელად თავს იჩენს სიკეთე, გულუბრყვილობა, დიდსულოვნება და ნამდვილი, ყველაფრის დამთმენი სიყვარული.

წარმოდგენის ავტორებმა მიზანს მიაღწიეს. მათ ხომ სურდათ, მაყურებლის თანაგანცდა გამოენვიათ? მათი სიუჟეტი და პერსონაჟები ჩვენი ცხოვრებიდან ნასესხებს ჰგავდა, ასე რომ, მგონია, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა, თუ წარმოდგენის სათაურში სიტყვა „იტალიის“ მაგივრად „საქართველოს“ ჩავწერდით.





ISSN 1987-5762



ფასი 3 ლარი